ალექსი გოგუა

წყლის გემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

აფხაზურიდან თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

ბერიკაკი ფიქრობდა მთებზე, მაგრამ მათკენ არ იმზირებოდა, უკვე ველარც ლანდავდა მათ. ეს ერთი წელია, ცოტა მეტიც, რაც მთები გაქრნენ მოხუცის თვალთაგან, თითქოს გემები გავიდნენ ზღვაში შორს, შორს, თვალსაწიერს იქით. და ახლა ის ქათქათა, გაფხეკილ-გაპრიალებული ძვლის მსგავსი მოტიტვლებული მთის წვერი, ამ ეზოდან ყოველთვის რომ ჩანდა, ძლივს გამოკრთოდა მსუბუქ, უწვიმო ნისლში. დილიდანვე ღრუბლებმა რამდენჯერმე სცადეს ამ ნისლების ზემოთ თავაყოფილი მწვერვალის მთლად დაბურვა, მაგრამ თავზე ვერ მოექცნენ და მსგავსად იმ მოლაშქრეებისა, რომელთაც ალყაშემორტყმული ციხესიმაგრე ვერა და ვერ აეღოთ, უკან იხევდნენ. ხეობისკენ ეშვებოდნენ და თხემდათხემ ნაკუწ-ნაკუწ ძონძებსლა ტოვებდნენ.

ამ მთაზე გაწეწილ ღრუბლის ფთილებს თუ არად ჩავაგდებთ, ცას მოწმენდილი, გადაქარული ეთქმოდა.

ცვარი უკვე აორთქლდა, მაგრამ ჩრდილი ხისა, რომლის ძირშიც ბერიკაკი მოყუჩებულიყო, ჯერ ისევ კარგა გრძელი იყო და ზედ აივანს მიდგომოდა.

მოხუცს ფეხი სტკიოდა, დაუსივდა, ჩაუშავდა, წვივზე კანი დაუსკდა. მტკივანი ფეხი ჯორკოზე ჰქონდა შემოდებული.

...იმღამით თვალზე რული არ მიჰკარებია, ლოგინიდან წამოდგა, აივანზე გავიდა და. სულგაკმენდილი, დიდხანს უგდებდა ყურს ღამის წყვდიადს. მიმცხრალი, მკრთალი მთვარე, ან დღეს ან ხვალ სულაც რომ გაქრებოდა ციდან. უკვე გადასულიყო ჰორიზონტს მიღმა, როცა მოხუცს რულმა თვალი წაართვა. ახლა კი წავუძინებო, გაიფიქრა მოხუცმა, შინ შევიდა და სიბნელეში საწოლს წაჰკრა ფეხი.

უკვე სამი წელია, რაც ასე მოტყდა. სიბერემ ერთბაშად დარია ხელი. მოფამფალდა, წელში მოიღუნა, ყურთაც დააკლდა და თვალთაც. მაგრამ ვიდრე ფეხები უვარგოდა, შეეძლო ახლო მისულიყო იმასთან, რაც შორს იყო, რასაც ვერ ხედავდა. ახლა კი, ახლა, ფეხი აღარ უვარგა და წახდა კაცი. უმწეოა.

... ლოგინზე იტკინა ფეხი, ლოგინზე... ჰო, ლოგინზე, აბა, სადმე ომში კი არ დაშავებულა!..

— ოდესღაც ეს ხელისგული ტყვია-წამალს წონიდა... შუათითი ზუმბად მქონდა. ტყვიას ტყვიაზე ვდებდი ლულაში... ახლა ვარ, მარა რა ვარ, გმირი ვარ, აბა! — მოხუცმა მწარედ ჩაიცინა. — საწოლს მივაფშვენი ფეხი, საწოლს...

ახლა ყველაფერი რკინისაა, ეს ოხერი. ყველგან წვეტიანი რკინაა გამოჩხერილი. ფეხს წაკრავ და კარგად მეყოლე. მრგვალი არაფერი შეგვრჩა, მრგვალი, რომ არ დაგჩხვლიტოს კაცი. კარი გინდა. საწოლები, ახჩნიზა[1] — სულ ცარიელა რკინისაა. ვაზსაც რომ რკინის მავთულზე ახვევენ.

ვაზს რკინა არ ეჭაშნიკება და წაქცევაზე რომ მივა, მაშინლა თუ ჩაეკვრება მავთულს. მზე მავთულს ახურებს, ვაზის ფოთოლი ჭკნება, იჭუჭკება, 'ათუთ მტევნებს კი ჟანგი აჩნდება.

ლითონი, ლითონი, — ირგვლივ ლითონია, ნამეტანი ბევრი ლითონია ირგვლივ. ლითონი მკვიდრია. დიდხანს ძლებს. ეს იციან და სხვა ყველაფერი დაივიწყეს ადამიანებმა...

ფეხი ახლა არც მაინცდამაინც ტკიოდა, არც ფიქრობდა მასზე, საკუთარი უმწეობა უდუმებდა გუნებას და კიდევ ის, რომ ფეხი მოსავლელი გაუხდა. გამომხმარ, გაცრეცილ სხეულს საკუთარი ძვლებიც ემძიმებოდა.

— მაგარი ვარ, მაგარი... — ჩაიცინა მოხუცმა.

სახლს უკან დიდი გზა გადიოდა. იგი ზემოდან, ხეობიდან ქურანასავით ჩამორბოდა, დაბლა, სწორზე, მას მდინარე ჭრიდა, წყალს გალმა კი გზა კვლავ იღერებდა თავს, ცოცხლდებოდა და წაბლისფერი სარტყელივით გადიოდა გაუთელავ ხასხასა მდელოებში.

დილდილობით გზა ხმაურობს: ისმის გადაძახილი, სახრეების ლაწუნი, ფეხათრეული ურმის ჭრიალი, საპალნიანი ცხენების ფრუტუნი, ფლოქვების ბაკაბუკი, შიგადაშიგ, უფრო იშვიათად, — ტალახში მოსრიალე მანქანების ვაი-ვაში.

შემდეგ საღამომდე გზა ყუჩდება. მხოლოდ იშვიათად, უცაბედად თუ ვამოჩნდება ვინმე, ვისაც ყანაში მუშაობას სოფლის შარა-შუკებში უსაქმოდ ყიალი ურჩევნია. ეს მოსეირნე მეჩრდილეები ფლოფუთით, ხვნეშა-ხვნეშით მიდი-მოდიან, თითქოს ამბობენ, გვეჩქარება, ბატონო, ისე გვეჩქარება, თავზე ცეცხლი რომ წაგვეკიდოს, იმის ჩასაქრობადაც ვერ მოვიცლითო.

— შემო, მობრძანდი, — შიბატიქებს რომელიმე მოსახლე ამ მოჩქარეთაგანს, უკვე რამდენჯერმე რომ აიარ-ჩამოიარა იქაურობაზე.

— ავაშენა ღმერთმა. მაგრამ მეჩქარება, — წელთით შეჩერდება ის კაცი და მაშინვე წინ გადაიძგრება. აქაოდა, ა, ბატონო, მივდივარ, გავრბივარო.

— შემო, თუ კაცი ხარ...

— გეფიცები, არ შემიძლია...

— შენც დიდხანს კი ნუ დარჩები...

— მაღლობა, მაღლობა.

[1] კერიაზე შეშას ახჩნიზაზე აწყობენ.

— ფეხზე მაინც დაგველია თი-თო-თითო ჭიქა... იმ ჭურს გუმინლა მოვხადე თავი და...

— რატომ წუხდებით, რატომ... ეგ რომ მცოდნოდა, სხვა გზით წავიდოდი...

— რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა...

— ისე, მართალი ხარ, ხომ იცი, ახარდანის ღვინო ამ სიცხეში გაფუჭდება...—ამბობს მოსეირე და კიდეც არ მიდის და კიდეც მიდის ჭიშკრიდან სახლისაკენ.

მერე ის ცეცხლწაკიდებული მოჩქარე შებინდებულზე თუ გავა სტუმრისმოყვარე ოჯახიდან და თავმოწყვეტილი წალასლასდება სოფლის გზაზე.

ახლა მოხუცი ვერც ხედავდა იმ „მოჩქარეებს“, მათ ხმას ისმენდა, მაგრამ იცოდა, რა დროსაც უნდა გამოფენილიყვნენ გზაზე. რამდენ შარახვეტიას იცნობდა, თავისი დრო და წუთისოფელი მიდი-მოდიში რომ გაეფანტათ! და გასაკვირია, ნამეტანი გასაკვირია, დაბერებულებს ახლები ენაცვლებიან, თითქოს მემკვიდრე ვაჟებს ღონეგამოლეული მამები შეუსვენებიათ და მათ ნაცვლად გუთანს თუ აჩაჩას თვითონ მოჰკიდებიან. ესენი, „მემკვიდრეები“, ამგვარ გზას იმთავითვე, დედის რძის შეშრობისთანავე ირჩევენ. მათი წინამავლების გულმოდგინებით ცლიან ჭიქას ჭიქაზე, გაუთავებელ სადღეგრძელოებს ამბობენ, სულ ერთსა და იმავეს ამბობენ, ოღონდ ამ სადღეგრძელოებს, პირველად რომ ითქვა, მაშინ თუ ჰქონდა თავისი აზრი. ახლა, როცა კვლავ და კვლავ ისმენ, გაბეზრებული ისმენ.

დრო მიედინება, ადგილზე როდი დგას. ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ როგორც ხომალდი მიასვენებს ხოლმე თავის ბანზე ცხედარს, ასევე მძიმედ მიუყვება ცხოვრებას ის, რაც უკვე დრომ მოჭამა.

ბერიკაცი ბევრს იცნობდა ამ გზის მიერ მოყვანილ-წაყვანილთაგან. ახლაც კი, ახლაც, როცა ცუდად ხედავდა და ყურშიც ცუდად ესმოდა, მოფუთფუთე გამვლელებში ცნობდა იმ მეჩრდილეებს, ცნობდა და გული ემღვრეოდა.

ბერიკაცს ისევ მთები გაახსენდა. თვალით ვერა ხედავს, მაგრამ ის მთები ხომ ისევ ისე, ფიქრში დაძირული კერპებივით დგანან. ცად აჭრილ და იქ გაშეშებულ ზღვის ტალღებს ჰგვანან. მაგრამ საკმაოა მოხუცმა მთის წყაროს წყლის გემო გაიხსენოს, რომ გაშეშებული, გახევებული მთები უმალ ცოცხლდებიან.

მოხუცს თვალწინ დაუდგა მთის ანკარა, ფერდობებზე მოჩხრიალე წყაროები და მისი შხეფები შემოესხურა თითქოს, ისეთი სიამე იგრძნო, თითქოს ეს-ესაა აციხა-ძის ყინულივით ცივი ვეძა შეესვას.

მოხუცმა ნერწყვი გადაყლაპა, მაგრამ გამშრალი ყელი ვერ გაისველა. მთის წყაროების გახსენებისთანავე მოსწყურდება ხოლმე. მოწვიმს თუ არა, აქ, ქვემოთ, მათი წყაროს წყალი იმღვრევა. გაზავებული თაფლისფერი ხდება. ძლიერ გვალვაში კი წყაროში წყალი ცოტალა რჩება, მაგრამ თბება და რამდენიც არ უნდა დალიო, წყურვილს არ კლავს. კიდევ უფრო ქვეით, ზედ მდინარესთან პირდაპირ კლდიდან გადმოწანწკარებს წყალი, რომლის მსგავსსაც სხვაგან ვერ ნახავ. როცა ფეხი არ აწუხებდა, ჩადიოდა და წყაროს ნაკადს ამოასუფთავებდა ან ღარს დაუყენებდა. ამ წყალს მხოლოდ მთის წყა-

როს წყალი თუ შეედრებოდა: ერთი ყლუპიც კი ჰკლავდა წყურვილს და სიმხნევეს მატებდა კაცს.

ახლა წვიმებისგან მოდიდებულმა მდინარემ წყარო დაშლამა. ეს ოხერი ფეხი რომ მივარგოდეს, რამეს ვიღონებდი, თორემ ხომ შეიძლება, წყარო სულ დაიშრიტოსო, წუხდა მოხუცი.

კაი წყალი სიცოცხლესა ჰგავსო, ფიქრობდა მოხუცი. წყალი სიცოცხლეა, სიცოცხლეო. ადამიანი წყლის გემოს ერთბაშად როდი იგებსო.

მოხუცს უყვარდა ზღაპრების მოყოლა. უყვარდა და კარგადაც ჰყვებოდა. მაგრამ მას არ უყვარდა ზღაპრები, სადაც წყალი ნაღების ნაპირებიან რძის მდინარეებად გადაიქცეოდა.

თუთის ხის ჩრდილმა აივანი უკვე დატოვა. ჩრდილი ეზოში, მდელოზე ჩამოშრიალდა, მაგრამ ქალიშვილი სამუშაოზე რატომღაც ჯერაც არ წასულა. მან მოხუცი ადრე დილით ჩამოიყვანა ეზოში. სკამამდე მიიყვანა, თვითონ შინ შებრუნდა და აქამდე არ გამოჩენილა. ასე ჩვევია: საათი ისე გავა, ორიც, რომ დაჯდება და არ გაინძრევა.

რკინის კუტიკარმა გაიჭრიალა. სახლისკენ მსუბუქი ნაბიჯით, ფრთხილად-ფრთხილად, თითქოს ბალახის გათელვისა ეშინიაო, მოდიოდა მაღალი მამაკაცი. მას აკაპიწებული აბრეშუმის პერანგი და სარკესავით გაზიმზიმებული აზიურები ეცვა. კაცი მიხვდა, მოხუცმა შემამჩნიაო, პირისახეზე ღიმილი აიკრა და მისკენ წავიდა.

„ამ დილაადრიან ნეტა რას გამოწკეპილა?“

ფეხს აუცქაფა. თითქმის მიირბინა მოხუცთან.

მოხუცი ხელებით სკამს დაებჯინა, წამოდგომა სცადა.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ, — პირმოთნედ აწრიალდა სტუმარი და მოხუცს შენამულივით სველი ბუნჩულა ხელი გაუწოდა.

მოხუცს ეს კაცი ბალღიც ახსოვდა: მის თვალწინ გაიზარდა, სქელ თმაში ახლა უკვე ჭაღარა შეჰპარვია.

— თქვენი ფეხი...

„თქვენიო“, — თითქოს სიმამრს ელაპარაკება.

— ჩემი ფეხი რა ბედენაა, დად... ბებრის ძვალსა და ხორცს ძაღლიც კი არ დააკარებს პირს.

კაცმა გაიცინა. მოხუცი მას ვერ ხედავდა, მაგრამ იმ გაცინებით მიხვდა, რომ იგი სადღაც სხვა მხარეს იცქირებოდა.

მოხუცს არ უყვარდა ის ხალხი, ვინც დღედაღამ თავაუღებლივ მიწაში იჩიჩქნება, მიწის გარდა ვერაფერს ხედავს და არცა სურს დაინახოს; ამათთვის შრომა სენად ქცეულა. მოხუცს სწამდა: ეს სიცოცხლის გაუგემურების, გაშხამების, მისი ნამდვილი აზრის გაუკულმართების გზა არისო. შრომა შრომაა. გლეხკაცის შრომა ხომ მით უფრო მძიმეა, მაგრამ სენად არ უნდა შეიყაროო იგი. ყოველგვარი ზღვარგადასული ლტოლვა რაიმესკენ ბოლოს უღებს ადამიანს, მაგრამ მოხუცს ყველაზე მეტად ის კაცი ეჯავრებოდა, ვინც თავისი დღე და მოსწრება ათას და ათას თავის გასამართლებელ მიზეზს ეძებდა, ოღონდ კი ხელი არ გაენძრია.

ის კაცი, ვინც თავაუღებლივ, გაკერპებით იჩიჩქნება მიწაში და წუთსაც არ დაკარგავს უკანმოსახედავად, — იქნება რა ხდება ამქვეყნად, — ვინც ირგვლივ თავისი წილი მიწის გარდა ვერაფერს ხედავს და ყვავილების ცქერითაც კი ერთხელ

მაინც არ დამტკბარა, შესაძლოა საშიში ვინმე აღმოჩნდეს. კი, შესაძლოა, მაგრამ მისი ბედშაობა მაინც ხელისგულზე ჩანს გაშიშვლებული და ამიტომ წინასწარ შეგუმანებული გაქვს, სად წახდება და რას იკადრებს.

არაფრის მაქნისი კი ყოველთვის საშიშია.

ძნელია, თითქმის შეუძლებელია გაიგო, როდის ჩაგწიხლავს და საიდან დაგიდებს კვანტს. წარბსაც არ შეარხევს, ისე გააკეთებს იმისთანა უმსგავსოებას, რომ კაცს თავს მოაკვლევინებს და მერე ამ სიკვდილსაც თავისი უსაქმურობის გასამართლებლად გამოიყენებს. არაფრის მაქნისობის, უსაქმურობის გამამართლებელი მიზეზის პოვნა იქცეოდა არაფრის მაქნისთა, უსაქმურთა ცხოვრების აზრად, ღირსებად ალმად.

* *

— სისა! — ჩაესმა მოხუცს ქალიშვილის ხმა. — სად იყავი, სისა, სად?

სად იყავიო... სად იყო და... თავის წაბლა ცხენს ეძებდა. მაგრამ ვერ უპოვნია! არა, არა, თავის ფურკამეჩს ეძებდა, მაგრამ ტყეში დაკარგვია და არსად ჩანს. იმდენი ამას შეურცხვა თავ-პირი!

სისა ფრთხილად, ფაჩუნ-ფაჩუნით წავიდა ბერიკაცის ქალიშვილისკენ.

სისა...

მოხუცს შეაჟრჟოლა, თითქოს დაშაქრული ცივი წყალი დაელიოს.

— ქშ, ქშ, ქშ! — მაშინვე ფიცხლად შეუძახა ბერიკაცმა, ძერა ეგონა.

ღობეწნულს გადმოაფრინდა ჭრელი დედალი, მას კი წითელბიბილოიანი ლამაზი ყვინჩილა გადმოჰყვა. ის იყო დაეწია დედალს, რომ უშველებელი მამალი დაეცხო და გვერდზე მიაგდო. ყვინჩილა საშიშ ნისკარტს მოერიდა, მოშორებით დადგა და ფრთები გაშვეტა. ბებერი მამალი ღონიერი იყო და ჯერ ისევ მაგრად გრძნობდა თავს. ყვინჩილამ ერთი კი წყენით მოხედა და სხვა დედლებს გამოენთო. ის ჭრელი დედალი კი, ყვინჩილას რომ გაურბოდა, თვინიერად დამდგარიყო ბებერი, ძლიერი მამლის წინაშე. ბებერი მამალი ფრთების ფაშფაშით, ზვიადად გამოემართა მისკენ... ჭრელმა დედალმა ფრთა შეიბერტყა, ბებერი მამალი კი გვერდზე მიდგა, მიწაში რაღაცას დაუწყო ძებნა, იპოვა, სასურველ დედალს დაუძახა და ლამაზმანიც შეექცა მამლის მონაგარს.

ვიდრე უშველებელი მამალი უბატონოდ ხელისუფლობს ამ ეზოყურეში, ლამაზმანი გვერდიდან ვერ მოსცილდება.

— ხიკა, — დაუძახა მოხუცმა ქალიშვილს. — კრუხი სადაა, რატომ არა ჩანს?

— სად უნდა წასულიყო?

— ძერამ არ გაჰკრას კლანჭი!

— ნუ დარდობ, მამი, არაფერი მოუვა.

მოხუცს ესმოდა, ხიკა და სისა როგორ ქირქილებდნენ და ჩურჩულებდნენ რაღაცას.

„გამოყრუვდება კაცი და ყველაფერს ისე დაჰკანკალებს, გეგონება, მას სხვაზე მეტი გასჭირებოდეს, სინამდვილეში კი...“ — აი, რას ჩურჩულებენ. მოხუცს კი არ ესმის. მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამის მსგავს რამეს ამბობენ. ბოლომ-

დე არა თქვეს, „აგერ, ხვალ თუ ზეგ წერილს წაიღებსო“.

ისე, სწორი კია: სიკვდილი კარსაა მომდგარი. სხვა ბებრებისა არ იცის, მაგრამ თვითონ კი სხვისი რაიმე არასოდეს სდომია. სანამ ადამიანს პირში სული უდგას, უბრალოდ მარტო თავის თავზე ვერ იფიქრებს, არც შეუძლია სხვისმა საწუხარმაც არ შეაწუხოს, აი, დაიწყება მაშინ მოვა, როცა ყველაფერი გათავდება. ასეა.

— ხიკა!

— რა იყო, რა?

— ბალღი სადაა?

— ჩვენთანაა, — სისას ხმა იყო.

მოხუცის შვილიშვილი, მისი ბიჭის ბიჭი, უკვე ერთი კვირაა სტუმრად ჰყავთ. მეექვსე წელშია. მოხუცი ფიქრობს, ჩემი ბიჭიც ჩამოვა, რალაი დღეს შაბათიაო. მაინცდამაინც დიდი იმედი არა აქვს, მაგრამ ელოდება, ელოდება კი. ძალიან უნდა ნახოს შვილი, ნახოს და ესაუბროს, ზღაპარი უამბოს... მის ზღაპარს ვაჟიღა უსმენს გულისყურით. ეს ორი წელია, რაც სახლიდან ვერ გადის, ვილას არ ეუბნება, ზღაპრებს მოგიყვებითო, მაგრამ ყველამ წაუყრუა.

ხიკას ყოველ დილით ეტყოდა ხოლმე, დაჯე, ვიდრე სამუშაოდ წახვალ, ზღაპრებს მოგიყვებიო.

— ზღაპრების თავი მაქვს?! — ჯაჯღანებდა ხიკა და რალაცას ფართიფურთობდა.

ვინც არ უნდა მოსულიყო, ბერიკაცი მორიდებულად, თითქოს ბოდიშობსო, თხოვდა:

— დაბრძანდით, შეისვენეთ, მე კი ზღაპარს გიამბობთ...

— კი, შენ კაი ზღაპრები იცოდი, — ზეზეკვე ეტყოდა ერთი და არა ჯდებოდა, რადგან ზღაპრის მოსმენა არ უნდოდა.

— ზღაპრებს ვაღმერთებ, მაგრამ... — მიუგებდა მეორე.

— ზღაპრებისთვის სადა მცხელა, წუთი მოცლა არა მაქვს. — ბუზღუნებდა მესამე, ვინაც თავისი დღე და მოსწრება მიწაში იჩიჩქნებოდა და ირგვლივ ერთხელაც არ მიმოუხედავს.

— ზღაპრებმა მოგჭამეს ჭირი, ზღაპარი დღეს ცხადად იქცა, აბა! — მეოთხე ჭკვიანი კაცის სახეს იღებდა, ცდილობდა მეზობელ მასწავლებელს მიმგვანებოდა.

მაშინ მოხუცი კვლავ თავის ქალიშვილს მიუბრუნდებოდა:

— ხიკა, მოდი, დაჯე, ყური დამიგდე. მოეშვი, ადამიანო, იმ ჯამჭურჭელს, სად წაგივა. ისეთი ზღაპარი გიამბო...

— ზღაპარიო... რას ავიჩემებია ერთი! შენი ზღაპრების მოსასმენად მცხელა?

— ვითომ რატომაც არა? — წყინდა მოხუცს. — ზიხარ მანდ, შენს ბიბლიოთეკაში, და ყარაულობ წიგნებს. მერე და ვინ კითხულობს იმ წიგნებს, ვინ? როგორც წყლიდან მშრალად ვერ ამოხვალ კაცი, ისევე გლეხკაცი ერთი ხელით თუ ხნავს, მეორე ხელით წიგნს ვერ დაიჭერს. ისედაც არ გბეზრდება მთელი დღე ერთ ადგილზე ყურყუტი?

ხიკა გაცხარებით, თავგამოდებით იცავს წიგნს, ლაპარაკობს ჩვენს დროში, ჩვენს ცხოვრებაში წიგნის მნიშვნელობაზე, ერთი სიტყვით, კარგა გრძელ ლექციას კითხულობს.

— ამდენი ხანი, რაც შენ ლაპარაკობ... თუმცა მეშინია, ნამეტანი ჭკვიანი არ გახდე.

— ეჰ, შენი ზღაპრებით ვინმეს ჭკუა რომ ემატებოდეს...

ბერიკაცმა იცის, რისი თქმაც

სურს შვილს: „მაშინ შენ თვითონაც ამდენ ხანს მოჭკვიანდებოდიო“, — მაგრამ, რალა თქმა უნდა, ამას ვერ ეტყვის. ეგ ხომ კომკავშირელი იყო (ახლა კომკავშირლობის ასაკს გადასცდა და შინაბერაც ეთქმის). ამბობენ, კომკავშირლების წესდებაში მოხუცების პატივისცემაც შედისო.

ახლა როცა შვილის ნართაულად ნათქვამი გაიხსენა, გაეღიმა.

მოხუცს გულით უნდოდა, რომ შვილი გაბედნიერებულიყო. დედის სიკვდილისა და ძმის ქალაქში გადასვლის შემდეგ ხიკას ბევრი საზრუნავი გაუჩნდა.

— მამა, სისასას გადავალ, სტუმრები ჰყავთ, მოვეხმარები, — სთხოვა ხიკამ მოხუცს.

ქალიშვილმა დივანის მუთაქა სკამზე ჩამოდო და რკინისწვეტიანი ხელჯოხი — ალაბაშა იქვე მიაყუდა.

— შენ მე მახაზირებ, გატყობ. ახლავე დავკრავ ფეხს და დავადგები გზას, — მოხუცი ალაბაშის მრგვალ ტარს შვილივით მოეფერა.

— რა გზას დავადგებიო?! — ვერ მიუხვდა შვილი.

— რა გზას და საიქიოს გზას, — გაიცინა მოხუცმა.

— იტყვი შენც ერთი!

— ღმერთმა ნუ ქნას, ბატონო! — დაიფაჩუნა სისამ, თითქოს ეშინია, მიქელ-გაბრიელმა არ გაიგონოსო.

მოხუცმა შვილს აჰხედა. ადრე იგი კაფანდარა იყო და ტანწერწეტა, ახლა კი მოსუქებული, ჩაბუნჩულებულია. ადრე რამე გაუხარდებოდა თუ ეწყინებოდა, ლოყაზე სიწითლე აჰკრავდა. ახლა თუ რამე ეწყინა ან გაბრაზდა, ანჩხლდება.

— ვინ სტუმრებია, ვინ ჩამოვიდა? — იკითხა მოხუცმა.

— სოხუმიდან ჩამოვიდნენ, — სისა დაიხარა და მოხუცს თვალი გაუსწორა, — გაზეთიდან არიან. მამაჩემს კი იცნობთ, მგონია, სტუმრებს უპურმარილოდ ვერ გავუშვებო. კაი ბიჭები არიან, მანქანაც უყენიათ ჩვენს ალაყაფთან.

— ვიცნობ, მგონია, ვიცნობ, — თქვა მოხუცმა.

იგი სისას ჩექმებს დასცქეროდა და უკვირდა: ე ბიჭი თითქო მალალია და ეს ერთი გოჯი ჩექმა რალაა.

— ორნი არიან?

— კი, ორნი არიან, კაი ბიჭებია.

— კარგები იქნებიან, რატომ არა... ხელმეორედ დაიბადნენ ალბათ...

— მაინც რამე შენებური რომ არა თქვა, არ იქნება, — უსაყვედურა ხიკამ.

— გაზეთში მუშაობენ, ხალხი იმათ პატივსა სცემს. ჭიშკართან ახალთახალი მანქანაც უყენიათ — თავგამოდებით ეფოფრებოდა სტუმრებს სისა.

— მერე აქ რალას უდგახარ, შინ თუ სტუმრები გყავს?

— კაი ბიჭები არიან... სულ ახალთახალი მანქანაც უყენიათ.

— ბიჭი გამომიგზავნეთ, — თქვა მოხუცმა.

— მეზობელს ვთხოვ მიხედოს.

— აქეთ გამომიგზავნეთ!

— მეზობელსაც ვეტყვი და ორივენი მოვლენ.

— წყალი ახლოს დაგედგათ.

ხიკამ წყლიანი ჭურჭელი და ალუმინის ჭიქა მოიტანა.

— ისევ ის წყალია?

— არა, ზღვის გალმიდან მომიტანია! — გაიცინა ხიკამ.

— ბავშვი მოვიდეს.

— კარგი, ჰო... ექიმიც მოვა, გუშინ ვთხოვე.

— ფერშალი მოვა?

— ფერშალი ექიმი არაა, თუ?

— სანამ არ დალევს...
— მამა, შენ აუტანელი გახდი!
— ბავშვი გამომიგზავნე.

ისინი წავიდნენ.

თუთის ხის ჩრდილი სულ უფრო და უფრო მოკლდებოდა, მაგრამ ჩრდილშიაც უკვე ძალიან ცხელოდა.

მოხუცი კვლავ მთებზე ფიქრმა გაიტაცა.

თავიდან მთები დედამიწის ვეება, გაშიშვლებულ ძელებად წარმოუდგებოდა თვალწინ. მერე თანდათან ეს ძელები მის წარმოსახვაში ცოცხლდებოდა, ფერებით, ხმებითა და სურნელებით ივსებოდა. პირისახეზე მთის ნიავის სუნთქვას გრძნობდა. ალპიური ბალახების მივიწყებული სუნი სცემდა... საღამოობით მწვერვალების განბანილ ტანს ღრუბლების სამოსი შემოეძარცვებოდა.

მთელი ჰორიზონტი დაიფარება დაისის ცეცხლწაკიდებული მოზზინე ბომბორა ღრუბლების ბორცვებით. და პირდაპირ კლდიდან გადმოდის აციხა-ძის ქაფქაფა სპეტაკი ჭავლი... იქ ... იქ... იქ...

მიწას ამო ოხშივარი ასდის. იქაც და აქაც... ყველგან ყველაფერი გადაქათქათებულა.

ირგვლივ ყველაფერი დახშობილა.

... მოხუცს წყურვილი კლავს. ნახევრამდე ივსებს ალუმინის ჭიქას და რამდენჯერმე მოყლუპავს.

წყალი თბილია, რკინის გემოს დაიკრავს და ამიტომ სქელი ეჩვენება.

— წყალი კი არა, ჭოჭია, — მოხუცს პირისახე ელრიჯება, თითქოს აღებინებსო. — შენი მომგონი შეაჩვენა ღმერთმა! ჭის წყალი, იცოცხლე, უკეთესი იქნებოდა. მაგრამ აქ ყველგან ერთი მეტრის სიღრმეზე კლდეა. სცადეს ჭების დათხრა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ის ბიჭი, სუნარი, მაინც ჩამოვიდოდეს. იქნებ იმან მაინც შეძლოს წყაროს ამოსუფთავება, ლამისაგან დაწმენდა. მეზობლების ბალღებიც მოეხმარებოდნენ ალბათ.

იტყოდნენ ამ მთისას, იმ ბრისას, სათქმელი იმდენია... ზღაპარსაც მოჰყვებოდა კაცი!.. სუნარს სიამოვნებით უყვები ზღაპარს. გულისყურით გისმენს. ზოგჯერ სუნარს ერთი ყმაწვილი ეახლებოდა და იწერდა ზღაპარს. მაგრამ იმას მოთმინება არასდროს ყოფნიდა, რაც უნდოდა, იმას დაიწერდა. მერე იჯდა და ამთქნარებდა. ჩაწერითაც ცოტას იწერდა. ამისთანა მსმენელი საუბრის საღერღელს ვერ აგიშლის კაცს და შენც მოიწყენ.

სრული მარტოობის ამ დღეებში ბერიკაცს რამდენჯერმე გაახსენდა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში განაგონი ერთი ზღაპარი.

შვილის მოლოდინში ზოგჯერ ხმამაღლა ჰყვებოდა იმ ზღაპარს...

— ...იყო და არა იყო რა... იყო ერთი ქვრივი. იმ ქვრივს ერთი ვაჟი ჰყავდა. ერთხელ იმ ვაჟს მშვენიერი სიზმარი ესიზმრა...

სუნარი, ეტყობა, გზაშია. მაგრამ დიდხანს უნდა ელოდო იმას, დიდხანს, ვიდრე აკუადან[1] მოაღწევდეს.

„რა გაეწყობა. დაველოდები, ვიდრე ჩამომივა.

... ოღონდ კი ჩამოვიდეს“.

სუნარი: მითხრეს, წყარო დაიშლამაო. მამას ალბათ სულ მუდამდღე წყურია. მინდა და მინდა, სულ ვაპირებ ჩავიდე სახლში, მაგრამ ვერ წავსულვარ. თვითონაც არ ვიცი, რა

---

[1] სოხუმიდან.

მემართება. ადრეც ასე მიჭირდა. იქნება მე ძალზე იშვიათად ვაკითხავდე მამას, მართალია, მაგრამ ჩემი ბრალი არაა, ღმერთმანი, იმდენი მიზეზია და მაინც მრცხვენია, რომ მიგვიანდება ხოლმე ჩასვლა. ბოლოს და ბოლოს ვახერხებ, ჩავდივარ და მამას ერთხელაც არ დასცდენია საყვედური, გახარებული მხვდება და მეც ვმშვიდდები. მაგრამ ამ ბოლო ხანებში რაღაცა მიფორიაქებს სულს, არ მასვენებს... თითქოს რაღაცაში ვცოდავდე... რაში, ვერ გეტყვით... საძაგელ გუნებაზე ვარ და ამის ბრალია ალბათ... შინ ყოფნა კი ძალიან მინდა ხოლმე. მაგრამ რაღაცნაირად არ გამოდის...

მოხუცი ჯორკოდან მტკივანი ფეხის ჩამოულებლად, ალაბაშის მოშველიებით წამოწვა გრძელ სკამზე.

— უუჰ, — ამოიხვნეშა მან.

„...სინამდვილეში კი დღეს თუ ხვალ მოკვდება...“

რაც მართალია, მართალია, რომ დაბერდები, მერე სიკვდილიც მალე გეწვევა. მისი ხნის კაცი სიკვდილის პირისპირ დგება. ჰოდა, დგას ასე. მერე ამას ეჩვევა...

მოხუცმა არ იცოდა, სხვებს ეშინოდათ თუ არა სიკვდილისა. მაგრამ ეს კი კარგად იცოდა, რა მარტოხელანი იყვნენ ბებრები. ადრე ეჩვენებოდა, სიკვდილის მოახლოება ადამიანს უჩვეულო თავისუფლებას ანიჭებსო.

ასე არა ყოფილა.

მართალია, რაღაცისგან ერთგვარ გამოთავისუფლებას კი გრძნობდა, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერ დაეძება და ავადმყოფურად მგრძნობიარე გაუხდა ცხოვრებასთან მაკავშირებელი ფესვები. სულ უფრო და უფრო ხშირად, დღეში რამდენჯერმე მისკენ არყოფნის წკვარამიდან, როგორც შუალამისას პატარა ბაქნისკენ შუქით გაბრდღვიალებული მატარებლები, მოქროლდნენ, მოქროლდნენ მოგონებები დიდი ხნის წინათ გარდასული და მის გარდა ყველას მიერ გადავიწყებული ამბებისა, როგორ მელთა დავიწყება თავადაც სურდა, მაგრამ ვერა და ვერ მოეხერხებინა. შემდეგ კი ეს მოგონებების „მატარებლები“ თითქოს მისი მეხსიერების სათადარიგო ლიანდაგზე გადაჰყავდათ და მოსაცდელ დარბაზში თავშეყრილი მგზავრებივით კარგა ხანს ხუზუნებდნენ იქ.

აი, სუნარი ჩამოვა და მოხუცს შვება მიეცემა, დამშვიდდება.

თქმა რად უნდა, ბიჭი გაიხარებს ახალი ზღაპრით.

— ზღაპარი ცხადად იქცაო, — გაიცინა მოხუცმა. — იმდენი შენ რა გითხარი...

ზღაპარი, რომელიც ახლა გაახსენდა, მართლაც კარგი იყო, კარგი.

...ჰოდა, ერთხელ მას ესიზმრა მშვენიერი სიზმარი: თავთით მზე ბრდღვიალებდა, ფერხთით მთვარე ქათქათებდა, გულზე კი, გულზე ვარსკვლავი დაჰნათოდა...

აქამდე ჩრდილი შუა ეზომდე იწვა. ახლა სულ გადავიდა. სიცხემ დააჭირა. პაპანება იდგა. მიწიდან ოდნავ გასაგონი განუწყვეტელი ხმაური ამოდიოდა.

სითბოშემდგარ ნიადაგში მიწის წვენი იხარშებოდა. შუადღისთვის ყოველი მცენარე, თითქოს მზის სხივებით დათვრაო, მოითენთა და მიიჭუჭკა. საღამოსთვის ზარხოში გაუნელდათ. კვლავ ყველაფერმა განაგრძო ზრდა, ყველაფერი მწვანედ ხასხასებდა. ამო სურნელს აფრქვევდა და მიწის გულს თესლს ემზადებდა. ადამიანის ყურთასმენისთვის მიუწვდომელი მუშაობა ბუნებისა, აღმოცენებისა და ზრდისკენ

ეს ლტოლვაა სწორედ სიცოცხლე.

მოხუცი მთებზე ფიქრობდა.

იქ კი, მთებში, მოხუცს რომ დამზერდნენ, დაჯარული უწვიმო ღრუბლები ისევ ისე ევლებოდნენ თავზე მწვერვალს.

პატარა რომ იყო, დიდხანს არ უნდოდათ მისი წაყვანა მთაში.

მამამისიც ერთი იმათთაგანი იყო, ახლა მოხუცი რომ მიწის გიჟებს ეძახის. მთელი სიცოცხლე, ვიდრე ფეხზე დგომა შეეძლო, ერთი დღით არც თვითონ დაუსვენია და, ვიდრე მის ხმას გასავალი ჰქონდა ოჯახში, სხვისთვისაც არ მიუცია ჩამუხლვის საშუალება. მის სახლში ზამთრისა და ზაფხულის, გაზაფხულისა და შემოდგომის გარჩევა არ იცოდნენ, ყოველთვის დილაუთენია დგებოდნენ, მაგრად დაბნელებამდე გახვითქულნი იჩიჩქნებოდნენ მიწაში. სამი ვაჟიდან უფროსი მამამ მწყემსად გაუშვა — იგი მამის დიდ ფარას მწყემსავდა; მიწის სამუშაოები უმთავრესად შუათანას კისერზე გადადიოდა — იგი ხნავდა, თესავდა, მკიდა, ნაბოლარას კი მამამ არც არაფერი არ გაუპიროვნა.

ნაბოლარა ეს ჩვენი მოხუცი გახლდათ. მას მოსვენებას არ აძლევდნენ, გაუთავებელი ჭკუის სწავლებით გულს უწყალებდნენ. მაგრამ მარტო მას არაფერ საქმეს არ ანდობდნენ. ყველაფერს უწუნებდნენ. რამეს გააკეთებდა და არც აციებდნენ და არც აცხელებდნენ. მის გაკეთებულს ხელმეორედვე აკეთებდნენ.

მას კი უნდოდა ენახა თავისი შრომის ნაყოფი, უნდოდა ენახა, როგორ იზრდება და მწიფდება ის, რაც მისმა ხელმა ჩათესა მიწაში. მაგრამ ყველანი, თითქოს ეშინოდათ, ვაითუ სიხარული იწვნიოსო, ყველაფერში ეღობებოდნენ და მისი ნასაქმი უკვალოდ იშლებოდა. გული ემდურებოდა. ის პირველი წყენის შეგრძნება სამუდამოდ დაამახსოვრდა, რადგან სწორედ იმან, იმ ტკივილმა მისცა დასაბამი მის თვითშეგნებას. ადრე თავისი თავი გარესამყაროსთან შერწყმულ, თითქოს ამ სამყაროში გათქვეფილ არსებად მიაჩნდა, წყენამ და ტკივილმა კი ყველასაგან გამოაცალკევა, და ამ განდეგილობამ თავისი თავი სამყაროს ცალკე ერთეულად შეაცნობინა.

მოხუცს წოლა უჭირდა. ჩრდილშიც კი ჭირდა სუნთქვა. სიცხე სულ უფრო და უფრო ამძიმებდა და ხუთავდა უნიავო ჰაერს. გადაბრუნდა, სცადა უფრო მოხერხებულად წამოწოლილიყო.

დიდხანს არ მიჰყავდათ მთაში. მაგრამ ერთხელ ციება შეეყარა. მთელი თვე სიმწრით კბილებს აკაწკაწებდა, ტანზე ყვითლად გამოაყარა და მუცელიც გამოებერა, ქვასავით გაუმაგრდა. დედამ დაიჟინა, ამ ზაფხულს მთაში ავიყვანოთო. არასოდეს დაივიწყებს იმ პირველ ასვლას მთაში. აგერ, ა, ახლაც ბუსუსს აყრის, რომ ახსენდება. კაი სიმღერის მოსმენისას ემართება ხოლმე ასე.

მთაში ადამიანებს ხასიათი ურბილდებათ, მგრძნობიარენი და ერთმანეთის მიმართ გულითადნი ხდებიან. თუმცა, რადა თქმა უნდა, იქ ბარში შეძენილ ჩვევებს მთლად ვერ იცვლიან. მაშინ ეს ცხადად შეიგრძნო.

როგორც კი მომაგრდა, თიკნები ანდეს...

ტყრუშულში წიწილები გამომძვრალიყვნენ და ეზოში შემოწივწივდნენ. კრუხი ფრთხილად მოუძღოდა, ბალახების წაწიწკვნის სა-

შუალებას აძლევდა. ტყრუშულს გარეთ ჩამორჩენილი წიწილა წიაპობდა.

— ალბათ რამეს თუ გამოება, დედა რატომ არ ეხმიანება, ნეტაი.

წიწილები არხეინად იწიწკნებოდნენ, ტყრუშულს გარეთ ის მაჩანჩალა წიწილა ისევ ისე გულისგამაწვრილებლად წიაპობდა. მოხუცი ალაბაშას დაეყრდნო. წამოიწია და ჩამოჯდა. ფეხში ტკივილმა დაუარა. თავი ვერ შეიკავა და წამოიკვნესა.

„შვილიშვილი მაინც გამომიგზავნონ იმ ოხრებმა. თუმცა რა, იმათ სახლში შესული შელამებამდე რას გამოვა. რაღაცას მაინც გააკეთებინებენ კაცს თავისთვის. ადრე ხიკა მეზობლებს არ ეხმარებოდა ხოლმე სტუმრების გამასპინძლებაში, თავს არ იმცირებდა. ახლა ერთი სული აქვს, როდის დაუძახებენ.

— ო, ეგ ძაღლი მამაძაღლი, ეგა!— ჩაიბურტყლუნა მოხუცმა, როცა იმ ოჯახის უფროსი გაახსენდა.

სოფელში ადაუს ეძახდნენ, ადაუს ანუ გოლიათს, რადგან ტანად უშველებელი იყო, მხარბეჭიანი, და ფართო დაგრეხილი ულვაშები ჰქონდა.

მოხუცის ზღაპრებში ადაუ ადამიანებს შამფურზე ბრაწავდა და ამ დროს ტანზე რომ ქონი ადნებოდათ, წვეთწვეთობით აგროვებდა და ხვრეპდა. როცა ზღაპრების გმირები ადაუს თავს კვეთდნენ, ერთი თავის ადგილზე მას ორი თავი ებმოდა, ადაუს მოკვლას კი მხოლოდ მაშინ შესძლებდნენ, იმ მოჭრილი თავის ალაგას ცხელ ნაცარს თუ მოაყრიდნენ.

ეს ადაუ ძალზე შეძლებული კაცის შვილი იყო. ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, სულ იმედი ჰქონდა, აგერ ახლა გადაბრუნდებიან, აგერ ახლაო, და რითაც კი შეეძლო, დღისით თუ ღამით, კვანტს უდებდა ახალი დროის მომხრეებს. როცა დარწმუნდა, ამათ ძვრას ვერ უზამენო, ამ ნავირზე გადმობაოგდა, ისე გადმობაოგდა, რომ იმ ნავირზე ყველა კვალი წაშალა, მას აქეთ ახალი დროის თავგამოდებულ დამცველად მოევლინა სოფელს, კრებებზე სიტყვის თქმას არავის აცლიდა, ყურადღებაც მიიპყრო და სოფლის თავკაცობაც გაიკრა. ძაღლმა რომ მოულოდნელად შეიძლება გიკბინოს, ისე იყო, ყოველთვის იმათ გვერდით წანწალებდა, ვინც მართლა აკეთებდა საქმეს. უტყუარი, უცდომელი ყნოსვა ჰქონდა, სულ იცოდა, საიდან დაუბერავდა ქარი. ვინ მართალი იყო და ვინ მტყუანი, არას დაგიდევდათ, მთავარი ის იყო, გამარჯვებულთა მხარეზე აღმოჩენილიყო. შორიდან ისე ჩანდა, ამაზე სამართლის მაძიებელ კაცს სოფელში სხვას ვერავის ნახავო. კრებებზე ყოველთვის თამამად გამოდიოდა და გაბედულად აკრიტიკებდა, ვისაც ჯერ არს, თუმცა გულში კი სულ სხვა ზრახვებს მალავდა.

— ძაღლია ეგა, ძაღლი-მამაძაღლი, — ჩაიჩიფჩიფა ერთხელაც ბერიკაცმა. არაერთხელ ყოფილა ადაუს გვერდით, ბევრჯერ უნახავს მისი უშველებელი ხელების ქნევა და დაჭიმული ღიმილი, რომელიც ულვაშებს განზე უფარჩხავდა და მაგარ კბილებს უჩენდა.

ზღაპრებში ადაუსა და ადამიანებს შორის ყოველთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართებოდა და ამ ადაუს რომ დაინახავდა, მოხუცს თავისი ემართებოდა.

ტყრუშულს იქით ის წიწილა ისევ ისე წიაპობდა. კრუხი კი სხვა წიწილებთან ერთად დაბავარდობდა ეზოში.

— შე ქორის კერძო, შენა, ეი-

თომ არაფერი გესმის, შენმა მზემ!— გაუბრაზდა მოხუცი კრუხს.

კუტიკარმა გაიჭრიალა. მოხუცმა მიუყურადა, გული შეუტოკდა. სუნარი თუ მოვიდაო. მაგრამ ეზოში მეზობლის დედაბერი შემოფლატუნდა.

„ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ჭირმა,—გუნება წაუხდა მოხუცს,— სახლში ვერ დაჯდებოდი, შე შეჩვენებულო დედაკაცო!..“

— ცოცხალი ხარ, ჩემო ბებერო? — ჩიფჩიფით ჩაეკითხა იგი, როცა კოჭლობა-კოჭლობით მიულასლასდა.

მოხუცს გულზე ისე გაკაწრა, თითქოს გაუპოხავმა კარმა გაიჭრაჭუნაო!

„ჩემო ბებეროო! შენ დაიწვი, ერთი!“

— ბიჭი სადაა?

— იმ შენი შვილიშვილის გარდა სხვას ვერავის ხედავ ამ ქვეყანაზე? — გვერდით ჩამოუჯდა და მოხუცს თავისი ძვალტყავა მხარი გიჟმაჟურად წაჰკრა.

მოხუცი აიმღვრა და ალაბაშაზე დაბჯენით გვერდზე გაჩოჩდა.

დედაბერმა ამოიხვნეშა და გული ამოაყოლა.

— დაბერდი, შხაპნიკვა, შენ, დაჩაჩანაკდი. მე და შენ ახლა სიკვდილის მეტი არა დაგვრჩენია რა.

— შენ რა გიჭირს. მაგრადა ხარ, ჯერ სადარდებელი არაფერი გაქვს,— ბერიკაცს უნდოდა მისი შებრალება, მაგრამ ვერ შესძლო.

— შვილო, მოდი, აბა, მოდი, მოიწი!

ლოყალაჟლაჟა, ჯირკუტანა ბიჭი ულხალისოდ მიეახლა ბაბუას. ბაბუამ სიხარულით მოხვია მას თავისი დაძაბუნებული, დამძიმებული ხელები. შვილიშვილი ადგური თბილ, ფუმფულა ბარტყად ეჩვენებოდა. ბავშვის სხეულის სითბომ მას გული აუჩუყა. სინაზე მოერია და ტანზე კვლავ ბუსუსები დააყარა, თითქოს კარგ სიმღერას იმღერსო. კეფაზე ტყავი დაეჭიმა, ყელში ბურთი გაეჩხირა, ორიოდე ღერმა ბებრულმა კურცხალმა ქუთუთო აუწვა. შვილიშვილის სიყვარულის ბედნიერებამ მთელი მისი არსება გათანგა და ყველა სხვა გრძნობა გააქარწყლა.

— სად იყავი. ა? ბაბუა სულ მიატოვე, სულ,—ბაბუა შვილიშვილს თავზე ხელისგულით ელაციცებოდა, — მე უშენოდ მოწყენილი ვარ, ძალიან მოწყენილი ვარ.

— სად იყავი შენ? — გაიმეორა პატარა ადგურმა ბაბუას კითხვა და დასაქოქი სათამაშო ძაღლისკენ გაიშვირა ხელი.

— ვხედავ, დად, ვხედავ... — სიხარულმა ცივი წყაროს წყალივით დაუარა სხეულში, სული მოათქმევინა.

— ჩვენ... ლა... ლა... — ბიჭს სურდა ეთქვა „ალა“, რაც აფხაზურად ძაღლს ნიშნავს, მაგრამ ვერ ახერხებდა და სხვა რაღა დარჩენოდა, თვალებს ჭუტავდა.

— რომელ ძაღლზე მეუბნები. ჩვენს ჩალიკზე? — ჩაეკითხა მოხუცი, — სადაა ჩალიკი ახლა? რაღაც არა ჩანს დღეს.

— ჩვენთანაა, — თქვა დაღონებით იქვე მოჭუჭკულმა დედაბერმა.

— ძაღლების ღმერთი ალიშკინტრი გაუწყრეს იმას, იმ მუდრეგს!

— ლა... ლა... — ბიჭს კისერი წაეგრძელებინა, დაძაბული ხრახნიდა სათამაშო ძაღლის თათებს, — ჩალიკი... ჩალიკი...

— მომისმინე, — აჩიფჩიფდა დედაბერი, — ბიჭმა ენა ალ იცის. ალ იცის.. — პირზე ხელი აიფარა. უნდოდა გაეცინა, მაგრამ ლუყლუყი

გამოუვიდა, გეგონებოდათ, დოქიდან წყალი იღვრებაო.

მოხუცს მოეჩვენა, გამქირდავად ლაპარაკობსო.

— სამაგიეროდ, შენ რომ ენად გაიკრიფები... — ამრეზით მოხედა დედაბერს.

— ო, ჩემო საწყალო ბებელო. თულმე ლოგოლ ეკალივით გესობი თვალში, ლომ ჩემი ხმა ასე გალიზიანებს... — დედაბერმა კვლავ წაჰკრა თავისი ცარიელი ძვალი მხარში, — ხედავ, ქათმებს თევზს აჭმევს, ბიჭი კი არა, ანგელოზია, ანგელოზი, — დედაბერმა კვლავ სიცილისთვის მომანჭა პირისახე, მაგრამ ძალა არ ეყო.

— ლა... ლა... ჩალიკ... — ლულლულებდა ადგური.

— და, — მიუხვდა მოხუცი, — შენ გინდა მითხრა, რომ ჩალიკს შეიძლება ფეხი მოახრახნო?

— კი! — გაეხარდა ადგურს.

— ისე, იცოცხლე, კაი იქნებოდა. მეზობლებში ვერ იწანწალებდა, — თქვა მოხუცმა. — მაგრამ ჩალიკს ფეხს თუ მოახრახნი, მერე უკანვე ვერ მიახრახნი...

ბიჭი, თითქოს ენა ჩაუვარდაო, არაფერს ამბობდა; მოხუცი შეწუხდა და სიხარულს, რომელსაც წყაროს წყალივით დასწაფებოდა, კაეშანი შეეპარა.

— ხო. ხო... ფეხი უნდა მოახრახნო იმ ყურუმსალს, რომ სხვის კარებზე არ ჰქონდეს თვალები დაჭყეტილი! — მოხუცმა თავისი გულისჯავრი ძალზე იყარა.

მარშან ზაფხულს ბიჭი აფხაზურად თავისუფლად ტლიკინებდა. ამ ერთ წელიწადში კი ყველა სიტყვა დავიწყნოდა. ხანდახან, როცა ცდილობდა რაიმე ეთქვა და არ გამოსდიოდა, უცებ გაიტრუნებოდა და შეფიქრიანდებოდა. თითქოს უკვირს, რომ საერთოდ არსებობს რაღაც სიტყვები აზრების გამოსახატავად. ბიჭმა იცოდა, რომ ბაბუას მხოლოდ თავისი მშობლიური ენა ესმოდა და სხვა რომელიმე ენაზე კაცს ვერაფერს გააგებინებდა.

სიტყვასაც, წყლისა და ჰაერის მსგავსად, თავისი განსაკუთრებული გემო აქვს. სულ სხვანაირი გემო... ზოგი მწკლარტეა, ზოგიც ტკბილი. ზოგი ცივია. ისეთი ცივი, კბილებს დაგამტვრევს, ზოგიც ისე ვარვარებს, დაგწვავს... სიტყვის გემო თუ გაგებული არა გაქვს, სწორად ვერ ამოთქვამ.

რა დაემართა ამისთანა ი ბიჭს, სუნარს? ვერ ხედავს ამ ამბავს? „თვითონაც ხომ სიტყვასთანა აქვს საქმე, ასე ვიცი მე“.

მარშან ზაფხულზე მოხუცს შეეძლო შვილიშვილისთვის ეამბნა გასაგები, მარტივი ზღაპრები — ადგური იჯდა და უსმენდა. ახლა კი წუთითაც ვერ დაისვამ გვერდით... ვერაფერს იგებს. მთელი დღეები ამ სათამაშო მანქანებს, თვითმფრინავებსა და ლითონის სხვა ხარახურას უკირკიტებს. ზოგჯერ ისე გაერთობა, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს და არც აინტერესებს სხვა რამ.

„მანქანა, რაკეტა, თვითმფრინავი“ — აი, რა სიტყვებს ისვრის ხოლმე წამდაუწუმ ისე, რომ ოდნავადაც არ წაიბორძიკებს.

ძერას ლანდმა ეზოს გადაუარა, მამალმა ხმამაღლა შეჰყივლა, ბელის ქვეშ თბილი მტვერი აამტუტა და წამოხტა. მისი ყივილი ამას ნიშნავდა: „ფრთხილად იყავით, ასე მაღლა რაც დაფრინავს, მისანდო არაა.“ ქათმებიც აკრიახდნენ. კრუხმა მამალს ბანი მისცა, აკაკანდა და წიწილები თვალის დახამხამების უმალ მიიმალნენ ბალახში.

— თვითმფრინავი, თვითმფრინა-

ვი!—ბიჭი თან ცას ასცქეროდა, თან ძერის ლანდს მისდევდა. ძერა ნებანება აკეთებდა ირაოს ეზოს თავზე.

— თვითმფრინავი, თვითმფრინავი!

— ამას ყველაფერი, რაც ფრინავს, თვითმფრინავი ჰგონია.

— ეგ ჯერ პატარაა, — თქვა დედაბერმა.

— მას აქეთ, რაც ადგურმა ამეების ძახილი დაიწყო, ლითონის რაცაა, ყველაფერი ჭირის დღესავით შემჯავრდა, — მოხუცმა ნაღვლიანად ამოიხვნეშა,—ყველაფერი, რაც ლითონისაა... ეგ ბიჭი ასეთი არ იყო... ვერ გამიგია, რა უყვეს ასეთი ამ ერთ წელიწადში...

დედაბერმა თავი ჩაჰკიდა, არ ინძრეოდა.

მისი პირისკანი ერთთავად წვრილი ნაოჭებით დალარულიყო. ხელები ქვედაკაბაში დაჩენილ გამხდარ მუხლებზე ეწყო, ფრჩხილები თუთუნისაგან დაყვითლებოდა. ბერიკაცს ისევ მოუნდა შებრალებოდა იგი, მაგრამ ისევ ვერ შესძლო.

ნუთუ ესაა ის ჯანით სავსე, გიჟმაჟი ქალი, მოჩერჩეტო, მაგრამ ქეჯლუცი, მაცდური ლიმილით რომ ილიმებოდა. ნუთუ ის ქალია, ვისაც სოფელში გულგრილად ვერავინ ჩაუვლიდა და ვისთანაც მოხუცი ჯელობაში ასე ახლო იყო? ახლა მას გვერდით ჯდა ულიხარული ზღაბრიდან გადმოსული ქვეყნის ყველა სხვა ბებრუცუნას მაგვარი ბებრუცუნა. კაცი ოფიცრებდა, იცლიდან კუდიანი დედაბერივით თავის ჯადოსნაირებს აგებ ახლა, აგებ ახლა გამოიდგესო და, როგორც ზღაბრებში ხდება, ყველა სულდგმულს გააქვავებსო.

— რა სიჩუმეა ამ თქვენს სახლში?

— სოხუმიდან ჩამოვიდნენ... — თქვა დედაბერმა. — აქამდე თვლემდა, ახლა თანდათან იკრებდა გონს,— კარგი ბიჭებიაო, მაგარი ადგილები უჭირავთო. მე მგონია, გაზეთს აკეთებენ მაგენი...

— რაღაც არ ეტყობათ...

— იმ ზაფხულს ადაუ ჩაბეჭდეს გაზეთში, ნაბდიანად ჩაბეჭდეს, ჩემი ნახელავი იყო ის ნაბადი...

— ამისთანა გაგანია სიცხეში ნაბადი რად უნდოდა?

— ამბობენ, ახლა ძველი ნივთები მაგარ პატივშიაო... განსაკუთრებით, როცა სურათს იღებენ... ის ჩემი საწყალი ძმა რამდენი ხანია მუშაობს, თავისი დღე და მოსწრება შრომაშია.

— აბა, აბა, გადაიქანცა საწყალი, — იქედნურად ჩაიცინა მოხუცმა. — მაშინდელ ჩამოსვლაზე იმ ბიჭებმა უშობელი შეგიქანქლეს, ახლა რისი ჯერი დადგა?

— ერთი კიდევ მყავდა საკლავი საქონელი, მაგრამ ამისთანა ხალხისთვის არ მენანება, ისეთი მხიარული ხალხია. ან რამდენს იცინიან, ან რამდენს სვამენ.

— რა აცინებთ ნეტაი...

— იცინიან, აბა, ძალიან კარგად იცინიან...

— კიდევ უნდა ჩაბეჭდონ შენი ძმა გაზეთში?

— კი. ეგეთი პირი ჭიანს. რამდენი იწრომა იმ საცოლეებმა. რაღაცას ლაპარაკობდნენ მანდ. — ბრძოლაო. მტრებიო, მეგობრებიო. რა ვიცი! რა... მაინც რაა, იმათ რომ არ იცოდნენ. რაც ქვეყანაზე ჭკა და ცოდნაა, სულ თავში ჩაუდგიათ.

— აბა. მტრებზე ლაპარაკობდნენო, ამბობ, არა? მტერი იქით იყოს და შენი უშობელი ბიჭი. გაქრა. აღარაა. არც ხორცს წაიღებს შენსას და არც სულს. არაფერი შეგაძრნუს, შე საცოდავო. დაგაძლნენ

ეგ მუდრეგები! რა ოჯახია, ღმერთო. ოჯახი კი არა, წკვარამია, წკვარამი და უფსკრული!..

— შენ გაგისკდა მიწა, — დედაბერმა კვლავ გაჰკრა თავისი გაძვალტყავებული მხარი. — სხვებთან კი არა ვარ, ჩემს სახლში ვცხოვრობ...

— ჩემს სახლში ვცხოვრობ! რა ხანია ეგ სახლი შენი აღარაა. თავს რად იტყუებ, თუ ქალი ხარ...

— ეჰ, რას იზამ... — შეეხმიანა ქალი და გაყუჩდა. თითქოს საბოლოოდ, უსაშველოდ ჩასწყდაო სხეულში ის ზამბარაკი, აქამდე კიდევ რის ჭაპანწყვეტით რომ ამაგრებდა. — ცოცხლად ხომ ვერ ჩავწვები მიწაში...

უნაყოფო, ფესვებდამხმარ ხესავით იყო: უშვილძიროდ გადაგებული ამ ქვეყნიდან.

დალეული ხელები თავზე შემოიყრდნო, თითქოს ეშინია, მთლად არ დამვარდესო ძირს.

— ამის თქმა კი არ მინდოდა, შენ კიდევ რა გიჭირს, შენ ჩვენზე უკეთეს დღეში ხარ, — უთხრა კაცმა, რადგან მიხვდა, რომ ნამეტანი მოუვიდა, — შენ რა გგონია, ჩვენ რაღაი შვილები გვყავს, ბედნიერები ვართ? მთელი სიცოცხლე გულის ფრიალში გაილია, ძილი ჩვენთვის არაა და სიმშვიდე, ვაი არაფერი მოუვიდეთ და ვაი, არაფერიო...

ბერიკაცს უნდოდა მისი შებრალება, მაგრამ ვერ შესძლო.

— რაკეტა, რაკეტა, თვითმფრინავი, თვითმფრინავი!

— ამ ბალღს რამე სასწაული არ დაემართოს! — აწრიალდა მოხუცი.

დედაბერი უსიტყვოდ წამოდგა და იქითკენ წალასლასდა, საიდანაც ბალღის ხმა ესმოდა. მოხუცს იმ ერთ წამს რომ ზღაპრულ კუდიან დედაბერად მოეჩვენა, ახლა აგერ მილასლასებდა ერთი შეუხედავი, დედამიწაზე ყველა სხვა ბებრუცუნას მაგვარი ბებრუცუნა.

— რაკეტა, თვითმფრინავი, თვითმფრინავი, რაკეტა!

ადგურის აღტაცებული ძახილი უკვე მოსახვევს იქიდან ისმოდა.

მოხუცს ამ შეძახილებმა გული გადაუქანა, ეჩვენებოდა, ბიჭუნა ნამდვილად რაიმეს რკინისას, ლითონისას დაეჯახებოდა.

მოხუცი ხვნეშა-ხვნეშით, ალაბაშის მოშველიებით, უფრო მარჯვედ დაჯდა და იქვე მდგარ დოქს დახედა. წყუროდა, მაგრამ მოვითმენო, ამჯობინა, — მთლად არ წამიხდეს გუნებაო.

თუთის ხის ჩრდილი მალე სულ დაილეოდა. ნიავიც არ იძვროდა. აუტანელი სიცხე სულ უფრო და უფრო ხუთავდა კაცს.

— რატომ არ ჩამოდის, რამ შეუშალა ნეტავი ხელი, — მოთმინებას კარგავდა მოხუცი, — რამ დააგრძელა მაინც ეს გზა.. ჩამოვიდოდეს, ოღონდ ჩამოვიდოდეს...

სუნარი: აგერ მოდის ახალგამომცხვარი კანდიდატი. დამინახა. შეშლილივით მიქნევს ხელს, მიხმობს. რაღაც ნამეტანი სალმიანი გახდა, ნამეტანი. ეს რა ხალხი მოსდევს? ვცნობ, როგორ არა ვცნობ. მისი თანამოგვარენი, ახლო და შორეული ნათესავები არიან. „საქმის“ ხალხი სულ აქაა. ვაჭრობის სისტემაში მუშაობენ. ერთი სიტყვით, „მეცენატები“ მოდიან. „ჩვენს ვვარში ეგ ერთი გაგვიკანდიდატდა, არაფერი არ უნდა დავზოგოთ მისთვის, არაფერიო“, ხშირად იტყვიან ხოლმე და ისიც იფერებს, ფანტავს და ფანტავს ნათესავების ფულებს. ეტყობა, ახლა თავის „მეცენატებთან“ ერთად კანდიდატობის დასველებას აპირებს. დღეს ამას იოლად ვერ და-

უძვრები კაცი. ახალგამომცხვარი კანდიდატი არაფერს დაზოგავს, ეგ ყოველთვის უსაზღვროდ გულუხვია, როცა ფულს სხვა იხდის. აი, მე მივალ, მივულოცავ და დავემშვიდობები, წავალ სოფელში. კი... გული გადაელია ალბათ მამაჩემს ჩემს მოლოდინში... რაც ადრე დავეთხოვები ამათ, მით უკეთესი, ნამდვილად!

მოხუცი ჯდომით დაიღალა და მიწვა. ახლა იგი უფრო მშვიდად სუნთქავდა. კვლავ მთებზე ფიქრობდა.

იქ კი, მთებში, ღრუბლები კვლავ იჯარებოდა. ალყა შემოარტყეს მათ თავზე ციხე-სიმაგრესავით აღმართულ კლდეს და შიგ „ყრონტში“ მისწვდნენ. მაგრამ ზენა ქარმა სწრაფად დაარღვია მათი რკალი. ღრუბლების ჯარმაც შემოტევას ველარ გაუძლო, დაიშალა, დაიქსაქსა, წვერწამახულ თხემებზე მცირე რაზმებიღა დატოვა და კვლავ ხეობისკენ ჩამობრუნდა.

იმ ზაფხულს, მოხუცი პირველად რომ მოექცა თავზე მთებს, ერთხელ საბალახოდ გადენა თიკნები. მზე უწყალოდ აცხუნებდა და სხვა დროს მოუსვენარი თიკნები, ახლა წყურვილისგან მისავათებულნი, გრილ გამოქვაბულში შეიყუჟნენ. ბიჭმაც ქვეშ საგებელი დაიგო. ზედ შესასვლელთან ჩრდილში მიწვა და მთის ჩქერალთა ხმაურს მიუგდო ყური. როგორ მღეროდნენ! ჰო, ჰო, მღეროდნენ ნამდვილად! მოძახილს სიპ ნაღარს ჩამოყოლილი ნაკადული ამბობდა. წყალი დიდ ქვა-ლოდებში ჩამორბოდა და მის ხმას წვერწამახული მწვერვალი ბანს აყოლებდა, რის გამოც სიმღერა მაღლა იწევდა და მკაფიოდ ჟღერდა. სხვა ნაკადებიც, ფერდებს რომ ჩამოყოლილიყვნენ და ამ მწვერვალის ძირა უფსკრულში იყრიდნენ თავს, თავთავიანთ ხმას აწევდნენ, ქვევით, ღრმა ხევში, ერთმძლავრ ნიაღვრად შერთულნი, ბანს აგუგუნებდნენ. იქიდან განუწყვეტლად მოისმოდა: უ-უ-უ-უ-უ-უ. ხმა თითქოს ვერ ეტეოდა იქაობაში და სივრცეებს ეფინებოდა. მაგრამ უცაბედად გვერდიდან, კლდეების შვერილებიდან გამოვარდებოდა ქარი და ნიაღვართა ხმაშეწყობილ ჰანგებს შთანთქავდა. ზოგჯერ კარგა ხნით მიგუდავდა სიმღერას. ასეთ წუთებში ჩამოწოლილ სიმყუდროვეში გაისმოდა სხვა ხმები, რომლებთანაც ქარს ვერაფერი გაეწყო — ეს ხმები აჩამგურის ჰანგივით ჩვეულებრივ იმ საერთო ქოროში იკარგებოდა. ეს იყო ხმა ხის სიმაღლე ჩანჩქერისა. პატარა ნიაღვარი ფრიალო კლდიდან ვარდებოდა, მაგრამ რაღაი წყალი ულონო იყო, ფრიალო კი მაღალი, ჩანჩქერი წვრილ-წვრილად, შხეფებად იფშხვნებოდა და, როცა ქარი ჰაერში მოკიაფე წვეთებს ციბრუტივით ატრიალებდა, ისინი, ყველანი ერთად, ჯადოსნურ ხმებს გამოსცემდნენ, თითქოს სასწაულმოქმედი მუსიკოსის თითები გადარბოდესო აჩამგურის აბრეშუმის სიმებზე. მაგრამ ქარი თავისი ხახიდან უშვებდა ხოლმე ყველა სხვა ნიაღვრის ერთობლივ გუგუნს და ეს სიმღერა ირგვლივ ყველაფერს ფარავდა. ამ ჯადოსნური მელოდიის იავნანამ და მთების დამათრობელმა სურნელმა ამო ძილი აწვნია პატარა მწყემსს.

მოხუცს მოეჩვენა, კუტიკარმა გაიჭრიალაო. მაშინვე ჩამოიშორა მოგონებები და ყურთასმენად იქცა. მაგრამ კუტიკარის ჭრიალი მოჰყურებოდა.

თუთის ხის ჩრდილი კვლავ მისკენ მოიწევდა. თაკარა ჰაერში რა-

ღაც გაბმული, ოდნავ გასაგონი ბუ-ბუნი იდგა. ცა ვეებერთელა დოლა-ბად გადაქცეულაო, იფიქრებდით. დაბლა, დაბლა, ზედ მიწის პირზე ზუზუნებდნენ ფუტკრები. ჩიტები მიყუჩდნენ. სიგრილეში, ხშირ ფოთ-ლებში შეიმალნენ. მხოლოდ დრო-დადრო ენადგაკრეფილი წიწკანას ხმა თუ გამოკრთებოდა ან წიწკანა-სადმი გულგრილი ბეღურები რა-ღაც დარდიანად, ზარმაც-უგერგი-ლოდ თუ წაუჟღივლებდნენ ხოლმე ხანდახან. დროდადრო ბუდეებიდან ცაში შავ ისრებად აიჭრებოდნენ მერცხლები და თავიანთი მშვენიერი მაკრატელა ბოლოთი და კოხტად ნაკეცი ფრთებით თვალს ახარებ-დნენ.

— რაკეტა, რაკეტა, თვითმფრი-ნავი, — საიდანღაც შორიდან მოის-მა ბიჭუნას ხმა.

— არაფერი დაემართოს ამ ბავშვს, მიხედონ მაინც იმ ოხრებ-მა! — ბრაზობდა მოხუცი. — ღო-რია, ღორი, აბა რაა, მთელ დღეებს მოგიხმარიებს, ვითომც არაფერიო... თითქოს ყველანი მისი მოვალენი იყვნენ. საწყალი ხიკა, ე, რა მორჩი-ლი დადგა...

სუნარი ჩამოვა და პირველ რიგ-ში ადგურზე მოელაპარაკება. რა ამბავია, ცოდოა ბიჭუნა, არ შეუძ-ლია თავისი აზრი სიტყვებით გამო-ხატოს.

ზოგი ფიქრობს, ადამიანი ლაპა-რაკს სწავლობსო. არაფერიც. ენა სულივითაა, სისხლში აქვს ადამი-ანს, მაგრამ მის სიღრმეში უნდა დაყვინთო და წყაროს წყალსავით დაეწაფო, რომ იგრძნო გემო მისი და სიცინცხალე, აი, მაშინ კი სი-ტყვები თავისით ამოგჩქეფენ სხეუ-ლიდან.

სუნარი ჩქარა ჩამოვიდოდეს მა-ინც... სადაა ამდენ ხანს... ისე, უეჭ-ველად დღეს ჩამოვა. შეიძლება მარ-თლა ცოტა კი შეაგვიანდეს, მაგრამ დღეს ჩამოვა, დღეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნარი: ძველისძველი ციხე-ბერ-ჯი. ოდინდელ ლაშქრობათა აკვა-ნი... სახელგანთქმული ქელეშის სამფლობელო, საპყრობილე, სადაც სარდაფებსა და ჯურღმულებში იტანჯებოდნენ თავისუფლებისთვის მებრძოლნი... მიწიძვრისგან დაშავე-ბული ლოდების უწესრიგო ყორე-სავით დგანან აფეთქებული ციხე-სიმაგრის ნანგრევები (იგი ააფეთ-ქეს, რათა სანაპირო თვალწარმტაცი სანახავი გაეხადათ!). ერთ-ერთ ასეთ კლდე-ნანგრევებზე გამართულია რესტორანი „დიოსკურია“. ასე და-არქვეს. აი, ჩვენ ახლა სწორედ ამ რესტორანში ვსხედვართ. ხუთი კა-თხა უკვე დავლიე... რით არიან ცუდი ბიჭები... ერთი მათგანი — ახალგაზრდა კანდიდატია, წარმა-ტებით დაიცვა დისერტაცია ჩვენი ხალხის ისტორიის საკითხებზე... როგორც იტყვიან, ახალგაზრდა სპე-ციალისტია... ახალი კადრი... მისმა „მეცენატებმა“ იმისთანა სუფრა გა-აწყვეს, სულო, გულო, ჩიტის რძე რაა, ჩიტის რძე არ აკლია... თუმცა... რა მალე ამივარდა თავში ეს ღვი-ნო... თავი მიბრუის... მაგრამ რა-ტომ არ უნდა მოვილხინო — ვზივარ კეთილმოწყობილ ჩინებულ თანა-მედროვე რესტორანში, რომელიც ბნელი წარსულის ნანგრევებზეა აგებული, შევყურებ ლაჟვარდოვან ზღვას — ევქსინის პონტოს. მე იგი ამო ნიავით მესალბუნება... სახლში მაინც ვერ წავედი... ახლაც ვერ წა-ვედი... ვერ მომიხერხდა... მამა ალბათ გულგადალეული მელოდე-ბა... ბიჭიც მომენატრა, მაგრამ ამხა-ნაგ კაცს ხომ ვერ გავუტეხავდი ხათრს, ასეთი დღე აქვს... და საერ-

თოდაც კაი დღეა დღეს. თუმცა ცოტა კი ცხელა, მაგრამ ზღვის პირას სიცხე ისე არ იგრძნობა. ზღვამ იცის თავისი საქმე... თავი მიბრუის... რა მალე მომეკიდა...

მოხუცს არასოდეს დავიწყნია. რა შეემთხვა მაშინ მთაში. ძილში ძაღლების წკავწკავი ჩაესმა და გამოეღვიძა. თიკნები ახალი გასული იყვნენ გამოქვაბულიდან საბალახოდ. დამფრთხალნი, ამ წუთში გამოღვიძებულ თავიანთ მწყემსს მიაწყდნენ, ჩლიქებით გადაუარეს და გამოქვაბულში შეკუნტდნენ. ყეფა ძალზე ახლოდან ისმოდა. მის ნაცნობ მწყემსებში ბევრი ჩინებული მონადირე ერია, დროდადრო, ორი-სამი დღით რომ ადიოდნენ მთაში ჯიხვებზე სანადიროდ. მაგრამ სხვებიც იყვნენ, — ესენი უსაქმურობის ქამს ტყვია-წამლით დატენილ კაჟიან თოფებს გადაიკიდებდნენ, სანადიროდ უვარგის ძაღლებს წაიგდებდნენ და ალალბედზე მიდოდნენ; თუ წააწყდებოდნენ, ისედაც სასიკვდილოდ განწირულ ქურციკსაც არ დაანდობდნენ, ესროდნენ. ეს ვაიმონადირეები იქვე, დაბლა, ვაკეზე-ვე ძაღლებს მაღალ ბალახში ან ჯუჯა წიფლნარში — აასში შეაგდებდნენ და უწყალოდ ხოცავდნენ ნადირ-ფრინველს. მაგრამ მიწაში არასოდეს აჯვარედინებდნენ ატამხას — მარგილებს, რათა მათზე გასატყავებლად ჩამოეკიდათ ნანადირევი!

პატარა მწყემსმა ყური მიუგდო: ძაღლების ყეფა ნიაღვრის მოძახილივით გაღმიდან მოისმოდა. ბიჭი წამოხტა და ჯუჯა წიფლის კომბლის მოშველიებით გამოქვაბულის თავზე დაკიდულ კლდეზე აბობღდა. ზედ მის პირდაპირ ორი უშველებელი ფრიალო კლდე აღმართულიყო. ამ კლდეს შუაზე ბურღავდა მდინარე, თეთრ სარტყლად რომ მიიკლაკნებოდა ღარტაფში. მრგვალი თექის ქუდივით მოჩანდა ქვემოთ კარავი — იმ მიდამოებში მდგარი ყველა ცხვარ-საქონლის მწყემსის თავშესაფარი.

გზის მხრიდან რაღაც ხმები მოესმა. მოხუცი ფიქრებიდან გამოერკვა. მოგონებებს მოწყდა. ყური მიუგდო. ვიღაცეები ხმამაღალი ლაპარაკით მოდიოდნენ. როცა მათი ხმები მიწყდა, მოხუცს ყურს მოსწვდა ბიჭუნას სუსტი ძახილი: „თვითმფრინავი, თვითმფრინავი!“ ცა წუთში რაღაცამ გააყრუა. მოხუცმა აიხედა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, თვალი ვერ ჰკიდა წუთით გაელვებულ და ლაჟვარდოვან შორეთს შეთქვეფილ თვითმფრინავის ვერცხლისფერ ტანს.

— ამ გზაზე შუადღესაც ამდენი მოძრაობაა, — წუხდა მოხუცი. — ე მანდ იმ ბიჭს არაფერი დაემართოს... იმ მუდრეგმაც რაღა დღეს გამოიდო თავი... ხალხი ყანაში ოფლისგან იწურება. ესენი კი, ეს ღვთის პირიდან გავარდნილები, სხედან და არხეინად ღრეობენ.

— რაკეტა, რაკეტა! — მოისმოდა ბიჭუნას ხმა.

მოხუცი არ ცდილობდა გაერკვია, ვისი ხმა მოისმოდა გზიდან, ბიჭის ხმას კი მაშინვე ცნობდა.

მოხუცს იგი ყოველთვის სძულდა. რა რჯულის ხალხი არ უნახავს წუთისოფლის გზაზე, მაგრამ ამისთანა გლეხი, ვისაც მთელი დღე და მოსწრება სულ სხვების ხარჯზე გაეტარებინოს არხეინად, სხვა არავინ შეხვედრია. რაღა თქმა უნდა, ზოგ სხვასაც დაუწყია ცხოვრება ამგვარად, მაგრამ თანდათან შებეზრდებოდათ ძაღლუმადური ცხოვრება. ან სინდისის ქენჯნა შეაწუხებდათ, ან კიდევ სხვები ნამეტანი აჩენდნენ

თავიანთ სახეს, ხელისგულზე მოქმედებდნენ და მათ უნაგირიდან იგივე ხელები გადმოსვამდნენ, რომლებმაც ზედ შეასკუპეს. აი, ამას კი, ამას, პირველივე ნაბიჯი რომ გადადგა, მერე არ შეუცვლია ნირი და წესი. მერედა სახელიც როგორი ჰქვია, ა! — ბადრაკი ტყუილი, ველური სახელია.

ერთხელ, როცა ბადრაკი და ეს ჩვენი მოხუცი ჯანზე კარგად იყვნენ, რაღონიდან რომელიღაც ხელმძღვანელობა ჩამოვიდა და, როგორც წესად დადგენილიყო, ბადრაკის სახლში მიიპატიჟეს.

თხა და ღვინო კოლმეურნეობისა იყო, დანარჩენი მეზობლებმა იკისრეს. „პურმარილის“ გამწყობად კი ბადრაკი გამოვიდა.

ჭამეს, დალიეს, შემდეგ კი ეს ხმაურიანი და ნაქეიფარი ხალხი დიდი ხის ჩრდილში ჩამოსხდა. ბადრაკი ყველაზე მეტს იცინოდა. კბილების ღრჭიალ-ღრჭიალით უმიზეზოდ როხროხებდა. ძირს ჩამოშვებული ბანჯგვლიანი ულვაშებიც კი ვერ უფარავდა ღოჯებივით კბილებს. იფიქრებდით, კბილები კი არა, ტახის ეშვებიაო, რომლებითაც, თუ მოეგუნებებოდა, ამ ხალხს ყველას სულ როხროხ-როხროხით მიფლეთ-მოფლეთდა.

ბადრაკმა სტუმრებს უამბო, თუ ერთმა სახელგანთქმულმა მონადირემ, სახელად ბაგდუალამ, როგორ წაიყვანა იგი ერცახუზე — მთელ აფხაზეთში ყველაზე მაღალ თოვლიან მწვერვალზე — ჯიხვებზე სანადიროდ (სინამდვილეში უახლოეს ულელტეხილს იქით ფეხი არც არასოდეს გადასცდენია!). ბაგდუალა მართლაც ცნობილი მონადირე იყო, მაგრამ ბაგდუალა აქ არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ ამ მონადირის შვილს მაღალი თანამდებობა ეჭირა. ძალზე სწრაფად დაწინაურდა და ეს ყველამ შეამჩნია. ბადრაკს გასაოცარი ალღო ჰქონდა, უცდომლად გრძნობდა, ვისი კოჭიც დაჯდებოდა ალჩუზე. თანაც ყოველთვის ეხერხებოდა თითქოს სხვათა შორის ჩამოეგდო საუბარი ამ ბედის ნებიერა, წინწაწეულ ხალხზე. და ისეთნაირად ჰყვებოდა მოგონილ ამბებს, რომ ყველას აჯერებდა. მოხუცმა იცოდა, ბადრაკის მოყოლილი ამბები სულ მონაჩმახი რომ იყო. ბევრმა სხვამაც იცოდა, მაგრამ სიამოვნებით უსმენდნენ, თითქოს გაბრუებულანო, და უკვე ეჩვენებოდათ, რომ ბადრაკი კი არ ცრუპენტელობს უნამუსოდ ზოგ-ზოგების გულის მოსაგებად და თავისთვის სახეიროდ, არამედ ის სხვები მიჰქარავენ, ბადრაკს ცრუპენტელობას რომ სწამებენო. მოხუცს მოტყუებულთა მაგივრადაც რცხვენოდა.

იმ დღეს ბადრაკი ბაგდუალაზე ლაპარაკობდა გაუთავებლად. ჩვენაო ჯიხვი ასე და ასე მოვკალითო, იმხელა იყოოო, რომ თუმცა ჯანი და ღონე არ მაკლია, ძვრა ვერ ვუყავი, ბაგდუალამ კი ბუმბულივით აიტაცაო (ბაგდუალა მკვირცხლი, მარჯვე, მაგრამ ჩია, ულონო კაცი იყო). მსმენელები იშმუშნებოდნენ და იმავდროულად გაოცებულნი მისჩერებოდნენ ბადრაკს ვეება ხახაში, ვითომდა სიამოვნებით ჩახევამდე რომ აფჩენდა და ელოდნენ, მონადირეთა ცხოვრებიდან კიდევ რა საფათერაკო ამბებს გვეტყვისო.

შემდეგ ბადრაკმა გადაწყვიტა, ბაგდუალაზე რაც ვთქვი, კმარაო. სიტყვა არავინ წამართვასო, შეეშინდა და ბაქიბუქს მოჰყვა, ესა ვარო, ეს ჩამიდენიაო, ის ჩამიდენიაო, კაცს, გნებავთ ოთხსაც, ვინც უნდა იყოს, ბეჭით გავაკრავ მიწაზეო.

— თუ ეგრეა, მოდი, ვიჭიდა-

ოთ! — შეუძახა მაშინ მოხუცმა და წამოდგა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა და გაყუჩდნენ. ბადრაკს ყბა ჩამოუვარდა და ეგრევე პირდაფჩენილი დარჩა. მაგრამ გონს მოეგო და ერთი გულიანად გადაიხარხარა. აქაოდა ვიგუდები, სიცილი მახრჩობსო. ისე მეცინება, ისე მეცინება, მინდა, მაგრამ პირი ვერ მომიმუწავსო.

— აბა, მოდი, მოდი, დამეჭიდე! — უთხრა მოხუცმა, თექის ქუდი მიწაზე მოისროლა და მისკენ წადგა ნაბიჯი.

— შენ რაო. სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია, შხანიკვა! — გაიოცა ვილაცამ.

— ხუმრობს, ვერა ხედავთ! — ნაძალადევი სიცილით თქვა ბადრაკმა.

— არა ვხუმრობ! — მოხუცმა ისევ მოავლო თვალი ყველას, სტუმრებსაც და მასპინძლებსაც და გაშორა: ყველანი გამკილავი თვალით შესცქეროდნენ, თითქოს მათთვის რამე უსაშველო ეწყენინებინოს.

— ბადრაკ, მოდი, თუ კაცი ხარ, ხათრს ნუ გაუტეხავ, სხვა დროისთვის მაინც შეგეშვება, — დაუძახა ერთმა სტუმარმა და გაიცინა. გაიცინა და მერე, ფუი, როგორ გაიცინა!

— რას ამბობთ, მეზობელი კაცია, რა გული მიზამს... — ბადრაკს უცებ ხმა თაფლივით დაუტკბა. იმ ჯიბიდან გავარდნილს არაფერი ეშლებოდა, უნდოდა სტუმრების თვალში კიდევ უფრო ამაღლებულიყო, — მე და ეგ ასე ვემასხრებით ხოლმე ერთმანეთს, — განაგრძო მან. — სიყმაწვილეს ვიხსენებთ.

ესეც მტკნარი სიცრუე იყო, რადგან ბავშვობის შემდეგ მათ არათუ არ უჭიდავიათ არც წაჰკარებიან ერთმანეთს.

რალაი ყველა იქ მყოფი უბღვერდა, მოხუცს ჭიდაობის სურვილი ცოტა კი ჩაუცხრა, მაგრამ უკანდახევას არ აპირებდა. იგი ბადრაკთან მივიდა.

— ჩვენ არც ბალღები ვართ და არც ჭაბუკები, ხომ იცი, — ჩაიბურდღუნა ბადრაკმა, იმით შეცბუნებულმა, ნუთუ მართლა ვერ ავიცდენ ჭიდაობასო.

ერთმანეთს დაეჯაჯგურნენ. მოხუცმა იგრძნო, რომ ბადრაკს ნიკაპი უცახცახებდა. — ზურგით გრძნობდა, ბადრაკი ზურგზე აჭერდა ნიკაპს. უფრო მაგრად ჩაეჭიდა მეტოქის ქამარს და მოსინჯა, მაგრად დგას ფეხზე თუ ვერაო. გაოცდა: ბადრაკს თავისი გრძელი — ხარიხასავით ფეხები ფართოდ გაეჩაჩხა. მაინცდამაინც დიდი ძალა არ იყო საჭირო მის ასატაცებლად. ბადრაკი ჭიდაობის ბაიბურს არ იყო და ფეხზე ძლივს იდგა, თანაც კაი გვარიანი დედალიც იყო. შესახედად იყო ასეთი მოდღლეზილი, თორემ არაფერი ისეთი ღონე არა ჰქონდა.

— ეგა ტანით პატარაა და ნახეთ, როგორ ეჭიდება, წესს არ იცავს, უსირცხვილოა ვილაცაო! — იყვირა სტუმარმა.

სტუმარი ბოლმას ვერ მალავდა — ხმამ გაყიდა. ბადრაკიც ცდილობდა ქედმაღლურად გაეცინა. მაგრამ მისი ყბა — ნიკაპი ჯერაც ისევ მოხუცის მხარზე ხვანცალებდა.

მოხუცს გულით ეწადა, ბადრაკი გაქიჩმაჩდებოდეს მაინც, რომ თავი დასაცავი გამიხდეს და ამ მერყეობას შევეშვაო. ბადრაკი თავის უპირატესობაში დარწმუნებული რომ ყოფილიყო, რა შვილია, დაენდო მეტოქე. ყველას თვალწინ გაამასხრებდა, როგორ თუ დაჭიდება შემომბედეო. მაგრამ მან მაშინვე ისაზრა, რისი თავიც ჰქონდა, მიხვდა, მოხუცს ყურებზე ხახვს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააჭრიდა და ახლა ხვანცალებდა, ოლონდ კი რითიმე დაეჯაბნა მეტოქე. მამა აბრამის ბატკანივით ამიტომ ეჭირა თავი (რომც ორივე ბევჭით გაგეკრა მიწაზე, ხალხს მაინც დაუმტკიცებდა, იმან კი არ წამაქცია, მე წავაქციე). ბადრაკს ის კი შეეძლო, რომ მაშინვე, როგორც კი შხანიკვა საჭიდაოდ გამოვიდა, ავარდნილიყო და დავარდნილიყო, ვითომ მაგრად გაბრაზებულიყო და მოხუცისთვის კუდით ქვა ესროლინებინა, გაეგდო. დიდის სიამოვნებითაც გააკეთებდა ამას. ისიც იცოდა, რომ ეს გამოწვევა მისი ბაქიბუქობის ბრალი იყო. მაგრამ იმდენიც ესმოდა, რომ გულის მოსვლა საუკეთესო გამოსავალი არ იყო. თვითონ შხანიკვას რომც ეთქვა, თუ რატომ გამოვიდა საჭიდაოდ, სიცილს დააყრიდნენ, რადგან ბადრაკის ტყუილებს ტკბილი ზღაპარივით უმტკივნეულოდ, ლაღობით ეკიდებოდნენ და თავადაც აქეზებდნენ: ეგრე, მიდი, მიდიო. ბადრაკი მარიფათიანი ბიძა გახლდათ და არ უნდოდა შხანიკვას ან სხვა ვინმეს კბილი გაესინჯა მისთვის. კარგად იცოდა, რომ სიტყვა ჩიტი არაა, პირიდან გამოგიფრინდება და მორჩა, ვერ დაიჭერ. ხმამაღლა ნათქვამს უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე იმას, რაც ყველასთვის ცხადია, ოღონდ დუმილითაა ჩავლილი.

და შხანიკვამ გაიგო, რომ ყველაფრისდა მიუხედავად, მას არ შეუძლია და არც უნდა წააქციოს ახლა ბადრაკი ყველას თვალწინ ორივე ბევჭზე. შესაძლოა არც ერთია მთლად სწორი და არც მეორე, მაგრამ, მართლა და მართლა, ყმაწვილები ხომ არ არიან, რომ ეყვინჩილონ ერთმანეთს... და საერთოდ. რა სულელურად იქცევა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა ამის ყურის ასაწევად? ახლა, როცა დარწმუნდა, რომ ბადრაკი ასე გულდედალი ყოფილა და ლონის ნატამალიც არა ჰქონია, კიდევ უფრო ძლიერ შეხჯავრდა იგი.

— გამიშვი, გამიშვი, — მოუთმენლად უთხრა მან ბადრაკს, ისე რომ სახელი არ დაუძახნია, რადგან მისი სახელიც ეზიზღებოდა.

ბადრაკი რას არ მისცემდა, ოღონდ კი გასცლოდნენ და თავისი მოცახცახე ხელები შეეშვა. ერთი სული მოითქვა და ახვიხვინდა. სხვებიც ახარხარდნენ.

— ერთი ისეთი უნდა ჩაგეფეთებინა ამისთვის, რომ თავბედი ეწყევლა, — თქვა ერთმა სტუმარმა და თავისი გამგმირავი თვალები მოხუცს აავლ-ჩაავლო.

— მეზობელიც შინაურია, — წამოიძახა ბადრაკმა და ისევ დაიხვიხვინა. ახლა უფრო სუნთქვადაკეებული ხითხითებდა, ნიკაპი არ უკანკალებდა.

— არამზადა,—ამობოლმა მოხუცმა, როცა ის ჯაჯგური გაიხსენა ახლა, თუთის ხის ძირში გრძელ სკამზე წამოწოლილმა.

მიწა ვარვარებდა, გადახურდა და მოხუცი მის გუგუნს ფეხისგულით გრძნობდა. სიცხე ისე დასარსალებდა ჰაერში, როგორც წყლის ზედაპირზე მოვლებული ცხიმი რამ.

ჯობია შვილიშვილი აქაურ სკოლაში შეიყვანონ. ბაბუას ფეხი მოურჩება, ბოლოს და ბოლოს ხომ შეუხორცდება ეს ოხერი ჭრილობა და შვილიშვილის მიხედვის მეტს არაფერს გააკეთებს. ადგური ჩქარა ისწავლის ლაპარაკს, იმის გამოხატვას, რაც აწვალებს. აი, მაშინ კი მოკვდება მოხუცი გულარხეინად.

ამ ფიქრებმა ცოტა დააშოშმინა, გაახსენდა შვილიშვილის სხეულის სითბო და ბალღური სურნელი და

ისევ ის განწყობა დაუბრუნა, კარგი სიმღერის მოსმენისას რომ ეუფლებოდა.

„ბიჭს არაფერი დაემართოს“.

ახლა ის დედაბერიღა უგდებს ყურს. მისთვის არავის სცხელა, არც ხიკას სცალია, მოხუცს კვლავ მოუნდა შებრალებოდა დედაბერი, მაგრამ გულში სიბრალულის გრძნობა რატომღაც არ აღეძრა. უცაბედად გაახსენდა, რაც ოდესღაც მომხდარიყო მათ შორის და სირცხვილის ოფლმა დაასხა, თითქოს ვიღაცას მისი ფიქრი გაეგონოს. იმ დღესაც, როცა პირველად გაიფიქრა ის, რაც მერე მოხდა, დღევანდელივით პაპანება იდგა. სიმინდს თოხნიდა, ქალი კი მდინარიდან ამოდიოდა, სარეცხი ამოჰქონდა. ქალს თვალი ჰკიდა თუ არა, თოხი მიაგდო და ჩრდილში ჩამოჯდა. უნდოდა მხოლოდ წაესაუბრა მასთან და ცოტა სული მოეთქვა. იმ წუთში ფიქრადაც კი არ მოსვლია რაიმე. ქალი ორნაქმარევი იყო, მაგრამ ორივეჯერ უშვილო რომ დარჩა თუ სიანჩხლის გამო, ვერც ერთგან ვერ მოიკიდა ფეხი და ახლა ეს ერთი წელია ძმასთან ცხოვრობდა.

— იქნება მითხრა, როგორ იყო, ჩემი ძმის წაქცევა რომ გინდოდა? — სიცილით ჰკითხა ქალმა, როგორც კი სარეცხის ტაშტი ჩამოდგა მიწაზე, — მთვრალი თუ იყავი, თორემ ეს აზრად როგორ მოგივიდოდა, ხომ ასეა? მიამბე რა, მიამბე, როგორ იყო...

ქალი, როგორც კი დროს იხელთებდა, ყოველთვის ამაზე ემასხრებოდა ხოლმე შხანიკვას. თავიდან ვაჟს სწყინდა, მაგრამ მერე კი შეეჩვია და ქალის სიტყვები გულთან არ მიჰქონდა.

მაგრამ იმ დღეს, როცა ქალთან დალაპარაკება გადაწყვიტა, ბადრაკთან დაჭიდების შეხსენებამ გააცეცხლა. ქალს მოუტრიალდა, უნდოდა რაიმე მაგარი ეთქვა... მის წინ იდგა და უტიფრად მოსჩერებოდა მდინარის ცივ წყალში ეს-ესაა განბანილი ახალგაზრდა ქალი. ოქროსფრად დაწვოდა სხეული და ნამზეური უთავდებოდა მკერდთან, რომლის ნაზი თეთრი ხაზებიც მოუჩანდა ჩითის კაბის ჭრილიდან.

— თუ გულით გინდა, შემიძლია გიჩვენო, როგორც იყო... — თქვა შხანიკვამ, ერთი ხელი წელზე შემოხვია, აიტაცა და გულზე მიიზიდა.

— კი, მაგრამ... — დაიბნა ქალი, მაგრამ მისი თვალები მიალერსებამოწადინებული ძალლის თვალებს მიემგვანა.

ქალს თავის დახსნა არც უცდია. ერთი წამით ასე ჩახვეულნი გაირინდნენ და შხანიკვამ იგრძნო, როგორ გამალებით უცემდა ქალს გული და როგორ აუდ-ჩაუდიოდა მკვრივი, ბავშვის ტუჩდაუკარებელი ძუძუები, რომლებსაც ასეც სწერებიათ, რომ არც არასოდეს ეგრძნოთ დედობის ნეტარი საიდუმლო. ვაჟმა ქალი ფრთხილად წამოაწვინა მიწაზე და ხელი უშვა.

— ესეც ასე, — ხრიწწი შეუდგა ხმაში, თითქოს თვითონ კი არა, ვიღაც სხვას ეთქვას, ისე გადაუსხვაფერდა კილო.

ქალი, თითქოს არც არა მომხდარაო იქვე ქვაზე ჩამოჯდა, მაგრამ შხანიკვა ხედავდა, როგორ ებურცებოდა ძუძუები. მდინარიდან ვრილმა სიომ დაუქროლა. ვაჟმა გულისპირი შეიხსნა და სული მოითქვა. მოჭრილი ანწლის მძაფრმა სუნმა ნესტოში შეუღიტინა. ვერა და ვერ მოეცილებინა თვალი ხავსმოკიდებულ ქვაზე ჩამომჯდარი ახალგაზრდა ქალისთვის.

ახლა, ამის გახსენებაზე, მოხუცი

სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და შუბლი ცივი ოფლითაც კი დაეცვარა.

ღმერთმა იცის, რით დამთავრდებოდა იმ დღეს მათი შეხვედრა, ცოლს რომ სამხარი არ ამოეტანა. რა დაქანცული იყო საწყალი ქალი!

— ამ დილას ამოვწმინდე, შენ რომ გიყვარს, ის წყარო, — თქვა ცოლმა და ცივციველა წყლით სავსე, გარედანაც დაცვარული დოქი დაუდგა.

— წყალი კი მოგიტანია, კარგია, მაგრამ ღვინის მოტანა არასოდეს მოგიფიქრებია, — განაწყენებით უთხრა ქმარმა.

— ღვინოო!.. ამ სიცხეში ღვინო რად გინდა, ისედაც იხუთება ადამიანი... იმ წუთში ჩაგაგდებს ლოგინად, — გულწრფელად გაიოცა ქალმა. ვერც კი შეამჩნია, რომ ქმარი გაღიზიანებული ლაპარაკობდა.

გვალვისაგან დახრუკული მოჭრილი ანწლის ღეროები აუტანელ სუნს აყენებდა.

ცოლი მშვიდად, აუჩქარებლად ალაგებდა საჭმელს ქათქათა, თავისებურად სურნელოვან ცახოცზე. რარიგ სათუთად, რარიგი სიყვარულით მოძრაობდნენ მისი ხელები!

— ო, ღმერთო, ღმერთო... — ახლაც წაიკვნესა მოხუცმა. ცოლის გახსენებაზე ყოველთვის ასე წაუკვნესებდა, ყელში ბურთი ეჩრებოდა და სული ეხუთებოდა.

აუტანლად ცხელოდა. მზემ თუთის ხის ჩრდილი თითქოს ხის ტანზევე ააკრა. ლობეწნულში წიწილები გამოძვრნენ. კრუხი ერთხანს გასაძრომს ეძებდა. იპოვა, თავის ჭუჭულებს დაეწია და ეზოს სილრმეში გაიყვანა. მოხუცმა ისევ გაიგონა ერთი წიწილის წიაპი. თავი ასწია და შეხედა, რა ხდებაო. ის მოწიაპე წიწილი თავისი ბუდის წიწილებს მოშორებით მისდევდა. ახლოს მისვლა ვერ გაებედა. ყველაზე დიდი, ჭრელა და გასაოცრად ლამაზი იყო. ბოლოს გაბედა და დაეწია თავისიანებს, მაგრამ კრუხი მიეჭრა და ორჯერ მტკივნეულად ჩაუნისკარტა. წიწილა ბალახში წაიქცა და ცეროდენა ფრთები ააფათქუნა. როცა მისიანები კარგა შორს წავიდნენ, წიწილა წამოხტა, იმათ კვალში მისდია, ოღონდ შორიახლო მიჰყვებოდა.

— რას ამოიჩემა ამ ძერის შესაჭმელმა, ნეტა რას ეძრჩის! — ბრაზობდა მოხუცი კრუხზე. — სხვას რომ არა ჰგავს, ან ყველას რომ სჯობია, ალბათ იმიტომ...

კრუხმა ბელელს ქვემოთ მტვერი მოქექა და ფრთებგაფაშფაშებული ჩაბუდდა. წიწილები კი ფრთებქვეშ შეეჭუჭკნენ. ჭრელაც ჩუმად შეემალა ფრთის ქვეშ.

მოხუცი ხედავდა ამას.

— ძერამ შეგჭამოს შენა და ტურამ!

მოხუცს წყუროდა. დოქი აიღო და წყალი ხელზე დაისხა. თბილი იყო.

წყაროს წყლისთანა გემრიელი ხომ ვერა და ვერ იქნება. მაგრამ ცივი მაინც რომ იყოს ეს ოხერი, კი მოიტყუებდა კაცი თავს.

დოქი ჩამოდგა, ალაბაში მოიშველია და ისევ ისე მიწვა.

მოხუცმა ისევ გაიხსენა მთები და ისიც, თუ რა დაემართა იმ დღეს, როცა პირველად მწყემსავდა თხებს.

თვითონ უფსკრულის პირას იდგა და პირდაპირ დაუჯერებელი რამ ხდებოდა: ძაღლები გააფთრებული ყეფით და ავი ყმუილით მოქროდნენ უფსკრულისკენ და დრუნჩები

მისკენ მოემართათ. მიმოიხედა და უფსკრულის თავზე ახლალა დაინახა ქურციკი; აქამდე ძაღლების ხროვას უყურებდა, ქურციკისკენ არც მოეხედა. ქურციკი გრძნობდა, ძაღლები ვერ დამეწევიანო, ამაყად იდგა და კლდეს ურტყამდა ჩლიქებს. არ იმალებოდა, არა, პირიქით, უნდოდა ძაღლები თავისკენ მოეზიდა. ალბათ მათი ყურადღების აქეთ მომართვა თუ სურდა ვისმე გადასარჩენად.

ყველაფერი ეს სიზმარივით იყო და სიზმრისეულად აბობღდა იგი იმ კლდის შვერილზე, ქურციკი რომ იდგა. ქურციკი ვერსაით გადადგამდა ნაბიჯს, რადგან ერთადერთი ბილიკი ახლა ბიჭს ჰქონდა ჩაკეტილი. წინ კი უფსკრული იდო. ჯერ როგორ შეტოკდა იგი და მერე როგორ გახევდა, უკან ბიჭს რომ ჰკიდა თვალი! მას აქეთ ყოველთვის თვალწინ უდგას ის გამოხედვა ქურციკისა — ის წარმოუდგენლად ლამაზი, უსამველოდ სასოწარკვეთილი და ენით ალუწერელ უბედურებაზე მეტყველი თვალები...

— ღმერთო, ღმერთო, — დაიკვნესა მოხუცმა და ალაბაშის მოშველიებით წამოჯდა.

კრუხს ჯდომა მობეზრდა, ფრთები აკეცა და წიწილები გამოცვივდნენ. ჭრელა წიწილაც რომ აქ ნახა, კრუხმა ისევ გამოაგდო იგი, მაგრამ წიწილა მაინც საწყალობელი წიაპ-წიაპით ეედევნა თავისიანებს. ახლაც კარგა მოშორებით მისდევდა.

— შენი ქოქი გაწყდეს, შენი! — ახლა კიდევ უფრო გაუბრაზდა მოხუცი კრუხს.

ეს ხიკაც კაი ვინმეა — იმ დაწყევლილი სახლიდან ვერ გამოდის, თუ რაა. წიწილები მაინც დააპუროს. წიაპობენ, გული წაიღეს, შიათ ალბათ.

— არამზადა, — ისევ ბატრაკი წარმოუდგა თვალწინ მოხუცს.

ზღაპრებში, ვინც კი დევების სახლში შევა, უკან ცოცხალი ვერ გამოდის. იქ ადამიანს უბრალოდ ყლაპავდნენ. ბატრაკის სახლშიც თუ შეხვედი, შენც გადაგყლაპავს და მთელ იმდღევანდელ დღესაც ჩაგიყლაპავს. მერედა, რამდენი ასეთი დღე აქვს წელიწადში...

მოხუცმა კრუხს დაუძახა, კრუხმა — წიწილებს და ერთად გამოემართნენ მოხუცისაკენ. მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრეს და სხვა მხრისკენ დაადეს თავი. ჭრელაც წია-წიათი მიჰყვებოდა მოშორებით.

— შენ შეგჭამა ძერამ და ტურამ...

— არამზადა, — ისევ ამ ერთი სიტყვით ამოანთხია მოხუცმა თავისი ბოლმა.

იმის მერე, რაც მასა და ბატრაკის დას შორის რაღაცნაირი ურთიერთობა დამყარდა, ღამე ვერ იძინებდა. ადრე ცოლის ღალატი ან სხვა ვინმესთან დაწოლა აზრადაც არ მოსვლია. ახლა კი ეს განზრახვა ვერ მოეცილებინა. თვალსა და ხელს შუა, სულ რომ არ ელოდა, ისე შესცოდა მან და ის შეცოდება ნამეტანი მიმზიდველი, ამო გამოდგა. უნდოდა იმ შეცოდების კარები საბუდამოდ დახუროდა თვალთა წინ, მაგრამ უკვე არაფრის თავი არ ჰქონდა. თვალი უნდა დაეხუჭა, ფეხი დაეკრა და შორს, შორს უნდა განრიდებოდა იმ ცოდვის კარებს, მაგრამ რაღაც საბედისწერო ძალა უკანვე ეზიდებოდა უნებურად. ცოლი გულს გარეთ რჩებოდა და იმ კაცს ჰგავდა, ვინც თვითონ ქეიფის სუფრას მისჯდომია, ამხანაგს კი ჭიშკართან ალოდინებს.

— რამდენი სიკეთის გაკეთება შეუძლია ადამიანს, რამდენის, სინამდვილეში კი...

„რამდენი ჭუჭყი და ლაფია ირგვლივ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს უნამუსოდ. განა მე მარტოს შემიძლია ეს ქვეყანა უცოდველად ვაქციო? — თათხავდა თავს და ღამეები იტანჯებოდა. — თითქოს არც კი ვცოცხლობ; ხალხთან ადამიანური დამოკიდებულება ვერ დამიმყარებია. მერედა რატომ, ნამეტანი მოკრძალებულობის გამო“...

სულ ბალღობიდანვე შეეჩვია მარტოობას. ადამიანები — ჯერ მამა, მერე — ძმები და თითქმის ყველა, ვისთანაც კი ბედმა შეახვედრა, თითქოს გვერდს უვლიდნენ მას. ვინმესთვის თუ ალალად გაუწვდენია დახმარების ხელი, იმას, ვისი დახმარებაც განუზრახავს, ამისკენ არც მოუხედავს, ვისთანაც გინდა მისულა რჩევისათვის, ოღონდ მასთან არა. რაიმე საქმის გარჩევას თუ დასწრებია, ისეთი სახე მიუღია ყველას, თითქოს ეგ აქ არც არისო, და ისე უსაუბრიათ ერთმანეთთან, ამისთვის არაფერი უკითხავთ. სულ მუდამ ისე ხდებოდა...

...მაშინაც კი, როცა რაიმეს მოყოლის სურვილი გამოუთქვამს (მოყოლა კი მას ნამდვილად შეეძლო, ეს მისი საყვარელი საქმე, მეტიც, თითქმის მისი ცხოვრების აზრი იყო), ენად გაკრეფილი, ყბედი ვინმეებიც კი აჩუმებდნენ. შეკრებულობაში მივიდოდა და თავიანთ წრეს შეკრავდნენ, მას გარეთ ტოვებდნენ. ერთხელაც ვერ მოახერხა იმ კედლის დარღვევა, რომლითაც, თითქოს თავს იცავენო, მისგან იმიჯნებოდნენ ადამიანები, ის ადამიანები, რომელთა გვერდითაც ცხოვრობდა. ყოველთვის ასე მოტყუებული რჩებოდა... მაგრამ ბოლმა და გესლი არავის მიმართ არ ჩაუდვია გულში. ერთი რბილი და გულისხმიერი კაცი იყო, სახითაც ლამაზი და ტანადაც აღნაგი გახლდათ. რაიმე ისეთი ნაკლი არ ჰქონდა, რომ ვინმეს მასთან ახლო ყოფნით ზიზღრა მოსვლოდა. აბა, ისეთს რას აშავებდა, ვერ გაეგო... ეგ კია, ზღაპრები უყვარდა და უყვარდა მათი მოყოლა, ძალიან უყვარდა... იქნებ ამიტომ აითვალისწუნეს? მაგრამ სხვებს რომ ბევრის სმისთვისაც კი აქებადიდებენ! მან იცოდა, რომ იმ წრეს. რომელმაც იგი მოიკვეთა, აქვს თავისი ნაკლი. თუ იკადრე, ამ ნაკლსაც გამოუჩენ ხალხს. ასეთი ნაბიჯი ძალზე გამოუვალი მდგომარეობის დროს თუ გადაუდგამს და ყოველთვის ფეხი წაუტეხია. ის წრე მისთვის ყველა არასასურველ კაცს უმოწყალოდ უსწორდებოდა. ასეთი ბედი ეწია კაცს, ვინც სახელი გაიგდო ენამახვილობით, მაგრამ იმ „წრის გარეთ“ ყოფნა რაღაი თავმოყვარეობის შებღალვად ჩათვალა, ზემდგომთა გემოვნებას დაჰყვა, მათ გულის ხმას აუბა ფეხი, ოღონდ კი მათთვის ეამებინა. ცხრა პირი ტყავი გაიძრო და თანდათან უგვანო ვინმედ, ყეყეჩად იქცა, თავისი სახიერი, შთამბეჭდავი ოხუნჯობის ნაცვლად ათასი აბდაუბდა არახუნა.

მერე, სიკვდილის შემდეგ, იმათი შვილები, ვის ნებასაც ის კაცი დაჰყვა. საუბარში თუ სიტყვებში ჩაურთავდნენ ხოლმე მის არაკებს. ოღონდ, რაღა თქმა უნდა, ამ არაკების ავტორს არ ასახელებდნენ. მაგრამ როცა უგერგილო. ულიმლამო ნათქვამს გაიხსენებდნენ. მის გვარსახელსაც უეჭველად წამოისროდნენ.

ხელმარჯვე კალატოზი თავისი ნახელავით იწონებდა თავს, მეურნე

კაცი — თავისი საქმით, ცხენოსანი — ცხენოსნობით, მწყემსი — მწყემსობით. „წრეს“ ეს ესმოდა, რადგან ყველაფერს, რასაც ეს ხალხი აკეთებდა, შემოსავალი მოჰქონდა ანუ გარკვეული ფასი ედო, როგორც ნივთებს, საჭმელს, სასმელს. მაგრამ ამ კაცს ხომ ვინმეს ნასუფრალით არასოდეს უცხოვრია. თავის ლუკმას თვითონ, თავისი შრომით შოულობდა. ოღონდ თითქოს იმისთვისდა ცხოვრობდა ამქვეყნად, რომ ზღაპრების მოყოლის საშუალება ჰქონოდა. ზღაპრების მოყოლა მისთვის ყველაზე დიდი, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე იყო. ზღაპრების მოყოლას თუ აუკრძალავდით, ამით სიცოცხლის ყოველგვარ აზრსაც მოუსპობდით. მხოლოდ თავისი ზღაპრების წყალობით გრძნობდა იგი სიცოცხლის სისავსეს, მის გემოს, მაგრამ სწორედ ეს ვერ ეპატიებინათ მისთვის იმ ადამიანებს, ვინც ფიქრობდა, რომ ზღაპრების და რაგინდარა ამბების მოყოლა წყლის ნაყვაა, დროის დაკარგვა და ხალხის მოცდენაო. და ისინი, თითქოს პირი შეუკრავთო, როგორც უდიდეს საიდუმლოს რასმე, მალავდნენ მისგან თავიანთ ყოველდღიურ საქმეებსა და ფიქრებს. ეგრე ჩანს, ეშინოდათ, იმის მოსაყოლ ამბებში არ მოვხვდეთო. მეზღაპრის უილბლობის ერთი მიზეზი ეს იყო. მიზეზები ალბათ სხვაც იყო, მაგრამ ამათი წვდომა მეზღაპრეს არ შეეძლო.

წიწილა ისევ საწყალობლად აწიოკდა.

— სულს ამოართმევს, ეტყობა, — მოხუცმა ერთხელაც მოუხმო კრუხს.

კრუხმა იცოდა, რომ მის შვილებს შიოდა და მოხუცისკენ წამოვიდა. ჭრელა წიწილა შუა ეზოში, თაკარა მზის გულზე დარჩა, ისევ საწყალობლად წიაკობდა, მაგრამ და-ძმებთან მიახლოებას ვერ ბედავდა.

მოხუცმა კიდევ დაუძახა კრუხს.

კრუხი მოცუხცუხდა და წიწილებიც თავიანთი ცეროდენა ფრთების ფათქუნით მოცანცალდნენ. ამ საერთო გაწამაწიას ჭრელა წიწილაც აჰყვა. ეტყობა, ძალიან მოშივდა, რომ ყოველგვარი სიფრთხილე დაავიწყდა, წამში დაეწია თავისიანებს, მაგრამ კრუხი მაშინვე გაკაპასებული დააცხრა და რამდენჯერმე ჩაუნისკარტა.

... ერთხელ, ორჯერ, კიდევ, კიდევ და კიდევ...

ჭრელა წიწილა ცდილობდა გასხლტომოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, ბალახში ჩავარდა და აწიატდა.

მოხუცმა ვერ მოითმინა, ფეხის ტკივილი დაავიწყდა, წამოიწია, კრუხს ალაბაში ესროლა მთელი ძალით და მოახვედრა. კრუხი გადატრიალდა და დაიკრუნჩხა.

— აგრე გინდა შენა, აგრე, ახია!

კრუხი რომ პირქვე დაეცა, წიწილები დაფრთხნენ, გაიქცა-გამოიქცნენ და ხშირ ბალახში ჩაიმალნენ. ჭრელა წიწილა, ეტყობა, მთლად წახდა, რის ვაი-ვიშით დადგა ფეხზე და სუსტი ხმით აწიაწიავდა. კრუხი ისევ ისე იკრუნჩხებოდა.

მოხუცმა ახლალა იგრძნო ფეხის მწიწკნავი ტკივილი. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ფეხი ძარღვების მაგივრად თხელი მავთულებით ამვსებია და ისინიც ერთიერთმანეთზე მიყოლებით მაწყდებაო.

— როდის გახმები, როდის!

მოხუცი ხედავდა კრუხის გაქუცულ მუცელს. მას გამხდარი გვერდებიდან ძვლები გამოსჩხვეროდა: მეტი რომ არ შეიძლება, იმდენი წი-

წილი გამოსჩეკა, ქანცი წაერთვა... ცოტა ხნის შემდეგ ფრთებს უკვე აღარ აფართქალებდა. გადაბრუნდა, მობლანდული თვალებით მიიხედ-მოიხედა, წამოიწია. შვილების ხმაც რომ გაიგონა, თავს ძალა დაატანა და წამოდგა. ჭრელა წიწილა იქვე ახლოს იდგა, მაგრამ კრუხს ახლა მისი თავი არ ჰქონდა ან იქნებ სულაც ვერ ხედავდა.

— არამზადაა, აბა რაა! — გადაირია მოხუცი, — არავინაა, რომ წიწილები დააპუროს!

კრუხმა წიწილებს გასძახა, ისინიც აქეთ-იქიდან მოფრთხიალდნენ და ბელლისკენ გასწიეს.

ნიავი არ ქროდა. ჰაერი ოდნავად არ ინძრეოდა, ყველაფერი გათანგა მთელ სივრცეს დაუფლებულმა გვალვამ, ყველაფერი ხურდა, ვარვარებდა...

... იმ შორეულ, როდინდელ ზაფხულსაც ასე გადაგვალა ყველაფერი... იმ ზაფხულს, როცა მეორედ შეხვდა ბადრაკის დას.. მზე უკვე გადახრილიყო, მაგრამ ისე იკბინებოდა, შუადღეზე რომ იცის ხოლმე. ირგვლივ ყველაფერი ისე გაილურსა, გეგონებოდა, მორჩა, სიცოცხლე გათავდაო. სანამ არ შესალამოვდა, სიცხე აჭერდა და აჭერდა. და თოხნა შეუძლებელი იყო. შხანიკვა მდინარეზე ჩავიდა და ქალიც დაბარებულივით იქ გაჩნდა. თითქოს ამოსარეცხი ამოვრეცხე, ახლა უნდა ვიბანაოო, ერთხანს იფართიფურთა, მერე ჩრდილს შეეფარა და შხანიკვას მიუჯდა. საუბარს თავი არ ებმებოდა, აღარც შეხუმრება გამოსდიოდათ და ქალი რატომღაც თვალს არ უსწორებდა კაცსა.

კაცი გაუნძრევლად იჯდა და მაშინ ქალმა ხერხი იხმარა (კაცს ვერაფრით წარმოედგინა, თუ ქალს ასეთი რამის მოფიქრება შეეძლო).

— საწყალი ჩემი ბადრაკი! — არაფერ შუაში იყო. მაგრამ ძმაზე დაიწყო საუბარი ქალმა.

ეს კაცისთვის იგივე იყო, რაც ხარისთვის წითელი ნაჭერია. საძულველი სახელის ხსენებაზე პირობითობის ბორკილები სულ დაწყდა და კაცმა შურისძიების ყველა უფლება დაუტოვა თავს.

— შენ რას იტყვი, სხვა მამაკაცებს რომ არ უყვართ, ის კაცი თუ შეუყვარდება ქალს? — თითქოს სასხვათაშორისოდ ჰკითხა ქალს.

— მამაკაცი, რომელიც მამაკაცებს სძულთ, ქალს ძალიან უყვარს, — მიუგო ქალმა და თითქოს ამ სიტყვებით დარჩენილი სირცხვილის გრძნობაც მოიშორაო, უტიფარი თვალებით მიაკვდა კაცს.

მაინც ვერ იფიქრებდა, ქალი ამდენს თუ გაბედავდა...

იმ დღეს კაცმა პატიოსნების ზღურბლს გადააბიჯა და ცოდვას ეზიარა, რითაც მარტობას თავი დაუკრა. მაგრამ, რაც არ უნდა საოცარი იყოს, მარტობამ ამ დღის მერე უფრო დარია ხელი და მეტის ტკივილით აუფორიაქა სული.

მან დაკარგა ერთადერთი ერთგული ადამიანი — ცოლი, ვისაც ერთადერთს შეეძლო მისთვის მარტობა არ ეგრძნობინებინა. სინდისი ქენჯნიდა, რად ვერ დავთრგუნეო თავი. და ყოველივე ამის ჯავრს ცოლზე იყრიდა. ცოლი მიხვდა, რაც მოხდა. მაგრამ ამაზე კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ გაცრეცილი პირისახე და დღემოდამ ნამტირალევი თვალები ამხელდნენ მის უსაშველო ტკივილსა და ნაწყენობას.

ბადრაკმაც გაიგო მალე ყველაფერი, მაგრამ არასოდეს არაფრით უგრძნობინებია, რამე თუ იცოდა,

საამისოდ ის თავისი ქეციანი ულვაშიც კი არ შეტოკებია. შესაძლო იყო სამკვდრო-სასიცოცხლოდაც შეტაკებოდნენ ერთმანეთს (სხვა ყაიდის კაცი თავს შეურაცხყოფილად ჩათვლიდა და სიკვდილის გარდა ვერაფერი იხსნიდა დის გამბახებელს).

ცოლი მისთვის ყოველთვის ყველაზე წმინდა, ყველაზე ახლობელი არსება იყო. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მეტისმეტად ხშირად რიყავდნენ მას ადამიანები. ამიტომ ძნელი აღმოჩნდა სულ მუდამ დაჯაბნა საკუთარი თავისა. ძნელი აღმოჩნდა ღალატის ცოდვისაგან გამორიდება... „ნეტა რამე მწარეს, საწყენს მეტყოდეს, რომ გული მატკინოს!.. მაშინ მეც არ დავრჩებოდი ვალში, ხურდას ორმაგად დავუბრუნებდი... იქნებ ამით მეტი შვება მეგრძნო...“

— ღმერთო, ღმერთო, — წაუკვნესა მოხუცმა.

ეს ამბავი ოდესღაც, დიდი ხნის წინათ კი არა, აგერ, ა, გუშინ, გუშინ კი არა, დღეს მოხდაო, ეჩვენებოდა და ეს ორი დღე, ეს ამდენი ტკივილისა და წყენის მომცველი ორი დღე საშინელ ლოდად დაწვა გულზე და სუნთქვა გაუძნელდა.

როცა გამოერკვა, იგრძნო, მთლად გახვითქულიყო ოფლში.

თუთის ჩრდილი მოხუცს უკვე სულ აღარ ეცემოდა. მზემ ჯერ ხომ ხეს ტანზე ააკრა თავისი ჩრდილი, ახლა უკვე მეორე მხრიდან დაუღვარა, თანდათან მეტ სივრცეზე გაუშალა. გეგონებოდათ, ხის დაღლილი სხეული ვარჯიშობსო. მოხუცის ალაბაშა, საითაც მოისროლა, იქვე ეგდო. შეეძლო ოთხით მიფორთხებულიყო მასთან, მაგრამ იმის გაფიქრებამაც კი, რომ შესაძლოა ფორთხვა დასჭირებოდა, შეეზარა.

... ამბობენ, ადამიანს დილით ოთხი ფეხი აქვს, შუადღეზე — ორი, საღამოთი — სამი (ბავშვობას, სიმწიფეში ყოფნას და სიბერეს გულისხმობენ). ახლა მოხუცს შეეძლო ოთხივე ფეხი ჰქონოდა. მაგრამ იგი ოთხით არ გაფოფხდებოდა, უეჭველადაც რომ სცოდნოდა, მზის დაკვრა მელისო.

ძალა მოიკრიბა, შინაგანად დაიძაბა, მტკივანი ფეხი მიწას ააშორა, მეორეზელა დადგა და ასე, ცალ ფეხზე, საშინელი ტკივილის შეგრძნებით გრძელი სკამი და ჯოჯოჩრდილში გადადგა. შემდეგ ქანცგაწყვეტილი დაშვავდა სკამზე და ის ფეხი ჯოჯოზე შემოდო. ტკივილმა დაცეცხლა—თითქოს ის ათასი წვრილი მავთულძარღვები ერთი ერთმანეთის მიყოლებით ატკარცალდაო, ან ფეხი ათას პატარ-პატარა ნაჭრად დაუწიწკნესო. ტანზე ოფლმა დაასხა. ცოტა ხანში ტკივილმა გაუარა და შვება იგრძნო. მიწვა. ძალიან წყუროდა. მის ამღვრეულ მზერას კვლავ წარმოესახა შხეფებად დანამცეცებული, პირდაპირ კლდიდან გადმომდინარე ცივციველა წყაროები....

მათი ჩხრიალი და რაკრაკიც ჩაესმა, მაგრამ ამო სიგრილეს კი ვერ გრძნობდა, ტუჩები დაუსკდა წყურვილისგან, ყელი გაუშრა...

მთაში კი ისევ უწვიმო ღრუბლები დასჯაროდნენ მწვერვალს, შემოხვეოდნენ. მაგრამ მთის წვერი მაინც მიუდგომელი ციხე-ბურჯის კოშკივით ამაყად გადმომზერდა სივრცეს.

და მოხუცი ფიქრმა კვლავ მთებში, იმ შორეულ დღეში გადაავანა, აგერ გუშინდელივით ცხადად რომ დაუდგა თვალწინ...

... ქურციკმა იგი დაინახა, მაგრამ რას გააწყობდა: ერთადერთი, აქედან თავდასაღწევი გზა ბიჭს გადაეკეტა.

წინ კი უფსკრული იყო. უცნაური განცდა დაეუფლა ბიჭს. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, შეწრიალდა. ვერ დაეჯერებინა, რომ ქურციკი, ზღაპრულ არსებად რომ ესახებოდა, რაღაი არასოდეს ენახა, ახლა ორიოდე ნაბიჯზე ედგა. საკმარისი იყო ხელი გაეწვდინა, რომ მისწვდენოდა და კიდეც მოჰფერებოდა. პირდაპირ მისკენ წადგა ბიჯი. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ტანში იწურებოდა ქურციკი, მით უფრო იჭუჭკებოდა, თითქოს უნდა დაიგორგლოს და თავქვე ჩაქანდესო. ცალი გვერდით კლდეს მიტმასნოდა, თითქოს უნდა ზედ შეეხორცოსო. ბიჭი კი მთლად ახლოს მივიდა და ბეწვზე ხელით მიელაციცა. ქურციკი შეტოკდა და მისი თრთოლვა დენივით გადმოვიდა ბიჭის ხელში. ქურციკი კიდევ უფრო მოიკუნტა და ლამის კლდეში შევიდა. ბიჭს მონადირეებისგან გაეგონა, ჩიხში მომწყვდეულ დაფეთებულ ქურციკს შეუძლია, ვინც გნებავს, წააქციოსო, მაგრამ ეს გახევებულიყო. ბიჭს შეეძლო გვერდზე გადასულიყო, გზა მიეცა მისთვის... ზღაპარი იხილა თვალით, ხელით მიელაციცა ზღაპარს... გაუშვებდა და დაინახავდა, თავისი ლამაზი ფეხებით როგორ წაათიმთიმებდა იგი წმინდა ცხოველ სულს... მაგრამ თითქოს ტანში ეშმაკი შეუჯდაო, მსგავსი რამ ფიქრადაც არ მოსვლია, ლამის თვალთ დაუბნელდა, ისე დაძაბულიყო, ოღონდ კი როგორმე, როგორმე დაეჭირა.

ფეხები გაფარჩხა, მკვიდრად, მყარად დადგა და თავისი მძიმე კომბალი ორჯერ გამეტებით შემოჰკრა. პირველი დარტყმისაგან ქურციკი უკანა ფეხებზე დაეცა, მაგრამ მაშინვე წელში გაიმართა. კიდევ უფრო დაიძაგრა ზამბარასავით, დაგორგალდა. მეორე მემორტყმაზე კომბალი დაძაგრული სხეულიდან ადრკა და ქურციკს კვნესა ალმოხდა. ამ დროს ბიჭმა ქვევით ჩაიხედა და თვალი ჰკრა ძუძუების კარავს, ველზე დავარდნილი პაწია თექის ქუდად რომ მოჩანდა. მაშინვე თავში გაუკრთა, რა უნდა ექნა და როგორ ექნა. ფეხებით კიდევ უფრო მყარად დაებჯინა მიწას, ქურციკს შემოეხვია და მთელი ძალის მოხმობით, ბიძგაბიძგით, ჩაიყვანა თავქვეზე... ქურციკი მთელი ტანით თრთოლა და ეკვროდა, ეკვროდა...

— ღმერთო, ღმერთო!

ბადრაკის სახლიდან ყვირილი და რაღაც შეძახილები მოისმა.

— აქშა! აქშა! აქშა!

ვიღაც აფრთხილებდა ქათმებს, საფრთხე გელითო.

— თვითმფრინავი, თვითმფრინავი! — წკრიალებდა ადგურის ხმა.

მოხუცმა ვერ მოასწრო გაერჩია, საიდან მოდიოდა შვილიშვილის ხმა: ბადრაკის ეზოდან თუ აქვე, გზის პირიდან, რადგან მის ეზოშიც შექოთქოთდნენ ქათმები.

ციდან ჭვასავით ჩამოცხრა ძერა.

— აქშა, აქშა! — ყრუდ შეუძახა მოხუცმა, მაგრამ ძერას უკვე არაფერი ესმოდა და თავისი სამსხვერპლოს გარდა ვერც ვერაფერს ხედავდა.

თითქმის მიწის პირზე იყო. მშიერს, თავზეხელაღებულს, იშტაზე მოსულს, უკვე დაეფარჩხა ბასრი ბრჭყალები. მაგრამ იმავე წამს მოხუცის თვალწინ ისარივით გაკრთა სიმჭლეისაგან ბუმბულივით მსუბუქი მკერდგაქუცული, ჯოხისგან ტანდაბეგვილი კრუხი — ძერას გამეტებით შეეხალა.

— აბა, მიდი, აბა, ჰე!

ბრჭყალებითა და ნისკარტებით ჩააფრინდნენ ერთმანეთს. ბალახში კოტრიალობდნენ. ჰაერში მათი ბუნდოვა დაფარფატდა. კრუხი გაცილებით ულონო იყო, ძერამ რამდენჯერმე მოიგდო ქვეშ, დაკლანჭა, მაგრამ კრუხი თავს აღწევდა და ძერა კვლავ და კვლავ აცხრებოდა. კრუხმა, როგორც იყო, მთელი ძალა მოიკრიბა და ძერას ლრმად ჩაურჭო ნისკარტი. ამანაც ვერ გაუძლო, თავი აიშვა და აფრინდა. ჯერ ჰაერში დაბლა იწრიალა, ეტყობა, მთლად ვერ მოსულიყო გონს, მერე უკვე სწრაფად აუტია ცისკენ. დაკაწრული, დასისხლიანებული, ნაბეგვი კრუხი ეზოში დალასლასებდა და თავის უჭულ-ბუჭულებს მოუხმობდა. ჭოელი წიწილა ისევ ისე გულის გამაწვრილებლად წიავწიავობდა თავისთვის. მოხუცმა მოიხედა, სად არისო, და ნახა — ისევ იქ იდგა, მზის გულზე. ალბათ ბაიბურში არაა, რაც მოხდა — ძერამ რომ საკბილოდ სწორედ ის აირჩია! რეტდასხმული თუ იყო, რადგან დამალვა არც კი უცდია. გულგადაქანებული წიწილები ბალახში ჩაჭუჭკულიყვნენ და შიშით დედასაც კი ვერ ეხმაურებოდნენ.

მოხუცს შეებრალა კრუხი, შერცხვა, რომ ჯოხი მოახვედრა.

— ძალლი, ძალლთაპირი! — მოხუცს ბოლმა ახრჩობდა.

სუნარი: სოხუმიდან ჩვენს სოფლამდე ორი საათის გზაა... მაგრამ ეს ბოლო ორი წელია იგი თითქოს სულ უფრო და უფრო მშორდება. და ახლა გულში უკვე სიყვარული კი არა, ტკივილი ჩამბუდებია. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ სულ უფრო და უფრო ვერ ვუსწორებ თვალს. იმას კიდევ ჩემი ჩასვლით ცა ეხსნება. მისთვის ისევ ის პატარა ბიჭი ვარ. შორი შორს რომ ვართ, წამოსვლისას რომ ვიყავი, ისეთს მხედავს. ასე სულმოუთქმელად რომ არ მელოდეს და ნამეტანი რომ არ უხაროდეს ხოლმე ჩემი ჩასვლა, იქნებ შეხვედრის დროს გული არც ასე დამმძიმებოდა...

...როგორც კი ჩვენი ეზოს ბალახს დავადგამ ფეხს, ჩემი მემართება. პატარა ეზოა — ერთი მტკაველი სიმწვანე ამ უზარმაზარი ცის ქვეშ, ეს გლეხკაცური ეზო, ეს მრავლისმომსწრე ოდა-სახლი, ეს დალილი, ამდენგზის გადაბრუნებულ-ჩაბრუნებული მამული, უხმაუროდ, თვინიერად რომ იძლევა ამდენ სიკეთეს... იმდენ სითბოს ჩუქნის ყველას, ვინც ამას საჭიროებს... ყოველივე ეს — ეზოც, ოდაც, ყანაც — ალალად, უდავიდარაბოდ იხდის თავის მიწიერ ვალს. მაგრამ მხოლოდ ამათ, — ამ ეზომ, ოდამ, ყანამ, — და არაფერმა სხვამ დამაყენეს მე ფეხზე, წელში გაწყდნენ და განათლების მიღების საშუალება მომცეს... იქნებ მეცა ვარ ბრალში. რომ ჩემი და, ვისიც ბევრ ძლიერ, მაგრამ უპატიოსნო ადამიანს ასე ეშინოდა, რადგან უსამართლობას არავის შეარჩენდა, ახლა ყველაფერს შერიგებია და ბედისგან მივწყებულ შინაბერად დარჩენილა... მე კიდევ, მე გულში ჩამიჭრია, რაც შეიძლება მალე გავკანდიდატდე („იცით, ეგ ნიჭიერია, კი, ნიჭიერია", იტყვიან ჩემზე). მერე, მერე? კანდიდატს საქმე ცოტათი, მხოლოდ ცოტათი უკეთ მისდის... და მაინც სჯობია, თუნდაც ახალგამომცხვარი კანდიდატი იყო, ვიდრე არავინ. კარგა ხანს ასე. კანდიდატად ივლი... მერე, ჰო, მერე? როგორც საკანდიდატო გააკეთე, ისევე გააკეთებ სადოქტოროს (უფრო სოლიდური და სქელი იქნება). დრო მოგთხოვს.

— შენც ასე ფიქრობ! — ვეუბნები ახალგამომცხვარ კანდიდატს, როცა „დოსკურიიდან“ ბანცალ-ბანცალით გამოვედით ლვინით შებრუჟულნი და მსუყე საჭმელებით დამძიმებულნი, — შენ მეკითხები, „იმასაც ასე გააკეთებ“, რას ნიშნავსო? ახლავე აგიხსნი... რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სულ წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. ვწეროთ და ვიკითხოთ, ვის რაში სჭირდება.

კანდიდატმა გაოცებისგან პირი დააღო.

— სირცხვილი არ მაჭამო, ნუ გამაწითლებ, თუ ძმა ხარ, ამ ხალხს, მეგობარია-მეთქი, შენზე ვუთხარი...

— ამათ ვუთხარიო... — ხმამაღლა შეევეპასუხე და იმ ხალხს თითი მივუშვირე. — ამათთან არ გაჭამო სირცხვილი? ამათთან რაღამ უნდა გაგაწითლოს. ამათთან? ამათ, ამათ კარგა ხანია დაივიწყეს, გაწითლება რაცაა, გადაეჩვევნენ! ხომ ხედავ, დარდისაგან აღარ არიან, წინაპრებმა სიმდიდრე არ დაგვიტოვესო. დაფნისა და ხილის ბაღები უნდოდათ, წალკოტები უნდოდათ, რათა ყველაფრის გემო ხელის გაუნძრევლად ეგემათ, ხა-ხა-ხა!

თქვა და მაშინვე, თითქოს ქარმა გააქროო, ვერაფერი დაინახა. ჰო, მთვრალი ვარ, ცხადია, და ქალაქში ასეთი „პატივცემული“ ხალხი ხომ შეიძლება უხერხულ დღეში ჩავაგდო, შემომელანძღოს კიდეც...

მაგრამ მე არც მთლად მთვრალი ვიყავი. ღმერთო, პირუტყვი ვარ, პირუტყვი, აბა რა ვარ! აბა, რას ვაკეთებ, ეს საქმეა? როგორ გაეიარო ჩემი ეზოს ბალახზე, ლოდინით გაბეზრებულ მოხუცს როგორ შევხვდი თვალებში!

სანაპიროთი წავბორიალდი. ზღვა უწყალოდ იკბინებოდა. ხელმარცხნივ, ნაპირის ერთ პატარა მონაკვეთზე, სადაც ბანაობა და შიშველი წამოწოლა აკრძალული იყო, ეგრეთწოდებულ „ძალლის“ პლიაჟზე, ერთმანეთში ირეოდა ჩაცმული და ჩაუცმელი მობანავე ხალხი, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. ზღვა აქ ბინძური იყო, სულმთლად მაზუთით გაზიმზიმებული.

მცხელოდა. სუნთქვა მიჭირდა. ვიხუთებოდი.

.. იმათ ყველაფერიც დაგვიტოვეს... — ჩემს თავს ველაპარაკებოდი. — ჩვენი მამები, პაპები, პაპისპაპები ჭირსა და ლხინში, ძნელბედობაში, როცა მტრის ხელი ყელზე ჰქონდათ წასახრჩობად შემოჭერილი, ფიქრობდნენ მომავალზე, იმათზე, ვისაც უნდა გაემრავლებინა წინაპართაგან დატოვებული მონაგარი, ვისაც იავარსაყოფად არ უნდა დაეგდო, თვალსა და ხელს შუა არ უნდა გაქრობოდა მრავალი და მრავალი თაობის სისხლის ფასად აქამდე გადარჩენილი საკმობლო...

ესენი კი, ესენი, ჩემი დღევანდელი თანამეინახენი, ყველაფერს კბილით სინჯავენ და რაც საჭმელად არ გამოდგება, ყველაფერს ძირს აგდებენ, ფეხით თელავენ. ხილის ცულის ამომჭმელი მატლებივით არიან. წინაპართა მონაგარს, დანატოვარს სულიერ არსებასავით თუ არ შემოევლები თავს, არ მოუვლი, სულ დაილევა, შარშანდელი თოვლივით გაქრება.

მოდი და ამათ, ამ მუცელღმერთებს ესაუბრე გენიაზე ხალხისა, რომლის ეპოსმა და განუმეორებელმა სიმღერებმა საუკუნეების წიაღ მოიტანეს ჩვენამდე ხალხის ცხოველი სული, მისი ფდრეკელობა... ამათთვის ან ლაწკინდარი რაა, ან აშბარა ან დიდებული მოქვის ტაძარი? გახვრეტილ შაურიანად არ

ულირთ! მე კი ვზივარ ამათთან, ათას სისულელეს ვჩმახავ, მერე რაზე არ ველაპარაკები: ყოველი ხალხის ისტორია წმინდათაწმიდა რამაა-მეთქი, ცალცალკე ვეუბნები დაშაქრულ სადღეგრძელოებს, ვსვამ ამათი ნაჭურდალი ფულით ნაყიდ ღვინოს, ვისმენ ამათ ულამს, გულისამრევ საუბარს. ვზივარ და სად ვზივარ — რესტორანში, ძველისძველი ციხესიმაგრის ნანგრევებზე, ამ მიწისთვის დაღუპულ გმირთა საფლავებზე რომ არის აგებული!

ასეთი გაგანიაა, მაგრამ სანაპირო ხალხითაა სავსე. კაცს გვერდს ძლივს აუქცევ. ირგვლივ ფუსფუსებენ ტურისტები, ჩაკოსტუმებულ-ჩაგალსტუკებული (ღმერთო, ამისთანა სიცხეში!) ადგილობრივი ლოთი-ფოთები და შარისთავები...

მცხელა, ვიხუთები...

ვცდილობ სწრაფად გავეცალო აქაურობას... მაგრამ წამდაუწუმ მეჯახებიან გამვლელები, იქნებ მართლა ძალიან მთვრალი ვარ? ხალხის ზღვა რაღაც ნამეტანი მარწევს. რა ხალხმრავლობაა, ძლივს მივიწევ წინ. სკვერში მინდა შევაღწიო როგორმე, აგერ, იმ ფიჭვთან მინდა მივიდე, ჩამოვჯდები და ცოტა სულს მოვითქვამ...

... მეორე დღესაც ჭამეს ბიჭის მიერ დაჭერილი ქურციკის ხორცი.

— მეძუძურები ჰყავდა. მაგრამ მაინც რა ქონიანია... გადასარევი ხორცი აქვს... — ერთხმად აქებდნენ.

— შარშანდელი თიკნის ხორცი რომაა, როგორ ეტყობა, წუთში მოიხარშა, — მერამდენედ ამბობდა ერთი მონადირე და ნაყვავილარი პირით ქანქლავდა კაი-კაი ნაჭრებს.

ბოლოს ყველით შეკაზმულ შიგანს შეექცნენ, ნეტარებისაგან კინაღამ ენაც ჩააყოლეს. ყოველ ლუკმაზე ქილიკობდნენ:

— ქურციკი დაიჭირა, ხელავთ!

— თავისი ხელით, აბა...

— მაშა, კაცო, მაშა!..

მთელი ის ღამე და მეორე დღე სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. სადღა იყოს ის კედელი, ყოველთვის რომ ზღუდავდა მას ყველასაგან, ამარტოხელებდა. ნამთვრალევივით იყო, თითქო ძილბურანში არისო...

... მაგრამ მეორე დღეს კი მოფხიზლდა... ისევ გადენა თიკნები დიდი ჩანჩქერისაკენ და უცებ მოუნდა სალამური გამოეჭრა, რადგან სული მუსიკას სთხოვდა. მაგრამ დანა კარავში დარჩენოდა, სადილზე მისცა ვილაცას. კარავი არცთუ შორს დაეტოვებინა და სირბილით გაბრუნდა, რომ დანა წამოეღო. ერთი სული ჰქონდა, როდის გამოჭრიდა სალამურს, რათა საამო, ტკბილი ჰანგი დაეკვნესებინა.

კარავთან ახლოს რომ მიეიდა, ხორხოცი შემოესმა და შედგა.

— ყური მიგდე, იმ სიმაღლეზე ნეტა რამ აიყვანა ეს ციებისაგან პალვგასიებული...

— რამ და ღმერთმა შეაშველა ხელი.

— ისე, მკვდარს ჰგავს ეგ ჭირიანი. ქურციკს ალბათ შეეშინდა და ფეხი ვერ დასძრა...

— ქურციკის დამჭერია, ეხუმრები!

— ჰო, ჰო, ხელით, თანაც ხელით!

— თანაც თავისი ხელით!

ისევ ახორხოცდნენ.

— თქვენ თუ იტყვით, ისეთი უნდა თქვათ, რომ...

— მტერი ჩავარდა თქვენს ყბაში.

— ალბათ ჩვენზეც ასე ლაპარაკობთ და ამიტომაც ბედი არ გვწყალობს, ეს მერამდენედ ვბრუნდებით ხელცარიელნი (ხალხს სწამს, თუ

ვინმე ცუდს ლაპარაკობს მონადირეზე, იმას ხელი მოეცარება).

ეს ნამდვილმა მონადირეებმა თქვეს.

ბიჭი კარავში შევარდა, ხმა, კრინტი არ გაუღია, ჩოფურას თავისი დანა გამოსტაცა ხელიდან და გამოიქცა... არ ახსოვს, ღვარი როგორ გატოპა და მჟაუნას ხშირ ბარდებში როგორ ჩარგო თავი... ქვითინის ხმამ გამოარკვია. თურმე თვითონვე ტიროდა. ხმამაღლა, გულამოსკვნით ქვითინებდა. თბილი ცრემლები ჩამოჰღვარღვარებდა. ქვითინის ნახმევიც უკანვე ბრუნდებოდა გამოქვაბულიდან, მისი ქვის თაღი ეკლესიის გუმბათივით დაკიდულიყო ბიჭის თავზე. დიდხანს ქვითინებდა. როცა ტირილით გული მოიოხა, პირალმა დაწვა, ხელ-ფეხი ისე გაშხლართა, გეგონებოდათ, მჟაუნას ბარდებით დაფარულ ამ ფერდზე ჯვარს უცვიათო. ცრემლები გაუშრა, მაგრამ შიგნიდან მოწოლილი ქვითინისაგან კიდევ კარგა ხანს ტოკავდა. თანდათან თავს მოერია. ჰაერი შეგრილდა, დაამდა, ნაწვიმარზე რომ იცის, ისე, და ბიჭი ნიაღვრის შემდეგ კალაპოტდაწმენდილ ღელესავით დამშვიდდა. თითქოს პირველად დაინახა მაღალი, ლურჯი, კამკამა ზეცა. მის სარკეში ერთი ფთილა ღრუბელიც არ დაფიორობდა. ადრე არასოდეს არ ჩაუხედავს ზეცის თვალებში ასეთი გულისყურით. არასოდეს უფიქრია, რა დაუსაბამოდ ღრმაა იგი. სუნთქვაც შეუგუბდა, როცა გაიფიქრა, რომ ადამიანის თვალი ვერაფერს იხილავს ამ წკვარამი სიღრმის მიღმა. ეს იდუმალი სიღრმე სწორედ იმ უსასრულობით იზიდავდა რაღაც უსაშველოდ. და ამის გამო, ან იქნებ კიდევ სხვა რამის გამოც, იგი უცაბედად მსუბუქ, მსუბუქ ბუმბულად იქცა... თითქოს გაითქვიფაო ვრცელ უკიდეგანო სამყაროში, რომლის ერთ ბეწვადაც ქცეულიყო, მაგრამ იმავდროულად ძალუძდა ეგრძნო, რომ რაკიღა ბეწვია სამყაროსი, ამიტომაც ნაწილია მისი. და როცა მყისით არა მარტო გაიგო ეს, არამედ იგრძნო კიდეც თავი ნაწილად სამყაროსი, ბუნებისა, ყველას და ყველაფერს რომ აერთიანებს, თავისი გასაჭირი არაფრად მოეჩვენა... ადამიანები კი, ადამიანები ეკეთილა, თანამდგომლებად შეიგულა. ყველა ტკივილი, დარდი და კაეშანი გადაეყარა გულს, გაქრა, აღარსად იყო და ბიჭი ნებიერად, ლაღად, უშფოთველად დათიმთიმებდა სამყაროში, ვითარცა მტვერი მისი, და მაინც მთელი ამ სამყაროს დამტევი და ამრეკლავი... და სიხარულით შეემსჭვალა გული ...

იმ შემთხვევის შემდეგ, თითქოს სულ სხვა ვინმე გახდაო, ცოლის მიმართ მთლად გამოიცვალა. ვითომ აღარ უყვარდა? უყვარდა, როგორ არ უყვარდა! ის კი არა, უფრო ძლიერაც უყვარდა. მაგრამ, საკვირველია, ღმერთმანი, სულმუდამ შარზე იყო. მიზეზს ეძებდა, ოღონდ კი რითიმე ეწყენინებინა, გული დაეწყვიტა მისთვის. აჯობებდა კია, ცოლს რომ ყოველთვის არ აეტანა ამდენი ტკივილი, არ მიეტევებინა ხოლმე. იქნებ სხვა უყვარდა, ა? არა, სხვა ნამდვილად არა ჰყვარებია! მაგრამ ერთხელ რომ აცდუნა უკეთურმა, მერე თავისდაუნებურად სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდა, თითქოს ვიღაცა უჯიკავებსო. რაღაი ერთხელ ოჯახში საქმე აეწეწა, ახლა არც ნანობდა და არც ანაღვლებდა. ბადრაკთანაც შეჯახება უნდოდა, მაგრამ ახლა უკვე ან ერთი უნდა დარჩენილიყო, ან მეორე. მაგრამ ბადრაკს

თავი ისე ეჭირა, ვითომც არაფერი ესმოდა.

მოხუცმა დაიკვნესა. ძველმა, შეუხორცებელმა იარამ გაუხსენა.

ჩრდილი უკვე ორღობეს მიდგომოდა. მაგრამ ისევ ისე ცხელოდა. გავარვარებული მიწა გუგუნებდა. მიწა აძლევდა ძალას ყველას და ყველაფერს, ვისთვისაც და რისთვისაც სიცოცხლე ებოძებინა. მიწა ღმერთი იყო, ღმერთი, სიცოცხლის მიმმადლებელი ანდა, როცა მოეგუნებებოდა, სულეთს წარმგზავნი.

და ახლაც ყოველი სულიერი, რაიც იძვროდა და ფუთფუთებდა, ადამის ძის თვალით ხილული თუ უხილავი, მცირე ბალახით მოკიდებული და გოლიათი ხეებით გათავებული, ყველაფერი ერთი საქმით — სიცოცხლით იყო გართული. გუშინდელი კვირტები სკდებოდა და ფოთლები ჩნდებოდა, ათასფერადი ყვავილები ჰყვაოდა, ნაყოფი მწიფდებოდა, იღვრებოდა სიყვარული. დედის საშოში ისახებოდა პირველი ჩვილი — ყოველივე ამას გულდაჭერებით, შეუსვენებლივ, თავისი არსით, სასრულით და უსასრულობით თავს აბამდა მოუღლელი იგი მუშაკი — ბუნება.

...და კრუხიც, ჯერეთ ისევ სისხლიანი, თავისი უჭულ-ბუჭულითურთ ორღობეში მიტუსტუსებდა. ჭრელამ, ეტყობა, სული მოიბრუნა და შემხიარულებული წიაპობდა. ცდილობდა მთლად ახლოს არ მისულიყო დედასთან, მაგრამ სხვებს ბაინც კვალში ედგა.

სუნარი არ ჩანდა. მაგრამ მოხუცი იმედს არ კარგავდა. ბიჭს გული არ გაუძლებს და ჩამოვაო.

აი, როგორც კი სუნარი ჩამოვა, გულს დარდი გადამეყრება და აწვწილი სული დამიმშვიდდებაო.

სუნარი: ჩვენ ისევ აქ ვზიგართ, „დიოსკურიაში". ყველა დათვრა, ერთმანეთს სადღეგრძელოებით ყურები გამოუჭედეს. ზღვის ნიავიც არ შველის საქმეს — ოფლად ვიხვიტქებით. ენად გაიკრიფა ხალხი. ყველას რაღაცის თქმა სურს. „მეცენატებმა" და ვილაც ორმა უცნობმა ჯერ წინაპრებს გადაჰკრეს — ინტენსიურ მეურნეობას ვერ მოაბეს თავი, დაფნა ვერ მოაშენეს და ხილის ბაღები საკმაოდ არ დაგვიტოვესო... შემდეგ იმაზე კი შეთანხმდნენ, გინდა ასე თქვი და გინდა ისე, მაინც წინაპრებიდან მოვდივართო. მერე თავიანთი ხელმძღვანელობის დახასიათებაზე გადავიდნენ, ვინ შეაქეს, ვინ გაკენწლეს (არა, შეკრული კოლექტივი კია, რაც მართალია, მართალია), ბოლოს ახალ ტელევიზორებზეც თქვეს თავიანთი სიტყვა და ერთხმად დაადგინეს, საუკეთესო ტელევიზორები უფრო ძვირი ღირსო. სიტყვამ მოიტანა და რომელიღაც მეყასბეზეც გააბეს საუბარი... აქებდნენ, ცამდე აჰყავდათ, ვილაცისგან იცავდნენ, განსაკუთრებული მოწიწებით ახსენებდნენ მის სახელს... სულ გადაუსხვაფერდათ პირისახე (ორი გაიბადრა, ორი სხვა— გაფერმკრთალდა, ეტყობა, ეს ორი იმდენ ფულს ვერ შოულობდა), როცა აყაყანდნენ, აი, ხელგაშლილი კაცი თუ ვინმეა, ეგაა, ფული ჯიბეში ჩეჩქივით უყრია და ბლუჯა-ბლუჯა იღებსო (საფულეშიც კი არ იდებსო), მარჯვნივ და მარცხნივ ფანტავსო. ოფიციანტები და ტაქსის მძღოლები ხომ ააშენაო...

მეყასბის ქება-დიდებით გული რომ იჯერეს, ბედნიერად იგრძნეს თავი, თითქოს მოიწმუნენი არიან და ილოცესო, და ისევ ჭამაზე გადავიდნენ. კანდიდატმა ამოიმეჩემა: სულ ლაწვრილებით მიამბო, დისერ-

ტაცია ასე და ასე დავწერეო, მავანს და მავანს წავაკითხეო, კეთილის მსურველებმა მირჩიეს, განსაკუთრებით შესავალზე გაამახვილე ყურადღება; დაცვაზე თავი ასე და ასე გეჭიროსო: მეტი უსმინე სხვას, შენ კი ნუ აიძულებ დიდხანს გიგდონო ყური...

რაღა დამრჩენოდა, ჯერ თვითონაც ვამბობდი სადღეგრძელოებს, ვალაბაშებდი ენას, სულ მივქარგ-მოვქარგე იქაურობა. ახლა კი ვიჯექი და ამის ჰაიჰუის ვისმენდი...

ნუთუ ამას ნამდვილად სჯერა, რომ ეგა ან მისი მრჩევლები ვისმე რამეში არგიან? ერთი ყური მაუგდეთ, აფხაზეთის მიწა-წყალზე არსებულ საავჭრო ფაქტორიუმებზეც მელაპარაკება!

— იცი, რა დღე აყარეს ერთი კაცის, აი, იმის, დისერტაციას? — წყენით მეუბნება, — იმანაც შუა საუკუნეებზე დაწერა. მაგრამ ვინ დააცვევინა! რაკი მეც შუა საუკუნეებზე მქონდა. ზოგ-ზოგებს ეგონათ, რომ მეც იმასავით დავიწყებდი ისეთი რაღაც-რაღაცეების მტკიცებას... ორიგინალობა მომინდომა ბიჭმა!.. ასეთი ავტორიტეტის წინააღმდეგ გალაშქრება იქნებოდა?!..

გული მიღონდებოდა. აქ ყოფნას ვერ ვიტანდი. მაგრამ არ ავმდგარვარ და არ წავსულვარ. ვიჯექი და ვუსმენდი...

პირისახეზე შემატყო, რომ გუნება წამიხდა და უფრო „გულწრფელად“ ამიხსნა:

— მესმის, იქნებ სულაც მართალია... მაგრამ ამისთანა პიროვნებების წინააღმდეგ გალაშქრება მაინც ნამეტანია... ხალხმა ამ საკითხებით სახელი, წოდებები, ალიარება, ჯილდოები მოიხვეჭა... შენ კიდევ წყალში გინდა გადაუყარო ყველაფერი... ვინ მოგცემს მაგის ნებას... ამდენი კი უნდა გესმოდეს კაცს... ვინ გაგიშვებს... ამას ვერ უნდა მიხვდე? შუშუ უნდა იყო, რომ ამას ვერ მიხვდე...

— ასეა, რაღა თქმა უნდა! — რატომღაც კვერი დავუკარი.

შემდეგისათვის მშობლიურ სოფელში განუზრახავს სუფრა... მადლიერი თანასოფლელები თავიანთ კანდიდატს სანაქებო პურმარილს გაუმართავენ.

...აბა, როგორ გინდა! ამან ხომ თავისი წინაპრების წარსულს შუქი მოჰფინა!

...არა, როგორ შემიძლია ამის გვერდით ჯდომა... ჩვენი ბიჭებიდან ჩემ გარდა არავინ წამოვიდა. კაი მაგარი გარეწარი ვარ... ჩემი მომავალი დისერტაცია ამ ყაიდის დისერტაციასთან ახლოა. თავიდან მუშაობა რომ დავიწყე, რამდენი აზრი, რამდენი ვარაუდი დამებადა. მერე თანდათან „მოვჭკვიანდი“, რჩევა-დარიგებები შევისმინე. სადაო და საკამათო ამოვშალე, მივარბილ-მოვარბილე. ლიტერატორები არც ისე მამა აბრამის ბატკნები არიან, როგორც ბევრს ჰგონია. რატომ უნდა გადავიკიდო ვინმე...

მაგრამ ხომ არსებობს სიმართლე, ხომ არსებობს ჭეშმარიტება, მტყუანსა და მართალს ერთმანეთისაგან რომ არჩევს.

შეიძლება სიმართლე დაიწეროს თუნდაც ამ ჩვენს ღრეობაზე. დანგრეული, აფეთქებული ციხე-სიმაგრის ადგილზე აგებულია რესტორანი და ჩვენ ვზივართ და ვყლურწავთ ღვინოს — ვასველებთ დისერტაციას იმ ხალხთან, ვისაც ერთადერთ ნამდვილ საქმედ მუცლის ამოყორვა გაუხდია. ჰოდა, უზის ასეთი ხალხი ხორაგით დატვირთულ სუფრას და ამბობს მამულზე, სამშობლოზე ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელო-

ებს. სინამდვილეში კი, სინამდვილეში... ჩვენმა მწერლებმა რატომ არ შეიძლება დაწეროონ ამათზე, ამ ხალხზე, ვინც არიან და რაც არიან...

— ხა-ხა-ხა!

ყველამ ჩემკენ მოიხედა.

— თქვენ არასოდეს გიფიქრიათ იმ ტიპზე, ამ ციხე-სიმაგრის აფეთქების განკარგულება რომ გასცა?

— ვინ არის, რა კაცია?

— ვინ არისო? ვინაა და ბარბაროსია. ბოროტმოქმედია. საფლავების წამბილწველია!

— აურია ახლა, — ჩაიბურდღუნა ვილაცამ.

ციხე-სიმაგრე რა შავ ქვად გინდა. ლოდები და ნანგრევები ყველგან არა ყრია? — თქვა „მეცენატმა“.

— არა, რაღაცაში ეგ მართალია, — დინჯად შენიშნა ერთმა უცნობმა, — აფეთქებით, რაღა თქმა უნდა, კი უნდა აეფეთქებინათ, მაგრამ ეს ქვა-ლოდები ზღვის ნაპირიდან უნდა გაეტანათ... ბანაობაში უშლის ხელს. სანახავადაც არაა ლამაზი. სირცხვილია. დამსვენებლებს რას ეუბნები...

ხედავთ, შერცხვა კაცს, რა სტუმართმოყვარე ვინმე ყოფილა!..

— ის ქვა-ლოდები სულ რომ გაეტანათ, ეს რესტორანიც არ აშენდებოდა. — შეეკამათა სხვა, — ლამაზიცაა და მყუდროც... ზედ ზღვას გადაჰყურებს.

— თქვენ რაც გინდათ, ისა თქვით, კაი კი ქნეს, კაი, — თქვა აქამდე ჩუმად მჯდარმა „მეცენატმა“, — ეს სულელური ქვების გორა რომ ააფეთქეს, სანაპირო მოასუფთავეს და რესტორანი ააშენეს.

— И на обломках самовластья напишут наши имена, — პათეტიკურად წამოიძახა ახალგამომცხვარმა კანდიდატმა, — მაგას ყურს ნუ დაუგდებთ. საზეიმო შემთხვევის გამო ვართ აქ შეკრებილნი!

უცბად ერთ-ერთმა „მეცენატმა“ ჩემი საღლეგრძელოს თქმა მოინდომა:

— ჩემო კარგო, სულ ყოველთვის ისე იყავი, თითქოს ეს-ესაა ლიტარიაში ათი ათასი მანეთი მოგეგოს!

— ღმერთო, ღმერთო! — დაიკვნესა ბერიკაცმა.

როგორ ცდილობდა ცოლი, თავისი დარდი რომ დაემალა მისგან! ერთადერთი ადამიანი ეგ იყო, ვინც ჭირსა თუ ლხინში ყველაზე მეტად უგებდა გულისთქმას. ახლაც, დღემდე ასეა. თუმცა რა ხანია აღარაა ამქვეყნად... ფიქრით, წარმოსახვით ემუსაიფება მას, სიხარულს თუ დარდს უზიარებს. ცოლი რომ ცოცხალი ჰყავდეს, რაოდენ ნეტარი, ბედნიერი სიბერე ექნებოდა, რა უდარდელად მოკვდებოდა. „არა, ჩემზე ადრე არ უნდა მომკვდარიყო, არა“... ახსოვს მისი ღიმილი, ესმის მისი წყნარი ხმა, მაგრამ უფრო მეტად მოწყენილი, დარდიანი ახსენდება იგი.

„ღმერთო, რა სიხარულით მოვკვდებოდი მასზე ადრე“.

სიცხემ იკლო. მაგრამ მიწა ჯერ ისევ ხურდა.

მოხუცი კვლავ მიწვა. ძალიან წყუროდა. მაგრამ წყლის მომტანი არავინ იყო. დოქში წყალი გათბა: დიდი ხანია დოქი გაგანია სიცხეში დგას. მოხუცს დაავიწყდა ჩრდილში გადაედგა.

და მოხუცს კვლავ მთები გაახსენდა...

... ქურციკი წიკავ-წიკავით ჩაჰყავდა ქვევით. ის კი, ქურციკი, ბიჭს ეხუტებოდა და ეხუტებოდა. ბიჭი

რატომღაც იბოღმებოდა და ისევ ჯიკავ-ჯიკავით მიაქანჩალებდა, თითქო ამით რაღაცის სამაგიეროს უხდისო. ბოლოს ქურციკი აუსხლტა და ქვასავით ჩაეშვა უფსკრულისკენ.

ისწრაფა და თიკნები ერთად მოაქუჩა, მოაქუჩა და სადგომისკენ წაიდენა. რატომღაც ეჩვენებოდა, ამ ქვეყნის ერთი თილისმა ეს წუთია მოვიხელთე და მისით გზას გავიკვალავ, ცხოვრებას გავისხვაფერებო.

ქურციკს ძვალ-რბილი გაერთიანებოდა, მთლად დაბეჟილიყო, სულს ღაფავდა, თრთოდა, ცახცახებდა. ბიჭმა დანა იძრო, ყელი გამოღადრა და... სამუდამოდ მოასვენა. გვიმრა დაგლიჯა, მკვდარი ქურციკი მიმალა და თვითონ კარავში შევიდა...

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მზარეულმა, ვინაც კერიასთან რაღაცას იტეტყებოდა და ბიჭს თავისი შეშუპებული, კვამლისგან წამოსიებული, შეწითლებული თვალები გულგრილად შეავლო.

— არა, არა ვარ, — დაუგდო სიტყვა ბიჭმა და თვითონაც გაოცებული დარჩა თავისი უკმეხობით.

— ასე ადრე რაღად მობრუნდი სადგომში, რა დროსია?..

— რაღაი მოვედი, მიზეზიც მექნებოდა. — შეეყვინჩილა ბიჭი.

მაგრამ მზარეულს თავისი საქმე ჰქონდა. ბიჭისათვის არა ცხელოდა, თითქოს წმინდათაწმიდა მსახურებას რასმე ასრულებდა და, აბა, გამეცალეთ, ხელს ნუ მიშლითო, ეწერა პირისახეზე.

შელამებულზე ის ოხოხია მონადირეები თავიანთი არასანადირო ძაღლებითურთ კარავში მობრუნდნენ დაბოღმილნი და ქანცგაცლილნი.

— ააქვეიპშაამ კი გაგვილიმა, მაგრამ ფურ ქურციკს გადავეყარეთ და იმან მთელი დღე გზა-კვალი აგვიბნია, ოღონდ კი თავისი მონაგრისათვის გავერიდებინეთ აქეთ და ბოლოს იმდენი ქნა, ხახამშრალი დაგვტოვა, — თქვა ერთმა.

— თქვენ ერთი ნუკრი მაინც მოგეკლათ და მერე ჩემი მე ვიცოდი, — გამოეპასუხა მზარეული. — შიგანს ჩაგიქაფავდით, იფ, იფ, უკეთესს ვერაფერს ინატრებდა კაცი,— თქვა და ნერწყვი გადაყლაპა.

— ნუკრის ხორცი, იცოცხლე, ცხონებაა...

— ქურციკი თავის ნუკრებს, ვიდრე ფეხს არ მოიმაგრებენ, მალლა ტოვებს, მთაში, თვითონ კი დაბლა ჩამოდის ხოლმე წასაბალახებლად, — თქვა ვითომ მონადირეებში უფროსმა.

— ამას, ეტყობა, სადღაც ახლომახლო თუ ეგულებოდა შვილები და ამიტომ იწრიალა იმდენი ადგილზე.

ლაქლაქი გააბეს. ბიჭის გარდა ყველა შეხალისდა. ბიჭს ერთი სული ჰქონდა ამოეთქვა თავისი საიდუმლო, ოღონდ კი ყველას მოესმინა და ისე არ მოჰკიდებოდნენ, თითქოს ეგ ვინაა, აქ გინდ ყოფილა და გინდ არაო.

... ჰოდა, ამოთქვა...

თავიდან არც მოჰხედეს, ერთმანეთს კი მიავლ-მოავლეს თვალი, ბიჭის ნათქვამი არად ჩააგდეს. მათ შორის მანძილი თითქოს უფრო გაიზარდა. მაგრამ როცა საკუთარი თვალით ნახეს ის ყელგამოღადრული ქურციკი, ზღაპარში რომ ხდება ხოლმე, იმის მსგავსად ყველაფერი ერთ წამში თავდაყირა დადგა. ყველანი, თითქოს ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ მონატრებიათო, შემოეხვივნენ, ვინ რა ჰკითხა და ვინ რა. ყველა თავს მოვალედ

თვლიდა შეჰლიმებოდა ბიჭს, რაიმე ეთქვა მისთვის... როგორღაც ხელები ჩამოჰყარეს მის წინაშე, დადგკნენ, თითქოს ბალღები არიან და როგორმე თავი უნდა იმართლონო. ადრე ბიჭს ამდენი ყურადღება არასოდეს უგრძვნია და ახლა დაიბნა. როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა და დაიხარა, რატომღაც ქურციკის ცური გამოწელა. იქიდან კი მოგმოულოდნელად რძემ, შესისხლისფერებულმა რძემ გადმოჩქეფა.

კედელი, აქამდე ამ ხალხისაგან რომ მიჯნავდა, ახლა ჩამოშვავდა და ბიჭი უკვე მარტოკა აღარ იყო. როცა ისევ მოჰყვა, რაც მოხდა, ყველა გულისყურით უსმენდა. ისე შემოხვეოდნენ ირგვლივ, თითქოს ეშინოდათ, ჩვენ თვითონ არ გავირიყოთ ამ წრიდანო, ვითომ ახლა ბიჭზელა ეკიდა, ვის დაიუცხოებდა და ვის კიდევ დატოვებდა ამფსონებში...

— ხელით დაიჭირა ქურციკი, ხელით! — წამდაუწუმ გაიძახოდა გახარებული მზარეული, შიგანს ასუფთავებდა და ჭყინტი ყველით კმაზავდა.

— სამუდამოდ დაიგდო სახელი, სამუდამოდ... რავარი საქმეა, ხელით დაიჭირა ქურციკი, ხელით...

— ხელით დაიჭირა, აბა! — გაოცებას არ მალავდნენ სხვებიც.

მეორე დღეს მთებიდან მაცთლა მონადირეები დაეშვნენ. ისინიც ხელცარიელნი დაბრუნდნენ. როცა არც აციეს და არც აცხელეს და იმათ უამბეს, როგორ დაიჭირა ბიჭმა ქურციკი, ხმა არ გაუღიათ, ერთმანეთს კი გადახედ-გადმოხედეს.

მზე გადაიწვერა. ჩრდილი ღობეწნულს გადაცდა. ბოსტანს ჩაეფინა, მერე ხევში გაწვა. გაიშალენ, სული მოითქვა თაკარა მზისაგან დაჭუჭკულ-დამჭკნარმა ფოთლებმა, სიმინდის ღეროები კი შეეცოცხლისფერდა.

მოხუცი წამოჯდა, — მიმოიხედა — აბსაით ძეხორციელის ჭაჭანება არ იყო. ყველანი სადღაც გაკრეფილან, მარტო დაუგდიათ ბერიკაცი.

მზე იქვე გორაკზე მდგარი მუხის მიღმა გადავიდა და მუხის ვარჯი მყის წითლად აბდღვრიალდა. მზის სხივებმა ხშირ ფოთლებში გამოაშუქეს, ტოტების წვეროკინებზე ვარსკვლავებივით აციმციმ-აკიაფდნენ და ზღვის ტალღებივით ათიმთიმდნენ. მოხუცი თვალით მიელაციცა მუხას, გული დაუამდა და თავბრუ დაეხვა, თითქოს რამდენიმე ყლუპი კაი მაგარი ღვინო დალიაო. „ღმერთო, გამახსენე, სად და როდის ვნახე წამით მზედ გადაქცეული დიდი **მუხის ვარჯი**, რომლის ტოტებსაც ასე მზის ტალღებივით ეღელვოთ?“

იქნებ ეს მაშინ იყო, როცა პირველად აახილა თვალი, **ან** იქნებ იმ გაზაფხულზე, როცა მაჭარივით, მაინცადამაინც მათრობელა რომ არაა, დაუარა ტანში პირველად სიყვარულის კრთომამ? ვერ გაუხსენებია, მაგრამ იყო, ოდესღაც იყო ის ნეტარი წუთები მის ცხოვრებაში... იყო, კი... მკრთალი, ბინდბუნდი გახსენებაც კი იმ წუთებისა ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ გულს უტოკებს. იმისთვის, რომ ადამიანმა ბუნება, მზე რაღაც სხვაგვარად დაინახო და სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც ჩაირჩინო გულში ის სხვაფიგ ნანახი, ხომ ძლიერ უნდა განიცადო რაღაც, იშვიათზე იშვიათი ბედნიერება უნდა წარმოესახოს თვალებს, რათა ყოველი არსი შენში და შენი თავი მთელი სამყაროს მოუცილებელ ნაწილად იგრძნო. ან უსაშველოდ დიდმა მწუხარებამ თუ სინდისის ქეჯნამ უნდა შეგძრას. მოხუცს

ცხოვრებაში არც ერთი დაჰკლებია და არც მეორე. მისი ცხოვრების მდინარეს აურაცხელი მორევი და ტოტი ჰქონია, სადაც ოქროს კალმახებივით ურიალიათ ამგვარ წამებსა და წუთებს.

— ურაიდა, რაიდა, ურაიდა, რაიდა... — წაულიღინა მოხუცმა და ნელგლიანად გაილიმა.

მერე თავი ასწია და ისევ იმ მუხას აჰხედა.

თანდათან მთელ ვარჯს ვერცხლი გადაელვარა... მოხუცმა მთრთოლვარე თითები თვალთან მიიტანა და მოისვა — უპეები სველი ჰქონდა...

სიწყნარეა. შარაგზიდან ჩქამიც არ ისმის — საღამომდე კაცი არ ჭაჭანებს. ბაღრაკის სახლიდანაც არაფერი ისმის — ეტყობა, სხედან და შეუქცევიან პურმარილს. ყველანი შიგნით არიან. ჯერ მასპინძელი იკითხეთ... რომ დაიწყებს, რა შვილია, გაჩერდება!..

— არამზადაა ეგა, არამზადა, — გული მოიოხა მოხუცმა.

სუნარიც რომ არ ჩამოვიდა... ვერც ხვალ ჩამოვა, ისეთი ბირი უჩანს... აქეთ და იქით გზას თითქმის მთელი დღე უნდა, ზეგ კი სამსახურში უნდა იყოს...

— ბიჭი მაინც არ ედარდება?!

წყენამ დარია ხელი, მაგრამ მაშინვე თავის თავს დაუწყო თათხვა: მოეხუცდი და ხალხს გულს ვუწყალებ. ჩემს ნება-სურვილზე ხომ არ ივლიან, რამდენი რამეც მე მომინდება. ყველაფერს გულთან კი არ მიიტანენ. მეც ვიყავი ახალგაზრდა... ცხოვრება ცხოვრებაა. ახალგაზრდებს იგი გულის გულში რომ ჩაითრევს, მიდი-მოდიზე ხელს ააღებინებს... აი, მარტოკაცი იარ. იული, დარდი და ნაღველი მომძალებია, სიკვდილიც სადღაც ახლო-მახლო ტრიალებსო... და კაცს ეჩვენება, სიკვდილის ალესილი ცელის წკრიალი და ცივი, ყინულივით ცივი სუნთქვა აგერ აქვე, ყურისძირში ისმის...

მოხუცს წყუროდა, გაიტანჯა. ისევ მიწვა, წავთვლემო ვითომ, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. ფეხის ტკივილი მიავიწყდა, მაგრამ როგორც კი შეინძრა, ტკივილმა ისევ გაახსენა თავი. თუმცა, ეტყობა, სიმსივნე ცოტა დაუცხრა.

...სუნარი არ ჩამოვიდა. მოხუცი ცდილობდა გაემართლებინა იგი. აკუა-სოხუმი იმ სიშორეზეა... მთლიან აღვილი საქმეც არაა ამ სიშორეზე წამოსვლა და უკან მიბრუნება...

...მწყემსები და მონადირეები შელოცვილებივით მიყუჩებულიყვნენ. ბიჭმა მაშინვე იაზრა, რომ მისი ქვითინი გაეგონათ. როცა რამეს ეკითხებოდნენ, ან საჭმელს სთავაზობდნენ, ფრთხილობდნენ, რაიმეთი უნებლიეთ გული არ ვატკინოთო. ეტყობა, არც ამ შეკრულ „წრის“ შიგნით იყო მაინცდამაინც დიდი სიმშვიდე და ბედნიერება. ბიჭი მიხვდა, რომ ეს „წრეც“ პატარ-პატარა უჯრედებად დაყოფილიყო და მათ შუა აღმართულ კედლებს შორის გაეკვეტებოდა ხოლმე ოომელიმე გარიყულთაგანი.

მთიდან დაეშვნენ და ყველაფერი თავიდან დაიწყო. ბიჭს ახლაც არ უჩვენებდნენ თავისი შრომის ნაყოფს. რასაც კი ეგ გააკეთებდა, თავიდან აკეთებდნენ. ოღონდ კი მისი ხელი არაფერს დამჩნეოდა. და რადგან უნდობელი ცივი თვალები შესცქეროდნენ დღენიადაგ, ყველაფერი უკუღმართად გამოსდიოდა, ყველაფერი. ნერვს ჩარგავდა და უხმეზიდა, დააბნობდა და არაფერი. თესლს ჩაყრიდა და ცოტა ხეირობ-

და... ასე გამორიყულად მუშაობდა. ვანაწამებმა გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს რამე ნაბიჯი გადაედგა მათგან დამალულად. სახლთან ახლოს ციცაბო ფერდა იყო, ზედ მდინარემდე ჩადიოდა. ფლატეზე მეწყერი კარგა ხანია ხშირ ბალახსა და ბუჩქნარს აღეკვეთა. ფლატე არც მთლად ისე დამრეცი იყო, რომ კაცი ნებანება ვერ ჩაცურებულიყო თავქვე. ამ ფლატის ყოველი ბუჩქის ძირში ბიჭმა ვაზი ჩარგო, ჩუმად, ვინმესთვის გაუმხელად. ვაზმა იხარა და გაჩნდა მთელი მაღლარი. ფლატე ვენახად იქცა. ადგილიც მზიანი იყო, მიწაც მისწრება და ვენახმა იბარაქა. ბიჭის გარდა ამ ფლატეზე ვენახის ჩამოკრეფას ვერავინ ბედავდა, მდინარეში მოტალიკტალიკე ბიჭებიც ვერ გადიოდნენ ქარაფზე გადმოკიდებულ ხეებზე. ბიჭი კი, იმის რწმენით, რომ რაღაი ვენახი მე გავახარე, ღვინის დაყენებაც უნდა შევძლოო, ყოველგვარ შიშს სჯაბნიდა, ისე ძაღლა გადიოდა ხეების წვეროკინებზე, რომ შიშისაგან ხალხს ტანში აჟრიალებდა და უმალ ეცლებოდნენ იქაურობას. ამ ხეების წვეროებიდან თხემი ქათმის ოდენა ჩანდა, ხოლო მდინარე — აქა-იქ თეთრი ჩხრიალა ჩანჩქერებით გადაკვეთილ ვიწრო ლურჯ ქამრად... მთელი ყურძნის ჩამოკრეფა მას არ შეეძლო და დიდხანს, კიდევ დიდხანს, ვიდრე ზამთარი არ მოდგა კარს, ფოთლებისგან ვაძარცულ ტოტებში კონწიალობდნენ მტევნები, მხოლოდ ფრინველთა წილად რომ დარჩენილიყო.

ვიდრე ქალი არ შეირთო და მამას არ გამოეყო, ეს მაღლარი და ეს ღვინო იყო მისი წვლილი ოჯახის ჭირნახულში. მაგრამ ქალი შეირთო თუ არა, მაშინვე გამოეყო მამას, მას ერგო ეს უჩვეულო ვენახი, კუთვნილი მიწის თითქმის ნახევარი რომ დაიჭირა. მისი ქორწილის წელს განსაკუთრებით ბარაქიანმა მოსავალმა უწია და გულის ფანცქალითა ელოდა შემოდგომას, რთველს. მისი ცხოვრება გადასხვაფერდა და იმიტომ უყვარდა ცოლი. მისი არსება აღსავსე იყო ამ სიყვარულით.

— ო, ღმერთო, ღმერთო!..

როცა ახალგაზრდა ცოლმა პირველად ნახა მისი ვენახი, გაფითრდა, დააფიცა, რომ არასოდეს გავიდოდა ამ ხეებზე ყურძნის ჩამოსაკრეფად, თორემ სახლიდან წავალ და ვერასოდეს მნახავო.

ახლა თვითონაც არ უნდოდა ხედახე ძრომიალი. მაგრამ შემოდგომაზე ყურძენი თუ ვაზის ფოთლებთან ერთად დაცვივა, მასხარად ამიგდებენო, ფიქრობდა. რთველი ხომ ქორწილამდე უწევდა. შიშობდა, ენამწარე ხალხი ჩაუმწარებდა სიხარულს, მისი გათოშილი გული რომ გაეთბო. ერთ იქედნურ, ქილიკურ სიტყვას დააგდებდნენ და მორჩა, გულს დასწყვეტდნენ...

შემოდგომის პირზე კოკისპირული წვიმები გადაობა და გადაღებას თითქოს არც აპირებდა. როგორღაც ალიონზე საშინელმა ხმაურმა წამოავდო. იგუმანა, რაც მომხდარიყო, ფლატესკენ გავარდა და გაოგნდა კაცი: პირდაპირ მის თვალწინ მიწა ნაფლეთ-ნაფლეთ ჩაცურდა თავქვე. ვაზებშემოხვიარებული ხეები შეჯანჯღარდნენ და ყურძნის მწიფე მარცვლები სეტყვასავით წამოვიდა. შემდეგ მიწა იძრა, აიყალყა. ფესვებდაწყვეტილი ხეები ჩაიქცა-ჩამოიქცნენ და სულ რამდენიმე წუთში მოვარდნილ ტალახის მდინარეში დაინთქნენ. დასახრჩობად განწირული ადამიანების ხელებივით სხმარტალებდნენ ლაფის ნიაღვარიდან ტოტები, თითქოს შველას ითხოვენო. ასე ნახევარ საათში ყველაფერი

გათავდა: ფლატე უშველებელ ჭრილობასავით ჩანდა, ვენახი კი, ვენახი მდინარის პირზე, დიდი გორაკის ძირში ჩამარხულიყო...

უცნაური განწყობა დაეუფლა. ბოლო ხანებში ეს თავისი ვენახი თავსატეხი გაუხდა. მაგრამ როცა დაელუპა, საოცარი სიცარიელე იგრძნო სულში. ალბათ ამ დღეშია მამა, მახინჯი შვილი რომ უკვდება.

ცოლი, ვინაც ეს ვენახი თავიდანვე აითვალისწუნა, შეძრწუნდა. ქალს ქმრის გამო შეეშინდა — არაფერი მოეწიოსო (ვთქვათ და, ცუდის ნიშანია, ა?)

— ღმერთო. ღმერთო!

...უცაბედად მოკვდა, მოულოდნელად. ქალმა ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო გამოსათხოვრად, ხოლო ქმარმა — მის თვალში ჩახედვა, ყველაზე მტკივნეულ ადგილას ტყვიანაკრავი ჭურიკივით გათავდა... თქვეს, ციმბირის წყლულმა მოუთავა ხელიო... მაგრამ ქმარმა ხომ იცოდა, რომ გულმა ვერ გაუძლო ქალს, გულმა...

ღალატის ასე წლის თავზე ქმარმა შეამჩნია, რომ შუალამით ცოლი დგებოდა, ოთახში ბორიალ-ბორიალით ეძებდა ფანჯარას, გამოაღებდა და ხუთვა-ხუთვით ისუნთქავდა ჰაერს, თითქოს იხრჩობა და თავის გადასარჩენად ლოდს ჩასჭიდებიაო.

— ღმერთო, ღმერთო!..

— რაღაც ჰაერი არ მყოფნის,— უთხრა ქალმა, თან ცდილობდა გულის ვარამი დაემალა; როცა ქმარმა ერთხელ ჩამოუგდო ამაზე სიტყვა, — ეტყობა, ნამეტანი გადავიქანცე ამ დღეებში...

— განა ჩემთან ასეთი ლაპარაკი იყო საჭიროო? კომბალი უნდა აეღო, კომბალი და გაეხეთქა თავი ჩემთვის! — მოხუცმა დაიკვნესა და თავი მძიმედ ჩაჰკიდა.

დიდხანს ასე იჯდა.

ბოლოს და ბოლოს კუტიკარმა გაიჭრიალა და მოხუცმა იმედიანად გაიხედა იქით, მაგრამ დედაბერი მოსულიყო.

წყალმა წაიღოს შენი თავი, წყალმა და მეწყერმა!

მისკენ მოკოჭლაობდა. მოხუცს მოეჩვენა, ამ დილას აქედან რომ წავიდა, იმის შემდეგ კიდევ უფრო დაბერებულაო. თითქოს ახალგაზრდა არც არასოდეს ყოფილიყოს...

— სხვა რომ დღეობით იზრდებოდა, ეგ საათობით იზრდებოდა...— ნაღვლიანად გაეცინა მოხუცს.

— ჟღაპრის მოყოლას ჩდილობ? — ჰკითხა დედაბერმა, როცა მისი სიტყვები ჩაესმა, — შე საწყალო, შიმშილით არ მოგკლეს დღესა!

— ეგ შენ ნუ გადარდებს, — გაბრაზდა მოხუცი, — ბალღი სადაა?

— თამაშობს... რას შეჭამ?

— ვინ გითხრა, მშიაო, წყურვილით კი მწყურია. მაგრამ მე რომ მინდა, იმ წყალს შენ ვერ მომიტანო... ისევ ის აჯობებს მოვითმინო ერთხანს...

„ვიდრე სუნარი ჩამოვაო“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეეშინდა, ამ ენაქავია დედაკაცმა ცუდი არაფერი მითხრას და გული უფრო არ მატკინოსო, და გაჩუმდა. დედაბერმა იცოდა, რომ საჭმელს მისი თანხმობის გარეშე ვერ მოიტანდა — გამაგდებსო ადრე. ე მაშინ, ახალგაზრდობაში, რამდენჯერ სცადა ყანაში მისთვის საჭმელი ჩაეტანა, მაგრამ ისეთი დღე აყარა, რომ ამაზე ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა.

— იქნება ღვინო გინდა?

— მომწყდი თავიდან! — ზიზღით უყვირა მოხუცმა. — თქვენ ღვინოს კი არა, ჯამფეზიით შეღებილ წყალს ასმევთ კაცს. ეშმაკმა

იცის, კიდევ რას არ ურევთ შიგ, ოღონდ ორიოდე ჭიქის შემდეგ ფეხზე ვერ დადგეს სტუმარი... პურმარილი გგონიათ თქვენ ეს!.. მე მომეშვით, ღმერთმა დამიფაროს ამისთანა პურმარილისაგან. ახლა მე ღვინოს არცა ვსვამ, კი უნდა იცოდე შენ...

მოხუცი მიხვდა, რომ გადაამლაშა — დედაბერი არაფერს უშავებდა. ისევ თავისი ბრალი იყო. დედაბერი დღეში რამდენჯერმე მოლასლასდებოდა, იქნება მისგან თბილი სიტყვა გავიგონოო... დედაბერი ჰგავდა ყავარდამპალ ძველ გომურს, დაწვა რომ დავიწყნოდათ. მოხუცი მას არასოდეს არ ანებივრებდა ტკბილ-ტკბილი სიტყვებით, მაგრამ მისი მკაცრი ნათქვამიც კი ქალს ამოდ უჩნდა, ამშვიდებდა. მოხუცმა ეს იცოდა. მაგრამ დედაბერმაც იცოდა, რომ მოხუცი მათ პურმარილს პირს არ დააკარებდა და ამიტომ ყლაპავდა წყენას.

— დაკლეს ჩემი დეკეული... ჩემი ქვევრიც მოხადეს... იქ ნამდვილი წვენი მიდგას. განა შენ ჩემი ყველაფერი გეზიზღება? — დაღლილი, აწითლებული თვალები ცრემლით აევსო დედაბერს.

მოხუცმა დაინახა ეს და თუმცა შებრალება არ შეეძლო, მაინც ქვის გული არ ჰქონდა, მართლა და მართლა...

— მე შენზე კი არაფერს ვამბობ... მაგრამ რად თვალთმაქცობ, რად? დეკეული რომ შეგიქანქლეს და ღვინო ოხრად გამოგიწრუპეს, მიწა გაგსკდომიათო, რად არ მიაყუჟეო...

— აბა, რას ამბობ! ჩემთვის ვის სცხელა? თუმცა ღმერთმა კარგად ამყოფოს ეგენი.

ქალი სკამის კიდეზე ჩამოჯდა. თავი ჩაჰკიდა და გაიბინდა.

...ცოლი რომ მოუკვდა, მას შემდეგ ამასთან სკამზეც კი არ მჯდარა... იმ სიკვდილმა ლახვარი ჩასცა. მანამდე კაცის ცხოვრება მდინარის დინებას ჰგავდა: ხან მოდიდდება, აიძღვრევა, მერე ისევ დაწდება, წყალმარჩხობს. იმ სიკვდილის შემდეგ კი კაცის ცხოვრება დაემსგავსა წყაროს წყალს — წყაროს წყალი სულ მუდამ მჭვირვალეა. არასოდეს იმღვრევა, არც იკლებს და არც იმატებს, რაცაა, ისაა...

— რა ხალხია ეგ თქვენი სტუმრები?..

— ერთი სვამს, მაგრამ რას სვამს...

— ჯანდაბამდეც გზა ჰქონია...

გაყუჩდნენ, ორივე თავისას ფიქრობდა.

ჩრდილს დაეფარა ეზო-კარის დიდი ნაწილი, მაგრამ მაინც ცხელოდა. ნიავი არ იძვროდა, სიოც არ უბერავდა.

— ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი! — გაისმა ყვირილი ბაღრაკის სახლიდან თუ გზიდან.

— ჰო, ჰო, თქვეს, სოფელში ავი ძაღლი დაძრწისო, — შეშფოთდა დედაბერი. — ის სამგლე, ისა!

— შენ რისი გეშინია, შე უბედურო. მე და შენ ცოფიანი ძაღლიც კი არ გვიკბენს ახლა, — მწარედ გაიღიმა მოხუცმა. მაგრამ შიშილი გაახსენდა და გული შეუქანდა. — ბიჭს არაფერი მოუვიდეს, ბიჭს... წადი, თუ ქალი ხარ, და ჩქარა მომიყვანე ი ბალანა აქ...

— ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი!

— ბიჭი სახლშია... ცოფიანი ძაღლი რა, მე დამინდობს? დამკბენს.

— შენ გაგაცოფა ღმერთმა ამ ძაღლივით! — გაბრაზდა მოხუცი და წამოდგომა სცადა, მაგრამ ტკი-

ვილმა დაკრუნჩხა და ვერ ადგა, — ბიჭს არაფერი დაემართოს, თორემ შავი დღე დაგადგებათ!

— ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი!

სადღაც ახლოს, ყურის ძირში, დაიყეფა ძაღლმა. შეშინებული დედაბერი წამოვარდა. მოხუცმა ზიზღით ახედა.

— ცოფიანი ძაღლი!

ზედიზედ ორჯერ გავარდა თოფი.

— უი, უი, — იკივლა დედაბერმა.

წკმუტუნი მოისმა და ღობის ხვრელიდან ეზოში შემოსავსავდა ციცქნა თეთრი ფინია, გაწამებული და ტალახში ამოთხვრილი. თავი და ყურები დასისხლიანებული ჰქონდა: ან დაეჭირათ ან ძაღლებს დაეკბინათ.

— უი, უი! — ისევ იკივლა დედაბერმა და სახლისკენ უნდა გავარდნილიყო, რომ უცბადვე შედგა. — უმალ რატომ მიწა არ გამისკდება. ეს ხომ ქვრივის ძაღლია?!

გაუმაძღარმა ეზოს ძაღლებმა აქამდე მოსდიეს ფინიას. მაგრამ ვერც გამოძვრნენ ღობეში, ვერც ვადმოახტნენ და ყეფა-ყეფით ტრიალებდნენ ადგილზე. თეთრი ფინია ეი სახლქვეშ შეძვრა და იქ მიიმალა.

— მაინც საიდან გაიგეს იმ ჭკუის კოლოფებმა, ძაღლი ცოფიანიაო, — ნხრები აიჩეჩა მოხუცმა, — ცოფიანი საიდანაა ნეტავი, ამ ღილასაც აქ არ იყო!..

— ქვრივი საავადმყოფოში წაიყვანეს, სიკვდილის პირასაა,—თქვა დედაბერმა. — ძაღლი მასთან გაიქცა... ორნილა ცხოვრობდნენ. ჰოდა, დარჩა ეს უპატრონოდ...

— ერთი მანახა, ის საქმედალეულები, ამ საწყალ ფინიას რომ დასდევენ!..

ამ დროს ეზოში შემოირბინა სისამ. ორლულიანი თოფი ეჭირა, უკანოჩოფეხებზე შემდგარივით წოწოლა მწითური კაცი მოსდევდა. იმასაც რაღაცნაირი გრძელი, გამჭვარტლული, ძველებური თოფი ეკავა.

— ცოფიანი ძაღლი ხომ არ დაგინახავთ?!

— ცოფიანი ძაღლიო?

ამათი ხმა რომ გაიგონა, ფინია წკმუტუნ-წკმუტუნით გამოძვრა სახლიდან და თავგამეტებით გავარდა.

— ხელი არ ახლოთ, არ გაბედოთ, ეგ ძაღლი ცოფიანი არაა! — გაბრაზებით უყვირა მოხუცმა თოფიანებს, მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა.

— ნუ ეშვრით, თქვენ რა, ხომ არ შეიშალეთ! — დედაბერი ძაღლის მდევრებს ტუსტუსით გაეკიდა, მაგრამ სროლის ხმისა შეეშინდა და უკანვე მობრუნდა.

ჯერ სისამ ისროლა, მერე იმ წოწოლამაც. ძაღლი იწვა სისხლიანი. უსულო. ეზოს ძაღლები ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ, რატომღაც შორიახლო ტრიალებდნენ და ყმუოდნენ.

— მოუსვით აქედან! — უყვიოა მათ სისამ და ორლულიანი თოფის ბიჯგვა-ბიჯგებით ამაყად თავაწეული მოხუცისკენ გაემართა.

— ძაღლის შვილო! — შეაგინა მოხუცმა.

— ძა-ა-ღლები შე-ი-ძლება ლააცოფდნენ, — ენის ბორძიკით თქვა ოჩოლოხებიანმა.

— შენ რაო, გგონია, რომ კიდევა აქვს ამას კბენის თავი? — ჩაიხითხითა სისამ.

— ვი-ი-ინ ი-ცის, — მიუგო ოჩოფეხებიანმა. — ი-ქნე-ბა თა-ავს ი-ი-იმკვდა-ურუნებს...

— კი, მასე იქნება, ორი ტყვია შიგა აქვს და იმკვდარუნებს თავს.

ოჩოფეხებიანი მაინც გავიდა კუტიკარიდან, კისერი დაძაგრა, სისხლიან ტბორში ჩაწოლილ ფინიას დააცქერდა და მერე ეზოს ძაღლებს უყვირა. ძაღლებიც, თითქოს ამ ნიშანს ელოდნენო, ერთხელაც აწკავწკავდნენ უგუნებოდ და დაიშალნენ. მოხუცის ძაღლიც, ჩალიკა, მათ გაჰყვა.

— რას იტყვი, — ჩაეკითხა სისა მოხუცს, როცა ახლოს მივიდა, — მარჯვედ ვისვრით თუ არა, იმედი მაქვს, თქვენი თვალით ნახეთ...

ძალიან მთვრალი იყო. ამ დილას ჩუმად და შემპარავად რომ ლაპარაკობდა, ისე კი არ იყო, ახლა თავხედურად, ხმამაღლა ყვიროდა. ღვინომ თითქოს საამკარაოზე გამოიტანა მამამისისეული თავგასულობა, ქედმაღლობა, ორპირობა.

მოხუცი შეტოკდა.

— ბედმა გაგიღიმა, რომ საკუთარი თვალით ნახე, რა მსროლელიცა ვარ. ყველას კი არ უნახავს ამისთანა რამ... — სისა მთლად ახლო მივიდა მოხუცთან, თოფი ჯოხივით დაიბიჯგა და, ასე ამაყად მკერდგამოწეული, „შენობით“ ელაპარაკებოდა ბერიკაცს. მოხუცი ხედავდა მის პატარა, თითქმის ბავშვისნაირ ფეხებს, გალაბლაბებულ რბილ ჩექმებს, თუთის ძირას ბალახს რომ თელავდნენ.

— ლატომ ქენით ეს, ლატომ? ეს ძაღლი ჩოფიანი კი არაა, ქვლივისაა, ქვლივისა, — თქვა დედაბერმა.

ეტყობოდა, რომ ძმისშვილის შიში ჰქონდა და ამიტომ გულისწყრომას მალავდა.

— რა მოხდა მერე, ეს თუ ცოფიანი არაა, ცოფიანსაც მოვკლავთ! — კიდევ უფრო თავაგდებულად იყვირა სისამ.

— სა-ა-დმე შო-ორს უ-ენდა გა-ა-და-ვაგდოთ, თო-ორემ და-ა-ცოფავს ვი-ინმეს!.. — როგორც იყო დაადგა საშველი ოჩოფეხებიანს (ფერშალი-მეანი გახლდათ, მაგრამ რაკიღა სოფელში სხვა ექიმი არ იყო, თერაპევტობასაც ეგ სწევდა).

— ფლატიდან ვისროლოთ, — თავს გავიდა სისა...

— რო-ო-გორ შე-ე-იძლე-ება, ჰი-ი-ი-გიენა ნუ გა-ა-ვიწყდე-ებათ! — მკაცრად თქვა „ექიმმა“ და ჩხირივით საჩვენებელი თითით დაემუქრა.

— თქვენი თავფეხი იყოს ამ ძაღლის ტყავში, — გამოსცრა კბილებში მოხუცმა და დაუფარავი ზიზღით შეავლო თვალი ორივეს.

— რაო, რაო?! — ვითომ ვერ გაიგონა სისამ მოხუცის სიტყვები.

— უსაქმურები ხართ, არაფრის მაქნისები!

— აბა, აბა! — პირისახეზე მათრახშემორტყმული ცხენივით შეაქანჩალა თავი სისამ.

— არამზადებო, რატომ ეშროლეთ ჯაღლს, რატომ! — უცებ გაიმამაცურა გული დედაბერმა და შეუტია თოფიანებს.

— შენც ხომ არ გინდა მიგაყოლო? შენ რა შავი ქვა გინდა? — გამეხდა სისა, — ხმა ჩაიკმინდე, შე კუდიანო, შენა!

დედაბერს მაშინვე ენა დაება, რაღაცის ჩიფჩიფ-ჩიფჩიფით წატუსტუსდა კუტიკარისაკენ.

— ტყვიას ვერც გავიმეტებდი თქვენთვის. ცოფიანი თქვენა ხართ, ეგ ძაღლი კი არა! — უყვირა მოხუცმა.

— კარგი, ჰო, გეყოფა. — სისამ ქოჩრიანი თავი გაიქნ-გამოიქნია, — ეტყობა, არაფერი დაგრჩენია აქა, — თითი საფეთქელთან დაიბზრიალა და გაეცალა.

— ბიძა, გენაცვალე, — უცებ

სრულიად ენამოუკიდებლად დაიწყო საუბარი ოჩოფეხებიანმა. წელში სამად მოკაკულიყო, რათა მოხუცისათვის რაღაც ეთქვა. ისეთი ნასვამი იყო, რომ მისმა ამონაორთქლმა მოხუცს კინაღამ გული აურია.

— მიდი, მიდი, შენს საყვარელ ძმაკაცს მიჰყე, — ზურგი შეაქცია მოხუცმა.

— თქვენ, როგორც ჩანს, ფეხი... თქვენი ქალიშვილი ამბობდა. — ენას არ უკიდებდა, მაგრამ სიტყვებს ნელა, ნელა ამოთქვამდა ოჩოფეხებიანი, თითქოს პირში ცხელი ნაჭერი უდევს და ვერა და ვერ დაუღეჭიაო, — ნურაფრის გეშინია... ისეთნაირად გაგხდი, სულ ცეკვა-ცეკვით იარო! —ღიმილისმაგვარი რაღაც გაუკრთა პირისახეზე ფერშალს.

მისი შეხედვაც კი გულს ურევდა მოხუცს. განსაკუთრებით ის აცოფებდა, მძიმე-მძიმედ რომ ამოთქვამდა სიტყვებს. მაინც რა ბუზანკალი შეუჯდა დღეს! თუ ყოველთვის ასე იყო... ალბათ ასე იყო. მაგრამ ვერ ამჩნევდა... რახანია ადამიანის ჭკვიანური საუბარი არ მოუსმენია. შვილიშვილმა დაავიწყა, რაც იცოდა. ორ სიტყვას ვერ აბამს ერთმანეთს. ეს უკბილო დედაბერია და ჩიფჩიფებს. გული გილონდება კაცს, ეგ რომ იცოხნება. სისაა და ხან დამტკბარ-დაშაქრულად გელაპარაკება, ხან თავხედურად როტავს, ეს ენაბლუ ექიმი სიფხიზლეშიც დაბმულ ძაღლს ააწყვეტინებს და სიმთვრალეში ხომ მტერს მასთან ყოფნა. რაღა დარჩა, ეგ და ხიკა თუ შეეხმიანებიან ერთმანეთს დილდილობით და ეგეც, რასაც ამბობს, ნახევარი უხიაგია, საწყენი ნათქვამია... რა ღვთის წყრომაა... შენი არაფერი მინდა, ნუ მასმევ და ნუ მაჭმევ, ოღონდ ადამიანური სიტყვა გამაგონე, კაცური სიტყვა; კაი სიტყვის გემო კარგა ხანს ყოფნის კაცს სიხარულად.

— რა წამალი გინდა, რომ არ მქონდეს... სულ იმ ხალხის გამოისობით... მყავს ხალხი... იქიდან მიგზავნიან... — ძლივს ღერღავდა ფერშალი სისულელეებს, — გაცეკვებს, გეუბნები...

მოხუცმა მისი ხელი მოიშორა.

— რაო, ბიძა... იცი, საიდან მიგზავნიან წამლებს?

— მსირიდანაც რომ გიგზავნიდნენ, მაინც... წადი, გამეცალე, კიდევ დაგრჩებოდა დასალევი...

— აჰა, — ისევ ღიმილისმაგვარი რაღაც გადაეკრა პირისახეზე კაცს. კე-ე-ე-თილი... მაშინ ხვალ... მე წამალი მაქვს... ამისთანას ვერც თბილისში იშოვი და ვერც სოხუმში...

— ჩემი ჭიშკრიდან ის მკვდარი ძაღლი გადაათრიე, — უთხრა მოხუცმა, — თუ გინდა, იმ შენს სტუმრებს მიმირთმიე სუფრაზე. ალბათ გაგონილი გექნება თქმულება, მღვდელმა რომ ღორი აჭყივლა და ძაღლი დაკლაო...

— რრ-როგორ შეიძლება... ჰიგიენა! — ისევ ღიმილისმაგვარმა ნიღაბმა მოუქცია პირისახე ფერშალს და თავისი გამჭვარტლული თოფის ბიჯგებით ჭიშკრისაკენ წავიდა.

— რა აზრი აქვს ამაზე გულის მოსვლას, — უთხრა მოხუცმა თავის თავს, — ამ მათხოვარს რას სთხოვ?

მოხუცმა თვალი გააყოლა და გაეცინა. სიცხე თანდათან იკლებდა. მაგრამ ნიავი ახლაც არ იძვროდა: ერთი ფოთოლიც არ შერხეულა, ყველაფერი მოჯადოებულივით გალურსულიყო. ბოსტნიდან ჯერ ისევ ყვავილიანი საადრეო ლობიოს სურნელი მოვიდა, მერე კი გოგრისა და კიტრის ყვავილებისაც. შემდეგ სი-

---

[1] მსირი — ეგვიპტე

ცხე მთლად დავარდა და ქვემოდან, ნოლებიდან ველური ყვავილების ძალუმი ამო სურნელი და შემჭკნარი ცაცხვის ფოთლების სუნი მოვარდა. გუგუნი, რასაც მოხუცი მთელი სხეულით გრძნობდა, მიხუსტდა, მინელდა, და ყოველი სულდგმული ახლა უფრო შვებით სუნთქავდა, იზრდებოდა, მხრებში იშლებოდა, ფესვებს სჭიმავდა და მიწა ახლა უფრო იოლად მიჰყვებოდა მათ ნებას. მოხუცი თითქოს განუწყვეტლივ გრძნობდა სიცოცხლისათვის და სიცოცხლის გამოისობით მიწის ამ მუშაკობას.

ალაყაფს იქიდან ერთხანს კიდევ მოისმოდა „ექიმის“ ხმა და ბალღების ჩქამი. მოხუცმა დაძაბულად მიაყურადა: ადგური იმათში არ ერია. „ექიმი“ და ბალღები მკვდარ ძაღლს რაღაცას ეცოდვილებოდნენ, შემდეგ აიღეს და სადღაც წაათრიეს. ბავშვების ჟრიამულში წამდაუწუმ გაისმოდა „ექიმის“ ყვირილი: „ჰიგიენა, ჰიგიენა!“

— დედა ნახე, მამა ნახეო... აბა რა შვილი უნდა ჰყოლოდა იმ... — გაგულისებით წაიდუდღუნა მოხუცმა.

მოხუცი ცდილობდა ხიკას საქმეებში არ ჩარეულიყო. როგორც ჩანს, ახლა უამისობა არ იქნებოდა... სისას იმასთან არაფერი არ უნდა გამოუვიდეს, თორემ მორჩა, სამუდამოდ გაუბედურდება... თვითონ მოხუციც ვერ გადაიტანდა ამას... მართალია, აქამდე კი დუმდა, მაგრამ მისი საბაბიც ჰქონდა...

— ღმერთო, ღმერთო! — დაიკვნესა მოხუცმა, — რა მოგონებები ამეკვიატა ერთი! მეხსიერება ხაინც არ იყოს ასე ულმობელი ჩემს მიმართ. რაღაი ასე წავიდა საქმე, ვერც ვერაფერს შეცვლი. ოღლა დამრჩენია, მორჩა, მეტს არ ვიფიქრებ, არაფერს გავიხსენებ და დავმშვიდდები.

რამდენ რამეს ივიწყებს ზოგიერთი, ისეთ რამეებს ივიწყებენ!... მოხუცს კი ყველაფერი ახსოვდა. ახსოვდა რომელია — მთელი ამ წლების მანძილზე სინდისი ქეჯნიდა და არათუ მშვიდდებოდა, სულ უფრო და უფრო უფორიაქდებოდა სული... გასახსენებელი რა ჰქონდა — უბრალოდ, არც არასოდეს დავიწყნია რაიმე. მას შემდეგ, რაც გაუსწორებელი რამ დაატყდა თავზე, სირცხვილი წვავდა. ის ბიჭი შვილივით უყვარდა, პატივს სცემდა მის პატიოსნებასა და გულკეთილობას. იმ დაწყევლილ დღეს კი პირველად შეიტყო, რომ მის გოგოს და იმ ბიჭს ერთმანეთი ჰყვარებიათ. როგორი პატიოსანი ბიჭიც იყო, ისევე გულწრფელი და ღრმა სიყვარულით ჰყვარებია. ამას ვერავინ ხვდებოდა ვერც ადრე და ვერც მერმე... მერე ხიკა, ხიკა? მაშინ, აბა, მაშინ ისეთი ქალი კი არ იყო, რომ სისას თუნდაც სათოფეზე გაჰკარებოდა, სამჯერ უფრო ლამაზი ვაჟაციც რომ ყოფილიყო.

ის ყმაწვილი მოხუცს რაღაც განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული მოკრძალებით ეკიდებოდა: რჩევას ეკითხებოდა და ბოლომდე ყველაფერს უჯერებდა. როგორ სიამოვნებდა ეს ამბავი მოხუცს, ვინც დანატრებული იყო ადამიანურ ურთიერთობას, თანაგრძნობას. მოხუცმა არ იცოდა, რატომ მაინცდამაინც იგი გამოარჩია ყმაწვილმა. მაგრამ ეს რომ მარტო ხიკას სიყვარულის გამო არ მომხდარა, ესმოდა. არა, კი არ ესმოდა, გულით გრძნობდა... გულს კი იგი არასოლეს მოუტყუებია...

...და თავისი ცხოვრების უსაშინელეს, უმძიმეს დღეს ყმაწვილი

მოხუცთან მოვიდა. მოვიდა და მას ერთადერთს, ერთადერთს უამბო, რა დღეშიც ჩავარდნილიყო...

„ნეტა არაფერი მცოდნოდა, ნეტა არაფერი გამეგო, არაფერი“...

...ლევარსანი (ბიჭს ასე ერქვა) მთლად ბალანა წაიყვანეს ჯარში. ომი იყო. ასე, ნახევარი წელი ასწავლიდნენ სადღაც ახლოს სამხედრო საქმეს. ფრონტისკენ მისი ნაწილი აფხაზეთის გავლით მიდიოდა. და როგორღაც საღამოს, როცა ეშელონი ერთ-ერთ სადგურზე გაჩერდა, ვიღაცამ გვერდზე გაიხმო, თავში რაღაც მძიმე ჩაარტყა და დაარეტიანა... გონს ტყეშიღა მოვიდა... ვიღაც უცნობ ხალხს მისთვის გულზე ავტომატი დაებჯინა. — უბრძანეს, მთაში აგვიყვანე, აქაური ხარ და გზა-ბილიკები კარგად გეცოდინებაო.

ლევარსანი: ყველაფერს აჯობებდა იმდენი მექნა, რომ შუბლში ან ჭიპში ტყვიის ჯერი მოეშვათ და მორჩა, მოვისვენებდი. მაგრამ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა და ჩემი სახელი საწარამარაო გახდებოდა — ეგ ხომ დეზერტირი და დედალი იყო. ყბად ამიღებდნენ... ამაზე მეტი თავის მოჭრა იქნებოდა?!

ლევარსანმა ისინი ტყე-ტყე თავისი სოფლისკენ წამოიყვანა. ალიონზე ბავშვობიდან ნატანტალებ გამოქვაბულს მოადგნენ. როცა შიგ შეყუჟდნენ, მისთვისღა ნაცნობი გასავლელით დაუძვრა ხელიდან იმათ.

... და მოხუცთან მოვიდა, სხვასთან არავისთან.

იმ დღეს ბადრაკთან გამანადგურებელი რაზმის ხალხი სტუმრობდა. ბადრაკი ამ რაზმში მსახურობდა. ათეული ებარა. მოხუცმა ეს ამბავი უთხრა ყმაწვილს, მაგრამ ურჩია ბადრაკს ნურაფერს ეტყვიო. ტანი უგრძნობდა, ბადრაკმა რომ ლევარსანის გასაჭირი გაიგოს, საქმე ცუდად დატრიალდებაო. მოხუცს უნდოდა სხვა რამე მოეფიქრებინა...

ლევარსანი: კი, ბატონო, მაგრამ დრო არ ითმენს. უნდა ვიჩქაროთ შეიძლება ეგენი მიიმალონ. რაც მართალია, მართალია, ბადრაკი კარგი თვალით არასოდეს მიყურებდა... ალბათ იმიტომ, რომ სულ პირში ვეუბნებოდი, ნუ თვალთმაქცობ, ვიცი, ვინცა ხარ-მეთქი... მჯეროდა, რომ ეს ხმამაღლა უნდა მეთქვა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად და ვამბობდი კიდეც, როცა საერთო საქმე იყო. ბადრაკს ჭირის დღესავით ვძულდი, თუმცა აშკარად არასოდეს გამოუმჟღავნებია ეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის პირდაპირ არასოდეს უთქვამს. მე კი გულში მას ვამართლებდი ხოლმე, ვფიქრობდი, ყველაფერში სცოდავენ-მეთქი ლაჩრები და შემგუებელნი. სადმე არც კარგს დაგიდევენ და არც ცუდს, პირში წყალჩაგუბებულივით არიან-მეთქი.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — ამოიოხრა მოხუცმა. — რა წმინდა ბიჭი იყო, წმინდა და მერე როგორი... იმას ეგონა, ყველა ჩემსავით ალალიაო...

იმ დღეს სხვა გამოსავალი მართლაც არ იყო... ბადრაკმა ლევარსანი იქვე, ადგილზევე დააპატიმრა და გამოქვაბულისკენ წაიგდო. მოხუციც მიჰყვა.

გამოქვაბულს ალყა შემოარტყეს და რაიონში კაცი გაგზავნეს მაშველი რაზმისთვის.

ბადრაკმა და მისმა ჯგუფელებმა ხელსაყრელი ადგილი დაიჭირეს და უიარაღო ლევარსანი გამოქვაბულში გააგზავნეს: აბა, ჰე, დეზერტირებს უთხარი, ნუ სულელობენ მანდ და

დაგვნებდნენო (ცოტანიღა იყვნენ— ექვსი შეიარაღებული დეზერტირი, მეტი არა).

— მიდი,მიდი, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, გამოიტყუე ეგენი მანდედან! ოღონდ, იცოდე, მიზანში მყავხარ ამოღებული. როგორც კი გაქცევას განიზრახავ, შენს თავს დააბრალე!.. — გამოსცრა კბილებში ბადრაკმა.

ეტყობა, მოხუცსა და ლევარსანს შეუძლებლის იმედი ჰქონდათ... ომის დროს ლევარსანის დღეში ჩავარდნილ კაცს არავინ დაენდობოდა...

ლევარსანს სიკვდილისა არ ეშინოდა, თავზარს ის სცემდა, ჩემი სოფლელები სიმართლეს ვერასოდეს გაიგებენო. მოხუცსღა ეცოდინება სიმართლე, სხვები, სხვები მიატყუებენ სამარცხვინო დამღას — „დეზერტირის“ დამღას. არა, ლევარსანს ასეთი სიკვდილით არ უნდოდა მომკვდარიყო.

ჩუმად მისვლა არც უფიქრია. წელში გამართული უიარაღო ლევარსანი პირდაპირ გამოქვაბულისკენ წავიდა. მოხუცი ყველასგან გამოცალკევებულად იჯდა სამალავში და, ვაიმე, ყვირილი არ მოვრთოო, ტუჩზე ისე იკბინა, სისხლი დასდინდა. ყველა მიყუჩდა და მუხთალ სიჩუმეში გაისმოდა ქვიან ბილიკზე მიმავალი ლევარსანის ფეხის კაკუნი. გამოქვაბულის შესასვლელს რომ მიუახლოვდა, მან რაღაც დაიძახა, მაგრამ მოხუცმა სიტყვები ვერ გაარკვია, რადგან მღელვარებისგან ყურები უგუგუნებდა და არც გულისწამღები სიჩუმის დამფლეთი სროლის ხმა გაუგონია. მაგრამ უცებ დაინახა, რომ იმ ქვიანზე ლევარსანი მოცელილივით დაეცა პირქვე. მაშინ მოხუცმა იყვირა, მაგრამ მისი მისუსტებული ხმა არავის გაუგონია, რადგან ორივე მხარეს გახურებული სროლა იყო.

სროლა დიდხანს არ გაგრძელებულა. ორი დეზერტირი მოკლეს, სხვებმა მეთაურს ტყვიები ლაახალეს და გაიქცნენ.

მოხუცი მივიდა ლევარსანთან, გადმოაბრუნა, ჩაიჩოქა და გაყინული თვალები დაუხუჭა. გულზე ერთი, ერთადერთი ნატყვიარი აჩნდა შავად. იმ ერთ, ერთადერთ ტყვიას შიგ გულში გაევლო....

მოხუცი რომ ცხედართან ნახა ბადრაკმა, არც აცია და არც აცხელა და, მოაშორეთ გვამი აქაურობასო, ბრძანა.

— სანამ რაიონიდან არ ჩამოვლენ, ხელი არ ახლოთ, — ყალყზე შედგა მოხუცი.

— შენ აქ რა ეშმაკი გინდა! — თვალები გადმოუკარკლა ბადრაკმა, — აქ სეირი კი არა გვაქვს?! შუბლში რომ ტყვიას ჩაგისვამენ, მაშინ გაიგებ... ცხედარი გააცალეთ აქაურობას!

მოხუცს რაღა უნდა ექნა...

რაიონიდან რომ მაშველი მოვიდა, ყველაფერი გათავებული დახვდათ.

იმ დღეს ბადრაკი ვისაც არ უნახავს!... როგორი გაყინჩული დაბოტებდა!

მოხუცი მივიდა რაისაბჭოდან მოსულ უფროსთან, სთხოვა, ნახეთ ერთი, ლევარსანს ის ტყვია რომელი მხრიდან მოხვდა და გაარკვიეთ, რატომო...

შემდეგ ის რამდენჯერმე გამოიძახეს, მაგრამ ვერაფრის დამტკიცება ვერ შესძლო, დაიბნა... მერე სულაც ხელი ჩაიქნია...

ცოლი ის-ის იყო მოუკვდა, ბიჭი მთლად პატარა ჰყავდა, ხიკაც ციცქნა გოგო იყო...

— ღმერთო, ღმერთო, — დაიკვნესა მოხუცმა.

...და ხიკა ცოცხალ-მკვდარივით დადიოდა... მოხუცს კი უსაშველო მარტოსულობამ დარია ხელი. ყველა თავის ნიჟარაში ჩამალულიყო და მოხუცი გამოერიყათ. თითქოს სულ სხვაგვარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და სულ სხვა რამეს გამოელოდნენ ამ წუთისოფლისგან, სულ სხვა რამეს, ვიდრე მოხუცი გამოელოდა. თითქოს ომს მისთვის რაღაც განსაკუთრებული, სხვების დარდისგან განსხვავებული სადარდო მოეტანოს...

ახლა იგი უკვე აღარ ელოდა მარჯვე შემთხვევას, იმ წუთებს, როცა ადამიანებისგან გამმიჯნავ კედელში ღიობი გაჩნდებოდა, რათა „წრის შიგნით“ აღმოჩენილიყო და საკუთარ თავთან გულისდამთუთქველი ბრძოლის აუცილებლობისგან დაესვენა. იმიტომ რომ, რაც მოხდა, ყველაფერში მხოლოდ თავის თავს ადანაშაულებდა: „იმ ერთხელ სულმოკლეობა ხომ გამოვიჩინე... საქმემ რომ მოიტანა, თავი არ გავწირე... შური არ ვიძიე, როცა საბაბი გამიჩნდა... შემეძლო კია საბოლოოდ მომეთავებინა მისთვის ხელი და განვიწმინდებოდი კაცი...“ ცხადია, სახელის მოსახვეჭად კი არ გააკეთებდა ამას, ვერც მკვდარს გააცოცხლებდა ამით, იქნებ მისთვის ვერც შებღალული სახელი აღედგინა, მაგრამ ხომ არსებობს გრძნობა ადამიანური მოვალეობისა, საკუთარი თავის, საკუთარი სინდისის წინაშე მოვალეობისა.

...ბადრაკი ხომ მთლად ცხვირაბზეკილი დადიოდა, თითქოს ხალხს ეუბნებოდა: „ნახეთ, ნახეთ, ვინცა ვარო“.

„მე კი, მე, ზღაპარში რომაა, იმ უხეირო კაცს ვგავდი, ვინც ჭრილობაზე მოსაყრელად ნაცარი ვერ იშოვა და დევი ვერ მოკლა... და წაჭრილი თავის ადგილზე დევს სხვა თავი ამოუვიდა...

— ურჩხულია! — თქვა მოხუცმა, — ურჩხულია, აბა რაა!

ბადრაკივით ამქვეყნად არავინ ეჯავრებოდა.

მზე თითქმის სულ გადავიდა. აგრილდა. მიწა უფრო გულუხვად, ბარაქიანად ღვრიდა თავის წვენს, დედურ რძეს თავისას.

მოხუცსაც მოეჩვენა, დედამიწა ახლა უფრო ძლიერად მაწვება ფეხისგულზე და იგი აგერ ახლა, აგერ ახლა გააღებს პირს და კაცის ხმით რაღაც მნიშვნელოვანს, სასიკეთოს იტყვისო...

გრილმა სიომ რომ დაუბერა, მოხუცმა შვება იგრძნო. თავი მაინც უბჟუოდა და დიდხანს იჯდა ასე, თავდახრილი და ბალახს მისცქეროდა.

ფეხთან ხოჭო დაფართიფურთობდა. ცხენის ჩონჩორიკის ბურთს მიაგორებდა საითკენღაც, უკანა თითებით აწვებოდა, ძალიან ჩქარობდა. რაღაც აწრიალებდა. ერთი-ორჯერ წაუჯიკავებდა, გაირინდებოდა, თითქოს რაღაცას აყურადებსო, მერე ისევ და ისევ აწვებოდა ბურთს. მოხუცი მიხვდა, რომ ხოჭო თავის თავის ტვირთს ხვლიკის ტყავივით გაძარცვულქერქიანი თუთის ფესვისკენ მიაგორებდა. ამ ფესვის ირგვლივ ბალახი თითქმის არ იყო და ხოჭო იქითკენ თავის ბურთს ალბათ იმიტომ მიაგორებდა, რომ ფხვიერ, ფაფუკ მიწაში ჩაემალა.

მოხუცმა გაიღიმა.

ამ დროს კუტიკარმა გაიჭრიალა. მოხუცს ყველა ფიქრი გაუწყდა და გაილურსა — ნეტა ვინ არისო. ხიკა და შვილიშვილი მოსულიყვნენ.

— თვითმფრინავი, თვითმფრინავი! — იძახოდა ადგური. ბაბუასთან მიირბინა. ხელში ლითონის რაგინდარა სათამაშოები მოექუჩებინა.

ბიჭმა თავისი განძი ბალახზე ჩამოაწყო და ბაბუას მიეკრა. ბაბუა ნეტარებით მოეხვია შვილიშვილს.

— ვინ მოგცა, ბაბუ, ეგენი?

— მამა, მამა... — იმეორებდა ბალღი და ბაბუას პირსახესთან ხან ერთი სათამაშო მიჰქონდა აღტაცებულს და ხან — მეორე.

— სუნარმა ვერ შესძლო ჩამოსვლა, მაგრამ ვიღაცას გამოატანა ეს სათამაშოები. ფოსტალიონმა ამოგვიტანა, — თქვა ახლოს მოსულმა ხიკამ, — იქ მოვიდა...

მოხუცმა შეატყო, რომ ხიკა რაღაცით შეფიქრიანებულიყო.

— რაკეტა, თვითმფრინავი, მანქანა! — გახარებული ბავშვი ხან ერთს აიტაცებდა, ხან მეორეს.

— ვერ შესძლო, აბა... — წყენით თქვა მოხუცმა.

— მოგკალი შიმშილით... წყურვილმაც გაგაწამა ალბათ, — უთხრა ხიკამ. მობოდიშებას ჰგავდა.

— არა უშავს, ქვეყანა არ დაქცეულა, — გულმობრუნებულად მიუგო მოხუცმა, — შევჭამ რამეს, თუ არ შევჭამ, სულ ერთი არაა? ერთბაშად არ გამოვკეთდე. წყურვილით კი მწყურია, ხომ იცი...

— ახლავე ცივ მაწონს მოგიტან.

— სტუმრები წავიდნენ თუ ისევ იქ არიან?

— სტუმრებიო... ეჰ, რომ მცოდნოდა, რა ხალხი იყო... რაღა მასპინძლები და რაღა მათი სტუმრები. ქეციან ცხვარს ქეციანი ცხვარი ფხანს.

მოხუცს ესიამოვნა, რომ ხიკამ ასე გულღიად გამოხატა მეზობლების ზიზღი.

ხიკა მაწონის გამოსატანად შევიდა.

— აბა, მამიკომ კიდევ გამოგიგზავნა საჩუქრები... — მოხუცმა შვილიშვილი მკერდთან მიიკრა, თავზე მოეფერა. და ისევ ისე კარგად ივრძნო თავი, თითქოს კარგ ხიმღერას ისმენსო...

— მამა... მამა... — ტიტინებდა ბავშვი. — რაკეტა. თვითმფრინავი.

— ხომ ხედავ, არ ჩამოვიდა მამაშენი, არ ჩამოვიდა...

სუნარი: კარგა ხანს ვეწვალე, რომ გამომელწია გარუჯულ, ოფლიან, საითკენღაც თითქმის ბრმად მისწრაფებულ აჩქარებულ ბრბოში. ბოლოს, როგორც იყო, სკვერში შევრგე თავი და ახალტანაყრილ ფიჭვნარს გავყევი. იქ ხალხი ნაკლები იყო. ზოგი ნება-ნება მისეირნობდა ბილიკ-ბილიკ, სხვები პირდაპირ ხეების ქვეშ მიწოლილიყვნენ ნებიერად. რაღაი გამომძღარ-შეზარხოშებული ვიყავი, კაი გვარიანად ვბანცალებდი, საცა ფეხი უნდა დამენელებინა, იქ ვჩქარობდი, არადა პირიქით, საცა გაცლა იყო საჭირო, იქიდან ფეხს ვითრევდი... ჰოდა, ვიჯანჯალე და ვიჯანჯალე... მაგრამ უგონოდ არ ვყოფილვარ, ყველაფრის აზრზე ვიყავი, ვერა და ვერ მეპატიებინა თავისთვის, რომ ის ახალგამომცხვარი კანდიდატი და მე დღეს არაფრით ვსხვადასხვაობდით... ამის გაფიქრებამ გულღვიძლი დამიმდურა...

გამახარა ჩემი მეგობრების, კარგ გზაზე შემდგარი მეგობრების გახსენებამ, რომლებთანაც ერთად ოდესღაც ვსწავლობდი. ცოტა მომეშვა გულზე. — ჩანს, არც მთლად ისე წავმხდარვარ, რაღაი მათი გახსენება მიხარია და არ მინდა, რომ ისინიც მე დამემგვანონ... ისე კი დიდი ვერაფერი ნუგეშია...

...შინ არავინ დამიხვდა. ცოლს

წერილი დაუტოვებია: გელოდი, შენთან ერთად სოფელში წასვლა მინდოდა, მაგრამ გულმა არ მომითმინა და ბავშვს სათამაშოები გავუგზავნეო...

ჯერ არც ისე გვიანაა, იქნება მოვასწრო კიდეც, იქნებ მოვასწრო სოფელში ჩასვლა...

მოხუცი ერთხანს ისევ ისე იჯდა, შვილიშვილი მკერდზე მიეკრა და ფუნაგორია ხოჭოს უთვალთვალებდა. ხოჭოს თავისი ბურთი მიწიდან ამოჩხვერილ ფესვამდე მიეგორებინა. ახლა ისვენებდა. გარინდულიყო, რაღაცას აყურადებდა და უცბად თავისი ყველა თათით ფხვიერი მიწის ჩიჩქნას მოჰყვა.

ადამიანის თვალისჩინისა და ყურთასმენისთვის მიუწვდომელი იყო ის, რაც წამგაუშვებლად აწრიალებდა მოხუცს.

— შეხე! შეხე, რა ხოჭოა...

ბიჭი გულისყურით დააცქერდა ხოჭოს და წაქანდა, რომ დაეჭირა იგი, მაგრამ მოხუცმა შეაჩერა:

— აცალე, ხომ ხედავ, მუშაობს, ცოდოა, არ შეაშინო, თორემ გაიქცევა და რაც გააკეთა, ისიც ოხრად დარჩება...

მაგრამ ბიჭმა ამ დროისთვის უკვე ყოველგვარი ინტერესი დაკარგა ხოჭოსადმი, რადგან მისი დაჭერის ნება აღუკვეთეს, მოხუცის მკლავთაგან თავი გაინთავისუფლა, ჩაიმუხლა და სათამაშოებს მიეფართიფურთა; ჯერ ერთი, მერე, მეორე აიტაცა და ასე მიმოირბინა ეზო-კარი.

— რაკეტა, რაკეტა, თვითმფრინავი! — წკრიალებდა მისი ხმა.

მოხუცი მოიღუშა.

— აი, რა გითხრა, დად, რა უნდა გითხრა, — ხმამაღლა, ფიქრში შეეხმიანა იგი თავის შვილს სუნარს,— რატომ ვერა ხედავ, შენი ბიჭი რორორ სხვაფერდება... ეტყობა, რაღაცა სჭრის ნამდვილად... აბა, ეს- -რკინა და ჯართი ასე რამ შეაყვარა... ასე ადამიანის სული გამოიფიტება. გეუბნები... მე ამას ვერ დავუშვებ, ვერ დავუშვებ, ვიდრე პირში სული მიდგას და არც შენ მოგცემ ნებას, რომ...

მოხუცი იჯდა ასე ცხვირჩამოშვებული, ვიდრე ისევ არ ჰკიდა თვალი მაშვრალ ხოჭოს. ხოჭო მუშაობით თავს იკლავდა, ოღონდ ჟამიჟამ კი ისვენებდა, რაღაცას გარინდებული აყურადებდა. უცბად, სად იყო და სად არა, ორი ხოჭოც გამოჩნდა, ესენი უფრო ტანდიდნი იყვნენ და აგორებულ ბურთს დააცხრნენ. იმ ფუნაგორია ხოჭოს, ბურთის პატრონს, ტანმა უგრძნო, ფხიზლად ყოფილა და ეცა მომხვდურთ (მუქთახორები, არამზადები, გარეწრები... შენ თავს იკლავ, შრომობ, ფეხზე ძლივს დგახარ, ამისთანა კოხტა, მრგვალი ბურთულა გამოგივიდა, ისეთია, ისეთია, რომ ავ თვალს არ დაენახვება... ამ დროს გამოტყვრებიან ძაღლი-მამაძაღლები და პირი დაუბჩენიათ, რა ენალვლებათ რა, მზამზარეული ვის აწყენს?!. ისემც იმათ დაუდგეთ გვერდები!!.) და დაწყო ომი, მაგრამ რა ომი, — სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. უთანასწორო ძალები შეიბნენ. მაგრამ ფუნაგორიის მძვინვარებამ ორივ თავდამსხმელი დააფრთხო. ორმა ერთი მაინც დაიჯაბნა და სულ მალე ფუნაგორია იწვა ზურგზე, იწვა და ამობრუნების თავი არა ჰქონდა. იმათ, იმ ორმა, ბურთი წაიგდეს. ნამეტანი სულსწრაფობდნენ. ამიტომ უფრო არაფერი გამოსდიოდათ: ხან გზად რაღაც ეღობებოდათ, ხანაც, ერთი რომ ალთას მიდიოდა, მეორე — ბალთას... და გაწამაწია ჰქონდათ. ამ დროს, როგორც

იყო, ბურთის პატრონი გულზე ამობრუნდა, არაფერი შეშლია, ისე გასდია კვალში მომხვდურთ. გასდია და მიეწია. მიეწია და პირგამეხებულად უთაქა და უთაქა. ის ორნი კი ისე დაღლილან, ისე დაქანცულან, რომ საცა არა სჯობდა, გაცლა ამჯობინეს და აქეთ-იქით მოუსვეს. გამარჯვებულმა სულმოუთქმელად მიმოუარა ბურთს და, როცა დარწმუნდა, მრთელიაო, ჯიკავ-ჯიკავით გააგორა იგი იქითკენ, სადაც ორმოს თხრიდა. მიაგორა და ისევ ორმოს ღრუნტვა განაგრძო...

მოხუცს გულზე მოეშვა. თავისიანივით შეჰღიმა ნაფათერაკალს.

ცივი მაწვნით გაიგრილა ყელი, ცოტა ლუკმაც შეაყოლა და გუნება გამოუკეთდა. თითქმის არცა სწყუროდა.

— დღეს კრუხს ძერა დაეცა, ვინ იცის, იქნებ სადღაც გდია მიქანცული...

— ეგ საწყალი, ეგა... წიწილებიც რომ მთელი დღე დაიმშნენ.. — ხიკამ აიღო მოხუცის თეფში. შინ შევიდა.

იგი მალე გამოვიდა, წიწილებს საჭმელი გამოუტანა და წივ-წივ, წივ-წივო, უხმო. ჭრელა განზე იდგა, მაგრამ ხიკას ხელით მიმოპნეულ საკენკს სხვები რომ კინწისტეხით მიახტნენ, იმარჯვა და თავისიანების შუაგულში ამოჰყო თავი.

კრუხი არ ჩანდა. ხიკამ დაუძახა.

— ეჰ, ალბათ მოკვდა, ბეჩავი...

— არა, არა, აგერაა, აგერ, ის კი არადა, რის ვაი-ვაგლახით მაინც მორბის, ცდილობს, აბა!

— თუ იმას აქამდე პირში სული უდგას, გადარჩება, ეტყობა,—გულზე მოეშვა მოხუცს.

ცხადზე ცხადი იყო, რომ სუნარი ახლა უკვე ვერ ჩამოვიდოდა, მაგრამ მოხუცის სხეულში მაინც კრთოდა იმედის ჩაუცხრომელი, ჩაუქრობი ნაპერწკალი.

სუნარს უყვარდა ზღაპრები, მოხუცმა კი აუარება ზღაპარი იცოდა. როცა ატყობ, რომ გულისყურით გისმენენ, წყალივით ჰყვები ზღაპარს, ჰყვები და გიხარია. მოხუცი ასეთ წუთებში დაჭიმული მშვილდივით იყო და მისი „ისრები“ კაკალ გულში ხვდებოდა მიზანს... როცა ხედავდა, რომ მისი ნაუბარი მსმენელს იტაცებდა, ისე შედიოდა ეშხში, მთელი არსებით, თხემით ტერფამდე, ისე შედიოდა ზღაპრის სამყაროში, რომ, ნეტარებით შემსჭვალულს, ეგონა, მსხმოიარე ხე ვარ, რომლიდანაც ეს-ესაა ხილი ფრთხილად ჩამოკრიფესო...

მაგრამ სუნარი ახლა შინ უქმე დღეებშიც არ ჩამოდიოდა.

და მოხუცს ეჩვენება რახანია, უკვე რახანია სუნარი არ ყოფილაო. რახანია შვილისთვის ზღაპარი არ მიამბნიაო... იქნებ მოყირჭდა, ა? მაგრამ ზღაპრები შეიძლება კაცს მოყირჭდეს? ცხოვრება ხომ გრძელდება და ზღაპრებს რა დალევს...

მოხუცს შვილისა სჯეროდა და თავის თავსაც კი არ აძლევდა უფლებას რაიმე შეეჭვებოდა...

მწუხრი ჩამოწვა. საგრძნობლად აგრილდა. საგვიანო ვაშლების ყვავილების სურნელმა სხვა ყველა სურნელი დაჯაბნა და გარეშემო გაჟღინთა. მოხუცს უყვარდა ეს მომჟაო სურნელი — ამოდ ისუნთქავდა ახლა მას.

— ხიკა, — უხმო მოხუცმა, — ი ალაბაშა მომაწოდე, კრუხს ვესროლე და ქე გდია იქ. გამაბრაზა კრუხმა მაშინ, მაგრამ მერე... ვინანე, აბა, განა რაღა დროსი იყო...

— გინდა ფეხს შეგიხსნი? — უთხრა ხიკამ და ხელჯოხი მიაწო-

და. — ნაჭრილობევზე ახალ ფურცელს დაგაფენ...

ხიკამ მტკივანი ფეხი შეუხსნა და მოხუცმა ოვება იგრძნო. სიმსივნეს დაეკლო და ძველი ფურცელი იოლად აძვრა ნაჭრილობევს.

— ხორცდება, — თქვა ხიკამ და ფრთხილად მოუსვა ხელი ნაჭრილობევს ირგვლივ.

მოხუცს გული გაულაღდა, — რა ხანია შვილი ასე არ შემოვლებია.

— სანამ ეგ ფერშალი ჩვენამდე მოალწევს... დღეს იმათთან შემოუხვია, სუნი ეცა...

— დაიკარგოს ერთი! ვის რაში სჭირდება...

— რამდენი წელია ხალხის მონაგარი ფული ეძლევა ჯამაგირად და ნეტაი რისთვის.....

— ეგრეა. იცოდე, ერთხელაც იქნება წაიტეხავს ფეხს...

— როდისლა, როდის?!

— იცი, რა გითხრა, ბოროტებას ზოგჯერ იქ ეძებენ, სადაც იგი არაა... რატომა და სიმართლის გვერდითაა იგი, და იმიტომ...

ხიკამ თავი დახარა.

— დღეს ფინია ძაღლი მოკლეს, არაფერი ბრალი იმას არა ჰქონია. ერთი უპატრონო, გზას გადმოცდენილი ფინია იყო...

— თვითონ არიან ცოფიანები...

ხიკამ ნაჭრილობევზე ქორფა ფურცელი დაადო და შეუხვია. მოხუცს ფეხი თითქმის არ სტკიოდა.

— სახლამდე ალბათ ჩემით მივალ.

— არ გინდა, იქნება არ სჯობდეს.

ხიკა არ სტოვებდა მოხუცს.

ქალი დაბნეული ჩანდა, თითქოს თვითონაც ვერ გაეგო თავისი ასეთი უჩვეულოდ მოლბობის მიზეზი...

— ჩვენ იმასთან არ შეიძლება რაიმე საერთო გვქონდეს... და საერთოდ არავინ, ვისაც კი შუბლის ძარღვი მრთელი აქვს, იმათთან არაფერ საერთოს არ დაიჭერს, — თქვა მოხუცმა.

მამა-შვილმა უსიტყვოდ შეხედეს ერთმანეთს თვალებში. წამით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდა, აგერ, ა, აგერ ბალახის ტანაყრის ხმასაც გავიგონებო...

— იმათთვის ფინია რაა, რომ... ხელი ექავებათ, თუკი მიზანში არ ისვრიან და რამეს არ კლავენ... იმათთვის ეს გართობა და სეირია, — თქვა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მოხუცმა.

— იცი, დღეს რა სადღეგრძელო დალიეს იმათ?!

ხიკა ქანცგამოცლით დაეშვა მამის გვერდით, ეტყობოდა, ფეხზე უკვე ველარ დგებოდა.

— ყველა ტყვია დალოცეს, ყველა, ლულიდან რომელიც კი გამოვარდნილა...

— გარეწარი ეგა!

— არც არაფერს მალავენ, მთლად თავს გავიდნენ, გათავხედდნენ...

— ეს მარტო იმათი ბრალი როდია...

— ხომ ყველამ იცის, რომ მან მაშინ შემთხვევით ისარგებლა და ანგარიში გაუსწორა იმას... რატომ იმცირებენ თავს ადამიანები ასე, რატომ აქელინებენ ვიღაც-ვიღაცეებს თავიანთ ღირსებას...

ხიკას ცრემლი მოაწვა. მამისთვის არ უნდოდა გულის აჩუყება ეჩვენებინა. ამიტომ ადგა და სახლისაკენ წავიდა, ნელა, ნელა მიდიოდა და მოხუცს მოეჩვენა, რომ ხიკას შესუქებულმა ტანმა კვლავ დაიბრუნა ქალწულური მოქნილობა. და მის სიარულშიც ამაყი, მბრძანებლური ნება გამოსჭვიოდა — თითქოს იმის კვლავ მწვავედ განცდას, რაც ადრე დაკარგა, ქალისთვის რაღაცნაირი

შინაგანი თავისუფლება და სილაღე დაებრუნებინოს.

მოხუცი ერთხანს ჩუმად იჯდა. შემდეგ შეირხა, წელში გაიმართა და იგრძნო, რომ თანდათან უბრუნდებოდა ის დაკარგული სულიერი წონასწორობა... თავი ასწია, ეზოს მიმოავლო მზერა და მოეჩვენა, რომ ეზომ მის ცხოვრებაში კვლავ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი... იმ ხანებში, როცა ცხოვრება დაგვალულ ხრიოკ უდაბნოდ მიაჩნდა, ეს ეზო, უსაშველოდ ლურჯი უზარმაზარი ცის ქვეშ მოჭუჭკული ეს პატარა ეზო წალკოტად ესახებოდა.

ეს ეზო — ზეცის პირისპირ დარჩენილი ეს მწვანე მდელო...

ეზოს ქათმები მოეფინენ. ჭრელი პრანჭიკელა საქათმეთის ბატონის — ბებერი მამლის გვერდით ტრიალებდა. ის ახალგაზრდა ლამაზი მამალი კი ვითომ ვერაფერს ამჩნევდა: ხან ცას აჰხედავდა და გაოცებული აჰყივლებდა, თითქოს ზადი რამ უნახაო, ხანაც ბალახებში რაღაცას იკენკებოდა და სხვებსაც უხმობდა, აქაოდა, სასწაული ვიპოვეო, სასწაული. მაგრამ მისთვის არავის სცხელოდა, ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა, თანაც მათი ატამანი — ბებერი მამალი ცხრა მთას იქით კი არ იყო და არასაამდროო გმირი მათ არ აინტერესებდათ. ჭრელი პრანჭიკელა თვითონ არაფერს ეძებდა, ოღონდ ბებერ მამალს ევლებოდა თავზე და ბებერიც თავს არ იზოგავდა, ეძებდა და ეძებდა საკენკს, და როცა კი რამე პირის ჩასატკბარუნებელს იხელთებდა, ზარზეიმით, ყველას გასაგონად უხმობდა ლამაზმანს... მაგრამ ლამაზმანი ზოგჯერ შეფიქრიანებით ააღერდა თავს, ჩუმად გამოერიდებოდა თავის ბებერ კუროს, თავს იკატუნებდა, ვითომ ფიქრმა დამრია ხელი და ამდენზე გამომიყოლაო, სინამდვილეში კი იმ ჯეელ მამალს გაჰხედავდა ხოლმე (აქა ვარ, აქაო, და თუ ლაჩარი არა ხარ, ოღონე რამეო). მამალიც ააღერდა თავს და თვალს არ აცილებდა. კარგად იცოდა, ბებერი ატამანიც რომ თავს იკატუნებდა, ვითომ ვერაფერს ხედავდა, და ამიტომ ყვინჩილა უგანებდა, ვითომ, ნახეთ, ნახეთ ჩემთვისა ვარ, ჩემთვისო.

მაშვრალ, კვერცხისმდებელ ქათმებს სხვებისაგან ყოველთვის გამოარჩევს თვალი. თავიანთი მაღალი, ვარდისფერი ფეხებით არცთუ ჩქარა და არცთუ ნელა დაგოგავენ, ეძებენ, ეძებენ და აუცილებლად პოულობენ საკბილოს, ძალზე მარჯვედ და თადარიგიანად ხმაროობენ ნისკარტს: ჩაუნისკარტებენ და პირს ჩაიგემრიელებენ, — კიდევ და კიდევ, კიდევ და კიდევ — და ნისკარტი სულ გამზადებული აქვთ სანადავლოდ. პრანჭიკელები კი, ამ ჭრელასნაირნი, ნარნარად დადიან, ფეხს არ აუჩქარებენ, ხანდახან შედგებიან, თითქოს თავში რაღაც მშვენიერი აზრი დაებადათო, შემდეგ ისევ ისეთი ყელმოღერებით განაგრძობენ გზას, თან მამლებს ზემოდან უყურებენ, ვითომ ვინა ხართ, ვის დაჰკარგვიხართ. ლამაზმანები არაფრის ძებნით არ იწუხებენ თავს, ოღონდ გზად სწრაფ-სწრაფად წიწკნიან ნაზ, რბილ ბალახს. სხვა ქათმები ყველა ერთმანეთს ჰგავს. ყველა ჯუფთად მირბის ხან ერთი მხრით, ხან — მეორე მხრით. რომელიმე იპოვის მარცვალს რასმე, რომლის გადაყლაპვა მაშინვე არ შეუძლია, ნისკარტში იგდებს და გარბის, სხვები გამოენთებიან და იმდენს დასდევენ, ვიდრე არ წაართმევენ, თუკი, ცხადია, ის, მპოვნელი, სირბილშივე ლამის დახ-

რჩობის ფასად არ გადაყლაპავს ნადავლს.

კრუხს სხვა ქათმებზე მეტი საზრუნავი ჰქონდა, — თავისი წიწილებისთვის უნდა მიეხედა. დანაყრებული წიწილები ძალზე თვინიერად დაცაცუნობდნენ დედის ირგვლივ და ხმაშეწყობით გამოსცემდნენ ნეტარების ჩუმ, აუმღვრეველ მელოდიას... მათ ჭრელაც ხმას აყოლებდა, მაგრამ მაინც განდეგილად იყო.

გზა კვლავ გაცოცხლდა, იმატა და იმატა ხმაურმა. ვიღაცეები მოსაუბრობდნენ, ზოგიც საქონელს შეუძახებდა ხანდახან. უშველებელი მატარებელივით მთელი სოფლის სიგრძეზე გაწოლილ გზას ხალხი მიჰყავდა თავთავიანთი სახლებისაკენ.

საღამოს ყველაფერი სულს ითქვამდა, ცოცხლდებოდა. მყინვარებისა და მარადი თოვლის ძლივს-ძლივს ნადნობი წყალიც კი, როგორც იყო, ამ დროისთვის მოატანდა მდინარემდე, ჩაედინებოდა მასში და ვაკის მდინარეც აჩქამდებოდა, ფეხს უჩქარებდა და ხმას უწევდა.

მოხუცმა ეს იცოდა და ალბათ ეჩვენებოდა, მდინარის საღამოური მუსაიფი მესმისო, ან იქნებ მართლაც ესმოდა. ისიც კი ეჩვენებოდა, გამდნარი თოვლის წყლის ხმას მდინარის ჩვეულებრივი წყლის ჩქამისგან ვარჩევო, რადგან ნალხობი წყალი კი არ ხმაურობს, რაკრაკებს, რეკავს, და ეს რეკვის ხმა მყინვარული წყლის სიგრილეს მიდამოზე განაფენს...

...შორეული მთებიდან ყველაფერი ჩამოაქვს მყინვარებისა და თოვლის ნამდნარ წყალს, მაგრამ იქაური, მთის წყაროების წყლის, აციხა-ძის გემო ვერ ჩამოაქვს. ამიტომაცაა, რომ ახლაც უეჭველად ვიღაც დაფოფხავს იმ ღადე-ღუდეებში, მიუყვება ზიგზაგ ბაწარა ქვის ბილიკებს, კლდოვან ქარაფებს რომ შემოსალტვიან — ჩიტსაც კი გული უფანცქალებს ამ კლდეების თავზე. ჰოდა, ვიღაც მაინც მიდის ახლა იმ ჩქერალებისკენ, რომელთა გარშემო ყველაფერი პირველქმნილად ცინცხალია.

...მზე ბოლოს და ბოლოს გადავიდა გორს იქით და ჩაეშვა ხრამში, — ბალღობაში ეგონა, ღამე იქ იმალებაო. მიწა მაშინვე გრილი ნიავით ახვნეშდა, თითქოს ენანება, რომ მზეს დილამდე ველარ ნახავსო. ირგვლივ ყველაფერი გადასხვაფერდა. ყველაფერი ღამის წყვდიადმა შთანთქა, ყველაფერი — ყვავილებიც, ბალახბულახიც, მთებიც... მაგრამ ღამეც დუღდა სიცოცხლე — აკვნებში იზრდებოდნენ ბალღები, ხილი მწიფდებოდა, წვენით ივსებოდა. რაც სიცოცხლეს დღისით ვერ მოესწრო, ღამე უნდა გაესრულებინა. სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე... სიცოცხლე დღისით და ღამით. დაუსაბამო, მშფოთვარე სიცოცხლე...

— მე დღეს ტრაქტორისტი ვნახე, — უთხრა მოხუცს ხიკამ, სახლიდან რომ გამოსულიყო და ისევ ახლოს დაუდგა, — შემპირდა, ხვალ წყაროდან შლამს ამოგიწმენდო...

მოხუცი სიხარულს შეემსჭვალა, ნეტარებდა, ბედნიერი კაცის თვალით შესცქეროდა შვილს.

— გმადლობთ, — უთხრა მან,— გმადლობთ, დად...

კარგა ხანია ხიკასთან ასე არ ულაპარაკნია, კარგა ხანია მასთან საუბარში არ უგრძვნია სიტყვების გემო...

— სუნარი დღესაც არ ჩამოვიდა რატომღაც... — შეშფოთებით თქვა ხიკამ, — რა დაემართა ნეტა... ერთი უნდა წავიდე, ვნახო...

სუნარი: დიახ. დამემართა... რაღაც დამემართა... მე, როგორც ჩანს, ძილი მომერია და თავი მიწაზე ჩამოვდე. როცა გამეღვიძა, თავი გასკდომაზე მქონდა. ერთთავად ოფლში ვიწურებოდი, ყელი გამშრობოდა... მაგრამ სინიდისის ქენჯნამ გამიარა. რაღაცნაირი გაორება მითავებს ხელს: ჩემს არსებაში თითქოს ორი ადამიანია ჩაბუდებული. ერთი მეუბნება: „ფეხებზე დაიკიდე ყველაფერი, დარდი არ გაიკარო. შენი სინდისის ქენჯნა დონკიხოტობაა და მეტი არაფერი.“ მეორე კი დუმს, არ ედავება. „დონკიხოტობაა და თანაც როგორი, უმარტივესი“, — თამამდება პირველი. „უკვე საშიში ხდება“, — ამბობს მეორე, კი ამბობს, მაგრამ ძალზე ჩუმად და ყრუდ ამბობს და უცბად მე ვფხიზლდები. „აქ უნდა გამოჩნდეს მესამე — ყველაზე მთავარი — მსაჯი, ვინაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს დავას. ყველაფერი რომ ასევე დარჩეს, შემდეგ უკვე გვიანი იქნება!“ — ვთქვი მე და წამოვდექი.

გადმოვიღე სუფთად გადაბეჭდილი, გულდასმით ჩასწორებული ხელნაწერი (დამოწმებული ლიტერატურის ვრცელზე ვრცელი სიითურთ), მაგრამ რომ დავხედე ცარიელ ყუთს, რაზედაც აქამდე მედო თავი, შევტოკდი. იმან, იმ პირველმა, ჩემს სულში რომ იჯდა, გამქირდავად გაიცინა. მეორე კი დუმდა. ხელნაწერი გადავფურცლე. რამდენიმე უწყინარი წინადადება—კბილმოცვეთილი, საწარამარაო სიტყვებისაგან აგებული წინადადებები — წავიკითხე და „დღეს ან არასოდესმეთქი,“ ვუთხარი თავს.

ხელნაწერიანად უაზროდ დავბორიალებდი ოთახში. „ძველად ლიტერატორებს ბუხრები ჰქონდათ, — აბუჩად ამიგდო პირველმა, — შეაგდებდნენ შიგ ხელნაწერს და ჰაიდა...“ — „შენ ჯერ ისევ მთვრალი ხარ“, — მითხრა მეორემ, — შემდეგ არ ინანო, იცოდე...“

„ეგრეა, მშვიდ გუნებაზე უნდა გავაკეთო ეგ ამბავი... წყალი არ უნდა გაუვიდეს, რასაც გადავწყვეტ, ის იქნება!“ — ვთქვი მე და ხელნაწერი მაგიდაზე მოვისროლე.

ვფიქრობ, რომ უკან არ დავიხევ, თორემ მართლაც რომ საშიში ვითარება შეიქმნება, ეგრეა...

საღამოა. ცაზე ღრუბლის ნასახიც არა ჩანს. ღრუბლის უწვიმო ფთილები, ამდენ ხანს რომ ეჯარებოდნენ მწვერვალს, დაიფანტნენ. მხოლოდ ძალზე მახვილი თვალი თუ შეამჩნევდა ცარიელა კლდეების თხემებზე მკვდრის მზის მცხრალი, მინავლული სხივებით შეფერილ, სუნთქვასავით მსუბუქ ციცქნა ხუჭუჭა ფთილებს.

მოხუცმა თავი ასწია და მძიმედ ამოიოხრა.

— და ერთხელ იმას მშვენიერი სიზმარი ესიზმრა: თითქოს თავთით მზე დაჰხაროდა, ფერხთით მთვარე ანათებდა, ვარსკვლავი კი, კაშკაშა ვარსკვლავი, გულზე ესვენა... — ბუბუნებდა მოხუცი და უცებ მთელი გარე სამყარო თითქოს კამკამა, მჭვირვალე წყალში ჩაყურყუმალავდა და აძაგძაგდა... მან კი, მოხუცმა, იგრძნო, რომ აქამომდე გამომშრალი ქუთუთოები დაელამა... — და რა იხილა ის სიზმარი, ჭაბუკმა ფიცი დადო, რომ სიზმარს მხოლოდ იმას მოუყვებოდა, ვინც, მოისმენდა თუ არა, ეტყოდა: „აგიხდინოს ღმერთმა ეგ შენი სიზმარი, აგიხდინოს!“.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტომხურიდან

თარგმნა გივი შაკნაზარმა

ციკლიდან — „ნოლბამბი“

სათამაშოების აწყობი

შემეძლო, ყველგან ვყოფილიყავი...
და ყველგან ასე მეყვირა: „მინდა!“
ანდა — „არ მინდა“!
მაგრამ მე ყველგან
არც დავდივარ და ვერც ვიქნებოდი,
ხოლო სადაც ვარ,
ფიქრში საკუთარ თავს ვეუბნები —
„არ თქვა“! „არა თქვა“!
და მერე ართქმულს ყველას ვუტოვებ,
რათა უჩემოდ გაჩხრიკონ იგი.
და როცა ყველა გულდაგულ ნახავს
ჩემს დანატოვარს,
აი, მაშინ კი
არ შემიძლია არ ვთქვა და ვიტყვი:
— იცით? ხელობის სწავლა ვისურვე —
სათამაშოთა აწყობას ვსწავლობ,
და დამერწმუნეთ, ვისწავლი კიდეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...შემოდგომაა. სუსხიან ქარში
ხეები იძვრის,
ვით კაცის თავში ტოტებგაშლილი
ფიქრი და... ვხედავ:
დღისით ღრუბლიან ციდან ვარსკვლავთა
ცივ მოდელების გუნდები ცვივა,
უფრო მოკლედ რომ ფოთლები ჰქვია...
ამ მოდელებით სათამაშოებს
ჩამოვასხამ და თუ ვინმე მკითხავს —
„რა ღირს“? მე ჩემ თავს უჩუმრად ვურჩევ—
„არა თქვა“, ხოლო მისი შეკითხვის
პასუხად ასე ვიტყვი — „სალამი“!
არ ვიცი, ჩემზე ის რას იფიქრებს,
მე კი, იმავ წამს, არ შემიძლია
არ გავიხსენო: იყო ამქვეყნად
ერთი გოგონა... რომლის სახელი,
კიდეც რომ გითხრათ, დამავიწყდაო,
ჩემი იმდენად გჯეროდეთ, როგორც
თვითეულ თქვენგანს ნამდვილად სჯერა
ცნობები ქვეყნის გაზეთებისა.
და მუდამ, როცა მომესურვება,
ვამცნო ქვეყანას მისი სახელი,
კვლავ თავს საკუთარს ვაფრთხილებ —
„არ თქვა“!
იცით? ის გოგო ამბობდა: „როცა
ბეთჰოვენს ვისმენ, ასე მგონია
ზღვის ზედაპირზე დავიარები“...
მე იმ გოგონას მოდელიცა მაქვს,
სწორედ იმ გოგოს თბილი მოდელი!
და ახლა მისი თბილი მოდელით
სათამაშოთა აწყობას ვიწყებ.

ჩამოვასხამ და თუ ვინმე მკითხავს —
„რა ღირს“? — მე ჩემს თავს უჩუმრად ვურჩევ:
„უთხარ“! და ვეტყვი, — „გროშის ფასია,
ერთი... ჩავლილი მთელი ცხოვრება“...

და ვაწყობ ასე, რასაც ინებებთ!
სწორედ ჩემნაირ კაცზე ამბობენ —
ღმერთმანი, დასტურ ოქროს ხელი აქვს...
და მუდამ,
როცა ხელებს დავყურებ,
ეს ჩემი ოქროს ხელები მუდამ
მეკითხებიან: „ჰა?“ რაც შეკითხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გახლავთ სულაც! — არამედ, არის
პასუხი ჩემივ ჩუმი შეკითხვის.
და მეც, ყოველთვის, ისე დავყურებ
ჩემს ხელებს, თითქოს გამოუცდელი
არქეოლოგი ვინმე დაჰყურებს
ნივთს მოძიებულს მის მიერ ახლად
და ვეუბნები: „ჰო"! რაც პასუხი
არ გახლავთ სულაც, არამედ — ჩემივ
შებრუნებული არის შეკითხვა.
და თავს იქნევენ ჩემი ხელები,
ჩემი თავი კი — ხელებს იქნევს და...
და... კარგად ვხვდები: არ შემიძლია
(და ქვეყანაზე ვერც ვერვინ შესძლო!)
შევქმნა ერთი რამ, რაიც ქვეყანამ
ჭეშმარიტებად მონათლა. მხოლოდ
ის არ იქმნება!
თუმცა არასდროს
ცდას არ აკლებენ და დიდხანს ქმნიან,
ქმნიდნენ და ქმნიან, ქმნიან და ქმნიდნენ,
საუკუნეთა მანძილზე ქმნიან
უფლის სახელით!
მბრძანებელთ ნებით!
თუ გნებავთ, — თოკით, თავის სიმაგრეს
ადამიანთა კისრებზე რომ ცდის!
და იარაღით! — ადამიანებს
მათსავე მკერდზე პუნქტუაციის...
გაკვეთილებს რომ უტარებს... ასე,
საუკუნეთა მანძილზე ქმნიან
იმას, საერთოდ რაც არ იქმნება!
და, რა თქმა უნდა, რაც არც იშლება!
თუკი ასეა, სხვაზე ნაკლები
ვითომ რითა ვარ? ამიერიდან...
მეც ვიწყებ შექმნას ჭეშმარიტების!
თითო-ოროლას არ დავჯერდები!

შევქმნი და შექმნილს
ყველგან გავყიდი —
სადაც უნდათ და სადაც არც უნდათ —
გზაჯვარედინზე,
დუქნის წინ თუნდაც
ქვაფენილზე და
ძეგლის კვარცხლბეკზე,
კათედრაზე და,
თუ გნებავთ, — წიგნში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა ხალხი მკითხავს, თუ —
„რა ღირს“?
მე აღარ გავცემ პასუხს, ჩემს ნაცვლად
ის სათამაშო გოგონა ეტყვის,
და ეტყვის იმდენს,
რამდენიც თვით ღირს,
არც მეტს, არც ნაკლებს: — „გროშის ფასია...
ერთი... ჩავლილი მთელი ცხოვრება“...

...ამგვარ ვაჭრობამ, მოგეხსენებათ,
დიდი ქონება უნდა შემძინოს,
ისეთი დიდი ქონება, მერე...
ერთი ბილეთის ყიდვა რომ შევძლო —
და... საკონცერტო დარბაზში სადმე
მეც მოვუსმინო ბეთჰოვენს, რათა
მეც სწორედ ისე მეგონოს, თითქოს
ზღვის ზედაპირზე დავიარები...
და მაშინ, გარეთ ბუნების ჭკნობის
თუ დაბადების ჟამი იქნება,
აბა, რას ვაქნევ! ხომ სულერთია?!
ხომ სულერთია?! აბა, რას ვაქნევ,
ქარი არხევს თუ არ არხევს ხეებს? —
ვით კაცის თავში ტოტებგაშლილი,
ტოტებგაშლილი ფიქრი ირხევა.
ან — ღრუბლიან თუ უღრუბლო დღეში
არის თუ არა ფერმკრთალ ვარსკვლავთა
ცივ მოდელების ცვენა ზეციდან,
უფრო მოკლედ რომ „ფოთლები“ ჰქვია?!.

და შინ მიმავალს
უცებ თუ ვინმე
მეტყვის: „სალამი“, პასუხის ნაცვლად
შევეკითხები: „რა ღირს“? და... თუკი
ამგვარ პასუხზე ვიღაც გოგონებს
გაეცინებათ, — ვიღაც გოგონებს,
სახელითაც კი რომ ვერ ვცნობ ვერცერთს,
პასუხის ნაცვლად მათ ასე ვეტყვი:
„არ გამაჩნია თქვენი მოდელი“.

მაშინვე ირგვლივ შემომერტყმიან
(ხალხის წესია: ვისაც გიჟად თვლის,
ხშირად სწორედ მას ალაპარაკებს!..)
ჩემი არსების ანის და ბანის
მოესურვებათ გაგება, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელები ისევ მეტყვიან: „არ თქვა“!
და თავს საკუთარს მეც ვეტყვი: „არ თქვა“!
მე გავჩუმდები. მაგრამ შენ ის თქვი,
სათამაშოთა იმ ამწყობ ოსტატს
რა გააჩუმებს, ახლა რომ ჩემში
ველარ ისვენებს და ჰა, საცაა
ჩემივე პირით წამოიყვირებს,
ვით მეძველმანე ვაჭარი ყვირის —
„ჭეშმარიტებას ვყიდი, ხელოვნურს“!..

ციკლიდან — „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“

ნაპოვნი ერთეული

გკითხე: ჩემი ხარ?
მითხარ: შენი ვარ!
და ვდუმვართ ახლა...

ახლა თითებით თმას მივარცხნი (თუ უნებლიედ,
ჩემ' სიბერის გსურს ნათელი ანბანის კითხვაც? —
რაიც თავს ჩემსას დასდებია უკვე ჭირხლივით...)

და ვდუმვართ ისევ...
მე ფიქრებში გხდი ჩემს მევალედ —
გამოცდილებას გაძლევ სესხად, მაგრამ... შენ შესძლებ
ამ სესხის ნაცვლად დამიბრუნო ჟამი?.. რამეთუ
ცხოვრება ესე — დიდი ექსპერიმენტატორი —
ერთი ახალი მაგალითით
კიდევ განმტკიცდეს,
რაც ცხოვრებაშიც ხშირად სწორედ ამგვარად ხდება,
შეყვარებულნი როს ჯერ კიდევ ცინცხლად არიან,
ოდეს იქცევა სიყვარული მათი ლეგენდად
და... როს ცხოვრობენ მირიადგზის ცხოვრებით ისევ...

და ვდუმვართ ჯერაც...
ხოლო გარეთ, — გთხოვ, თუნდაც წამით,
უსმინე, — რაღაც ფრინველები (თითოეული
თითქოს ზამბარით სამართავი რამ სათამაშო)
იმავ სიმღერას იმღერიან, მათი ზამბარა...
ეშვება, ისევ იმართება და თითქოს ისევ
იმავ სიმღერას იმეორებს მხოლოდ იმიტომ,
ნადუდღუნარი რომ უარჰყოს სევდიან ქარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამ ძველთაძველი სკეპტიკოსის), რომელიც ახლაც
ასე დუდღუნებს: „ყოველივე წარმავალია“.

და „ჭეშმარიტად“ — თუნდ იმ ერთი მიზეზის გამო,
რომ 1 × 1 არის 1 და არა 2!..

რა კარგი არის,
ქარის ენა შენ რომ არ გესმის,
ქვეყნად შენ ახლა ხარ ყველაზე დიდი მორწმუნე
და აჰა, რწმენას მეც ვიცვლი და შენსკენ მოვილტვი
და მეც შენსავით შენი სავსე რწმენით ვივსები.

რა კარგი არის,
„შენი ვარო“ რომ მეუბნები
და არც კი გესმის,
მხოლოდ „ჩემი“ რომ არ ხარ სულაც,
არამედ კიდევ...

ერთეული არის საჭირო!

არამედ კიდევ... ერთეული არის საჭირო,
ბედნიერებით თუ სისუსტით მარად შობადი
თავბრუდახვევის ნულისათვის! ნულისებური
ჩვენი თავისთვის!
ნულის მსგავსი
ჩვენი გულისთვის!
იმ ცხოვრებისთვის, ნულისაკენ რომ მიიქცევა
და მთლად გაძაგრულს თავი მაინც ყინჩად უჭირავს!

ერთეულია,
ერთეული კიდევ საჭირო,
იმ ვებერთელა ნულისათვის, ეს დედამიწა
ბრუნვით რომ ხაზავს...

ხოლო ახლა, — რა კარგი არის, —
თავს მხოლოდ „ჩემად“ რომ აცხადებ!
და არც კი ხვდები
მხოლოდ „ჩემი“ რომ არ ხარ სულაც,
„ჩემი“ კი **არ ხარ**,
არამედ თავათ, თავათ შენც ხარ ის... ე რ თ ე უ ლ ი!

□

იმრან ქასუმოვი —აზერბაიჯანი—

აგა, განი! (პიესა სამ მოქმედებად)

თარგმნა **ნოდარ ლუმბაძემ**

მოქმედი პირნი:

ალა — მედიცინის და
მუსა — ალას მამა
მარიამი — ალას დედა
ნარმინა — ალას ქალიშვილი
ზაური — ნარმინას მეუღლე
სერგეი უგოლკოვი — ექიმი
ლორა — სერგეის მეუღლე
რაუფ შაბანოვი — ექიმი
გულამი
პირველი მეზობელი
მეორე მეზობელი

მოქმედების ადგილი — ბ ა ქ ო

პირველი მოქმედება

დაბალჭერიანი ბინა ბაქოს ერთ-ერთ მიკრორაიონში. ფანჯრიდან გაჩირაღდნებული ღამის ქალაქი და ზღვის ყურე მოჩანს.

ხანში შესული, ჩასუქებული მოხუცი ალა-ხანუმ, ავადმყოფობისაგან დახუთულ ფეხებს ძლივს რომ ამოძრავებს, სავარძელში ჩამჯდარა და ტელეფონით საუბრობს.

ალა — მადლობელი ვარ, გენაცვალე, მადლობელი, თუ გინდა დამალაპარაკე... გმადლობთ, დიდი მადლობა, აჰ, იმასაც უნდა რამე მითხრას? აბა დამალაპარაკე... როგორ ხარ, შვილო? შენც მილოცავ?

(კარებზე ზარი ირეკება)

(ფოსტალიონის ხმა — **ალა ხანუმ! კიდევ სამი დეპეშაა!**)

ალა — რა ამბავია?

(ფოსტალიონის ხმა — **აბა როგორ გინდა, ალა-ხანუმ, ასეთ დროს დეპეშა მოვა, მაშ?!..**)

(მეორე ხმა ქუჩის მხრიდან — **ალა, ალა!**)

ალა — რომელი ხარ?

(ხმა — გულამი ვარ, ნახევარი საათია აივანზე გადმომდგარი ვლრიალებ. მოდი ერთი, თუ ქალი ხარ, ფანჯარასთან. ალა ფანჯარასთან მიდის — მოგილოცავ, ჩემო ალა, მთელი ჩვენი მეზობლების, სახლის და მთელი უბნის სახელით).

ალა — მთელი ქალაქის სახელით მომილოცე ბარემ და დაამთავრე. -დიდი მადლობა.— (ტელეფონთან მიდის) ალო... (ყურმილს დებს) საწყალი ბიჭი! წესიერად ვერც კი დაველაპარაკე (დეპეშებს არჩევს). „სულითა და გულით გილოცავთ ძვირფასო ალა-ხანუმ და მხურვალედ მოგესალმებით სპირიდონოვების ოჯახი". ნეტავი ვინ არიან? რა მახსოვს, ალბათ ან ქმარს ვწამლობდი ან ცოლს, რა მნიშვნელობა აქვს. კიდევ ერთი დეპეშა: „თქვენთან ერთად ვზეიმობთ თქვენს ჯილდოს ალა-ხანუმ". — ვზეიმობ მართალია, ამქვეყნად კი რალაც დათვლილი დღეებიღა დამრჩენია. მერე რა, რომ მხოლოდ ექთანი ვარ, განა ვერ ვხედავ რაცა მჭირს. ამაზე საშინელება არაფერია, როცა ადამიანმა თვითონ იცის, რაცა სჭირს. ნეტავი ნარმინა მაინც არ მიხვდებოდეს (სავარძელში ჯდება, მაგიდის ნათურას ანთებს). შრომის წითელი დროშის ორდენი... მაშინ კი, ომიდან რომ დავბრუნდი შინ სრულიად ახალგაზრდა, მხოლოდ ერთი მედალი მქონდა „საბრძოლო დამსახურებისათვის". მთელი ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ და მაინც ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს (დგება, სამზარეულოს კართან მიდის). მახსოვს, დიდხანს ვიდექი ჩვენი სახლის კართან, შემდეგ კარს მხარი ვკარი და შინ შევედი. ისე ჩუმად შევედი, ჩვენებს არც კი შევუმჩნევივარ... (კარს აღებს და სამზარეულოში გადის).

სამზარეულოს ნაცვლად სცენაზე იაფფასიანი ავეჯით გაწყობილ დიდ ოთახს ვხედავთ ბაქოს ერთ-ერთ ძველ უბანში ბაილოვზე. ოთახში სხედან ალას მამა მუსა და დედა მარიამი. შემოდის სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი და მხრებზე ზურგჩანთამოკიდებული გამხდარი გოგონა.

მარიამი — (მაგიდას ალაგებს) — უგემური იყო არა? ამ ბოლო ხანებში სულ ველარ ვამზადებ გემრიელ კერძებს.

მუსა— საიდან დაამზადებ, დალოცვილო, დასამზადებელი არაფერი იშოვება და... მაგრამ არა უშავს, ხომ ხედავ, ომს როგორც იქნა ბოლო მოეღო და ალბათ საჭმელიც გამოჩნდება.

მარიამი — საწარმოს მაინც არ დავტოვებ.

მუსა — რას ქვია არ დატოვებ, გაზანფარი ხომ დაბრუნდა, შენ კი მის ადგილს იკავებ.

მარიამი — იმხელა საწარმოში ჩემთვის ადგილი ყოველთვის მოიძებნება (სდუმს). სხვანაირად არ შემიძლია, მივეჩვიე. ცოცხისა და ჭურჭლის გარდა სხვა რამეც ხომ მინდა.

მუსა — მალე გოგო დაგვიბრუნდება ფრონტიდან, შვილიშვილები გვეყოლება და საქმეც გაგიჩნდება.

მარიამი — ნუ გეშინია, შვილიშვილებსაც მოვუვლი, დღედაღამე ხომ არ ვიმუშავებთ.

მუსა — მართალი ხარ, ბევრი ბრუნდება. გუშინ გაზანფარი ჩამოვიდა, ჩვენი მეზობლის სერიოჟაც დაბრუნდა უკვე სამი დღეა.

მარიამი — ამბობენ, სერიოჟა და ალა ერთ დივიზიაში მსახურობდნენო, მხოლოდ სხვადასხვა პოლკში. თავისთან უნდოდა სერიოჟას ალას წაყვანა, ის კი თურმე არ წაყოლია.

მუსა — ყოჩაღ, გოგო! ეგრეც უნდა, აბა ყუდროში თავის შესაფარებლად ხომ არ წასულა ფრონტზე. სხვასავით წინა ხაზზე უნდა გოგოს ყოფნა. ომში პროტექცია მე არ გამიგია.

მარიამი — შენ, კაცო, ქვისაგან ხომ არა ხარ გამოთლილი, ხუთი წელია ერთი ცრემლი არ მინახავს შენს თვალზე.

მუსა — სამაგიეროდ შენი დაღვრილი ცრემლებისაგან კასპიის ზღვა ნაპირზე გადმოვიდა. გამოგიტყდები და ცნობა რომ მოვიდა ალასაგან, „ცოცხალი ვარ და მალე დავბრუნდებიო", სახლში რომ არ იყავი, ვისარგებლე და ერთი ჯიგრიანად მეც ვიტირე. წასული ამბავია და იმიტომ გიყვები.

მარიამი — „ცოცხალი ვარ, ჯანმრთელი და მალე დავბრუნდები", ათი დღეა, რაც გვაცნობა, თვითონ კი არა ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალა — აქა ვარ, დედა!
მარიამი — (თეფშები ხელიდან უცვივა) შვილო!
მუსა — ალა?

(ერთმანეთს ეხვევიან)

მარიამი — სიზმარია თუ ცხადი?
მუსა — (ყვირის) ცხადია, მარიამ, ცხადი!
მარიამი — მიჩქმიტეთ, დამარტყით, გამომაფხიზლეთ, ვერაფერი მიგრძვნია.
მუსა — შენ როგორ იგრძნობ, დალოცვილო, როცა მომდგარხარ და მე მჩქმეტ ერთი საათია, წადი, მეზობლებს დაუძახე, ყველას გააგებინე, გოგო დაგვიბრუნდა-თქო.
მარიამი — მოდი, შვილო, კარგად დამენახე, ხომ არ მომატყუე წერილში, არც ერთი ჭრილობა არა მაქვსო?
ალა — არც ერთი, არა გჯერა?
მარიამი — წარმოუდგენელია, სასწაული, სულ ჩემი ლოცვების წყალობით.
ალა — მე, დედა, სანიტარულ რაზმში ვიყავი. სანიტარული რაზმი კი წინა ხაზიდან მოშორებულია. ჭრილობა არც ერთი არა მაქვს, მედალი კი მხოლოდ ერთი.
მარიამი — მკერდზე უფრო მეტს ვხედავ.
ალა — ეს ჯილდოებია ქალაქების აღებისათვის: კენიგსბერგი, ბერლინი, პრაღა.
მარიამი — არა, სიზმარში ვარ, შემანჯღრიეთ, გამომაფხიზლეთ!
მუსა — გაგიუდა დედაკაცი. (ალას) შენ რაღა მოგივიდა, რა კუთხეში მიყუჟულხარ?
ალა — თქვენ გათვალიერებთ.
მუსა — სინათლეზე გამოდი, კარგად შეგხედოთ.

(ალა ყოყმანობს, მერე შუა ოთახში გამოდის. მშობლებისაკენ მიბრუნდება.)

მარიამი — როგორ გასუქებულხარ... თუ მეჩვენება?
ალა — არა, დედა, სულაც არ გავსუქებულვარ.
მუსა — რას ამბობ, ძალიან გასუქებულხარ!

(პაუზა)

ალა — (გამომწვევად) არ გავსუქებულვარ... აი, მხოლოდ მუცელი...
მარიამი — (ხელებს შლის დაბნეულობისაგან) ბა... ბა... ბავშვი?

(ხანგრძლივი პაუზა.)

მუსა — დაიცადე, მარიამ, მამა ვინ არის? (ალა სდუმს)
მუსა — კანონიერია? (ალა სდუმს).
მუსა — მიპასუხე, კანონიერია? (ალა ისევ დუმს). ხმა ამოიღე! მსმენია შენისთანებზეც, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, ჩემი შვილიც... (კიდევ უფრო ხმამაღლა) მარიამ, ჭუდი და ჭურჭი გამომიტანე!
მარიამი — ვერ... ვერ გავიგე?
მუსა — (ყვირის) ჭუდი და ჭურჭი-მეთქი!
მარიამი — სად მიდიხარ, შენი ცვლის დრო უკვე დამთავრდა...
მუსა — კიდევ გაგიმეორო?

(დაბნეულ მარიამს ჭუდი და ჭურჭი შემოაქვს)

მარიამი — სად მიდიხარ, კაცო, ამ შუალამისას?!
მუსა — (გაყინული ხმით) ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს, ისიც მედლებიანს, ქუჩაში ვერ გავაგდებ. ჯობს თვითონ წავიდე (მიდის. ალა ხმას არ იღებს).
მარიამი — (ტახტზე ეშვება) ეს რა დღე გამითენდა, ნეტავი მიწა გამსკდომოდა და... ხმა ამოიღე, ალა, თქვი, რა ამბავია ჩვენს თავს.
ალა — (გაბზარული ხმით) რა უნდა ვთქვა, დედა!
მარიამი — მაშ მე რაღა ვთქვა, რა ვუთხრა მეზობლებს, ნათესავებს, სამსახურში რა ვთქვა, ჰა?
ალა — რაც გინდა თქვი, ჩემთვის სულ ერთია.
მარიამი — შენთვის თუ სულ ერთია, ბავშვმა რა დააშავა?!. იმას რას ეტყვი?
ალა — ვეტყვი რამეს. მესმის, დედა, ყველაფერი კარგად მესმის.

(სკამზე ჯდება და პირისახეს ხელებით იფარავს)

მარიამი — მე მაინც მითხარი, ალა, სიმართლე, არაფერი დამიმალო (დგება, წელში სწორდე-

ბა). ახლა ჩემი ცვლა იწყება, დამაგვიანდა კიდეც, წავალ, შემცვლელს ვთხოვ, დღეს ჩემ მაგივრად იმუშაოს (გადის).

ცოტა ხნის შემდეგ კარს მიღმა რაღაც ხმაური ისმის.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — (ჯერ მხოლოდ იმისი ხმა ისმის) **მასპინძელო, სტუმარს არ მიიღებ? უყურე, კარიც კი გაუღიათ ჩემს შესახვედრად. დეიდა მარიამ, ძია მუსა, სად ხართ?** (პასუხს არ უცდის ისე შემოდის ოთახში, ტანთ სამხედრო ფორმა აცვია). ვერავის ვხედავ. ეს სამხედრო ვინღაა, ამ შუა ზეიმის დროს მაგიდას **რომ** მიჯდომია და ცხვირ-პირი ჩამოსტირის?

ᲐᲚᲐ — მე ვარ, სერიოჟკა.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — ალკა! შენი ჭირიმე! მოდი გაკოცო კიდევ ერთხელ (კოცნის). ყოჩაღ, როდის ჩამოხვედი?

ᲐᲚᲐ — ორი საათის წინ.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — თქვენები არ გინახავს?

ᲐᲚᲐ — ვნახე, ცვლა დაეწყოთ და საწარმოში გაცვივდნენ.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — იცოცხლე, ეგენი მუშაობენ, მუხლი არ ჩაუხრიათ ხუთი წელია. შენ კი ისევ ის ალკა ხარ, წინა მერხზე რომ იჯექი, სულ არ შეცვლილხარ.

ᲐᲚᲐ — შენ კი ისევ ისეთი გატლეკილი ხარ, თანაც სულ სიგანეში წასულხარ.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — რომ მიყურებ, სულ ჯარისკაცის ულუფით ვარ გასუქებული. შევიდოდი თუ არა ახალ ჰოსპიტალში, უპირველეს ყოვლისა კვებით მომარაგების მუშაკებთან ვამყარებდი ურთიერთობას. მზარეულიდან დაწყებული ჭურჭლის მრეცხავებით დამთავრებული ყველა ჩემი უახლოესი მეგობარი ხდებოდა. ჩემსას ხომ მივირთმევდი და მივირთმევდი, შემდეგ სხვა ბიჭებსაც ვეცილებოდი ულუფაში. რას იზამ, ჭამა ყოველთვის მიყვარდა და ჩვეულება, ხომ იცი, რჯულზე უმტკიცესიაო. შენ ის მითხარი, ბოლო დროს სად იბრძოდი?

ᲐᲚᲐ — უკრაინის პირველ ფრონტზე, შემდეგ ჩეხოსლოვაკიის გავლით ბერლინში და ბოლოს რიბალკოს სატანკო არმიასთან ერთად პრაღაში.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — მე კი უკანასკნელად მესამე ეშელონში გამამწესეს, იქაურ ჰოსპიტალში ვმუშაობდი. რომ იცოდე, რამდენისთვის ხელ-ფეხი მომიჭრია, რამდენი სულ ნაწილ-ნაწილ ამიკრეფია. ხანდახან სამ მაგიდაზე მეწვნენ ერთად დაჭრილები და ვიდრე იმ სამს მოვრჩებოდი, ახლები მოჰყავდათ, ოფლი ღვარად ჩამომდიოდა. შენ კი, ჩემო ალკა, დამჯდარხარ და არ ინძრევი, ღვინო თუ არ გემეტება, ჩაი მაინც დამალევინე.

ᲐᲚᲐ — ეგ მეც ვიფიქრე, სერიოჟკა, მაგრამ ჯობია ისევ ასე ვიჯდე მაგიდასთან და არ გავინძრე, მეც მშვიდად ვიქნები და შენც ისე წახვალ აქედან, არაფერი გეცოდინება (დგება).

პაუზა

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — გათხოვდი?

ᲐᲚᲐ — არა.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — მამა ვინ არის?

ᲐᲚᲐ — არ არის.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — შენ ისე ლაპარაკობ, კაცი თუ არ გიცნობს, იფიქრებს, ამას იმდენი ყოლია, არც კი ახსოვს ბავშვს ვისგან ელოდებაო.

ᲐᲚᲐ — (აწყვეტინებს) ჩათვალე, რომ მიუხედავად შენი ჩინისა, ერთი სილა უკვე მიიღე ჩემგან მაგისათვის.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — ჩავთვალე. აბა ერთი დაჯექი და მომიყევი რაშია საქმე.

ᲐᲚᲐ — იმ ბიჭს რაუფი ერქვა, ბაქოელი იყო, მაგრამ მოსკოვში სწავლობდა, ფრონტზეც იქიდან გაიწვიეს. შენსავით მესამე რანგის ექიმად ითვლებოდა. მე და კიდევ ერთი ფერშალი მის განკარგულებაში ვიყავით.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — ჰოდა, ერთი ნახვით შეგიყვარდათ არა ერთმანეთი?

ᲐᲚᲐ — შენ წარმოიდგინე, არა. დიდხანს გვიახლოვდებოდა, ჩუმად გვეპარებოდა და მერე უცბად ერთბაშად იფეთქა... ერთი ღამე გავათიეთ მხოლოდ ერთად ჩეხეთში, მდინარის პირას პატარა ქოხში, დილით კი მოწინავეზე გაიწვიეს, მდინარე უნდა

გადაელახათ. ორი დღის შემდეგ ცნობა მოვიდა, რომ თურმე ნაპირი დანაღმული ყოფილა და ბორანი მთელი რაზმიანად აფეთქებულა. დაღუპულთა გვამები დინებას წაუღია.

სერგეი — ჰო... ექიმი ხარ და არ მოგერიდები. მუცელი ვერ მოიშალე?

ალა — ამის მეტი რაუფისაგან რა დამრჩენია, რომ ისიც მომეშალა, მოვიდა, წავიდა, თავისი კვალი კი ჩემს ცხოვრებაში სამუდამოდ დასტოვა (ჩანთიდან საერთო რვეულს იღებს). აი კიდევ რა დამრჩა მისგან. ეს ჯგუფური სურათი და რვეული მისი ჩანაწერებით, ადიუვანტებით იყო გატაცებული.

სერგეი — რითი?

ალა — ათასნაირი მცენარეულით, ბალახებით, ფესვებით, მისი აზრით სიცოცხლეს რომ უხანგრძლივებს ცოცხალ ორგანიზმს. იგი მათ სტიმულიატორებს ეძახდა.

სერგეი — იქნებ მაინც დამალევინო ჩაი, ყელი გამიშრა (ალა დგება და ჩაის ასხამს). ახლა რას ფიქრობ, რას აპირებ, ვთქვათ და შენი პირქუში მშობლები ბოლოს, როგორც იქნა, შეგირიგდნენ.

ალა — ეს არ მოხდება. მამაჩემი ყოველ შემთხვევაში არასდროს არ შემირიგდება, ამას სიკვდილამდე არ მაპატიებს.

სერგეი — კარგი, ვთქვათ, შენ დარჩი შერისხული და განკიცხული, იმას რალა ეშველება?

ალა — ვის?

სერგეი — ვის და შენს შვილს, გოგო იქნება თუ ბიჭი. ბაგაში, ბაღში, სკოლაში ყველგან თავდაპირველად იმას კითხავენ, ვისი ძე თუ ასული ხარო.

ალა — ამას ბავშვზე ადრე ალბათ, მე მკითხავენ სამშობიაროში, როდესაც ბავშვის დაბადების მოწმობის შევსებას დაიწყებენ. არის იქ ასეთი კითხვა: ბავშვის მამის სახელი და გვარი?

სერგეი — ჰო... (ჩაის სვამს ბოლომდე) რა ჩაია, ბიჭო! არც კი გრცხვენია ამას რომ მასმევ, სად შოულობთ, თუ იცი? (ბოლთას სცემს) ისე კი კარგად ულერს, არა, „მარტოხელა დედა", შეშურდება კაცს, რამე რომ იყოს.

ალა — შენზე უფრო ეგ მე მაწუხებს, ჩემო სერიოჟა, მაგრამ გამოსავალი რომ არ არის, რა ვქნა?

სერგეი — კიდევ დამისხი ერთი ჭიქა (რამდენიმე ყლუპით სვამს მთელ ჩაის, უცებ ჭიქას ფინჯანზე დებს).არის გამოსავალი (გვერდით უჯდება). მე ვარ შენი ქმარი.

ალა — შენ თავში ხომ არ ყოფილხარ დაჭრილი?

სერგეი — არა, ფეხში, ეს კი აზროვნებაზე, როგორც იცი, არ მოქმედებს. მივიდეთ შენს მშობლებთან და ვუთხრათ, რომ ჯერ კიდევ ომამდე გვიყვარდა ერთმანეთი. მერე ფრონტზე შევხვდით და, ერთმანეთს მონატრებულებმა, ფრონტზე ახალგაზრდულ ცდუნებას ვერ გავუძელით, შევცდით და დიდსულოვნად გვაპატიეთ-თქო. ახლა მმაჩის ბიუროში მივდივართ, რათა კანონიერი ხელმოწერით დავადასტუროთ ჩვენი სიყვარული-თქო. ხვალ კი ავდგეთ, წავიდეთ მმაჩის ბიუროში და მართლა მოვაწეროთ ხელი.

ალა — მერე?

სერგეი — რა მერე, მერე გაჩნდება ბავშვი და სწორედ იქ, სადაც შენ ბავშვის მამის ვინაობა უნდა ჩაგეწერა, ჩაწერ: რენა სერგეი ვაზი ან რუფატ სერგეი ოღლის, უგალკოვა ან უგალკოვს.

ალა — კი მაგრამ, რომ არ მიყვარხარ?

სერგეი — საბაგიეროდ მე ვგიყდები შენი სიყვარულით, რომეო ვარ, მაჯნუნი, ტახირი, მეფე თედორე და არ მახსოვს, კიდევ ვინ. იყავი შენ შენთვის აქ და მე წავალ სუმბაიტში, ახალი ქალაქი შენდება ოცდაათ კილომეტრზე აქედან. იქ მთავაზობენ ექიმის ადგილს.

ალა — მერე, მერე რა იქნება?

სერგეი — რით ველარ გაგაგებინე, ქალო, რა იქნება და არაფერი. გავიცნობ იქ ვინმე ჯულიეტას, გაგეყრები შენ და იმას შევირთავ ცოლად, ბავშვისთვის კი ყოველთვის ნამდვილი მამა ვიქნები.

ალა — იქნები, თუ დაგთანხმდა შენი ჯულიეტა.

სერგეი — არ დამთანხმდება და მე მისი რომეო ალარ ვიქნები. რა დაგემართა?

ალა — ყელი გამიშრა, მოულოდნელობისაგან ლამის დავიხრჩო.

სერგეი — დალიე ეს საშინელება და გაგივლის.

ალა — არ მშველის. საოცარია, ასე თუ ისე მაინც უცხო ადამიანი...

სერგეი — ეს მე ვარ უცხო ადამიანი? (ორივე ხელით ალას პირისახეს თავისკენ შემოუტრიალებს) არა გრცხვენია? განა მე და შენ ერთად არ გამოვიარეთ ომის ქარტეხილი, ცრემლისა და სისხლის ნიაღვრები? განა ერთნაირად არ გვშიოდა, გვციოდა და გვწყუროდა? აი ხედავ, ძმისშვილს საყვირი ჩამოვუტანე. ამას ჩვენი შვილისათვის შევინახავ, დაე, ჩაბერეს შიგ და შეატყობინოს ქვეყანას, რომ არსებობს (საყვირზე უკრავს).

ალა — (ჩუმად) სერიოჟა, გაკოცებ რა?

სერგეი — მეც გაკოცებ! (კოცნიან ერთმანეთს). კარგი გეყოფა, ნუ თხლიპინებ. აბა, ასწი თავი! (მარიამი შემოდის.)

მარიამი — ძლივს არ დავითანხმე შემცვლელი, დღეს ჩემ მაგივრად იმუშაოს (თავსაფარს იხდის). სერიოჟა?

სერგეი — გამარჯობა, დეიდა მარიამ!

მარიამი — გამარჯობა, შვილო. შინ მშვიდობით დაბრუნებას და გამარჯვებას მოგილოცავ.

სერგეი — თქვენთვისაც მომილოცნია, დეიდა მარიამ. ამ გამარჯვებაში ჩვენზე ნაკლები წვლილი არც თქვენ მიგიძღვით. ბევრი მსმენია თქვენს შემართებაზე. იქ, ფრონტზე საკუთარი თვალით ვხედავდი, რომ ათიდან შვიდი ტანკი ჩვენებური ბაქოს საწვავით მიდიოდა შეტევაზე. ეს კი. აბა. ვისი დამსახურებაა, თუ არა თქვენი?!

მარიამი — გაიხარე, შვილო! (მაგიდასთან მიდის) ეს საყვირი რად გინდა, ბავშვი ხომ არა ხარ?

სერგეი — საჩუქარია.

მარიამი — ვისი, ჩემი თუ მუსასი?

სერგეი — ჩემი მომავალი შვილის.

მარიამი — ცოლი შეირთე? გუშინწინ დედაშენი შემხვდა, არაფერი უთქვამს.

სერგეი — იმან ჯერ არ იცის. აბა, დაბრძანდით, დეიდა მარიამ, და მაჯა მაჩვენეთ.

მარიამი — ვითომ რატომ, რა მჭირს შენი სამკურნალო.

სერგეი — მაჯისცემა მშვენიერი გაქვთ, ოღონდ ბევრი არ უნდა ინერვიულოთ. ნუ გაიკვირვებთ, დეიდა მარიამ, რასაც ახლა გეტყვით: მე თქვენს ქალიშვილზე ვქორწინდები.

მარიამი — ალაზე? ალა ხომ...

სერგეი — რა ვუყოთ. მერე, ცოტა ავჩქარდით, უნდა გვაპატიოთ. მთელი ომი ერთად გამოვიარეთ, ვიცადეთ, ვიცადეთ, მალე დამთავრდება-თქო ეს ოხერი ომი და... მოკლედ, ველარ მოვითმინეთ. ახლა რამდენიც არ უნდა ატრიალოთ, ამ საქმეს მაინც ალარაფერი ეშველება. ცუდად ხომ არ ხართ, დეიდა მარიამ?...

მარიამი — განაგრძე...

სერგეი — უკვე დავამთავრე, თქვენ კი ცუდად ხართ, დეიდა მარიამ, ალა, ნემსი!

მარიამი — თავი დამანებე, რად მინდა ნემსი. ჩვენებურებს გული ან მაგრად უცემთ ან სამუდამოდ აქვთ გაჩერებული.

სერგეი — თქვენს გულს გაჩერების არავითარი საბაბი არ გააჩნია. ჩვენ. ჩვენი ცოდვები ვალიარეთ, შეცდომების გამოსწორების დრო დადგა.

მარიამი — როგორ?

სერგეი — ჩვეულებრივად, იურისპრუდენციაში ასეთ შემთხვევას „დე'ფაქტოს" უწოდებენ. ხვალვე გავაფრთხილებთ დედაჩემს და ძია მუსას და მმაჩის ბიუროში წავალთ ხელის მოსაწერად. ქორწილის გადახდა ახლა ცოტა უხერხულია. ამიტომ ჩვენ ხუთნი მოვუსხდებით მაგიდას და დავლოცავთ ერთმანეთს.

მარიამი — (ალას) შენ რაღას გაჩუმებულხარ?

ალა — დუმილი თანხმობის ნიშანია.

მარიამი — თვითონ რატომ არ მითხარი ყველაფერი.

ალა — რა ვიცი, ვიფიქრე, ჯობია სერიოჟამ უთხრას-მეთქი.

მარიამი — ცხოვრებას სად აპირებთ, ჩვენთან თუ თქვენთან?

სერგეი — ჯერ სუმჰაიტში წავალ, იქ ბინას მივიღებ და მერე ჩამოვალ. დეიდა მარიამ, თქვენ მართლა ცუდად ხომ არა ხართ? ხელები გიკანკალებთ, სახეზეც გაფითრდით.

მარიამი — მართლა? (მწარედ) ამაზე ოცნებობდი? მალე თქვენი შვილის ქორწილში გვექეიფოსო, ხალხი მეუბნებოდა. მეც სულ თვალწინ მედგა ალას ნიშნობის დღეები, მოვლენ ვაჟის მშობლები, ქალის ხელს გვთხოვენ, მერე ჩვენ მივალთ მათთან და...

სერგეი — ეჰ, დეიდა მარიამ, ეგეთი ოცნებები დაუმსხვრევია ომს ხალხისათვის? რა მნიშვნელობა აქვს, ხალხი რას იტყვის, მთავარია მე და ალას ერთმანეთი გვიყვარს და სულ მალე, აი, ამ ოთახში პატარა ჩაპუნტულებული გოგონა ან ბიჭი იბაჯბაჯებს საყვირით ხელში და ყურებს გამოგიყრუებთ (საყვირზე უკრავს). მერე ბებია მოჰყვება ყვირილს: „კარგი, გააჩუმე ეგ ოხერი, გეყო".

მარიამი — კარგი, სერგეი, გვეყო ლაზღანდარობა. შენ რა იცი, რა საუბარი მელის მუსასთან.

სერგეი — კარგი, ბატონო, მე წავალ, (ალას) შენ კი ეგ რვეული მომეცი, თვალს გადავავლებ. (რვეულს იღებს, ქუდს იხურავს) ნება მომეცით გამოგეთხოვოთ. როდის მიბრძანებთ, რომ კვლავ გეახლოთ?

მარიამი — ხვალ საღამოს, დედაშენის წამოყვანა არ დაგავიწყდეს.

სერგეი — არა, ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ. ალა, არ მოიწყინო.

ალა — ნახვამდის, სერგეი.

სერგეი მარიამს და ალას ემშვიდობება და გადის. სინათლე ქრება, შემდეგ ისევ ინთება. სცენაზე ვხედავთ, ბაილოვზე კულტურის ბაღის წინ პატარა სკვერში ზის ლორა, შემოდის ორი ნასვამი ახალგაზრდა: პირველი — ერთი ახმახი ვინმე გიტარით და მეორე — მილეული ბიჭი მანდოლინით ხელში. აქეთ-იქეთ მოუსხდებიან.

პირველი — რაზედ მოგიწყენია, გენაცვალე, გინდა ახლავე გაგამხიარულო?

მეორე — მარტო რაზედ მოსულხარ, ამხანაგი ვერ წამოიყვანე, ახლა ჩვენ შორის ერთ-ერთი ზედმეტია.

პირველი — ზედმეტი სწორედ შენა ხარ და ეგ არის. ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად, გენაცვალე? გინდა გიმღერო?

მეორე — (მანდოლინას სიმებს ჩამოჰკრავს) „Темная ночь"...

პირველი — გაჩუმდი! (ლორა ფეხზე წამოდგომას ცდილობს) აბა, აბა, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ! ეგ ახლა აქედან მოუსვამს და ჩვენ მარტო დავრჩებით. შენგან, გენაცვალე, ყველანაირ შეკვეთას ვიღებ, რა გინდა, ბერნესი? ახლავე... (შემოდის სერგეი).

სერგეი — აბა! სმენა! (ახალგაზრდები დგებიან) მომიახლოვდით! ზურგისაკენ, მწყობრი ნაბიჯით იარ! (ახალგაზრდები უხმოდ გადიან). ლორა, მაპატიე. ტრამვაის გაჩერებიდან გიყვივით მოვრბივარ, სულს ძლივს ვითქვამ.

ლორა — მე კი ნახევარი საათია სკამზე ვზივარ და სუფთა ჰაერით ვტკბები.

სერგეი — კიდევ ერთხელ გთხოვ პატიებას.

ლორა — რას ამბობ, რა გაქვს ჩემი საპატიებელი, პირიქით, დიდი მადლობა, რომ ამ საახელდახელო კონცერტს გადამარჩინე.

სერგეი — კარგი ახლა, ლორა, ნუ მომდექი (ცოცნის). საყვარელო, ჩემო ერთადერთო.

ლორა — ხელში რა გიჭირავს?

სერგეი — ერთი დალუპული ექიმის ჩანაწერებია. ტრამვაიში დავიწყე კითხვა და ველარ მოვწყდი.

ლორა — მოგონებებია?

სერგეი — არა, ჩანაწერები ადიუვანტების შესახებ. დიდი ხანია ასეთი რამე მეც მაინტერესებს.

ლორა — ადიუტანტები?!

სერგეი — ადიუვანტები. ამ სიტყვაში მხოლოდ ერთი ბგერაა შეცვლილი, ამ ცვლილებას კი სულ სხვა სამყაროში გადავყავართ. იმ სამყაროში, რომელიც საოცრად შორსაა შენგან, მომავალ სამთო ქიმიკოსისაგან, და ამ სამყაროს მედიცინა ჰქვია.

ლორა — მართალი ხარ, მედიცინაში არაფერი გამეგება იმის გარდა, რომ გაციების შემთხვევაში ასპირინი უნდა დალიო.

სერგეი — უახლოეს მომავალში კი ასპირინი შესაძლოა სრულიადაც აღარ იყოს საჭირო. მალე დაავადებებთან ბრძოლის ნაცვლად ორგანიზმის სასიცოცხლო ძალთა შე-

მაფერხებელ პირველად მიზეზებს დაუწყებენ მკურნალობას. ამისათვის მთელი პოლკებია საჭირო, დივიზიები, ამ დივიზიებს კი — სტიმულიატორები ეწოდება.

ლორა — დაღუპული ექიმი ყველაფერ ამას იკვლევდა?

სერგეი — მას მხოლოდ დაუწყია გამოკვლევა, მე გავაგრძელებ. აქ შესანიშნავი საძიებელია ჩაყრილი, გესმის?

ლორა — მესმის ის, რაც მედიცინაში ჩემი შეზღუდული ცოდნის ფარგლებში ეტევა.

სერგეი — უკვე გაგაღიზიანე, არა?

ლორა — რა გასაკვირია. (გამომწვევად) ამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და იმის ნაცვლად კინოში მაინც წამიყვანოს, საათნახევარი მალოდინებს ბაღში, ხოლო შემდეგ სამეცნიერო-პოპულარულ ლექციას მიკითხავს სამედიცინო თემაზე.

სერგეი — თანაც მოსაწყენ ლექციას, არა?

ლორა — რატომ მოსაწყენს, საკმაოდ საინტერესოსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოს. ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა დღეს სიყვარულზე გელაპარაკა, გეკოცნა თუნდაც, მაგრამ ჩირივით ხარ გამომხმარი და მეტს შენგან რას უნდა ველოდე.

სერგეი — ჩირიცა ხარ და მეტიც, მე არ ვიცი? გაკოცო კი არა და თითი რომ დაგაკარო, კი-ვილით დააქცევ აქაურობას.

ლორა — ეს ყოველი შემთხვევისათვის, სინამდვილეში კი, როცა ვკივი, გულში ვფიქრობ, ნეტავი ისე მაგრად მომიჭერდეს ხელს, მერე მთელი დღე ძვლებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდეთ-მეთქი.

სერგეი — უყურე, თურმე ბიოქიმიკოსები რა მგრძნობიარენი ყოფილან?

ლორა — ექიმები კი ცივი რაციონალისტები.

სერგეი — ახლავე გიჩვენებ ჩემს ცივ რაციონალიზმს (წელზე ეხვევა, სკამზე გადააწვენს და დიდხანს კოცნის).

ლორა — დავიხრჩვი!

სერგეი — უნდა დაგახრჩო!

ლორა — ტუჩები მეტკინა, გამიშვი!

სერგეი — (ხელს უშვებს) ძალიან მიყვარხარ, ლორა, ამ ტორებით ვერც კი შიგახვედრებ, როგორ მიყვარხარ. მიყვარხარ და მჯერა შენი.

ლორა — მეც მჯერა.

სერგეი — ვიცი, რომ გჯერა და სწორედ ამან გამაბედინა ის, რასაც რწმენის გარეშე ვერასოდეს გავბედავდი... ცოლი შევირთე...

ლორა — (მოულოდნელობისაგან შეხტება) შენ ხომ არ...

სერგეი — ალა შევირთე, მეზობლის გოგონა.

ლორა — სერგეი, შენ მთვრალი ხომ არა ხარ?!

სერგეი — წვეთი არ დამილევია.

ლორა — აბა მაშ გაგიყდი?

სერგეი — სრულ ჭკუაზე ვარ.

ლორა — მაშინ მე ავურიე?!

სერგეი — ნუ გეშინია, არც შენ აგირევია და არც მე ვარ მთვრალი, აი, ის ორი, აქეთ რომ მობანცალებენ, მთვრალები არიან, ახლა მაგათთან საუბრის თავი არა მაქვს, წამო, ხეივანში გავისეირნოთ (დაბნეულ ლორას ხელკავს უკეთებს და მიდიან. შემოდის ის ორი მთვრალი ახალგაზრდა გიტარით და მანდოლინით).

პირველი — წასულან, ბიჭო, თორემ მაგას ვაჩვენებდი, როგორ უნდა „ზურგისაკენ! ნაბიჯით იარ!“ მეორე ბოთლის შემდეგ მაიორი და გენერალი აღარ ვიცი მე, ყველა ფეხებზე მკიდია.

მეორე — (მისავათებული ხმით) მეორე ბოთლის მერე ძილია კარგი.

პირველი — ხომ არ გაგიყდი, კაცს ფული დამიხარჯავს, დავმთვრალვარ და ლოგინში ჩავწვე? ახლა მე სიმღერა მინდა, ხალხი უნდა გავამხიარულო.

მეორე — წამო რა, სახლში წავიდეთ.

პირველი — იმღერე! (გიტარას ჩამოჰკრავს).

მანდოლინაც სუსტად წაიწრიპინებს, რასაც ორი მთვრალი კაცის საშინელი ბღავილი მოჰყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე — არავინ მოდის მოსასმენად.
პირველი — იმღერე და მოვლენ!

(ისევ მღერიან. სცენის იქით მილიციელის სასტვენის ხმა მოისმის. მთვრალები თავქუდმოგლეჯილი გარბიან, აკაციის ხესთან სერგეი და ლორა გამოჩნდებიან, სერგეი გაქცეულებს კუდში კიდევ სტვენას ადევნებს.)

სერგეი — ლაწირაკები!

ლორა — ლაწირაკი არა ხარ, ჩაგიდვია პირში თითები ამ გაჭაღარავებულ კაცს და უსტვენ. ამდენი მოულოდნელი სიამოვნებისაგან შეიძლება გული გამისკდეს.

სერგეი — რა მოხდა, ლორა, ბოლოს და ბოლოს?

ლორა — რა მოხდა და ჩვენ ხომ ჩვენი შვილები გვეყოლება?

სერგეი — ესე იგი, მათ კიდევ ერთი და ან ძმა ეყოლებათ, განა რა არის ამაში ცუდი? წარმოიდგინე, ლორა, დიდ ოთახში დიდ ხალიჩაზე სამი მატრაკვეცა ყირაზე გადადის. ჩვენ ყველა ერთნაირად გვეყვარება. ალასა და ჩვენს შვილებს ერთმანეთში არ გავარჩევთ.

ლორა — კარგი, ვთქვათ, დაგიჯერე, რომ ფრონტზე შენ და ალას ხხვა თუ არაფერი, რამდენიმე ათასი კილომეტრი მაინც გაშორებდათ და მის დაფეხმძიმებაში არავითარი წვლილი არ მიგიძღვის, მაგრამ...

სერგეი — რა მაგრამ?

ლორა — განა ჩვენი მშობლები დაიჯერებენ ამას?

სერგეი — ეს უკვე სხვა საკითხია. მშობლებს როგორმე ავუხსნით, რომ მთავარი სიყვარულია, სიყვარულისას კი აბა რას გაიგებ.

ლორა — კიდევ ერთი...

სერგეი — კიდევ რა?

ლორა — გავა ხანი და შესაძლოა ალას ვინმე შეუყვარდეს...

სერგეი — გამორიცხულია. ალას ერთხელ უკვე უყვარდა და უკანასკნელად. მისი სიყვარული ბლესტიკის ფსკერზე განისვენებს, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის საზღვარზე.

ლორა — ვთქვათ, მოხდა სასწაული და...

სერგეი — მაშინ გამოვა, რომ მე ალა არ მცნობია და მისი ბავშვი სამუდამოდ უნდა გადმოვიყვანოთ ჩვენთან.

ლორა — შენ დარწმუნებული ხარ, რომ მე ამდენს მოგითმენ?

სერგეი — ფრონტზე წასვლის წინ ისეთი თვალებით შემომცქეროდი, თითქოს მევედრებოდი: უფეხო, უხელო, ბრმა, ყრუ, დაჩეხილი, დამწვარი, გაუბედურებული, სულ ერთია როგორი იქნები, ოღონდ დამიბრუნდიო.

ლორა — მაშინ შენ არ ცდებოდი, სერგეი (ჯდება, მკერდზე მიეკრობა). შენს გულისცემას როცა ვისმენ, ვმშვიდდები. ყველაფერი წარმომედგინა, ყველანაირი მოულოდნელობისათვის ვიყავი მზად, მაგრამ რაც დღეს მითხარი, იმას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ასეთი რამ მხოლოდ შენ თუ მოგივიდოდა აზრად, თორემ...

სერგეი — ალკა ჩემი ბავშვობის მეგობარია. იმისი უბედურების ამბავს რომ ვისმენდი, თვალწინ სულ ერთი დაუვიწყარი შემთხვევა მედგა: პრუსიაში ჩვენი რაზმი ერთ საკონცენტრაციო ბანაკთან გაჩერდა. ბანაკში მხოლოდ ბავშვებიღა დარჩენილიყვნენ, უფროსები გერმანელებს ადრე ამოეხოცათ, ესენი კი რალაც ექსპერიმენტისათვის დაეტოვებინათ. როდესაც ყველაფერი გაირკვა, ჩვენი რაზმის ყოველმა ჯარისკაცმა თვითეულ ბავშვს გამოუცხადა, რომ დღეიდან იგი მისი მამა იქნებოდა.

ლორა — შესანიშნავი მაგალითია, მაგრამ იმ ჯარისკაცებს შინ ალბათ ლორა არ ელოდათ.

სერგეი — მართალია, ზოგს საერთოდ არ ელოდა არავინ, მაგრამ ბოლოს ხომ მაინც გამოჩნდება ვილაც...

ლორა — და შენ გგონია, დაუჯერებს...

სერგეი — შენ ხომ დაიჯერე, შენ ხომ გჯერა ჩემი, მე კიდევ შენი?

(სცენაზე ისევ ის ორი მთვრალი შემოდის გიტარით და მანდოლინით)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ — Была бы только ночька, да ночька потемней.
ᲛᲔᲝᲠᲔ — Была бы только тройка, да тройка порезвей.

სერგეი ფეხზე დგება, თითებს პირში იწყობს და გრძლად უსტვენს. მოვრალები გარბიან. სინათლე ქრება.

სერგეის სტვენას ზარის მელოდიური წკარუნი ცვლის. სინათლე ინთება და ჩვენ ისევ მოხუცებული ალას ბინაში ვიმყოფებით. ალა სამზარეულოს კარს აღებს და მისაღებ ოთახში გამოდის.

ᲐᲚᲐ — ვინ არის?

(ფოსტალიონის ხმა — **ისევ მე ვარ, ალა-ხანუმ!**)

ᲐᲚᲐ — დეპეშაა? (კარს აღებს და ფოსტალიონს დეპეშას ართმევს) **მადლობელი ვარ, გენაცვალე.** (კითხულობს)—**„ჩემო ალა, სულითა და გულით გილოცავ ჯილდოს გმირობისათვის“. სერიოჟა, სერიოჟა, აბა რომელი გმირობისათვის? ნარმინასაგან კი ჯერ არაფერი ისმის, თუმც შესაძლოა ჯერ არც კი იცის:** (ზუსტად ნარმინას სურათის წინ ჯდება). **ამის შემდეგ კიდევ რამდენი სურათი აქვს გადაღებული, პალტოში, უპალტოოდ, სტადიონზე, ქუჩაში, ზღვის სანაპიროზე, მე კი ამაზე უფრო არც ერთი არ მიყვარს, არც კი ვიცი რატომ, განა ადამიანი ყველა კითხვაზე გასცემს პასუხს, ასე რომ იყოს, სიცოცხლეს აზრი დაეკარგებოდა, მგონი, ისევ ცუდად ვარ...** (ტელეფონი რეკავს). **ახლავე...** (მძიმედ წამოდგება, ისევ სავარძელში ეშვება) **ძალიან ცუდად ვარ.** (კარებზე რეკავენ) **უნდა გავაღო.**

(სინათლე ქრება)

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

მისაღები ოთახი სერგეის ბინაში. თანამედროვე ავეჯის, ტელევიზორის, ტრანზისტორის, მაგნიტოფონისა და სხვა რადიომოწყობილობათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა დიდმა დრომ განვლო. ბინას მოუვლელობა ეტყობა: ავეჯი არეულ-დარეულია, კედელზე მუქი ლაქა შოჩანს; ვიღაცას სურათი ჩამოუხსნია. ჩანს, აქაურობა დიდი ხანია არავის დაულაგებია. კარის ჭრიალი ისმის. ოთახში ჩემოდნით ხელში შემოდის მხარზე ზურგჩანთამოკიდებული, უკვე სრულიად გაჭაღარავებული სერგეი: ყავისფერი ტყავის მოკლე კურტაკი, სპორტული შარვალი და დასვრილი რეზინის ჩექმები აცვია.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — ლორა, სადა ხარ? (საძინებელში იხედება) **არ არის.** (სამუშაო ოთახში იხედება) **არც აქ.** (ტელეფონის ზარის ხმა) **ალო! გაგიმარჯოს. ამ წუთას შემოვედი. ჯერ ჩექმებიც არ გამიძვრია. ჩამოგიტანე, აბა სხვა რა მინდოდა იმ ოხერ კოპეტის ქედზე, მისი ხათრით მწვერვალი არ დამიტოვებია ახლომახლო დაუპყრობელი... მუმიეც და კიდევ იმდენი სხვა რამ, ჩემოდანი ძლივს დავკეტე... აბა რა, უეჭველად.** (ყურმილს დებს) **სად დაიკარგა ეს ქალი. რაღა მაინცდამაინც დღეს...** (შემოსასვლელში გადის და მალე ისევ უკან ბრუნდება დეპეშით ხელში) **„9-ში ჩამოვდივარ 19 30 216 რეისით, გკოცნი. სერიოჟა“. ეს დეპეშა ლორას არ წაუკითხავს. რადგან კარებში იყო დატოვებული, გუშინწინ გამოვგზავნე, ესე იგი უკვე ორი დღეა შინ არ მოსულა. შეუძლებელია, აშხაბადიდან გუშინწინ დილით თუ გაიგზავნა, სალამოს უკვე ფოსტაში იქნებოდა, ვთქვათ იქ რაღაც გაუგებრობა მოხდა და ერთი დღით შეყოვნდა, მაინც, გამოდის, რომ მეორე დღეა სახლში არ არის. ეგებ სამსახურში დამერეკა?** (საათზე იყურება) **იქ ახლა ალარავინ იქნება** (სიგარეტს უკიდებს და ბოლთას სცემს). **ალბათ მამამისთანაა ან ალასთან? ახლავე დავრეკავ.** (ნომერს კრეფს, ალას ტელეფონი არ პასუხობს)

ალბათ მორიგეობს ამ საღამოს. მამამისთან იქნება, ცუდად გახდებოდა ბერიკაცი და მის მოსავლელად წავიდოდა. დავიბან, გავიპარსავ და იქ მივაკითხავ. (საბაზანოში შედის).

შემოდის ლორა. საწვიმარს არ იხდის, ისე ჯდება სავარძლის კიდეზე. ბრუნდება სერგეი პირსახოცით ხელში, თმა ჯერ კიდევ სველი აქვს.

სერგეი — ლორა!

ლორა — ჰო, მე ვარ.

სერგეი — სად დაიკარგე? (ეცინის) ლოყა დაგისველე თმით (პირსახოცით წმენდს ლოყას) მთელი აეროდრომი შემოვირბინე და ვერსად გნახე, მერე მანქანების სადგომთანაც გეძებე, ეგებ იქ იცდის-მეთქი მანქანით, მაგრამ იქაც არ იყავი.

ლორა — (ჯიბიდან მანქანის გასაღებს იღებს და მაგიდაზე დებს) მანქანა გარაჟშია, მთელი და უვნებელი, აი, ჩაიბარე გასაღები.

სერგეი — მანქანაზე არ გელაპარაკები, დღეს პირველად არ დამხვდი ამ ხნის განმავლობაში და შევშინდი, რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. მამა როგორ არის, ალა, ნარმინა, ხომ კარგად არიან ყველანი?

ლორა—მამას არა უშავს, ალა ავადმყოფობს, მაგრამ მაინც ფეხზეა, ნარმინა ამას წინათ ვნახე.

სერგეი— ორი დღე სახლში რატომ არ იყავი?

ლორა — რატომ მაინცდამაინც ორი?

სერგეი — გუშინწინ ნამდვილად არ ყოფილხარ, ეს დეპეშა კარებში დამხვდა. საწვიმარს რატომ არ იხდი?

ლორა — მაღაზიაში ვარ წასასვლელი.

სერგეი — არავითარი მაღაზია დღეს არ გამაგონო. ორი თვეა სახლში არ ვყოფილვარ, ძლივს ჩამოვაღწიე და მოდი დღეს ნურსად ნუ წახვალ, სულ ჩემთან იყავი. ტელეფონიც კი გამოვრთოთ (ეხვევა). ძალიან მომენატრე, ლორა, ვერც კი წარმოიდგენ, ისე მომენატრე.

ლორა — ისევ დამისველე ლოყები.

სერგეი — მაპატიე, გაიხადე და ახლავე ხალათს და ფოსტლებს მოგიტან.

ლორა — ნუ წუხდები. (დგება). სერგეი, შენ... ვერაფერს ამჩნევ?

სერგეი — რას უნდა ვამჩნევდე? (გარშემო იყურება) მოდილიანის „გოგონას პორტრეტი" გაქრა კედლიდან. პიანინოზე მამაშენის ნაჩუქარი შანდლები აღარ დევს, არც მაგნიტოფონი ჩანს, კიდევ, კიდევ... რაც წავედი, მას შემდეგ, ეტყობა, ეს ბინა აღარ დალაგებულა.

ლორა —მართალია, ერთი თვეა ამ ბინაში აღარ შემოვსულვარ, თან რამდენიმე საყვარელი ნივთი წავიღე.

სერგეი — (შეცბუნებული დიდხანს ვერ ბრუნდება მისკენ, ბოლოს მოუტრიალდება და შეხედავს) რა თქვი, ლორა?

ლორა—ვერ მიხვდი? (წინ და უკან დადის) ჩემ გარშემო ჩემ გარდა ყველას ნორმალური ქმარი ყავს, ყველას ნორმალურად აქვს ეს ცხოვრება აწყობილი და ნორმალურად აკეთებს საქმეს.

სერგეი — მე რა საქმეს არ ვაკეთებ?

ლორა—მე არ ვიცი, შენ რას აკეთებ. ლაძვრები ალპინისტებთან ერთად გაუთავებელ ლაშქრობებში, მწვერვალი აღარ დაგრჩა დაუპყრობელი, ღამეებს სადღაც მიწურებში ათევ, გამოყრუებულ ექიმბაშებთან, რაღაც მცენარეთა ფესვებს ჩიჩქნი დაუსრულებლად და შედეგი არ იქნა და არა ჩანს. ჭირდებოდეს მაინც ვინმეს ეგ შენი უაზრო თავდადება.

სერგეი—ჯერ კიდევ არავინ იცის, რა არის უაზრო და რაა აზრიანი.

ლორა—მე ზუსტად არ მახსოვს, როგორი ეპითეტებით ამკობდა შენს აღმოჩენებს პროფესორი კვასნიცკი, მაგრამ ის ამბავი, რომ მთელ შენს მოღვაწეობას უბრალოდ „თვალთმაქცობა" უწოდა, არასოდეს დამავიწყდება.

სერგეი — დადგება დრო და მაგ სახელგანთქმულ ორთოდოქსს შერცხვება თავისივე სიტყვების.

ლორა — თითქმის ყველა შენი თაობის ექიმი უკვე მეცნიერებათა დოქტორი გახდა, ზოგი უკვე პროფესორია.

სერგეი — მერე რა, ზოგს უყვარს „ვოლგით“ სრიალი მოასფალტებულ ავტოსტრადებზე, ზოგს კი კლდე-ღრეში ურჩევნია ბორიალი.

ლორა — მერე შედეგი? შედეგი რომ არ არის?

სერგეი — ჯერ ეს ერთი, რომ შედეგი აუცილებლად იქნება, მოწინააღმდეგეთა გარდა ამ ბოლო ხანებში მომხრეებიც გაგვიჩნდა. მეორეც — მსხვერპლის გარეშე შედეგს მაინც ვერ მივიღებთ. იმ ხალხთა თავგანწირვა რომ არა, ვინც ერთ დროს მხრებზე ფრთებს იბამდა და სამრეკლოდან ძირს ეშვებოდა, დღეს ტუ-104-ით ადლერიდან ბაქოში საათნახევარში ვერ ჩამოვფრინდებოდი.

ლორა — მერედა შენ დარწმუნებული ხარ, რომ იმ თავდადებულ მფრინავთა ცოლები ბედნიერები იყვნენ. მოკლედ, სერგეი, მე დავიღალე, საშინლად დავიღალე (იხდის).

სერგეი — რატომ გაიხადე?

ლორა—დამცხა. კიდევ ერთი, გახსოვს, დიდი ხნის წინ ბაილოვზე, ბაღში, მეუბნებოდი, ჩვენ სამი შვილი გვეყოლებაო; ერთი სხვისი და ორი ჩვენი, დასხდებიან დიდ ხალიჩაზე ოთახის შუაგულში და ყირაზე გადავლენო, საყვირზე დაუკრავენო. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ნარმინას გარდა ჩვენ არავინ გვყოლია არასოდეს და ეს ბედნიერებაც წილად მხოლოდ მასა ხვდა.

სერგეი — ამაზე მეც ბევრს ვფიქრობდი ყოველთვის, მერე და რამდენჯერ გთხოვე, ბავშვი ავიყვანოთ-მეთქი.

ლორა — კიდევ ერთი სხვისი ბავშვი?!

სერგეი — სხვისი ბავშვი ჩვენი გახდებოდა.

ლორა — ოღონდაც ნუ დაიწყებ ახლა იმის მტკიცებას, რომ მართალი ხარ და...

სერგეი — არაფრის მტკიცებას მე არ ვაპირებ.

ლორა — და შენთან დარჩენასაც ნუ მთხოვ.

სერგეი — არა გთხოვ.

ლორა — საძინებელში ჩემოდანი მიდევს, ჩემი ტანსაცმელი მინდა წავიღო.

სერგეი — წაიღე, რაც გინდა, აქ ყველაფერი შენ გეკუთვნის.

ლორა — გმადლობთ, არაფერი არ მჭირდება.

სერგეი — არც მე მჭირდება არაფერი. ყველაფერს კარგად შევაფუთინებ, საბარგო მანქანას დავიქირავებ და...

ლორა — არაფერი არ მჭირდება, სერგეი.

სერგეი — მას ყველაფერი აქვს?

ლორა — (საქციელწამხდარი) საიდან იცი მის შესახებ?

სერგეი— დაგინახეთ რამდენჯერმე ერთად.

ლორა — და არაფერი არა თქვი?

სერგეი — მე შენი მჯეროდა, ლორა.

ლორა — (საძინებელში გადის და ჩემოდანი გამოაქვს)
მშვიდობით, სერიოჟა, ნუ გამამტყუნებ.

სერგეი — არ გამტყუნებ.

ლორა — აქეთ როცა მოვდიოდი, მეგონა, მძიმე საუბარი მელოდა შენთან.

სერგეი — ის კი ძალზე გულთბილი აღმოჩნდა, თითქმის სულ ღიმილში და სიცილში ჩატარდა არა?

(იცინის, ლორა სწრაფად გადის ოთახიდან. სერგეი ერთს გაიქნევს თავს და მძიმედ ეშვება სავარძელში. ზარის ხმა ისმის. სერგეი ადგილიდან არ იძვრის. ზარი კიდევ რამდენჯერმე რეკავს. სერგეი ზანტად დგება და გადის. ზალე უკან ბრუნდება ვიღაც მამაკაცთან ერთად. ეს სწორედ ის ახალგაზრდა კაცია, რომელსაც პირველ მოქმედებაში „მეორე“ შევარქვით.)

მეორე — ექიმი უგოლკოვი ბრძანდებით?

სერგეი — დიახ.

მეორე — ეს რასა ჰგავს, ექიმო! დღისით, მზისით გინდათ მომატყუოთ, დანაკარგს ვინ ამინაზღაურებს?

სერგეი — რა მოხდა, ვინ გატყუებთ? რა დაკარგეთ?

მეორე — ალაბაშზე მოგახსენებთ. ჩემი საწყალი ალაბაში, ვინ გამიცოცხლებს ახლა?

სერგეი — მოკვდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე — დღეში ათ შაურად მაგისთვის მოგელაპარაკეთ? ძაღლი როგორ მოგანდეთ, თქვენ კი....

სერგეი — კი მაგრამ უკეთ რომ იყო?

მეორე — უკეთ იყო და უცებ მოგჭამა ჭირი.

სერგეი — რამდენი გნებავთ?

მეორე — ხუთ თუმნად ასეთი ძაღლი მუქთია, მაგრამ რას იზამ, ამაზეც თანახმა ვარ.

სერგეი — თქვენი ძაღლი, მართალია, თუმანიც არ ღირდა, მაგრამ ახლა თქვენთან ვაჭრობის თავი არა მაქვს, გამომართვით ფული და ახლავე მოუსვით აქედან (ფულს აძლევს და დაუპატიჟებელ სტუმარს კარებამდე აცილებს). მაინც რა უნდა მომხდარიყო? მაინც რა? (ისევ საკარძელზე ემხობა).

შემოდის ალა

ალა — ნარმინას გასაღებით გავაღე, ხომ არ გეძინა?

სერგეი — არა, ისე წამოვწექი.

ალა — ლორა სად არის?

სერგეი — წავიდა.

ალა— რას გავხართ, სახლს აღარ ალაგებთ? ჭუჭყს მიაქვს აქაურობა, ვერ იქნა და ველარ ისწავლა შენმა ლორამ დიასახლისობა, სადა გაქვთ ტილოები, მითხარი, და მე დავალაგებ სახლს.

სერგეი — არ გინდა, ლორა წავიდა.

ალა — ჰოდა, მით უკეთესი, მოვა და ბინა დაწკრიალებული დახვდება და ისწავლის, როგორ უნდა სახლის დალაგება. მერე და რა ბინაა? მარტო ფანჯრიდან რომ ხედი მოჩანს, ის რად ღირს, სართულიც რა კარგია! მოკლედ, ღირსი არა ხართ, ნამდვილად ბედმა გაგიღიმათ.

სერგეი — გაგვიღიმა არა...

ალა — რა მოხდა, ისევ უსიამოვნება ხომ არ შეგხვდა კლინიკაში.

სერგეი — ამჯერად სახლში. აკი გითხარი, ლორა წავიდა-მეთქი.

ალა — (გაოცებული) წავიდა? სად? ვისთან, როდის?

სერგეი — ევ უკვე წვრილმანებია, მთავარი ისაა, რომ მას მობეზრდა უპერსპექტივო, გზააბნეულ ექიმთან ცხოვრება, რომლისგანაც, ყველა ბედნიერებასთან ერთად, ბავშვიც არ უჩნდებოდა.

ალა — მერე და მაგას ჰგონია ამ სიბერის დროს გაუჩნდება მაინცდამაინც ბავშვი?

სერგეი — არა მგონია, ვფიქრობ, უბრალოდ მშვიდი ცხოვრება მოენატრა. ჩაჯდება რბილ, თბილ და მოხერხებულ ავტომანქანაში და ისრიალებს მოასფალტებულ გზებზე ალმა-დალმა.

ალა — მართალი მითხარი, ნარმინა ხომ არ არის რაიმეს მიზეზი?

სერგეი — რას ამბობ, პირიქით, თავისი გულუბრყვილობით და სიმხიარულით სიცოცხლე შემოჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში და უკვე საკმაოდ დაძაბულ ურთიერთობას გვიადვილებდა.

ალა — და მიუხედავად ამისა, ალბათ ნარმინა თავისი გულუბრყვილობით მუდამ ახსენებდა ლორას, რომ საკუთარი შვილები არ ჰყავდა.

სერგეი — არ ვიცი და რომც ვიცოდე, ამას აზრი აღარ აქვს, მე მისი აღარ მჯერა.

ალა — სერგეი, ლორა ჩვენს საიდუმლოს ხომ არ...

სერგეი — არა, არავითარ შემთხვევაში არ იტყვის. ცუდი ქალი არ არის. ეს ჩემთან ცხოვრებაა, ალა, ძნელი, განა ყველაფერში ლორაა დამნაშავე?

ალა — კარგი, სერიოჟა, გეყოფა, გულს ნუ გაიტეხ, რა მოხდა მერე. ეგეთები მომხდარა (გადის და მტვრის ტილოები შემოაქვს). უბედურების დროს თურმე, როგორც ვერესაევი ამბობს, პასიურობა და უმოძრაობა ყველაზე მავნებელია. აიღე ახლა ეს ტილოები და მთელი მონდომებით წმინდე აქაურობა. მიდი, მეც მოგეხმარები.

სერგეი — რა სასაცილო ვინმე ხარ, ალკა.

ალა — მიდი, მიდი, აბა ახლა ეს კარადა გამოვწიოთ.

სერგეი — მძიმეა.

ალა — ნუ გეშინია, არ მოკვდები, მამაკაცი არა ხარ?

სერგეი — (კარადას ეჭაჩება) აუჰ, ამისი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალა — ახლა აი, ის ჯაგრისი აიღე.
სერგეი — დასველება არ უნდა?
ალა — უკვე დავასველე, ხეხე.
სერგეი — ვხეხავ, ეყოფა, თორემ მოვკვდი.
ალა — არაფერი გიჭირს (უეცრად მაგიდის კიდეს ებჯინება მთელი ძალით).
სერგეი — რა მოგდის?
ალა — ჩქარა სკამი, თორემ დავვარდები.
სერგეი — (სასწრაფოდ სკამზე სვამს) თავბრუ ხომ არ დაგეხვა?
ალა — თავბრუ არა, ამ ბოლო დროს უეცრად რაღაც საშინელი სისუსტე დამივლის ხოლმე ტანში, ხელ-ფეხი მერთმევა და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გულიც უნდა ამერიოსო.
სერგეი — ხშირად გემართება ასე?
ალა — ამ კვირაში უკვე მეორედ მომდის.
სერგეი — ანალიზები თუ აიღე?
ალა — ავიღე და ყველაფერი წესრიგში მაქვს, მხოლოდ ამ სისხლს ვერ გავუგე ვერაფერი, ხან ნორმალურია, ხან არა. აი თუ გინდა ნახე უკანასკნელი პასუხი (ანალიზების პასუხის ფურცელს აწვდის) .
სერგეი — (გულისყურით კითხულობს) მადა როგორი გაქვს?
ალა — ცუდი.
სერგეი — გულიც გერევა ხოლმე?
ალა — კი, ხანდახან.
სერგეი — დღეიდან ყოველ ხუთ დღეში ერთხელ სისხლის ანალიზს აიღებ და პასუხს მოგიტან. ახლა კი ისეთ წამალს დაგალევინებ, სულ რომ ქვეყანა შესძრა, ვერსად ვერ იშოვნი. ერთგვარი ფისოვანი ნივთიერებაა, მხოლოდ კლდოვანი მწვერვალების ნაპრალთა შორის მოეფინავს. საუკუნეების განმავლობაში ასეთი ფისოვანი ნივთიერებებით ადამიანები სისუსტეს კურნავდნენ. რა, არ გჯერა? ავიცენას დროს ვერცხლისწყლის ორთქლით მრავალ დაავადებას მკურნალობდნენ, შემდეგ კი ეს ხერხი დავიწყებას მიეცა და მხოლოდ რვა საუკუნის შემდეგ გამოჩნდა ევროპის აფთიაქებში სალვარსენი, რომელიც ძირითადად ვერცხლისწყლის შემცველ ნივთიერებებისაგან შედგებოდა. მედიცინის გზები, მართალია, დიდია და შეუცნობელი, მაგრამ ზოგიერთი საშუალება სულ აქვეა ხოლმე, გვერდით, მხოლოდ თვალის გახელაა საჭირო.
ალა — მართალი ხარ, სერიოჟა, ადამიანმა რას არ მიაღწია, კოსმოსში გავიდა, მარსისა და ვენერას საიდუმლოებანი ახსნა, ადამიანის ფაქიზ კანქვეშ კი რა ხდება, ჯერაც გამოუცნობია მისთვის. მომეცი ერთი ეგ შენი უკვდავების წამალი, ვნახოთ, რა არის.
სერგეი — ახლავე (ჩანთაში იქექება). სულ ახლა ჩამოვიტანე მთებიდან. ძია მუსა ვნახე მართლა ნაბიტდაგში. კაცი ვარო მაგან უნდა თქვას, სამოცდაათს გადააცილა და ჭაბურღილს ვერ მოაცილებ.
ალა — რას იზამ, დედაჩემის სიკვდილის შემდეგ ეგაა მისთვის სახლიც და კარიც, რამდენს არ ვეძახი, არ ჩამოდის. შენ ისევ ისე მკვახედ გელაპარაკება?
სერგეი — მე ვერ გამოვუცვლიდი მაგას ხასიათს, ისევ ისეთი აუღებელი ციხე-სიმაგრეა. არც კი დაინტერესებულა, რა მინდოდა თურქმენეთში, მხოლოდ ნარმინაზე მეკითხებოდა დიდხანს და დაწვრილებით.
ალა — ნარმინას წერილებსაც წერს ხშირად. ამ ზაფხულს სტუმრად ჩამოვალო შენთან დაპირებია.
სერგეი — (ბოლოს და ბოლოს მონახა ჩანთაში, რასაც ეძებდა) დაამრგვალე ბრინჯის ტოლა მარცვლებად და მიიღე სამჯერ დღეში ჭამის შემდეგ.
ალა — კარგი, ჯანდაბას ჩემი თავი, შევეწირები შენს ექსპერიმენტებს.
სერგეი — ექსპერიმენტისათვის უკეთეს ობიექტს ვიშოვნი როგორმე, ეს წამალი კი სიკეთეს თუ არა, ზიანს მაინც არ მოგიტანს.
ალა — ზიანს ვინ ჩივის, მიშველიდეს ნეტავ რამეს! აი, უკვე გამიარა, აბა, მაგრა მოუსვი მაგ ტილოს.
სერგეი — ვუსვამ, ნარმინა სად არის, ჩემთან არ შემოივლის?

ალა — როგორ არა, ჯერ არ ჩამოსულა თბილისიდან. სხვათა შორის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე მეორე ადგილი აიღო.

სერგეი — ყოჩაღ, როგორც ჩანს, სწორად მირჩევია თავის დროზე, ფიზკულტურას გაჰყევიმეთქი. თვითონ ხომ მშვენიერი სპორტსმენია, მალე სხვებს გადასცემს გამოცდილებას. ეჰ, ჩემო ალა, რა სჯობია მთელი ცხოვრება ლამაზი და ჯანმრთელი ხალხის ყურებას.

ალა — მაგდენ ლაპარაკს გირჩევნია ინსტრუმენტიდან მტვერი გადაწმინდო.

სერგეი — ახლავე.

ალა — ტელევიზორი ჩართე!

სერგეი — არის.

ალა — შენ განაგრძე მუშაობა, მე კი ნელ-ნელა სახლისაკენ გავუყვები.

სერგეი — დაიცადე, მანქანას გამოვიყვან გარაჟიდან და წაგიყვან.

ალა — მეტი საქმე არა მაქვს სწორედ. იცი, კიდევ რამდენ ოჯახში ვარ მისასვლელი?. ჯერ ერთ ოჯახში ბავშვს კოტოშები უნდა დავაყარო, მერე სხვაგან მოხუცი ქალი მყავს ფილტვების ანთებით დაავადებული და პენიცილინის გაკეთება სჭირდება (დგება). საქმეები კიდევ ბევრი მაქვს, სერგეი. აბა გამაგრდი, ცხვირი ნუ ჩამოგიშვია!

სერგეი — როდი ჩამომიშვია.

ალა — დალახვროს ეშმაკმა, რა ოჯახს შევქმნიდით, ერთმანეთი რომ გვყვარებოდა?

სერგეი — შენ ეგა თქვი, ჩემო ალა.

ალა — (ამოიოხრებს) ეჰ, ნეტავ ნარმინას მაინც გაუმართლებდეს ცხოვრებაში.

სერგეი — გაუმართლებს.

ალა — წავედი, კარს ღიად დავტოვებ, ცოტა განიავდეს აქაურობა.

სერგეი — (სავარძელს კედლისაკენ მისწევს) **კარგი, დატოვე.** (ალა გადის. სერგეი ტილოს მოისვრის, მაგიდიდან თასს აიღებს და იატაკზე დაანარცხებს, შემდეგ სუფრას ჩამოგლეჯს, სავარძელს წიხლს კრავს და ბარბაცით გადის საძინებელში. შემოდიან ნარიმინა და ზაური).

ნარმინა — **რა ამბავია, რა ხდება, კარი ღიაა, გეგონება, ქურდების შემოსევა იყო ახლახან.**

ზაური — (ენის ბორძიკით) **კი, მაგრამ ტელევიზორიც ქურდებმა ჩართეს?**

ნარმინა — **ალბათ არა, აბა რაშია საქმე, დეიდა ლორა! მამა!**

(სერგეის ხმა — აქ ვარ, საძინებელში, ახლავე გადავიცვამ რამეს და გამოვალ).

ნარმინა — **როდის ჩამოხვედი?**

სერგეი — ამ დილით.

ნარმინა — **სადგურიდან მოვდივარ პირდაპირ. აქ რა ხდება?**

სერგეი — **არაფერი, დამლაგებელმა დაიწყო დალაგება და უეცრად სახლში გამოუძახეს.**

ნარმინა — **თასიც იმან გატეხა?**

სერგეი — **ეშმაკსაც წაუღია ეგ თასი.**

ზაური — **მე წავალ, შემოსასვლელში დაგელოდები ანდა სამზარეულოში.**

ნარმინა — **რაო, შეშინდი, ჩემპიონო? მამაკაცობისა და ვაჟკაცობის სიმბოლოვ! კარგი, წადი.**

(ზაური გადის. შემოდის სერგეი.)

სერგეი — **გამარჯობა, შვილო, მოგილოცავ გამარჯვებას.**

ნარმინა — **დედამ უკვე გითხრა? მხოლოდ და მხოლოდ მეორე ადგილი ავიღე, დიდი არაფერია.**

სერგეი — **დედაშენმა სულ ერთი ნაბიჯით გაგასწრო.**

ნარმინა — **მოხდა რამე?**

სერგეი — **არა, ისე საჭორაოდ შემოირბინა.**

ნარმინა — **ჩემზე გეჭორავა, არა?**

სერგეი — **ჰო, შენზე!**

ნარმინა — **რაო მერე, რა გითხრა?**

სერგეი — **შენ რატომ აღელდი?**

ნარმინა — **შენ თვითონ ჩემზე უფრო აღელვებული და დაბნეული ჩანხარ.**

სერგეი — **შეიძლება, ნამგზავრი ვარ და მეპატიება, ახლავე ყავას მოვადუღებ.**

ნარმინა — არა, არა, მერე მე თვითონ მოვადუღებ, ახლა... ახლა უნდა მოგელაპარაკო...
სერგეი — რაზე უნდა მომელაპარაკო? (თავისაზე ფიქრობს) მომისმინე...
ნარმინა — არა, ჯერ შენ მომისმინე.
სერგეი — კარგი, მაშინ ჩამოვსხდეთ გისმენ.
ნარმინა — იცი, მამა... არც კი ვიცი, როგორ დავიწყო... მოკლედ, დგება ხოლმე დრო... უფრო სწორად, ასაკი, როდესაც...
სერგეი — როდესაც ნებით თუ უნებლიეთ შვილები დაქორწინებაზე იწყებენ ფიქრს.
ნარმინა — საიდან მიხვდი?
სერგეი — არსაიდან, ბიჭი ვინ არის?
ნარმინა — ზაურ გაჯიევი. ერთი წლით ჩემზე უფროსი, ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში.
სერგეი — გამიგია გაზეთებიდან, სურათიც მინახავს მისი: გრძელთმიანია და წვერმოშვებული...
ნარმინა — არა, წვერი არა, მხოლოდ თმა აქვს ოდნავ გრძელი და ქილვაშები.
სერგეი — ტანზე გამოწკეპილი ჭრელი პერანგიც აცვია ალბათ, არა?
ნარმინა — ჰო, მთელ აზერბაიჯანში მაგაზე ჭრელი პერანგი არავის აცვია.
სერგეი — კარგი, ნუ გწყინს. მე რა, კი არ ვამტყუნებ. ამ ხნის კაცი ვარ და მაინც მიყვარს უკანასკნელ მოდაზე სიარული. იმსიფართე ყელსახვევი ჩამოვიტანე თურქმენეთიდან, გული გაგისკდება (თავზე ხელს უსვამს). თმის სიგრძეს და პერანგის ფერს რა ჭკუა აქვს, შვილო, მთავარია, ჯანსაღი ტვინი ჰქონდეს და მკერდში კეთილი გული უცემდეს.
ნარმინა — ძალიან კეთილია, მამა, და ჭკვიანიც... საერთოდ მე მგონი, ეგეთი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ არის.
სერგეი — ღმერთმა ქნას, სულ ასე ფიქრობდეთ ერთმანეთზე.
ნარმინა — სულ ასე ვიფიქრებთ, მამა, სულ ასე. დედასა და დეიდა ლორას შენ უთხარი. კარგი?
სერგეი — დედას ვეტყვი, დეიდა ლორას კი ალბათ ვერა. (დუმილის შემდეგ) წავიდა დეიდა ლორა.
ნარმინა — სად?
სერგეი — რა ვიცი, აბა სად მიდიან ქმრებისაგან, მე ხომ წავედი დედაშენისგან, ლორა — ჩემგან...
ნარმინა — ასეც მოვიხდება. (დაბნეული) რა გეშველება ახლა?
სერგეი — მთავარია, ნარმინა, გაუძლო ცხოვრების დარტყმებს და არ წაიქცე, ფეხზე წამოდგე და წელში გასწორდე. შემდეგ ყველაფერი თავისით იპოვნის ადგილს.
ნარმინა — იქნებ...
სერგეი — რა, დაბრუნდეს?
ნარმინა — იქნებ შენ თვითონ დაბრუნდე დედაჩემთან?
სერგეი — არა, შვილო, აი, ხედავ, თასი დამტვრეულია და რამდენიც არ უნდა აწებო, ძველებურ იერს მაინც ვერ დაუბრუნებ. მე და დედაშენმა ბევრი ვიფიქრეთ, სანამ დავშორდებოდით ერთმანეთს და მივხვდით, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო.
ნარმინა — ჩემდამი სიყვარულმაც კი არ შეცვალა თქვენი გადაწყვეტილება?
სერგეი — შენ, ჩემო ნარმინა, სასაყვედურო არაფერი გაქვს, არც დედის სიყვარული მოგკლებია და არც მამის, მე მგონი, ორივე კარგად გექცეოდით.
ნარმინა — კარგად რომელია, საუკეთესოდ, მე უბრალოდ ყოველთვის მეგონა, რომ დედა და მამა ერთად უნდა ცხოვრობდნენ... მაპატიე, ასე უდროოდ რომ მოგადექი. ზაურთან ერთად.
სერგეი — ზაურიც აქ არის?
ნარმინა — კი, საშზარეულოში ზის.
სერგეი — მერე და რატომ არ ეძახი?
ნარმინა — ეგებ სხვა დროს შემოგვევლო, უკეთეს გუნებაზე რომ იქნები.
სერგეი — რა გინდა, მშვენიერ გუნებაზე ვარ! დაუძახე.
ნარმინა — ზაურ!

(ზაური შემოდის.)

ზაური — გა... გამარჯობა.
ნარმინა — კუთხეში ნუ იყუჟები, აქეთ მოდი. ეს მამაჩემია. ეს ზაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი — სასიამოვნოა. (პაუზის შემდეგ) არაყს სვამ?

ზაური — არა, სპორტსმენი ვარ.

სერგეი — მერე რა. ერთი ავადმყოფი მყავს, ფეხბურთელია, ყოველი თამაშის შემდეგ როგორც წესი, ქეიფობს ხოლმე. ეწევი?

ზაური — არა, არც ვეწევი, არ შეიძლება.

სერგეი — ჰოდა, ახლა გამონაკლისის სახით... სადღაც ერთი ბოთლი „ჰეკ-ჰელი" უნდა მქონდეს... აი, კონიაკი, ფრანგებმაც კი თქვეს, ასეთი არაფერი დაგვილევიაო... (ჭიქებში ასხამს) ჩემგან თანხმობას ელით? ჰოდა, თანახმა ვარ, ჯანმრთელად იყავით და ბედნიერად, რაც მთავარია.

ნარმინა — ვეცდებით, მამა.

ზაური — გმა... გმადლობთ.

სერგეი — ახლა მოვწიოთ!

ზაური — მე არ ვეწევი!

სერგეი — გამონაკლისის სახით. უფრო თავისუფლად რომ იგრძნო თავი (სიგარეტს უკიდებს). ალას თვითონ ავუხსნი ყველაფერს, თქვენ მერე მოდით. თქვენთან საკითხავი მეტი არაფერი მაქვს, თუ გინდათ დარჩით, თუ არ გეჩქარებათ სადმე...

ნარმინა — ჰო, კიდევ თეატრში გვინდა მოვასწროთ წასვლა.

სერგეი — აბა, გაიქეცით.

ზაური — ნახვამდის, ძია სერგეი.

ნარმინა — ჩემისთან მამა ამქვეყნად არავის არა ჰყავს, ზაურს ენაც კი ალარ ებმის (ნარმინა და ზაური გადიან).

სერგეი მაგიდიდან ბოთლს იღებს. რეკავს კედლის საათი.

სერგეი — დრო გადის. ნარმინა თხოვდება... (მაგიდაზე წერილებს არჩევს. ერთ-ერთს ხმამაღლა კითხულობს) „ძვირფასო კოლეგა, ამ რამდენიმე თვის წინ შემთხვევით გავეცანი თქვენს ბროშურას ადიუვანტების შესახებ. პირადად მე ამ სფეროში მუშაობას შევალიე ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. გამოკვლევათა და ცდათა მეშვეობით, ვფიქრობ, საინტერესო შედეგებსაც მივაღწიე და უკვე მიღებული მაქვს გარკვეული კლინიკური სურათი. აშკარაა, ჩვენი აზრთა გაზიარებისა და ძალების გაერთიანების შემთხვევაში მეცნიერება, რომელსაც ვემსახურებით, არაფერს წააგებს. ამასთან ერთად მინდა გეკამათოთ რიგი საკითხების თაობაზე. სწორედ ამ მიზნით, მომავალ შემოდგომაზე შვებულებით ჩამოვდივარ ბაქოში და იმედი მაქვს პირადად შეგხვდებით. დიდი პატივისცემით, ექიმი შაბანოვი. მინსკი, ექსპერიმენტული ჰერონტოლოგიის ინსტიტუტი". ვაშა, ექიმო შაბანოვ. ვიკამათოთ, ძალიან კარგი, ჩვენს ლაშქარს კიდევ ერთი ჯარისკაცი შემოემატა. დიახაც ლაშქარს. დაე, ნუ გვალიარებს კვასნიცკი, სტიმულატორების მომხრეთა რიცხვი კი დღითიდღე მატულობს (საძინებელში გადის).

სინათლე ქრება. ინთება. ალას ოთახი. ალა კვლავ სავარძელში ზის. ისმის ტელეფონის გაბმული ზარი. საქალაქთაშორისოა.

ალა — (ძლევს სისუსტეს) ალო! პრაღა? გისმენთ! (მთელ ძალებს იკრებს) ნარმინა, შენ გენაცვალე, რამდენი ხანია გელოდები, ტელეფონს არ მოვცილებივარ... როგორ უნდა ვიყო? ზაური ხომ კარგად არის? ბევრი ისეირნე, დრო ატარე, საჩუქრები არ დამანახო, მაგ კაპიკებით გაერთეთ და დრო ატარეთ. ჩეხეთში რომ იმოგზაურებ, ბლესტიკაში წადი, პატარა სოფელია მდინარის პირას... მდინარესაც ბლესტიკა ჰქვია... ძალიან ლამაზია... ზაურს აკოცე, გელოდებით! (ყურმილს დებს). ბლესტიკა, ბლესტიკა, — სოფელი და მდინარე, რომლის ფსკერზეც ნარმინას მამის ცხედარი ასვენია.

სინათლე ქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე მოქმედება

მოქმედება ისევ ალას ბინაში ხდება. ბაქოში ოქტომბერია, წლის ყველაზე ლამაზი თვე. ირგვლივ სიჩუმეა.

ალა ნელა და უხმაუროდ ალაგებს ოთახს. მოძრაობაზე ეტყობა. ძალზე ცუდად გრძნობს თავს, მაგრამ მაინც ჯიუტად განაგრძობს საქმეს.

(ხმა ფანჯრის იქით — ალა!)

ᲐᲚᲐ — ვინ არის?

(ხმა — გულამი ვარ, ერთი ფანჯარასთან მოდი, თუ ქალი ხარ.)

ᲐᲚᲐ — მოვდივარ.

(ხმა — ბავშვი გამიხდა, ალა, ცუდად, გული ერევა წამდაუწუმ, ალბათ მოიწანლა, სასწრაფოს გამოვუძახო?)

ᲐᲚᲐ — სასწრაფო არა ვარ? ახლავე მოვდივარ.

(ხმა — შენზე მითხრეს, ავად არისო და...)

ᲐᲚᲐ — მერე რა, როგორც არ უნდა ვიყო მაინც სასწრაფო დახმარება ვარ... წადი ახლა და ჩემს მოხვლამდე წყალი გაათბე (გადის).

სინათლე ქრება. ალას პატარა ოთახს სერგეის სასტუმრო ოთახი ცვლის. სერგეი ვიღაც საშუალო ტანის სათვალებიან ჩაფსკენილ მამაკაცს მოუძღვება წინ. ეს ექიმი შაბანოვია.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — მოგბრძანდით!

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — გმადლობთ. გიცნობდეთ ერთმანეთს, ექიმი შაბანოვი.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — სერგეი ალექსის ძე უგოლკოვი.

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — ჩემი სახელი რაუფი გახლავთ. თქვენს ბინას გემოვნება, სიმყუდროვე, სისუფთავე და შესანიშნავი დიასახლისის ხელი ემჩნევა.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — გმადლობთ ქათინაურისათვის, მე ცოლი არა მყავს.

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — არა გყავთ? თუ დაქვრივდით?

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — არც ერთი და არც მეორე, გაგეყარე. წმენდას და ხეხვას კი სულ სხვა ქალმა მიმაჩვია, ჩემი ბავშვობის მეგობარმა. ეს ჩვევა გაჭირვების დროს ძალიან გამომადგა, ბინის დალაგება ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადამექცა.

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — მეცა მაქვს ჩემი გატაცება — მივუჯდები ხოლმე საკერავ მანქანას და ვკერავ.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — კერავთ?

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — ჩემი უმცროსი ვაჟი დღესაც ჩემი შეკერილი პერანგებით დადის.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — სულ რამდენი გყავთ?

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — ბევრი, ოთხი, უფროსი უკვე ცოლიანია, დღეღლეზე შვილიშვილს ველოდები.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — კარგია ბევრი შვილი.

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — თქვენ რამდენი გყავთ?

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — ერთი, პირველი ცოლისაგან. ისიც მალე ალბათ ბიჭით ან გოგოთი გაგვახარებს. ჩაის მიირთმევთ თუ ყავას?

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — აი, იმ ვაზაში შემწვარ ნუშს ვხედავ და ძალაუნებურად კონიაკის ხასიათზე დავდექი.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — აი, ნამდვილი კაცური საუბარი (იღებს კონიაკის ბოთლს). ამ დალოცვილზე უკეთესს აბა, რას დავლევთ?

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — ოღონდ ზომიერება ნუ დაგვავიწყდება, ექიმები არა ვართ?

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — ზომიერება ყველაზე უსაზღვრო და ინდივიდუალური მოვლენაა ამ შემთხვევაში. პატარა ჭიქებით ინებებთ თუ ფუჟერებით?

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — აი, ამ პატარა ლიბიანი ჭიქებით დავლიოთ, თუმცა ჩვენი შეხვედრა უფროლიდ სახმიანს იმსახურებს.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — თქვენი გამარჯვებისა იყოს!

ᲨᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘ — გაგიმარჯოს, ექიმო. ვიდრე კანაფეზე გადაეიდოდეთ, გამოგიტყდებით, თქვენი წიგნი ძლიერ მომეწონა. იგი ჩემი აზრით არა მხოლოდ მდიდარი ფაქტობრივი

მასალით არის საინტერესო, აგრეთვე იმ საოცრად დამაჯერებელი დასკვნებითაც, რომელთაც საბოლოოდ გვთავაზობთ.

სერგეი — ალაბაშის სიკვდილის შემდეგ, გამოგიტყდებით, ჩემს დასკვნებში ცოტა ეჭვი შემეპარა.

რაუფი — ალაბაში ძალლი იყო?

სერგეი — დიახ, უზარმაზარი, აშკარად გამოხატული სარკომით. HPB-თი ვმკურნალობდი — ხომ გაგიგონიათ?

რაუფი — როგორ არა, ნავთობისაგან მიღებული ნივთიერებაა, რომელმაც არნახული სისწრაფით გაითქვა სახელი მსოფლიო მედიცინაში და შემდეგ იმავე სისწრაფით დავიწყებას მიეცა.

სერგეი — დიახ, სწორედ მაგაზე ვლაპარაკობ. ძალიან ძლიერი პრეპარატია. სიმსივნე დღითიდღე იკლებდა, ბოლოს ძლივსღა შესამჩნევი გახდა, თითქმის ხელითაც ალარ ისინჯებოდა და ძალლი უეცრად მიოკარდის ინფარქტით არ მომიკვდა?

რაუფი — არც არის გასაკვირი, რადგან ოქრომჭედლის ფაქიზი ხელსაწყოების ნაცვლად ნაჯახი გიხმარიათ.

სერგეი — ამდენი წარუმატებლობის შემდეგ თანამშრომლების თითქმის ერთი მესამედი გამექცა.

რაუფი — ეგ არაფერი, ერთნი წავლენ და სხვანი მოვლენ.

სერგეი — ჩვენ კი გვეგონა, უკვე მოთუხთუხე ჩაიდანთან ვიდექით და სიამოვნებით ველოდით, როგორ აუთამაშდებოდა ჩაიდანს სახურავი.

შაბანოვი — მოთუხთუხე ჩაიდანის სახურავიდან ორთქლმავლის ძრავამდე სტივენსონს ცოტა დრო როდი დასჭირდა.

სერგეი — იაბლოჩკოვის ნათურიდან ტელევიზორის ცისფერ ეკრანამდე კიდევ უფრო მეტი დრო გახდა საჭირო.

შაბანოვი — ჰოდა, ასეა მედიცინაშიც. მძიმე დაავადებებს ალბათ არც თქვენი HPB უშველის ჯერჯეროობით და არც ჩემი ციმბირული მუაუნა, სიმსივნის განსაკურნავი საშუალება სულ სხვა აღმოჩნდება. მაგრამ ვიდრე ამ საშუალებას მივაგნებდეთ, ბრძოლაა საჭირო, შეურიგებელი ბრძოლა. ეს ერთადერთი ომია, რომელსაც დასასრული არა აქვს.

სერგეი — „ბრძოლა ადამიანის ჯანმრთელობისათვის" — გასაკვირია, ზუსტად ამ სიტყვებით იწყება ჩანაწერები, რომელთაც მიბიძგეს სტიმულიატორთა ძიებისაკენ (უჯრიდან რაუფის რვეულს იღებს).

შაბანოვი — (გაოგნებული) საიდან გაქვთ ეს რვეული?

სერგეი — კითხვაზე კითხვითვე მოგიგებთ, რატომ აღელდით?

შაბანოვი — მე... ეს... ჩემი...

სერგეი — თქვენი რვეულია? თქვენა ხართ რაუფი?

შაბანოვი — აკი შემოსვლისთანავე გითხარით, რაუფი მქვია-მეთქი.

სერგეი — თქვენ ხომ ბლესტიკასთან დაიღუპეთ, ჩეხეთისა და გერმანიის საზღვარზე?

შაბანოვი — თქვენ საიდან იცით? დიახ, ნაბირი დანაღმული აღმოჩნდა, სამი დღე და ღამე შლამში ვეგდე უგონოდ, შემდეგ რომელიღაც მოწინავე რაზმის სანიტრებმა მომნახეს და ჰოსპიტალში გადამგზავნეს. ენა წამერთვა, მხოლოდ ომის შემდგომ წლებში დავიწყე ნელ-ნელა გამოჯანსაღება.

სერგეი — ის, ვისაც ეგ რვეული ჩააბარეთ, აღარ მოგიკითხავთ?

შაბანოვი — როგორ არა, როგორც კი ენა ამოვიდგი და ფეხზე დავდექი, მაშინვე დავიწყე მისი ძებნა, რამდენი არ ვეძებე, სად არ მოვიკითხე, არსად ჩანდა მისი სახელი. ბოლოს შემატყობინეს, ბერლინის დაბომბვის დროს ნანგრევებში მოპყვა და ველარ უპოვნიათო.

სერგეი — მან კი თურმე გათხარა მიწა და კვლავ დაუბრუნდა ამ ღვთისაგან ნაკურთხ ქვეყანას.

შაბანოვი — (ძლივს ამოიღუღღუღებს). ერთიც დამისხით, თუ ღმერთი გწამთ.

სერგეი — დასამშვიდებელი წვეთები ხომ არ გირჩევნიათ?

შაბანოვი — არა, კონიაკი დამისხით (ერთი მოსმით სვამს). სად ცხოვრობს?

სერგეი — აქვე ახლოს. (კარებზე რეკავენ). ერთი წუთით (შემოდის და თან ნამტირალევი ნარმინა შემოჰყავს.)

ნარმინა — ეს რა მომივიდა, მამიკო! მიშველე რამე!

სერგეი — რა მოხდა, ნორმალურად მითხარი...

ნარმინა — (ტირილით) ზაური რგოლებიდან მოწყდა და ხელი მოიტეხა, საავადმყოფოში წაიყვანეს.

სერგეი — შენ რა გითხარი, გული არ გამიხეთქე, რა მოხდა მერე, შეუხორცდება და ისევ აძვრება იმ თავის რგოლებზე, შენ რამ შეგაშინა?

ნარმინა — რამ შემაშინა და პირდაპირ იდაყვში აქვს გადატეხილი. კონსილიუმი მოიწვიეს და ექიმებმა ასე თქვეს, რგოლებზე ვარჯიში კი არა, ტანვარჯიშს საერთოდ უნდა დაემშვიდობოსო. დავიღუპეთ...

სერგეი — და შენ ისტერიკა ატეხე და აქ გამოიქეცი?

ნარმინა — მაშ სად უნდა წავსულიყავი?

სერგეი — რა თქმა უნდა, აქ, მაგრამ ტყუილად იცრემლები, ეს ჯერ კიდევ არ არის უბედურება.

ნარმინა — დამცინი, მამა? არ იცი, ტანვარჯიში მაგისათვის რას ნიშნავს, ეს ხომ ყველაფერია მისთვის: პროფესია, მოწოდება, საქმე და ბოლოს და ბოლოს სახელი.

სერგეი — ცხვირსახოცი გამომართვი და ცრემლი მოიწმინდე. რა მოხდა მერე, მწვრთნელი არ არის? მორჩება და სხვას ავარჯიშებს.

ნარმინა — მეც მაგას არ ვეუბნები?

სერგეი — შენც ადექი და ცოტა უფრო დამაჯერებლად უთხარი. მალე ვაჟი გეყოლებათ, მამასთან ერთად ივარჯიშებს, გაიზრდება და მამის გვარს ასახელებს! უმცროსი გაჯიევი — კარგად ჟღერს, არა?

ნარმინა — (ოდნავ დამშვიდებით) ეჰ, ნეტავ ყველა შენსავით იოლად ეგუებოდეს გასაჭირს.

სერგეი — ნამდვილი გასაჭირი შენ ჯერ არ გინახავს, შვილო, აი, რომ ნახავ, მაშინ კარგად გაარჩევ იოლს და ძნელს, ახლა წადი და შენს ქმარს დაუჯექი სასთუმალთან, დაამშვიდე და უთხარი, ნუ წუწუნებს, საქმე არც ისე ცუდადაა, თვითონ რომ ჰგონია. მე მალე მოვალ.

ნარმინა — კარგად, მამა, აბა, მე წავედი. (დგება, რაუფს მიმართავს) მაპატიეთ (გადის).

შაბანოვი — ეს გოგონა ალას მაგონებს საოცრად.

სერგეი — ალას შვილია და იმიტომ.

შაბანოვი — მერე თქვენ... ის თქვენ მამას გეძახდათ.

სერგეი — მამა ვარ და იმიტომ.

შაბანოვი — ალა თქვენ გამოგყვათ ცოლად? ის... ის... ის...

სერგეი — ბავშვს ელოდა, ბავშვს მამა სჭირდებოდა, ამიტომაც დავიყოლიე ლორა და....

შაბანოვი — რა თქვით, ლორაო?

სერგეი — ჰო, ჩემი საცოლე ლორა. დავარწმუნე, რომ ალას ჩემი დახმარება ესაჭიროებოდა და ბავშვის მამობა ვიკისრე.

შაბანოვი — ნულარ გააგრძელებთ, ყველაფერი გასაგებია.

სერგეი — წვეთები ხომ არ დაგისხათ?

შაბანოვი — ღმერთო ჩემო, ყველაფერს ველოდი ცხოვრებაში, ამას კი... ოცდახუთი წელი გავიდა და ომში მოყენებული ტკივილები ჯერაც არ დაგვყუჩებია.

სერგეი — საუკუნის მესამედი გავიდა... ტანჯვამ და ტკივილმა გაიარა, დავიწყებას მიეცა თითქოს ყველაფერი, შიმშილიც და ტკივილიც, მაგრამ ჩვენი მეგობრობა დარჩა.

შაბანოვი — მეც ხომ თქვენი მესამე მეგობარი ვარ. მირჩიეთ, რა ვქნა. ამ ამბავს თინას მოვუყვები, ის გამიგებს და მერე ჩვენ ერთად ავუხსნით ყველაფერს ნარმინას.

სერგეი — არა, რაუფ, ჩვენი მოვალეობა ჭრილობის მოშუშებაა და არა მათი გაღვიძება. ნარმინას ხელის ხლება არ შეიძლება.

შაბანოვი — მაშ რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

სერგეი — რა უნდა ქნათ, თქვენ მეოთხე კაცი ხართ, ვისთვისაც ეს ჩვენი საიდუმლო ცნობილია. ახლა როგორც დიპლომატები იტყვიან თავიანთ ენაზე, უნდა დავიცვათ „სტატუს-კვო“ — ანუ ენას კბილი დავაჭიროთ.

შაბანოვი — ალას ნახვა თუ შეიძლება?

სერგეი — შეიძლება კი არა, აუცილებელია. ჩვენ ორნი მას ერთად უკეთესად ვუმკურნალებთ, თუმცა მე თუ მკითხავთ, მკურნალობას აზრი აღარა აქვს.

შაბანოვი — (ჩურჩულით) კიბოა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი — ლეიკემიის მძიმე ფორმა.

შაგანოვი — თვითონ თუ იცის?

სერგეი — მე მგონი, რაღაცას ხვდება.

შაგანოვი — ახლა ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მისი სიცოცხლისათვის, ადიუვანტებით შევუტი-ოთ მის ავადმყოფობას.

სერგეი — უკვე ერთი წელია მაგით ვაცოცხლებ. ორთოდოქსებმა რომ გამიგონ, შუაში გამ-გლეჯენ, მაგრამ განა ერთი წელი ცოტაა, განა ეს არაფერს ნიშნავს?

შაგანოვი — გაერთიანებული ძალებით ეგებ კიდევ ვაცოცხლოთ ცოტა. ხომ გახსოვთ, რო-გორ ებრძოდნენ ბერნარდს, როდესაც გულის გადანერგვაზე დაიწყო მუშაობა, ხალხს ასეთი ოპერაციები წლებს მატებდა, ზოგს ერთს, ზოგს ორს. ერთ-ერთმა პაციენტმა რვა წელი იცოცხლა. მარკუს ავრელიუსი კი ამბობდა, ყოველი გან-ვლილი დღე მოულოდნელი საჩუქარია ადამიანის ცხოვრებაშიო. ფეხზე თუ დადის კიდევ?

სერგეი — დადის, საცაა მოვა.

შაგანოვი — აქ?

სერგეი — ჰო, აქვე ცხოვრობს და ხშირად მოდის ხოლმე ჩემთან. წამალი აქვს წასაღები. რა-ღაც მაქვს მისთვის ჩაფიქრებული, მაგრამ ჯერ არ გეტყვით.

შაგანოვი — როგორ უნდა შევხვდე?

სერგეი — როგორ და ჩვეულებრივად, ადამიანურად. ადამიანურად-მეთქი, რომ ვამბობ — შინაარს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. ფორმას, ფორმას კი თქვენ თვითონ მო-უნახავთ თქვენს შეხვედრას. ისე მოიქეცით, როგორც საკუთარი სახლში. მე ზაურის სანახავად წავალ, ძალზე არასასიამოვნო ამბავი შეგვემთხვა, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც იტყვიან, ცხვირს ნუ ჩამოვუშვებთ (გადის).

შაგანოვი — ცხვირი ნუ ჩამოგიშვია, თავი ასწი და კრიჭაშეკრულმა პირდაპირ იყურე, ეს არც ისე ძნელია (ბოლთას სცემს). წინ კი? როგორ შევხვდებით ერთმანეთს? (შეხვედრას გაითამაშებს) შემოდის, აი, იქიდან, ჯერ ვერა მცნობს, შემდეგ ტუ-ჩებს მოკუმავს და ისე აიბუზება, მუჭისოდენა გახდება, მეც იგივე მემართება... „ალა, ეს მე ვარ", — ვეუბნები და ვუწვდი ხელს. „გიცანი", — მპასუხობს ის გაბზარული ხმით. მეც მებზარება ხმა. „გეფიცები, ალა, ჩემი ბრალი არ არის, რომ ასე მოხდა". — ვიმართლებ მე თავს. არა, ეგრე არ ვარგა; მე ოთახში დავ-დივარ, ის სავარძელში ზის და მელოდება. „გამოდის, ცუდად ვექცევიან ერთმანეთს", — ამბობს ის. „ცუდად",—ვუტყდები მეც, თუმცა გულის სიღრმე-ში არ ვეთანხმები, რადგან ორივეს დაღუპვის საბუთი სავსებით დამაჯერებლად მიმაჩნია. შემდეგ მაგიდასთან ვსხდებით ერთმანეთის პირდაპირ, ვიწყებთ სა-უბარს არა ჩვენი განუმეორებელი სიყვარულის და იმ დაუბრუნებელი დღეების შესახებ ბლესტიკაზე, არამედ ისე... „თავს როგორ გრძნობთ",—ექიმისათვის და-მახასიათებელი კილოთი ვეკითხები. (ფანჯრის გასწვრივ დადის) „როგორ ვიქნები, ვყრი ფარ-ხმალს ნელ-ნელა, პატარა ხომ არა ვარ, ორმოცდაათს გადავაბიჯე უკვე". „კარგით ერთი, რა დროს თქვენი ფარ-ხმალის დაყრაა, ჯერ სულ ახალგაზრდა ხართ", — ვპასუხობ მე, ფეხზე ვდგები, მაგიდას ვუვლი და ვუახლოვდები მას. „ვიმედოვნებ, საშიში არაფერი გაქვთ. მე და სერგეი... მამის სახელი დამავიწყდა, კარგი, მე და კოლეგა უგოლკოვი მალე მოგარჩენთ". „გმადლობთ", — მპასუ-ხობს, დგება, იღებს წამალს, მემშვიდობება და მიდის. მე შუა ოთახში ვდგა-ვარ და ადგილიდან ვერ ვიძვრი... თავი მისკდება, მაჯისცემა აჩქარებული მაქვს, ვისხამ კიდევ ერთ ჭიქა კონიაკს და სულმოუთქმელად ვსვამ...

მის უკანასკნელ სიტყვებთან ერთად ქრება სინათლე. შემდეგ ისევ ინთება. ოთახში სა-ვარძელზე ზის ხელიხელჩაკიდებული, უშფოთველი და უზომოდ ბედნიერი ორი ადამიანი: ალა და რაუფი.

შაგანოვი — გახსოვს, ბლესტიკის ნაპირას რომ გელოდებოდი ერთხელ ნავით, შენ ფეხშიშ-ველი მოდიოდი ნამიან ბალახზე, ჩექმები მხარზე გქონდა გადაკიდებული.

ალა — „გაგიუდი, გაცივდები!" — იყვირე შენ, ხელში ამიტაცე და ნავში ჩამსვი, მერე ჩვენ მეორე ნაპირზე გადავცურეთ ჩვენი ქოხისაკენ.

შაბანოვი — ძალიან დავბერდი?

ალა — ხანი შეგპარვია ოდნავ. თმა კი ისევ შავი გაქვს, მოგიზრდია უფრო, ადრე მოკლედ ატარებდი. მახსოვს, მიყვარდა ხოლმე შენს თმაზე ხელის აყოლება კეფიდან შუბლამდე.

შაბანოვი — მეც მახსოვს, ნელ-ნელა მისვამდი ხოლმე ხელს ქვევიდან ზევით.

ალა — შემდეგ შუბლიდან ცხვირის და ტუჩების გაყოლებით ჩამოვაცურებდი თითს ნიკაპამდე, კატასავით გაიტრუნებოდი ხოლმე.

შაბანოვი — ალენკა, რა ბედნიერებაა, რომ ასეთი ზღაპრული მოსაგონარი დაგვრჩა.

ალა — ჩემი დალუპვის ამბავი როგორ გადაიტანე?

შაბანოვი — დიდხანს არ მჯეროდა, მაინც გეძებდი, საბოლოოდ კი შენი დალუპვის ცნობაზე ხელმეორედ დადასტურება რომ მივიღე, გონება დავკარგე, თავის დახრჩობაც ვცადე.

ალა — მე სულ წინა ხაზზე გავრბოდი. ტყვიებს ვუშვერდი მკერდს, რამდენჯერ გადავდგომივარ წინ ავტომატის ტყვიების ჯერს, მაინც არც ერთი ტყვია არ გამეკარა, ბედი მქონია ასეთი. ჩანს, ღმერთს ჩემი სიკვდილი არ სდომებია.

შაბანოვი — ჩემი ბედიც ეგ ყოფილა. არ იქნა და სიკვდილი არასგზით არ გამეკარა.

ალა — ცოლი როდის შეირთე?

შაბანოვი — თინა? ომის დამთავრებიდან ოთხი წლის შემდეგ. ძალიან კარგი ცოლი მყავს, ჭკვიანი, ნამდვილი მეგობარია და კარგი დედა, მაგრამ შენ მაინც სულ სხვა იყავი, მე და შენ სულ სხვა რამ გვაკავშირებდა, ხომ გესმის ჩემი.

ალა — მესმის, რაუფ, ძალიან კარგად მესმის, ამიტომაც დავრჩი გაუთხოვარი.

შაბანოვი — ძალიან გაგიჭირდა?

ალა — იოლი ცხოვრება არც მიცდია. ყოველთვის მახსოვდა, რომ ვიღაცას ვჭირდებოდი. დღესაც მოსვენებას არ მაძლევს ტელეფონის გაუთავებელი ზარი. გვერდზე ქალიშვილი მეზრდებოდა, თვალწინ კი მუდამ მშვიდად მიედინებოდა ჩვენი დაუვიწყარი ბლესტიკა.

შაბანოვი — განა ბევრს ჰქონია ცხოვრებაში ისეთი ბედნიერი წუთები, ჩვენ რომ გვქონდა ბლესტიკაზე, ალა?

ალა — მოდი, კიდევ ერთხელ ჩამოგისვამ თითს სახეზე. „გიყვარვარ?“ — გეკითხებოდი. „რა სულელი ვოგო ხარ, შენი სიყვარული ძილშიაც კი არ მასვენებს“, — მპასუხობდი.

შაბანოვი — ჩემო საყვარელო, ჩემო ალა!

ალა — სერგეისთან საიდან მოხვდი?

შაბანოვი — შენი წყალობით. იგი თურმე ჩემმა ჩანაწერებმა დააინტერესა, მე მისმა წიგნმა, საერთო საქმემ და მოსაზრებამ კი ერთმანეთს დაგვაკავშირა.

ალა — სერგეი ნამდვილი ვაჟკაცია, ერთგული, ძლიერი და თავდადებული, მისი ნდობა შეიძლება.

შაბანოვი — მიტომაც მიჭირს ასეთ კაცს ტკივილი მივაყენო, იგი ხომ უკვე მიეჩვია ნარმინას მამობას.

ალა — სერგეი ნარმინას მამაა და იქნება კიდეც ყოველთვის.

შაბანოვი — შენც ასე ფიქრობ? მაშინ...

ალა — შენ გყავს თინა, ოთხი შვილი, ნარმინასათვის კი მამის მეგობარი იქნები ყოველთვის, სხვა არაფერი.

შაბანოვი — და მე მას „შვილოს“ ვერასდროს ვეტყვი?

ალა — ვერა, ნარმინასათვის ასე აჯობებს.

შაბანოვი — სერგეიმაც ასე მითხრა.

ალა — მეც ასე გეუბნები, ეს ჩემი ანდერძია.

შაბანოვი — მოიცადე, ანდერძის დატოვებას ყოველთვის მოასწრებ. ჩვენ კიდევ ბევრს ვიბრძოლებთ ერთად და მოვერევით შენს ავადმყოფობას.

ალა — (ღიმილით) აბა თქვენ იცით. აი, ჩემი უკანასკნელი ანალიზის პასუხი, სერგეის მოვუტანე. მიქსტურა მომეცი, სადღაც აქ უნდა ჰქონდეს დატოვებული.

შაბანოვი — აი, პატარა მაგიდაზე დგას.

ალა — (წამალს იღებს) მშვიდობით, რაუფ.

შაბანოვი — ნახვამდის, ალა, მომავალ შეხვედრამდე.

ალა — მომავალ შეხვედრამდე, თუ გინდა (გადის).

შაბანოვი — (შუბლზე თმას გადაიწევს, აკანკალებული ხელით კონიაკს ისხამს და სულმოუთქმელად სვამს). **ბრძოლა, ბრძოლა, შეუპოვარი ბრძოლაა საჭირო...** (სამუშაო ოთახში შედის, უკან ბრუნდება, მაგიდიდან ჭიქებს, ბოთლს და თასს ალაგებს. დაბნეული კითხულობს ანალიზების პასუხის ფურცელს, შემდეგ გვერდზე გადადებს, მაგიდის წმენდას და სკამების დალაგებას იწყებს.)

სერგეი — (შემოდის) **„გაჭირვებულ კაცს ქვა ალმართში მიეწიაო“ — ზაურიმ ტანვარჯიშს თავი უნდა დაანებოს.**

შაბანოვი — ადრე ყრი ფარ-ხმალს, ნუ გეშინია, კურგანში წავიყვანთ ელიზაროვთან, ეგეთები მოურჩენია?

სერგეი — ვსინჯოთ, ყველაფერი ვსინჯოთ, ალასაც უნდა ვუშველოთ როგორმე.

შაბანოვი — ალა ძალზე ცუდადაა.

სერგეი — იყო?

შაბანოვი — მიკვირს, ფეხზე **როგორ** დგას (ანალიზების ფურცელს აწვდის. ირონიულად) ყენშენი, მუმიე, *HPB*?

სერგეი — **HPB** აღარ გამოდგება. რამე ახალი საშუალება უნდა ვეძიოთ, (დიდხანს სდუმს) აბა გულზე ხელებს ხომ არ დავიკრებთ და დასასრულს ხომ არ დაველოდებით. ერთი წელი, ნახევარი თუ გინდა, ერთი თვე მაინც ვაცოცხლოთ. საღამოსათვის ლენინგრადთან ლაპარაკი მაქვს შეკვეთილი. იქ სამხედრო აკადემიის საავადმყოფოში ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს, დადებითი პასუხის იმედი არავის არა აქვს, თუ ღმერთმა ქნა და რამე გამოვიდა... მოკლედ, პასუხი უნდა გამაგებინონ.

შაბანოვი — ხომ იცით, როგორ რისკზე მივდივართ? მოწინააღმდეგენი ქვეყანას შეგვიყრიან.

სერგეი — ვიცი, მაგრამ დრო აღარ იცდის, სხვა გამოსავალი მაინც არ არის, ყოველი განვლილი დღე მოულოდნელი საჩუქარია, ვინა თქვა? (დუმილის შემდეგ) ჩვენ ჰიპოკრატეს ფიცს ვასრულებთ, ფიცს, ხელობის არჩევისას რომ დავდეთ.

შაბანოვი — ბედნიერი კაცი ხართ, სერგეი.

სერგეი — მე? უიღბლო ექიმი, სხვისი შვილის მამა და მიტოვებული ქმარი? მე ვარ ბედნიერი?

შაბანოვი — თქვენი გულის პატრონი...

სერგეი — გული ჩვეულებრივი ტუმბოა და წმინდა მექანიკური ფუნქცია აკისრია.

სინათლე ქრება, ინთება. ალას პატარა ოთახი. ალა წევს, სამზარეულოდან ნარმინა გამოდის.

ნარმინა — უკვე დამაგვიანდა, ორ საათზე ზაური საავადმყოფოს შესასვლელთან მელოდება.

ალა — წადი და არ დაიგვიანო.

ნარმინა — არა, ერთი საქმე გვაქვს შენთან, ვიცი, გაგიხარდება, თვითონ გეტყოდი, მაგრამ...

ალა — ერთად მეტყვით. წასვლამდე კი ჩემი სამხედრო ფორმა გადმოიღე, ზედ ეს ორდენი მიამაგრე და აქ მოიეცი.

ნარმინა — რაში დაგჭირდა ახლა სამხედრო ფორმა?

ალა — რაუფი და სერგეი მოვლენ, წარსულს გავიხსენებთ.

ნარმინა — ეს გამოხუნებული პერანგი თუ არ ჩაიცვი, ისე ვერ გაიხსენებ?

ალა — მოიეცი, გენაცვალე!

ნარმინა — (კარადიდან ფუთას იღებს) აჰა, გამოიმართვი, მე კი მამის მანქანით ხელად მივირბენ და მოვირბენ (გარბის).

ალა — (ძლივძლივობით დგება, იღებს ფორმას, საკარძელში ჯდება, ხაკის პერანგზე ორდენს და მედლებს ამაგრებს). **ამ მედლიდან შრომის წითელი დროშის ორდენამდე ერთი დიდი ამოსუნთქვაა თითქოს, ერთი მოკლე მარში... საყვარელ თანამებრძოლებთან ერთად განვლილი. დაჩაჩანაკდი, ფეხზე ძლივს დგახარ და მაინც არ გინდა მუხლის მოდრეკა, აბა, სწორება მარჯვნივ! სწორება მარცხნივ! სტიმულატორებო, ზურგისაკენ! აბა განი, და რაც შეიძლება ფართე წრე! დიდი არე!** (ტელეფონი რეკავს) **აბა, აბა, ჯერ ნუ შეიცხადებთ, ექიმმა რა თქვა? ჰოდა, დავიწყოთ დიბაზოლის და პაპავერინის კეთება, ახლავე მოვდივარ...** (ყურმილი ხელიდან უვარდება, გაუნძრევლად ზის საკარძელში. შემოდის კაცი, რომელსაც პირველ მოქმედებაში პირველი ვუწოდეთ და თან შემოჰყვება მეორე — ალაბაშის პატრონი.)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ — **ალა ხანუმ, ჩემს ქალს გვერდში ჭვალა აქვს, ტკივილისაგან ლოგინში იკრუნ-ჩხება.**

ᲛᲔᲝᲠᲔ — **ვიფიქრეთ, ტკბილად დავსხდებით-მეთქი კვირა დღეს, ის კი ისე გაჭკივის, სახლში ვერ გაჩერდები** (უახლოვდებიან ალას, გაოგნებულები ერთმანეთს შეჰყურებენ, შემდეგ შეშინებულები უკან იხევენ. შემოდის მეზობელი გულამი, ხელში რაღაც ფუთა უჭირავს).

ᲒᲣᲚᲐᲛᲘ — **ალა, ბიჭი ისე კარგად არის, დღეს სკოლაში გავუშვით. საჩუქარი უნდა მოგართვა, თუ მიიღებ... სუნამოა, მეტი არაფერი** (ისიც უახლოვდება, დაბნეულობისაგან სად წავიდეს, აღარ იცის, ძღვენს უნებლიეთ უკან ჯიბეში იდებს, ადგილიდან არ იძვრის).

შემოდიან ნარმინა და ხელშეხვეული ზაური.

ᲜᲐᲠᲛᲘᲜᲐ — **აი, ჩვენც მოვედით.**

ᲖᲐᲣᲠᲘ — **თანაც ორი კაცი კი არა ვართ უკვე, შეიძლება ითქვას ორნახევარი, ორნახევარი თუ არა, ორი და მეოთხედი მაინც. ან ბიჭი იქნება ან გოგო.**

ᲜᲐᲠᲛᲘᲜᲐ — (უახლოვდება ალას, კარგად დახედავს, უეცრად კივის) **დედა!**

ზაური წამოაყენებს, შემოდიან სერგეი და რაუფი.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ — **ალკა, ორი ექიმი მიიღე.**

ᲠᲐᲣᲤᲘ — **ორი კბილებამდე შეიარაღებული ექიმი.**

შეშფოთებული შესცქერიან იქ მდგომთ. თავებს ხრიან დაბლა. ამ სამარისებურ სიჩუმეში სავარძელზე ხაკის პერანგით ხელში მშვიდადაა მიწოლილი მკვდარი ალა.

სინათლე ქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანულიდან

თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

ვაგიფ ნასიბი

ქართული ჰანგი

ალარც კი მახსოვს,
ვის მოვტაცე, რომელ ბალადას,
მაგრამ ეს ჰანგი
მე თან მომყვა საქართველოდან.
იქნებ შემიყვა კახურ ღვინოს
ერთ მხიარულ ქართულ სუფრაზე,
ანდა მოვთიბე
ბაგეთაგან მთიბელ ხევსურის;
ან არა, იქნებ გვერდით ჩაქროლილ
მანქანაში მსხდომარ ქალწულთა
ნაზ ბაგეთაგან გადმომესხურა.
ეგეც არ ვიცი,
იქნებ ყაზბეგის
მდელოთა შორის — ვითა ფუტკარმა —
შევისრუტე ნექტარის დარად;
იქნებ და, სულაც, სულს შეენივთა
მესხეთის ძეგლებს ავარდნილი უხმო ყიჟინა.
ველარ ვიხსენებ,
მაგრამ ეს ჰანგი
ქართულია და მოვიყოლე საქართველოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბას აგდულა

(«თვეების» ციკლიდან)

თებერვალი

ჰაი, როდის-როდის
თვალსაწიერზე
ამოღიმღამდება მზე;
ზამთარს აჩნდება
თეთრ გულმკერდზე შავი ხალები
და ქუროუხდება
და რუხდება ზეცის თავანი.
ცეტი ბუნების ამ უსაზმნო ჭირვეულობას
თოვლის ქვეშ მორცხვად ემალებიან
და თეთრს
ალისფრად იუნჯებენ ენძელები.
ქარი,
ორპირ და ორგულ კაცივით,
ზამთარს ეუბნება:
— დარჩი, ნუ წახვალ!
გაზაფხულს კი:
— მობრძანდი, გელი!
კიდევ სწყურია ჯერ სიცოცხლე
ფერწასულ ზამთარს,
გაზაფხული კი
საცა არის მოცქრიალდება.
წერტილად მოჩანს
შორს
ტალღებში ჩამჯდარი გემი
და იჭვით გასცქერს ზღვას დედაბერი:
— ეს გაზაფხული
ნეტავ ასე რად იგვიანებს?
წლის ამ დროს, ო, რა ბუზღუნანი
და ჭირვეულნი
არიან ხოლმე დედაკაცები!
ზღვას გრიგალი გლეჯს,
მთაში ნისლია;
არც ზამთარივით ზამთარია და
არც გაზაფხული — გაზაფხულივით, —
დღეა ნაცარა,
ენძელა კი თეთრ-ლურჯ-ყირმიზი.

...და ენძელებით მეზობლის გოგოს
პაემანზე მიეჩქარება.
ეჰ, ამ გოგოებს რა ენაღვლებათ,
საწყალი დედები ჰგვანან თებერვალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერი

საშინლად მზარავს ფოთოლცვენა,
ჩემო ძვირფასო!
ოღონდ — შენც თუ გძრავს,
შენც თუ გაკრთობს,
შენც თუ გაფიქრებს?
ყოველ ცისმარე
გზას გაჰყურებს ჩემი თვალები
და ყოველღამე მესიზმრები,
მაგრამ
არ ვიცი:
ფოთოლი არის მოღალატე,
ტოტი
თუ მიწა;
მიწა, რომელიც თავის მოცემულს,
ვითა ყმაწვილი ჭირვეული,
უკანვე გვართმევს.

ჩვენთან, ძვირფასო,
ფოთოლცვენის ჟამია უკვე.
თქვენთან?
თქვენთანაც თუ ჩამოდგა ჟამი იგივე?
წუხელღამ ჩვენსას მოპარულიყავ,
თუმც ვერავინ დაგადგა თვალი.
შენ კი ყველანი მოინახულე,
შეისაყვარლე თოთო ბალღები.
შენთვის მაძღრისად რომ მემზირა,
დილა გავქურდე,
ორი თვალისთვის
მზენათელი მოვპარე დილას
და მაინც მშია შენი ნახვა,
ო, ახლაც მშია!..
ის ფოთოლცვენა
ათას ცხრაას მავანი წლისა
თუ გახსოვს, კარგო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთლები გულმკერდგამოღადრული
და წანაგლეჯი გაზაფხულიდან;
ანდა ხეები —
გარდავლილი სიმწვანის დღეებს
უკანვე რომ ივედრებოდნენ?
ეს დღეც იქნება,
ალბათ ერთი ფოთოლცვენისას,
მეც გავეხვევი მოსასხამში ბედისწერისა;
დამაზრობს იგი თუ დამბუგავს,
ვის რა დარდი აქვს!
დავტოვებ ქალაქს,
სადაც ვცხოვრობდი,
თავს დავაღირებ
და გავყვები ჩემს გზას შორეულს.
შენ კი მელოდე იმ ადგილას,
პარალელური
იკვეთებიან სადაც ხაზები.

მამედ არაზი

ტყვია

ტყვია, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ესროლეს,
ახლა მის სახლ-მუზეუმში ინახება.

თოფის ქუხილმა ხეობაზე გადაიგრგვინა,
გაიპო მკერდი, გადაიხსნა დიდი იარა;
მწვერვალს კლდე მოსწყდა, უფსკრულები გადაირბინა,
თითქოსდა ტყვია მას ესროლეს, პოეტს კი არა.

ღერძი გამრუდდა და ფაიტონს დასძვრა ბორბლები,
ცხენებმა ზეცა ჩამოღადრეს ბრაზით უჩვევით.
არ შემიკრთესო საქართველო დანაობლები —
ყელში დაძრული ხმა მოგუდა მთრთოლვარ ტუჩებით.

ამოაფრქვია მეწამული ვულკანმა მკერდმა
და მეწამულად გაიფოთლა ტყე-ღრე მდუმარი.
მკერდგაბასრული შინ წაიღეს და მასთან ერთად
მივიდა ტყვიაც, ბოროტი და ავი სტუმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დარჩენილა ის სტუმარი მის მკერდში დიდხანს,
აწ სახლის პატრონს თავზე მცველად ადგას ისევე.
რუხფერი ღვარძლი სტენდში თვლემს და ჩუმად
ფრთებს ისხამს
და ეშინია, რომ ხელახლა გააღვიძებენ.

აქ, ერთ ოთახში ორსავ ერთად დაუდევს ბინა:
ქიმერაცა და შთაგონებაც ერთად არიან
და ვერაგობა, დამწყვდეული ამ სახლსა შინა,
სირცხვილისაგან ვით არ დნება, საოცარია.

მაგრამ, დაიცა! მგონი ვიცან ძველი ნაცნობი, —
ამ ტყვიამ ბევრი ასწლეული გადინადირა.
ჩვენი ნასიმის ალეპოში ტყავის გამძრობი
ჯალათის დანის ანაგლეჯი არის ნამდვილად!

იქნებ, ბედითად რომ ისროლა ერთხელ დანტესმა,
ეს ის ტყვიაა, ახალ მსხვერპლის ვერმომპოვები, —
ჩვენს გზებს გამოჰყვა და ვერაგულ ბევრჯერ
დაჰკვესა,
კავკასიელი რომ მოესპო ლერმონტოვები!

ვუმზერ და მიკვირს: ტყვია თითქოს მარცვალი
ხურმის,
დროის კვალდაკვალ რაოდენგზის პერანგებს
იცვლის, —
ზოგჯერ ქორწილში გავარდება, მოიკლავს სურვილს
და გზას გაჰყვება, რომ ხელახლა დაღვაროს სისხლი.

იგი დიდებას კუდში მისდევს, კუსებრ მიცოცავს,
საცა კი დროა, გადუსწრებს და წინ გადუდგება.
კაცო, თუ ძმა ხარ, მოშორებით დადექი ცოტა,
თორემ პოეტის დანახვაზე სისხლი უნდება!

□

ლევანიკ ლევიტანიანი

ზ ე ლ მ ე ტ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სომხურიდან თარგმნა მერაბ რობაქიძემ

ასე ულონოდ ჰაჯი ალა არასდროს წალასლასებულა დუქნისაკენ — ის ჰაჯი ალა, ვინც ქუჩაში მედიდურად, ბატონკაცურად მიაბიჯებდა ხოლმე. სამოცდაათ წელს მიღწეული მოხუცი ალა კუზს ზემოთ, კისერზე სქელ შალს მოიხვევდა, თავზე ფესს დაიხურავდა, მალალ ტანს წინ წახრიდა, თითქოს მძიმე ტვირთი ჰკიდიაო, აქლემის კისერს წაიგრძელებდა, წამოშვერილ ცხვირზედ რომ შავი სათვალე დაესკუპებინა, ჰაერში გაიშვერდა, თვალებით ერთ შორეულ წერტილს მიაჩერდებოდა და ისე მიდიოდა, როგორც ადათ-წესების დამცველს შეშვენის. ზეპირად იცოდა ყველა ოლოჩოლრო ადგილი, იცოდა სად უნდა დაედგა ფეხი, მაგრამ თუ ურმის, კაცის ფეხით ან ბუნების წყალობით რომელიმე ქვა გადაადგილდებოდა, ჰაჯი ალა შეჩერდებოდა, კარგად ასწონ-დასწონიდა, ხიფათი როგორ ავიცდინოო, გაყვითლებული ჯოხის წვერით შეამოწმებდა, ქვა სანდო არის თუ არა, ფეხი რომ დავადგაო, მერე ჯოხს დაეყრდნობოდა, მამალივით ფრთხილად მოსწყვეტდა ფეხს მიწას და ისე გადალახავდა ხოლმე სახიფათო ადგილს.

მხოლოდ ერთხელ, ათი წლის წინათ თავის პირმშოს მიწას რომ აბარებდა, ულალატა ჰაჯი ალამ თავის წესს და ცისფერი მაუდის შარვლის ტოტები ტალახში ამოისვარა, მეორედ კი — დღეს, როდესაც შეიტყო, რომ თურქის ჯარმა რუსი შეავიწროვა და ძლევით უახლოვდება მათ პატარა, სასაზღვრო ქალაქს.

ხატზე დავიფიცებთ, რომ დეკემბრის ამგვარ ყინვაში ჰაჯი ალა გარეთ გამოსვლელი არ იყო, ისიც მაშინ, როცა უკვე მოყინული მიწა ურემთა თვლებსა და ჯარისკაცთა ჩექმებს აეზილა და ტალახად ექცია.

გამოცდილმა, ცხოვრების ავ-კარგის მცოდნე ჰაჯი ალამ, ვისაც საკუთარი თვალით ენახა 1877 წლის რუსეთ-თურქეთის ომი, როდესაც თურქი თითქოს ბუნებრივად მარცხდებოდა, იმ ჰაჯი ალამ, ვინც „ქურთისტანსა და თურქისტანში“ გაკაჟებულიყო, ეაჭრობდა და ავაზაკებს მელასავით ბევრჯერ დასძვრომოდა ხელიდან, კარგად უწყოდა, რომ სჯობდა წამი არ დაეკარგა და თვითონ დროზე გასცლოდა მტერს. ვიდრე ელოდნა, როდის დაატყდებოდა განსაცდელი და მარწუხებში როდის მოაქცევდნენ.

მაგრამ ამჯერად შეცდა... და სასტიკადაც შეცდა.

ბაზარში შესვლისთანავე გამოცდილი მზერით მოათვალიერა მოედანი და მედუქნეთა ჩოჩქოლი ცუდად ენიშნა. მერე ჰაჯი ალამ თავისი დუქნისაკენ გასწია. დუქნის კარი ღიჭოდ იყო მიხურული. შიგ შეაბიჯა და ნერწყვი გადაყლაპა. მისი ჩასუქებული ვაჟიშვილი საქონელს გამალებით ჰყრიდა ტომარაში, თან ტიჭორასავით ქსუტუნებდა. ნაყვავილარ ღაქლაქა პირისახეზე ოფლი დასხმოდა.

ჰაჯის თვალთ დაუბნელდა, გაპარსული ნიკაპი აუკანკალდა და ბორძიკით ამოილუღლუღა:

— შმავონ, რას სჩადიხარ?

შმავონმა მამა რომ დაინახა, უფრო მოიღუშა. თითქოს თვითონ ყოფილიყოს უბედურების მომტანი. დამნაშავესავით დადუმდა და თვალები ძირს დახარა, თითქოს მიანიშნა: „აბა, შეიტყე, მოკვდაო“.

და მართლაც თითქოს ვიღაც მომკვდარიყო. კოჭლმა საქმის ალმასრულებელმა სკამი მიუდგა ჰაჯი ალას და უთხრა:

— არაფერია, ჰაჯი ალა, დაჯექი.

— კარგი ერთი, როგორ თუ „არაფერია“, ფორანი დაიჭირეთ?

— მისაკი წავიდა დასაჭერად,— მიუგო შმავონმა.

ჰაჯი ალა არ დამჯდარა. ხაფანგში გაბმული თაგვივით აწრიალდა, გარეთ გავიდა და მიმოიხედა. მედუქნეები აუღელვებლივ ვაჭრობდნენ. მათი მეზობელი, კორკოტაანთ ელიშე, რვა შვილის მამა, ნიჩაბივით წვერი და საცრისოდენა თვალები რომ ჰქონდა, მშვიდად ჰყიდდა საქონელს. საქმე გასაქცევად რომ ჰქონოდათ, პირველად ის უნდა შეშფოთებულიყო.

ჰაჯი ალა მიუახლოვდა მას და ჰკითხა:

— ელიშ, ამას რას ამბობენ, თურქი გვავიწროვებსო.

— მართლა? არაფერი გამიგია... ჩვენი ეზოს ფელდფებელმა თქვა, შიშიანობა არ არისო, — უპასუხა ელიშემ და ეპისკოპოსის ღირსებით განაგრძო ვაჭრობა. ჰაჯი ალა გაქვავებულივით იდგა მისი დუქნის წინ— არ იცოდა, რა მოემოქმედა. მას გვერდით ჩაუარა დურგალმა პოლოსამ, იგი ვიღაცას ელაზღანდარავებოდა.

— ადამიანის შვილო, სადაც სხვა, ჩვენც იქ. რაც მოსავალია მოვიდეს.

— მისმინე, — შეეხმიანა ლაზღანდარა, — მოემზადე, კომენდანტმა გასაქცევად ეტლი უნდა გამოგიგზავნოს.

— ეტლი მდიდრებისთვის დამითმია, მე რად მინდა, ოღონდ საკუთარმა ფეხებმა არ მიღალატოს,— მშვიდად მიუგო ხელოსანმა და სხვა მხარეს გაუხვია.

ჰაჯი ალა ააფორიაქა ამ ავისმო-

მასწავებელმა ოხუნჯობამ და ის იყო უნდა გასცლოდა ეღიშეს დუქანს, რომ ამ დროს შეგირდი მოვარდა და ქლოშინით მიაძახა:

— ბატონო, რაც ფორნები იყო, თითო ას, ას ორმოცდაათ მანეთად დაუქირავებიათ.

— რაო? დაუქირავებიათ?.. ჩვენი მისაკა სადღა იყო?

— იქ იყო, მაგრამ ვერას გახდა, — ლაღად და უდარდელად მიუგო შეგირდმა და მკვირცხლად შეუდგა დუქნის დაგვას.

ჰაჯი ალა სწრაფად გაეშურა თავისი დუქნისაკენ. და, აცახცახებული. შვილს დააცხრა:

— რა ჰქენი? ფორნები ხელიდან გაუშვი! ხომ დარჩა ჩვენი ოჯახი...

შმავონი წინსაფარში საქონელს ილაგებდა. მამის სიტყვებზე მოკლე და მრგვალი ტანით გაიჭიმა, ოფლიანი, ნაყვავილარი პირისახე ასწია და მამას შეხედა. მათ თვალებით ერთმანეთს კარგად გაუგეს. ჰაჯი ალამ ავისმომასწავებელი ღიმილით გადააქნია თავი:

— ფორანი იშოვნე!.. თორემ შვილებს ხელიდან წამგლეჯენ... სახლსაც...

შმავონს პირისახე შეეჭმუხნა.

— რას ამბობ? ფორანიც ალარ იშოვება? — შეშფოთდა იგი, საქონელი დაყარა და გაქონილი წინსაფრით ოფლი მოიწმინდა. შემდეგ დაგორებული კასრივით აქეთ-იქით მიაწყდა და გარეთ გავარდა.

ჰაჯი ალა დიდხანს უყურებდა შვილის ქეჩის ჩექმებს, ბრტყელ ფაფახსა და წითელ ყელსახვევს. იგი ხან გამოჩნდებოდა, ხან ჩაყურყუმალავდებოდა ბაზარში მორიალე ჯარისკაცთა ბრბოში, ვიდრე თვალს არ მიეფარა.

ჰაჯი ალა დუქნიდან გავიდა და სახლის გზას დაადგა.

შინ რომ მივიდა, რკინის პალოზე ფეხები ალ გაუწმენდია, რაც ურყევ წესად ჰქონდა ჰაჯის მთელ ჯალაბობას, ისე შეაბიჯა. უფროსმა ოძალმა, დერეფანში მატყლს რომ ჩეჩავდა, ქალბატონივით, როგორც ზოგიერთგან წესად აქვთ, ხმამაღლა დაიძახა:

— შოლო, ჰაჯი ალა მობრძანდა, ლაიფა[1] მიართვი.

მაგრამ როდესაც ჰაჯი ალამ წაიბურდღუნა: „ჯანდაბას ყავაო“, ოძალმა იფიქრა, ან სიზმარში ვარ, ანდა ჩვენს ოჯახს თავზე დიდი უბედურება დაატყდაო; ჰაჯის ფეხებში ჩაუვარდა, ტყავის წულები გააძრო და, რომ დაინახა ჰაჯის შარვლის გატალახიანებული ტოტები, ელდანაცემი სამზარეულოში შეტრიალდა, რათა ოჯახის წევრთათვის ეს ამბავი შეეტყობინებინა.

ჰაჯი ალამ დიდ „ოდაში“[2] შეაბიჯა და მის შუაგულში ქანდაკებასავით გაშეშდა.

შემოვიდა ჰაჯი ალას ცოლი ჰაჯი მარი, — მკვირცხლი და გამხდარი ქალი.

— რა მოხდა, ჰაჯი ალა? — ჰკითხა.

— რა უნდა მომხდარიყო? თურქი მოდის, მოემზადეთ!

— ოჰ, ამან[3], რას აგიჩემებია „თურქი, თურქიო“, როცა ქალაქი სავსეა სალდათებით.

— ბევრს ნუ მიედ-მოედები, მოემზადე-მეთქი, — მოუჭრა ჰაჯი ალამ.

— არ არის თურქი, არა, ლაიფა დალიე, — სხაპასხუპით შეესიტყვა მკვირცხლი დედაკაცი და გარეთ გავიდა.

---

[1] ლაიფა — ყავა (თურქ.)

[2] ოდა — ოთახი (თურქ.)

[3] ამან — მწუხარების, უკმაყოფილების გამომხატველი შორისდებული (თურქ.).

ამ დროს ჰაჯი ალას შვილიშვილმა, ლოყებლაჟლაჟა გოგონამ, სავსე მკლავები რომ ჰქონდა, რძიანი ყავა მიართვა.

ჰაჯი ალას უფროსმა რძალმა ლურჯი გასაფენი შემოიტანა, მუთაქის წინ გააგო, გოგონას ყავა ჩამოართვა და გასაფენზე შედგა. მაგრამ ჰაჯი ალამ უნებისყოფო, აფორიაქებული გამომეტყველებით ხელი ულონოდ აიქნია—ყავა გაიტანეთო.

ქალებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს, ქვეყანა ხომ არ იქცევა. ჰაჯი ალამ ყავაზე უარი რომ თქვა!

ჰაჯი ალა ტახტზე ჩამოჯდა და გაოგნებული მზერა მოატარა ირგვლივ. ოთახში სიწყნარე სუფევდა. ფანჯრის რაფაზე ხშირი რეცხვისაგან გათეთრებული ყვავილის ხის ქოთანი, ოთახის კედლებთან გაშლილი ლეიბები და ბალიშები თითქოს აუღელვებლად უყვებოდნენ მშვიდი ნადიმების. მხიარული ქორწილების ამბავს.

ყოველივე ამას კი დღეს ნიადაგ ეცლებოდა. შეიძლება დღესვე მოუხდეს მთელ თავის ავლადიდებაზე ხელის აღება. ჯერ კიდევ ათი წლის ასაკიდან, მამასთან ერთად რომ დაიწყო მოგზაურობა და „ქურთებსა და თურქებთან“ ვაჭრობა—მას აქვთ სამოცი წელი გავიდა — აშენებს ამ ოჯახს ჰაჯი ალა. ორმოცდაათი წელია ზუსტი საათივით მშვიდად წიკწიკებს მისი ბედნიერი ოჯახი და აი, დღეს უნდა დაინგრეს! ახსენდება ანაზდეული სისწრაფით გარდასული ცხოვრების წვრილმანები, მეხსიერებიდან ამოტივტივდა ჰაჯი ალას წარსულის სურათები: როგორ დაძინა და დამარხა განსვენებული მამის გვერდით თავისი დედა, გაახსენდა 1877 წლის ომი, ქარიშხალივით რომ ჩაუქროლა გვერდით, და ოდნავადაც არ შეხებია... გაახსენდა, ოცდაათი წლის ახალგაზრდამ როგორ წაიყვანა ცოლი იერუსალიმს, თვალწინ წარმოუდგა საკუთარ სახლში გადახდილი ქორწილები და წვეულებანი... მთელი ცხოვრება ვაჭრობასა და სიმდიდრის შეძენას შეალია. შვილები წამოეზარდნენ, მოესწრნენ, დაქორწინდნენ. ყველაფერი ჩინებულად აეწყო — თითქოს ასედაც უნდა მომხდარიყო — მისი ოჯახი ვანქს [1] დაემსგავსა და დღეს კი უნდა დანგრეულიყო.

მისი ოჯახი, მისი ძველი სახლი! სისხლი თავში აუვარდა ჰაჯი ალას. ვანა ოჯახი და სიმდიდრე ისევე მტკიცე არაა, როგორც თავად სამყაროა მტკიცე?

და ჰაჯი ალამ, ვითარცა გამობრძმედილმა კაცმა, ცხოვრებისეული გამოცდილება მოიშველია: გადაწყვიტა, გადაერჩინა ყველაფერი, რაც სჭირდებოდა. ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, ის ნივთები მაინც, ყველაზე საჭირო რომ იყო. გადაწყვიტა ყველაფერზე წასულიყო, გულქვაობა გამოეჩინა, დამდაბლებულიყო კიდეც. ოღონდ ეხსნა ყველაზე აუცილებელი რამ და თუ ამასაც ვერ შეძლებდა, თავი მაინც გადაერჩინა.

გვერდით, პატარა „ოდაში“, თუნუქის ღუმელზე, შორეული ზურნის მსგავსად, უსტვენდა და შიშინებდა ჩაიდანი და ოთახის ცხელ, მშრალ ჰაერს სასიამოვნო სინოტივით აზავებდა.

სწორედ ამ პატარა ოთახში, ერთმანეთზე აკოკოლავებულ ლეიბებთან. იჯდა ერთი ხანშიშესული ქალი. ეს ჰაჯი ალას დამბლადაცემული და სრბუნი იყო. იგი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რეცხვის დროს, სასტიკად გაციებული-

[1] ვანქი — მონასტერი (სომხ.).

ყო, ტიფი შეჰყროდა და დამბლა დასცემოდა. არავინ უწყოდა — ტიფმა უყო თუ ნიადაგი უკვე მომზადებული ჰქონდა საამისოდ. ამასთანავე ყურსაც აკლდა. ჰაჯი აღამ თავის თავს არ აკადრა, რომ სნეული და სხვის ანაბარად დაეტოვებინა და ხალხი აელაპარაკებინა. ავადმყოფი თავის სახლში გადმოიყვანა და კუთხე მიუჩინა. საბრალო ქალმა, ბუნებით გამრჯემ და თავმოყვარემ, ძმისთვის სიკეთე რომ გადაეხადა, ოჯახში ჭრა-კერვა და ქსოვა თავის თავზე აიღო და თუმცა მისთვის ეს სამუშაოც მძიმე იყო, გულხელდაკრეფილი მაინც ვერ ძლებდა. მსუქანი იყო, მძიმე, ძალიან უჭირდა წამოდგომა, გარეთ კი დიდი გაჭირვებით, ფორთხვით გადიოდა.

ჰაჯი აღა ახლა კარგად ხედავდა, მისი და დასიებული თითებით როგორ ჭრიდა მუხლებზე გაშლილ ნაჭერს, ხელში ატრიალებდა, კვლავ ჭრიდა და ზომავდა რაღაცის მისადგმელად.

ჰაჯიმ შეხედა დამბლადაცემულს, მაგრამ ვერ დაინახა იგი, რადგან ფიქრით ოთახის ნივთები ფორანში გადაჰქონდა, არჩევდა ყველაზე ძვირფასს.

შემდეგ ათჯერ მაინც წამოდგა, ფანჯრიდან გადაიხედა, ეგების ქუჩიდან რაიმე შევიტყოო, მაგრამ გარეთ ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც მშვიდობიან დროს.

მაგრამ აი, შებინდებისას არეული ხმები მოისმა. ჰაჯი წამოხტა და ფანჯარას მივარდა, ფანჯარას რამდენიმე კაცმა ჩაუარა — დუქნის საქონელი წამოეკიდებინათ და შინ ეზიდებოდნენ. მარხილს უკან მამაკაცები მისდევდნენ ფეხით. ესენი მეზობლები იყვნენ. პირველმა მარხილმა თავზარი დასცა ჰაჯის. და მაშინ, როდესაც ჰაჯი აღამ გარეთ გასვლა დააპირა, რათა ლტოლვილთაგან სიმართლე შეეტყო, ანაზღად სახლის კარმა დაიზრიალა. შემოვარდა ჰაჯი აღას უმცროსი ვაჟი აკოფი და ტალანიდან აღელვებულმა ხმამაღლა დაიძახა:

— მამა!

ჰაჯი აღა გავარდა.

— აკოფ, რა მოხდა?

აკოფმა ტალახიანი ფეხები სასწრაფოდ გაიწმინდა და იყვირა:

— თურქები მოვიდნენ, უნდა გავიქცეთ!

შემდეგ სულმოუთქმელად შევარდა ოთახში, კუთხეებში მიდგმულ სკივრებს დააცხრა და მთელი ძალით გამოსწია.

ჰაჯი ვაჟს მიუახლოვდა.

— ფორანი დაიჭირეთ?

— ფორანი ვერ ვიშოვეთ, მარხილი დავიჭირეთ.

ჰაჯი აღასთვის ეს პირველი საშინელი ლახვარი იყო, მაგრამ, როგორც ცხოვრებაში გამობრძმედილმა კაცმა, გუნებაში მყისვე გაივლო, დახანების დრო არ არისო. უბედურებასაც უნდა შეურიგდეს და ავლადიდებაც უნდა გადაარჩინოს.

მაგრამ რა დაეტევა ერთ მარხილზე?.. ჰაჯი აღა უფრო გაშმაგდა:

— გადასარჩენი გადაარჩინეთ... ყველაზე საჭირო და აუცილებელი...

აკოფმა ნაცრისფერი ყაბალახი შეიხსნა, გაყვითლებული, სქელი პალტო გაიძრო და კვლავ სკივრებს დააცხრა.

რიგრიგობით შემოვარდნენ და კართან გახევდნენ შოლო, შმავონის ცოლი, უმცროსი რძალი და მეზობლის ქალი.

ჰაჯი მიუახლოვდა აკოფს და ხელი მოჰკიდა:

— გონს მოდი, — დინჯად უთხრა, — რაც საჭიროა, ის გაიტანე.

შემდეგ ოჯახის წევრები დამოძღვრა:

— რაც დაგჭირდებათ, იმას მოუყარეთ თავი, იცოდეთ, გზაში დავრჩებით.

მეზობლის ქალმა, აქამდე რომ ჩუმად უსმენდა მათ, რა დაინახა, ოჯახის ყველა წევრი მზადებას შეუდგაო, ჰაჯი ალას მიმართა:

— ჰაჯი ალა, შემოგევლე, თქვენ მიდიხართ, მე რალა მეშველება?

— აბა რა ვიცი? — მოუჭრა ჰაჯი ალამ, — მე რა შემიძლია?

მეზობლის ქალს თავზარი დაეცა. მას ჰაჯი ალას ოჯახში მუშაობით გაჰქონდა თავი და პურის ერთი ნაჭრისა და ნასუფრალის იმედზე იყო. იგი ფიქრობდა — ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ არასოდეს დაირღვევაო. ხოლო თუ დაირღვევა, ჰაჯი ალა ალბათ რაიმეს მოიფიქრებს და ჩემსავით გაჭირვებულს არ გასწირავსო.

მაგრამ ჰაჯი ალას გულქვა პასუხმა იმედი გაუცრუა საცოდავ ქალს. რა დაინახა, ჩემი შემწე არავინ არისო, ამოიოხრა და გარეთ გავიდა.

ვიდრე ოჯახის წევრები ბარგს თავს მოუყრიდნენ, ჰაჯი ალა ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში, სწორედ ისე, როგორც დანაღვლიანებული აქლემი. უმზერდა აწეწილ ოთახს, სადაც ერთმანეთზე ახუხულავებულიყო „გამოუსადეგარი“ და „ზედმეტი“ ბარგი, უყურებდა თავისი ოჯახის ნგრევას. მაგრამ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, ტკივილს ველარ გრძნობდა. უდიდესი უბედურებისაგან თვალთ უბნელდებოდა. იგი სანთელივით გაყვითლდა. ოჯახის წევრები ტანსაცმელს კრავდნენ, ისევ ხსნიდნენ, კვლავ არჩევდნენ. განუწყვეტლივ ისმოდა: „ჰაჯი ალას წინდები“, „ჰაჯი ალას ლეიბი“, „ჰაჯი ალას ქურქი“ ან დაგეჩეთო. შმავონის ცოლი კუთხიდან უთვალთვალებდა ჰაჯი ალას და, რა შეამჩნია, მკვდრისფერი ედო, ჰკითხა:

— ჰაჯი ალა, კონიაკს დალევ?

ჰაჯი ალა დუმდა, ვითარცა მწუხარების გამომხატველი ქანდაკი. მღელვარებისაგან პირი გაუმწარდა და ნერწყვის ყლაპვისას სახე ემანჭებოდა.

შინაგანად კი ჩქარობდა და ოჯახის წევრთა მუშაობას უმზერდა. მოლუშული, გამეხებულ მეცინოვნესავით დროდადრო თავისი ცხის ამა თუ იმ ნივთის ღირებულებას გადააფასებდა ხოლმე და ბრძანებდა: „ღვთის გულისათვის, შეიგნეთ, ეგ კი არ არის საჭირო, არამედ აი ის“. ბოლოს კი, თითქოს მოჩხუბართ აქეზებსო, გამხნევება დაიწყო: „ეგრე, ეგრე, ეგრე, აი ეგრე... აუცილებელი, აუცილებელი-მეთქი“. ასე იმეორებდა დიაცვანივით „აუცილებელს“ და მიაჩნდა, რომ დიდ საქმეს აკეთებდა, ოჯახს შველოდა.

ჰაჯი ალას და ამ დროს პატარა „ოდაში“ იჯდა და წყნარად უმზერდა თავის ძმას. უაღრესი სიმშვიდით სავსე იყო მისი დიდრონი, ჩამქრალი თვალები. თვალების ქვემოთ მოცისფრო პარკები გასჩენოდა, პირისახე დასიებული, ავადმყოფურად თეთრი ჰქონდა.

მას ვერავინ ამჩნევდა.

ოჯახის წევრები უკვე მზად იყვნენ, როდესაც კართან შუილითა და დგაფუნით მოსრიალდა დიდი, მძიმე მარხილი. საქონლით დატვნილ ტომრებზე აჭარხლებული და აღელვებული შმავონი იჯდა. მან მარხილი ჯალაბის წასაყვანად მოიყვანა. ჩამრგვალებული შმავონი ტომრებიდან ჩამოცურდა, სახლში

შევარდა და სულმოუთქმელად დაილმუვლა:

— ხედავთ, ჩვენს უბედურებას?.. დუქანში საქონელი დარჩა... ფორანი არ არის...

— ვუუშ!..[1] — დაიცეს რძლებმა მუხლებზე ხელები და ჰაჯი ალას შეხედეს.

ჰაჯი ალამ აქლემის ნალვლიანი მზერა შმავონს მიაპყრო, ხმა კი არ გაუღია.

— აბა, ჰაჯი ალა, ჩაიცვი, წავიდეთ, — უთხრა შმავონმა და გავიდა.

შმავონის ცოლმა სკამი მიუდგა ჰაჯი ალას. შემდეგ უმცროსი რძლის დახმარებით მას მეორე შარვალიც ჩააცვა.

ამ დროს პატარა „ოდიდან“ ყრუ ქვითინი მოისმა.

— ეს ვინ ტირის? — იკითხა ჰაჯი ალას ცოლმა და შიგნით შევიდა.

რძლები უკან მიჰყვნენ მას. ოთახში რაღაც ლაპარაკი შეიქნა. ჰაჯი ალამ მხოლოდ ცოლის სიტყვები გაიგონა:

— ჰაჯი ალა არ გაიყინება გზაში, ნუ დარდობ.

შემდეგ ისევ ლაპარაკი გააბეს.

გაბრუებულ ჰაჯი ალას მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ მთელი დღის განმავლობაში არც კი გახსენებია თავისი დამბლადაცემული და. ამ ფიქრმა გული დაუმძიმა. ბოლოს ფეხი შარვალში გაუყარა და წარმოთქვა:

— რაშია საქმე, რა მოხდა?

— არაფერი, — მიუგო უმცროსმა რძალმა, — სრბუნი ტირის.

— ეს რა ალიაქოთი ატყდა, ეგ სად უნდა წავიდეს? — დაიგრგვინა ჰაჯი ალამ რისხვით და ბრაზი მოერია, რომ მისმა დამ თავისი პირით არ განაცხადა თანხმობა, მე დავრჩებიო.

უმცროსმა რძალმა გაოცებული თვალები მიაპყრო ჰაჯი ალას:

— სრბუნს ვტოვებთ?

ჰაჯი ალამ დამცინავად ჩაიქირქილა:

— ეეჰ, ჩემო ხანუმ, ნეტა მე და შენ კი წავალთ?!

ჰაჯი მარი ამ დროს სრბუნის ოთახიდან გამოდიოდა და ქმრის სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, თავზარი დაეცა:

— ღმერთო, შენ დაგვიფარე! სრბუნს ვტოვებთ?

— მე ვტოვებ? — იფეთქა ჰაჯი ალამ, — ჯერ ვნახოთ, მარხილზე ადგილი დარჩება?!

— „ადგილი დარჩებაო“, რას მიქვია, ჰაჯი ალა, ამდენი ხალხი როცა მივდივართ!..

ჰაჯი ალას ცოლმა ყური ალარ ათხოვა ქმრის ლაპარაკს, უმცროს რძალს უხმო და მასთან ერთად პატარა ოთახისკენ გაემართა:

— ესთერ, შვილო, სრბუნს ჩააცვი.

ჰაჯი ალას და კუთხეში, მინდარზე იჯდა, მუხლებისკენ დაეხარა თავი და ცრემლებს იწმენდდა.

ჰაჯი მარი მულისკენ დაიხარა:

— სრბუნ, დაიკო, რა გატირებს?

დამბლიანმა ქალმა არ უპასუხა.

შმავონის ვაჟმა — რვა წლის კარომ, ოთახში რომ შესულიყო და მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა, ბებიას განუმარტა:

— თურქებისა ეშინია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორ არ ვიტირო, — სნეულ სრბუნს გული ამოუჯდა, — ჰა-

[1] მწუხარების გამომხატველი შორისდებული (სომხ.).

ჯი ალა ძალიან ღელავს, მეშინია, გზაში ავად არ გახდეს.

— მაგისთვის ტირიხარ? — გაოცდა ჰაჯი მარი. — ჩვენზე ნუ დარდობ, მოემზადე!..

— მე? — სევდანარევი ღიმილით შეხედა სრბუნმა ჰაჯი მარსა და უმცროს რძალს, — მე არ წამოვალ.

— რატომ?

— თქვენი თავი გადაირჩინეთ, მე დამბლიანი ვარ, დღეს არა, ხვალ მოვკვდები, — მიუგო სრბუნმა ნაღვლიანი ხმით.

— დამბლიანი რას მიქვია? — შეეკამათა ჰაჯის ცოლი, — სული ტკბილია. მოემზადე!

ჰაჯი დიდ ოთახში ბოლთასა სცემდა და ამ ლაპარაკს ისმენდა. ცოლის დაჟინებამ მოთმინება დაუკარგა და ჰაჯი მარს გასძახა:

— იჩქარე. დრო ალარ იცდის!

ჰაჯი მარი მულის ოთახიდან გამოვიდა და თვალები ჰაჯი ალას მიაშტერა.

— ადგილი არ არის, გესმის! — დაიგრგვინა ჰაჯი ალამ და სიტყვაზე „გესმის“ უფრო აუმაღლა ხმას.

— ბარგი მოაკელი და ადგილიც იქნება, — არ ცხრებოდა ჰაჯი მარი.

— ეეჰ, — აათვალიერა ჰაჯი ალამ ცოლი, — ბარგი რომ მოაკლო, შვილებს რაღას აჭმევ? ქვეყნის ალსასრული ხომ არ დამდგარა!

ჰაჯი ალამ ყაბალახი გაიკრა.

— ჩემ გამო ნუ იგვიანებთ, წადით, ჰაჯი ალა ცოდოა, — გამოსძახა სრბუნმა.

— ასე არ გამოვა, შენ ჩვენთან ერთად წამოხვალ, — დაბეჯითებით თქვა ჰაჯი მარმა და გარეთ გავიდა მემარხილეს სანახავად.

პატარა ოთახში შევიდნენ. ბავშვებიც შემოეხვივნენ სნეულს. მან კი, რა დაინახა, ყველა ძე მიყურებს და მელოდებაო, თავი აიღო, მიწვდი, კეთილი თვალებით შეხედა მათ და წარმოთქვა:

— წადით, მე ნუ მიყურებთ, მე არავისთვის საჭირო არა ვარ.

ამ დროს ოთახში აკოფი და შმავონი შევიდნენ და ოთხივე კუთხე მოათვალიერეს — ხომ არაფერი გვრჩებაო.

რძლები ემუდარებოდნენ ქმრებს, მამიდა დაეყოლიებინათ წამოსვლაზე და ადგილი გამოეძებნათ მისთვის მარხილზე.

საგონებელში ჩავარდნილმა ძმებმა ერთმანეთს უხმოდ შეხედეს, შემდეგ ჰაჯი ალასკენ გაიხედეს. რძლების მუდარა მან კარგად გაიგო.

აკოფმა თვალთმაქცურად ჰკითხა ძმას:

— ჰა, შმავონ, რას იტყვი, ბარგი შევამსუბუქოთ?

შმავონს შუბლი შეეჭმუხნა იმ ძუნწივით, ვისაც ფული სთხოვეს.

— არ ვიცი, აბა რა გითხრა?

და გარეთ გავიდა.

ბალღებმა ტირილი მორთეს:

— ბებია სრბუნს თურქები მოკლავენ.

მისცვივდნენ დამბლიან ქალს, მოეხვივნენ და კოცნა დაუწყეს.

სრბუნმა გულში ჩაიკრა ისინი და აქვითინდა:

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო მტრედებო, წადით, მე ნუ მიყურებთ.

რძლებმა წაიცრემლეს და ბავშვები განზე გაიყვანეს.

ჰაჯიმ ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა დიდ ოთახში, შემდეგ ქუჩაში გაეხვია და პატარა ოდაში შევიდა. თავის დას მიუახლოვდა.

— აბა, სრბუნ, — უხალისოდ ამოღერღა, — კარგად იყავი. — და

ხელი ხელზე დაადო. — არ შეშინდე, თურქები ხელსაც არ გახლებენ. როცა მოვლენ, უთხარი: სახლი თქვენია, მე ხელს ნუ მახლებთ-თქო.

შმავონმა, მამას რომ შეჰყვა, დასძინა:

— უთხარი, სიზინ ოჯახა დუშმიშიმ — თქვენს ოჯახში მოვხვდი-თქო.

სრბუნმა ათრთოლებული ხელები მოჰკიდა ჰაჯი ალას ხელს, ტუჩებთან მიიტანა და ეამბორა. ცრემლის ერთი წვეთი ჩამოუგორდა თვალიდან და ჰაჯი ალას ხელზე დაეცა. დამბლიანმა ქალმა უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ძმას ხელი გაუმშრალა, შემდეგ ერთი წყვილი საუცხოო ხელთათმანი გამოაძვრინა მინდარს ქვემოდან და ჰაჯი ალას გაუწოდა:

— ხელებზე ჩაიცვი, გზაზე არ შეგცივდეს.

მერე სლუკუნით დასძინა:

— თვალი დამიდგეს... ბავშვებს ველარ მოვუქსოვე.

— არაფერია, არაფერია, — გულგრილად დააშოშმინა ჰაჯი ალამ და ოჯახის წევრებს მიუბრუნდა:

— აბა! — შესძახა მათ.

თვითონ კი გავიდა. ჰაჯი მარი იქ არ იყო. როგორც ჩანს, მეზობლებში გასულიყო სნეული მულისთვის ადგილის გამოსაძებნად.

ჰაჯი ალამ ყველაზე მოხერხებული ადგილი აირჩია მარხილზე, დაჯდა, საბანში გაეხვია და გაირინდა.

რადგან ოჯახის წევრები იგვიანებდნენ — უეჭველია, მის დამბლიან დას არწმუნებდნენ, რომ წამოსულიყო, — ჰაჯი ალა გაბრაზდა, თავი საბნიდან გამოყო და დაიძახა:

— იჩქარეთ, დრო ალარ ითმენს... ისინი სადაცაა მოვლენ...

და სასწრაფოდ ჩამალა თავი საბანში, რომ არ გაციებულიყო.

იმაგრამ მისი ოჯახი გამოსვლას აგვიანებდა. შმავონსა და აკოფს ესმოდათ, ჰაჯი ალამ რისთვისაც გაიქცა გული. ალბათ ცხოვრების სიბრძნე სწორედ ამას ითხოვდა, რომ მამის მტკიცე გადაწყვეტილების მიღლით თვითონაც აღწევდნენ თავს განსაცდელს და საკმაო ქონებაც მიჰქონდათ. მამის საქციელი მათ თავიანთ გულში გაამართლეს. უნდა დააფასო მისი სიბრძნე, უნდა გაითვალისწინო, რომ მთელი სიმდიდრიდან ისღა შეგრჩება, რის წაღებასაც მოახერხებ. მამა ჭკვიანურად სჯის, დამბლიან დას რომ ტოვებს და ბარგი მოაქვს. ვინ იცის, რა ელით მათ უცხოობაში, თავი გასატანი ექნებათ, ახალი სახლის აშენებაც მოუწევთ. ქვეყნის ალსასრული ხომ არ დამდგარა!

და როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ დროს, ისინი ადვილად შეურიგდნენ იმ აზრს, რომ დამბლიანი მამიდა ზ ე დ მ ე ტ ი ბარგია მათთვის. ხოლო რადგანაც გაქცევამ და სიკვდილის კლანჭებიდან შედარებით „ილბლიანმა“ დასხლტომამ, განსაცდელიდან თავის დაღწევამ ცოტა-ოდნავ გამოუკეთა ორივეს გუნება, ხუმრობასაც კი მოჰყვნენ:

— ჩვენ ქორწილში მივდივართ, მამიდა კი სახლის საყარაულოდ რჩება.

— ორ დღეში უკან დავბრუნდებით.

— თურქები ხანუმ-ხათუნივით გაუფრთხილდებიან მამიდას.

— დამბლიანს ხელს ვინ ახლებს?

ძლებმა კი, ვინც კარგად უწყოდნენ ჰაჯი ალას გაუტეხელი ხასიათი, რომ დაინახეს, მათი ქმრები არ წუხდნენ, ქათმებივით იოლად შეეგუენ ამ ამბავს და მიყუჩდნენ...

მათ ტირილით შემოსეს ბალღები. შემდეგ სნეულ სრბუნთან მივიდნენ, გადაკოცნეს, მიუტანეს რამდენიმე სანთელი, ერთი დიდი შეკვრა პური, წყალი, ასანთი, წინ დაუდგეს ეს ყველაფერი და ოხვრაკვნესით გარეთ გავიდნენ.

გარეთ კი დიდი ჩოჩქოლი იყო. სარკმლებისა და ღია კართაგან გამომჭვირვალე სინათლეში ჯგუფ-ჯგუფად მოჩანდა ხალხი.

თავზე სქელი შალით მობურული ქალები, ყაბალახიანი მამაკაცები, შარფმოხვეული გოგო-ბიჭები შეშფოთებულნი ირეოდნენ სახლების წინ, მარხილებისა და ფორნების ირგვლივ. ისმოდა ხმაური და ვიშვიში.

აი, მოხუცი დიაკვანი, გამხმარი, გაპარსული ნიკაპი რომ უკანკალებს, თავისი ოჯახით უმარხილოდ დარჩენილა, საკუთარ ფეხებზეღა დაუმყარებია იმედი; მოხუცი მთლად მოშვებულა — ბალღად ქცეულა. ცოლი კი წინ მიერეკება. აჰა, დაადგნენ კიდეც გზას უბარგოდ და უტანისამოსოდ. აგერ, ერთი დროული კაცი თავის მეზობელს წაჰკიდებია, ვისაც სურს ზედმეტი აჩუქოს მის მეეტლეს და მარხილი თვითონ დაინარჩუნოს, ერთიც და მეორეც ცხენებს ალვირებით აქეთ-იქით ექაჩებიან.

— ღმერთო, შენ მიშველე... დავრჩით! — გაჰყვირის ერთი ქალი, მაგრამ ამ აურზაურში მას არავინ ეხმარება.

ერთი ფორანი, ხარახურითა და ადამიანებით გაჭედილი, მიადგა და ზედ მიებჯინა ჰაჯიანთ მარხილს.

— ხაბარდა! — დაიგრგვინა მეეტლემ.

ფორნიდან ვიღაცის ჟღალ წვერულვაშიანმა და ხმელ-ხმელმა პირისახემ გამოიხედა.

ეს სასამართლოს მწერალი იყო.

— რას უდგახართ? — დაიყვირა მან.

კიდევ ორი ფორანი მოადგათ უკან. აჩქარებდნენ. მწერალმა ირეალა. მას აუხსნეს, ჰაჯიაანნი დამბლიან დას ელოდებიანო.

— რას დამდგარხართ, გარეკეთ, — დაიყვირა მწერალმა, — დამბლიანის წაყვანის დროა ახლა? ჯანდაბას მისი თავი.

— ქალი დატოვონ და წავიდნენ? რას ამბობ?—შეედავნენ ფორნიდან.

— გაქცევის დროს ხეიბარი ზედმეტი ბარგია.

— იჩქარეთ-მეთქი, დავგვიანდით, — გახელდა ჰაჯი ალა და ადგილიდან წამოდგომა დააპირა, რომ წასულიყო და გაეგო, მისი ოჯახი შინ რას იქმოდა.

სწორედ ამ დროს შმავონმა და სომეხმა მემარხილემ, ჰაჯი მარს რომ აქეთ-იქით ამოსდგომოდნენ, იგი გარეთ გამოიყვანეს. გაკაპასებული ქალი კი მკლავების განთავისუფლებას და კვლავ შინ შესვლას ლამობდა, რათა სნეული მული გამოეყვანა.

— გამიშვით, უნდა წამოვიყვანო. — წიოდა იგი.

— ადგილი არ არის, დედი, ადგილი არ არის, — არწმუნებდა მემარხილე.

მაგრამ ქალი მაინც წინააღმდეგობას უწევდა. რძლები და ბავშვები ტიროდნენ. ფორნებში კი დრტვინავდნენ და ჰაჯი ალას მარხილს აჩქარებდნენ.

ისინი სასწრაფოდ შესხეს მარხილზე. ჰაჯის ცოლი ძალით მოიყვანეს და მარხილზე შეაგდეს.

როგორც კი ქალები და ბალღები მარხილში დაიგუნა, მემარხილემ

გამეტებით გადაუჭირა მათრახი ცხენებს. მარხილი მოსწყდა ადგილს და მემარხილე ცხენებს გვერდით აედევნა.

შმავონი და აკოფი კართან დარჩნენ. წასვლის წინ ერთი წამით დაყოვნდნენ და ერთმანეთს შეხედეს. უნდა შესულიყვნენ, უცანასკნელად ენახათ დამბლიანი მამიდა. ფანჯრიდან შუქი გამოკრთოდა. ძმები შიგნით შევიდნენ, მამიდას მიუახლოვდნენ. იგი მშვიდად იჯდა და ეს სიმშვიდე სრულიად არ ეხამებოდა იმ საერთო შფოთსა და შიშიანობას, მთელი ქალაქი რომ მოეცვა.

— მამიდა!.. შეცოდება შეგვი...— და აქვითინებული აკოფი დამბლიანს ხელზე ეამბორა.

— ღმერთიმც შეგეწევათ, ჩემო მტრედებო. წადით... ჰაჯი აღას ბალღებს კარგად მიხედეთ, არ გაცივდნენ... — წარმოთქვა სნეულმა მზრუნველი ხმით.

შმავონმა ფარისევლურად აიჩუყა გული, თვალთმაქცურად მოიქცია ყბა. ისიც მიუახლოვდა, ხელზე ეამბორა ქალს, უცრემლო თვალები მოიწმინდა და გარეთ გავიდა. მას აკოფიც მიჰყვა, რომელიც ისე ჩქარობდა გასვლას, რომ ლამის შმავონს შეასკდა.

ორივე გაიქცა, რათა თავიანთ მარხილს დასწეოდნენ.

მთელი ქალაქი ამლილიყო. მიდიოდა ფორნები, მარხილები, მათ გვერდით კი ფეხით მიმავალნი მიაბიჯებდნენ შფოთით და ხმაურით. როდესაც შმავონი და აკოფი თავიანთ მარხილს დაეწივნენ, უკან დარჩენილი ქალაქი ხანძრის ანარეკლმა გაანათა.

— ჰოოოფ, — დასძახა მათ წინ მიმავალმა მეფორნემ და ფორანი გააჩერა. მას სხვებმაც მიჰბაძეს და ყველანი გაჩერდნენ.

— რისთვის გავჩერდით? — გაისმა შემკრთალი და უკმაყოფილო ხმები.

მაგრამ არავინ უწყოდა, რა მოხდა, მხოლოდ ბალღების ტირილი და დედაკაცთა მოთქმა მოისმა გნიასში. სიბნელეში ჩანთქმულ ქალაქის დასავლეთი მხრიდან ზარბაზნის ყრუ გრუხუნი მოდიოდა.

ქარავანში ჩოჩქოლმა იმატა. ჰაჯის შვილიშვილებმა ტირილი მორთეს:

— ბებია სრბუნს მოკლავენ?..

ჰაჯი მარს, მანამდე კუშტად და მწყრალად რომ იყურებოდა აქეთ-იქით, ბავშვების ტირილს გაგონებაზე ცრემლით აევსო თვალები და აქვითინდა.

— არ მოკლავენ, ნუ ტირიხართ, — თქვა და ცრემლი შეიმშრალა.

ბავშვებმა რომ დაინახეს, ბებია ტირისო, თვითონაც უმატეს ქვითინს.

ზარბაზნის ხმამ ჰაჯი აღა უფრო დააშინა, უფრო გარკვევით დაანახა სიკვდილის აჩრდილი და ცეცხლში მოქცეული კაცივით იგრძნო, რომ რაღაც ძალა მხოლოდ ერთს უკარნახებდა: გაქცეულიყო, ჩქარა დასხლტომოდა სიკვდილის ბრჭყალებს. დანარჩენი — ცოლი, შვილი, ამხანაგი, მეგობარი—ყველაფერი უნებლიეთ დაპატარავდა მის თვალში. იგი გრძნობდა, თუ რაოდენ საშინელი იყო ეს ამბავი, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ეს ასეა.

გაოგნებული აღა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ყოველ საგანზე მცირე ხანს აჩერებდა მზერას, მეორე წამში კი ივიწყებდა. თითქოს სიზმარში ხედავდა მის გვერდით, გზის პირზე მომავალ მეწაღე პოლოსას. ამ ბრგე ახალგაზრდას, ვინც მათ მეზობლად ცხოვრობდა, ლაბა-

დაზე დაესხა ორი ბავშვი და თოვლზე მიასრიალებდა. უკან ბარბაცით მოჰყვებოდა სულშეხუთული, მოხუცი მამა. აი, დაიღალა იგი, გაჩერდა, გზიდან გადაუხვია, წაბარბაცდა, თოვლში ჩაეფლო და გაირინდა.

— აღარ შემიძლია... იარეთ...

უყურებს მას ჰაჯი აღა და ვერარ უძლებს ამ საცოდაობას.

აი, ქარავანი კვლავ დაიძრა. მთის ყინვა თავის მსუსხავ თითებს უჭერს ჰაჯი აღას წვერზე და ისიც პირისახეს საბანში მალავს.

მთის ქარი უბერავს და თოვლის ნამქერს, ჯერ გველივით მოსრიალეს, შემდეგ კი ვეშაპივით აზვირთებულს, ჰაერში მოაფრენს, აკვნესებს, აქვითინებს...

— ღმერთო, შენ მიშველე, — ჩურჩულებს ჰაჯი აღას უმცროსი რძალი.

უფროსმა რძალმა პირჯვარი გადაისახა და ხმამაღლა და გრძნობით დაიწყო ლოცვა.

შალში გახვეული ჰაჯი მარი კი დამბლიან მულზე ფიქრობს და მძიმედ ოხრავს.

* *

სასტიკმა განსაცდელმა და მღელვარებამ გაიარა და დადგა მშვიდი. გაჭირვებული დღეები ლტოლვილებისთვის ახალ სამხარეო ქალაქში. მოულოდნელად გაღატაკებულებმა, ერთ საათში უსახლკაროდ დარჩენილმა მდიდრებმა დაბადებით უპოვართა ბედი გაიზიარეს და ქველმოქმედებაზეღა დაამყარეს იმედი. არც გაჭირვებაზე რომ არ ზრუნავს და არც არავითარ თავმოყვარეობას არ უწევს ანგარიშს. მოვიდნენ, რათა მინდობოდნენ ყოველგვარი გასაჭირის მიმართ გულგრილ, ყოველგვარი თავმოყვარეობის მიმართ ანგარიშგაუწეველ ქველმოქმედებას და მის მუდამ დაგვიანებულ შემწეობას დაეყრდნენ. ისინი საქველმოქმედო სკოლასა და კერძო, დაუსახლებელ შენობებში მოათავსეს. მიუტანეს პური, სამოსი, ფული, სანუგეშო სიტყვებიც მიაყოლეს, მაგრამ გულმოწყალეობის ტალღა რა სიმძლავრითაც მოიქცა, იმავე სისწრაფით უკუიქცა და გაჭირვებამ ამჟამად უკვე დაუბრკოლებლად და ჭეშმარიტად მოიკიდა ფეხი.

ჰაჯიანთ ქალაქი ჩქარა უკან დაიბრუნეს. მამაკაცები, მათ რიცხვში აკოფი და შმავონი, დაბრუნდნენ მათ საკუთარ გადაბუგულ და გაძარცვულ სახლში. ხმები გავრცელდა, რომ იმას, ვინც დაბრუნდა, ბედმა ზოგი რამის პოვნაც კი არგუნაო. ერთხელ მათი ქალაქის ხუმარა გარანი ჩამოვიდა და ლტოლვილთ სასაცილო ამბები უამბო, რაც მომხდარიყო როგორც გაქცევის, ისე თურქების შესვლის დროს. წარმოადგინა, თუ როგორ იხუტებდა დაბნეული ვაჭარი მუთაქას იმ დროს, როდესაც ბავშვი იქვე იდგა და ტიროდა. შემდეგ ჰაჯი აღას დამბლიანი დის ამბავიც მოჰყვა, ვინც უგზოუკვლოდ გამქრალიყო და ვისზედაც ოჯახის წევრები ცდილობდნენ ან კრინტი არ დაეძრათ, ან თავი იმით ენუგეშებინათ, რომ წამოსულიყო, გზაში მაინც დაილუპებოდაო. ჰაჯი აღა უფრო მოილუშა. ეს რომ შეამჩნია, გარანმა თამამად და მხიარულად შეუტია:

— ნეტავი შენ, მოგცლია! რძლები, ვაჟები, შვილიშვილები გყავდეთ ჯანმრთელად შენ და შენს ცოლს!

მაგრამ ჰაჯი აღა განადგურებული იყო.

ამიერიდან მისგან სიტყვას იშ-ვიათად თუ გაიგონებდით. კუთხეში მიჯდებოდა, ხან აბოლებდა, ხან საანგარიშოს აჩხაკუნებდა, დროდადრო კი გადააქნევდა თავს და ალმოხდებოდა:

— ეჰ, ეჰ, ეჰ!...

რაც ჩამოვიდა, ერთხელაც არ გასულა ქალაქში.

ნაცნობ-მეგობრები მოდიოდნენ, ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ჰაჯი ალა ყველას უარით ისტუმრებდა.

ოჯახის წევრები შეფიქრიანდნენ. ჰაჯი ალას ეს უჩვეულო საქციელი დაკარგულ სიმდიდრეზე დარდს მიაწერეს და იფიქრეს, მოხუცი ალბათ ჭკუიდან შეცდაო. შმავონს შეუთვალეს, ან შენ, ან აკოფი ჩამოდითო.

* *

იანვრის სუსხიანი და ნათელი დილა თენდებოდა, როცა ჰაჯი ალა საწოლზე წამოჯდა. ჰაჯი მარსა და რძლებს, ბავშვებით მკერდზე მიხუტებულებს, ეძინათ იმ პატარა და ვიწრო ოთახში, ჰაჯიმ განგებ რომ დაიქირავა და უარი თქვა უფასო თავშესაფარზე.

— ჰაჯი ალა, ასე ადრე რამ აგაყენა? — ჰკითხა შეშფოთებულმა ცოლმა და ისიც წამოჯდა თავის საწოლზე.

— დამაგვიანდა, — წაიბურტყუნა ჰაჯი ალამ და ჩაცმა დაიწყო.

ჰაჯი მარმა წარბებს ქვემოდან ყურადღებით შეათვალიერა ქმარი და მის თვალებში განურჩეველი ნაღველი შეამჩნია. ადგა, ჩაცმაში დაეხმარა, წყალი მოუტანა, პირი დააბანინა. ჯოხი რომ აიღო ჰაჯი ალამ და წასვლა დააპირა, ცოტა არ იყოს შემკრთალმა ცოლმა ჰკითხა:

— საით?

— ეკლესიაში წავალ.

ჰაჯი მარს გაუკვირდა, მაგრამ ტუჩზე იკბინა, რძლები შეაფუცხუნა:

— ჩქარა წამოდექით, ჩვენ ეკლესიაში მივდივართ.

რძლებმა გაკვირვებით შეხედეს ჰაჯის, მაგრამ ჰაჯი მარმა ტუჩებთან თითი მიიტანა, დაჩუმდითო.

ქუჩაში გამოვიდნენ და თოვლიანი, მოყინული გზით უსიტყვოდ გაემართნენ ეკლესიისაკენ.

ეკლესიის ეზოში რომ შევიდნენ, ჰაჯის მშვიდ პირისახეზე კუნთები შეუტოკდა. იგი ათრთოლებული ტუჩებით შეეხო ეკლესიის ქვის კარს, ეამბორა, პირჯვარი გადაიწერა და ნიკაპაკანკალებული შევიდა შიგნით.

დილის ჟამი იყო. მლოცველები ჯერ არ ჩანდნენ. ჰაჯი ალა ლოცვას რომ მორჩა, ცოლმა უთხრა, შინ წავიდეთო, მაგრამ ჰაჯი არც განძრეულა. იგი თავის ადგილზე დაჩოქილი დარჩა. წირვას დაელოდნენ. ჩქარა უფროსი რძალიც მოვიდა. რძალ-დედამთილი კუთხისკენ განაპირდნენ და ჩურჩული დაიწყეს. ჰაჯი მარისთვის ცხადი შეიქნა, რომ ჰაჯი ალა სულიერად დაავადებულიყო.

ჰაჯი დაჩოქილი იყო და უფრო ფიქრობდა, ვიდრე ლოცულობდა.

ჰაჯი მარმა შეხედა მის ჩამომხმარ ტანს, მოხრილ ზურგს, გაყვითლებულ პირისახეს, ბოლისაგან შეტრუსულ ულვაშებს და თეთრ გაბურძგნულ წვერს, ლტოლვის შემდეგ სამართებელი რომ არ დაჰკარებოდა, შეხედა და იგრძნო, რომ მის ქმარს ნაღველი მეტისმეტად მორეოდა.

ცოლმა მუთაქა მიუჩოჩა მოხუცს, მაგრამ მან უარი თქვა დაჯ-

დომაზე. ეკლესიაში სიჩუმე იყო და ციოდა. საკმევლის სასიამოვნო სურნელი ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდა. აი მზის მეწამული სხივები სარკმელთაგან გადმოიღვარა. მოვიდა მნათე, მერე მღვდელი, სამლოცველოში თანდათან იმატეს მლოცველებმა.

დაიწყო წირვა. ჰაჯი უძრავად იდგა და აუღელვებლად დასცქეროდა ცივ ფილაქანს. მხოლოდ დროდადრო, როდესაც თმაშეევერცხლილი ტერტერა ხალხს მიუბრუნდებოდა და თავისი გულიდან ამომავალი ხმით იტყოდა: „მშვიდობა ყოველთა“, — ჰაჯი თავს ჩაჰკიდებდა და შემკრთალი, პირჯვარს იწერდა.

შინ რომ მივიდნენ, ყველანი სუფრას შემოუსხდნენ და ჩაის სმა დაიწყეს. უფროსი რძალი ჰაჯი მარისკენ დაიხარა და წასჩურჩულა:

— იცი, ჰაჯი ალამ ტერტერასა და დიაკვანს ხელისგულზე თითო ოქრო დაუდო.

ჰაჯი მარმა დაფეთებით შეხედა რძალს, წამოიჭრა, გარეთ გავიდა და იქიდან ანიშნა, გამოდიო.

— როდის, გოგო?

— შენ რომ სამსხვერპლოსთან მიხვედი და ლოცვა დაიწყე, მათხოვრებსაც თითო ოქრო ჩამოურიგა.

— არა, შეუძლებელია... — მღელვარებისაგან სული შეეხუთა ჰაჯი მარს.

— ჩემი თვალით დავინახე.

— ჰა?..—აიმღვრა ჰაჯი მარი,— აკი გეუბნებით და არ გესმით! ჩემი ჰაჯი ალა დაილუპა, სახლსა და კერას მოწყვეტილი. მიშველეთ, ღვთის გულისათვის...

ჰაჯი მარმა მუხლებზე დაიცა ხელები. რძალმა დაწვრილებით მოუთხრო, რაც თავისი თვალით ნახა. ჰაჯი მარი ისევ შინ შებრუნდა და რძლებს თვალით ანიშნა, ყურადღებას ნუ მიაქცევთო, თავად კი ქმარს დაუწყო თვალთვალი.

ბავშვები გარეთ გავიდნენ თოვლში სათამაშოდ. რძლებმა აალაგეს, დილით გამოსუფთავებული ოთახი კვლავ გამოგავეს, ღუმელს შეშა შეუკეთეს და სამზარეულოში გავიდნენ სადილის მოსამზადებლად. ჰაჯი მარი ქმრის პირდაპირ დაჯდა და მის ყველა მოძრაობას თვალის დევნება დაუწყო. ელოდა, ერთი სიტყვა მაინც დასცდებაო.

მაგრამ ჰაჯი ალა ხმას არ იღებდა. მისი დუმილი იმის მაუწყებელი იყო, რომ უძირო სევდა, რასაც მთელი არსება მოეცვა, ერთგვარ სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა.

მისი წარმოდგენა მხოლოდ ერთ სახებას დაეპყრო. ეს სახება აძრწუნებდა და ახარებდა კიდეც. მას თვალწინ ედგა თავისი დამბლიანი დის გვამი და მის უსიცოცხლო, ლიად დარჩენილ თვალებში ლამობდა ჩახედვას. იგი ეჭიდებოდა ამ სახებას და ცდილობდა ერთი წამითაც კი არ დაეკარგა თვალთაგან. თავად და მხოლოდ თავად იყო დამნაშავე ამ ამბავში, ეს მისი ცოდვა იყო, მისი სიმდაბლისა და გულქვაობის შედეგი. და რაც უფრო ხანგრძლივად ჭვრეტდა ამ გვამს, რაც უფრო ეკუმშებოდა გული, იმდენად მეტი კმაყოფილება და სიმშვიდე ეუფლებოდა. დამბლიანი და წმიდათაწმიდა, სალოცავ ხატად ექცა მას. მისი გვამი უმსუბუქებდა მოხუცს ცოდვილიან გულს.

მაგრამ შემსუბუქების ეს გრძნობა მხოლოდ დროგამოშვებით ეუფლებოდა. იყო ისეთი წუთები, როდესაც გრძნობდა — ჭკუიდან ვცდებიო. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც

მკაფიოდ, ნათლად წარმოიდგენდა თავისი სიკვდილის დღეს, ან როდესაც ახსენდებოდა თავისი შიშისზარი გაქცევის ღამეს. სწორედ იგივე შიშისზარი დაეუფლა ალბათ მის დას, იმ ყველასაგან მიტოვებულ არსებას, ვისი სიკვდილიც ასე არაფრად მიიჩნია გაქცევის დღეს. როგორ შეიძლებოდა მისი დატოვება სიკვდილთან პირისპირ! და განა არსებობს სადმე ისეთი არსება, ვისაც არ დატანჯავს ხორცელი ტკივილი, ვინც სიკვდილს არ შეუდრკება ან ვისაც გადარჩენის უფლება არა აქვს? რა სიმშვიდით შეხვდა სრბუნი თავის ხვედრს და როგორი უანგარო მზრუნველობით ფიქრობდა გაქცეულთა უმიზროებაზე. ეს მოგონებები გულს უწიწკნიდა ჰაჯის. ხოლო როდესაც იხსენებდა, რაოდენ უძლური აღმოჩნდა, რომ თავის თავში სიცოცხლის სიყვარული ჩაეხშო და დალოდებოდა მოახლოებულ სიკვდილს, მაშინ როცა ეს უბრალო, შეუმჩნეველი არსება ესოდენ მხნედ შეეგუა თავის ხვედრს, ჰაჯი აღა დასუსხულივით აღებდა ხოლმე თავს მაღლა და შეშლილივით შეხედავდა თავის ცოლს.

— ჰაჯი აღა!—გამოაფხიზლა იგი ცოლმა.

ჰაჯი აღამ გაფანტული მზერა მიაპყრო ცოლს, კრინტი არ დაუძრავს.

— ხმა ამოიღე, კაცო, რაზე ფიქრობ? — უსაყვედურა ჰაჯი მარმა.

ჰაჯი დუმდა.

— თუ დაკარგულს დარდობ, ბიჭები კარგად გყავდეს და ეგ ნუ გაფიქრებს. თუ სრბუნზე ფიქრობ, განა ღირს ფიქრი? იმდენი ხალხი დაიხოცა, უფრო ძვირფასნი... შენ სწორად თქვი მაშინ, „ზ ე დ მ ე ტ ი“ ბარგიაო.

ჰაჯიმ მწყრალად შეხედა ცოლს და თავი გააქნია. მკაცრი მზერა არ მოუშორებია, ისე მოუჭრა:

— გაჩუმდი, ზედმეტი ადამიანი არ არსებობს. აბა, წადი და ჰკითხე იმ ძაღლს, სულს რომ ღაფავს, ადვილია-თქო სიკვდილი?

პირისახეზე ღრმა კაეშანი აღბეჭდოდა ჰაჯი აღას, თვალები ღრმად ჩასცქვენოდა, ხოლო გაუპარსავ ნიკაპსა და ლოყებზე მოდებული თეთრი ეკლები განდეგილის გამომეტყველებას ანიჭებდა.

* *

ერთი კვირის შემდეგ ჰაჯი აღა ლოგინად ჩავარდა. როგორც ჩანს, ეკლესიაში გაცივდა. ოფლი მოადენინეს, ფერმალი მოუყვანეს, ვერაფერმა უშველა. ერთ საღამოს კი, ჭრაქის ანთების ჟამს, ჰაჯიმ მღვდელი მოითხოვა. ჰაჯი მარი მუხლებზე ხელებს იცემდა და მალულად აპარებდა მზერას ჰაჯი აღასაკენ, რათა დაენახა, განსაცდელმა გაიარა თუ არა.

ჰოდა, როცა ოჯახის წევრებმა ერთხანს შეიცადეს, ეგების ჰაჯი აღას თვითონვე დაავიწყდეს და აღარ მოითხოვოს მღვდელი, ჰაჯიმ წყნარად და გარკვევით გაიმეორა— მღვდელი მომიყვანეთო. დაუძახეს მღვდელს. ისიც მოვიდა ვერცხლისფერი შესამოსელით, რადგან გუმანით მიმხვდარიყო, ავადმყოფი სიკვდილის პირას არისო, და მის სახიარებლად გამზადებულიყო.

ოჯახის წევრები ავადმყოფის გარშემო შეგროვდნენ. მღვდელმა ხელით ანიშნა — შორს დადექითო, მიახვედრა: ავადმყოფმა აღსარება უნდა გამანდოსო.

მაგრამ ჰაჯი აღამ სთხოვა, დარ-

ჩნეინო. და ხმამაღლა, აღგზნებულმა ძლელვარებით გაანდო აღსარება. მოუყვა, თუ როგორ მიატოვა თავისი დამბლიანი და.

— შევცოდე, შევცოდე!—ატირდა იგი და სახარებას ეამბორა.

მღვდელმა დაამშვიდა და აზიარა.

ზიარების შემდეგ ავადმყოფმა ათრთოლებული ხელი ბალიშქვეშ შეაპარა, გამოაძვრინა ქაღალდში გახვეული რამდენიმე ოქროს ფული და მღვდელს მისცა.

— ეს შენ, — წაიჩურჩულა მან, შემდეგ კვლავ გამოაცურა ქისა, ხელის კანკალით გაუწოდა ისიც მღვდელს და ბავშვური გამომეტყველებით მიაჩერდა. რაღაცის თქმას ლამობდა, ვერ კი ახერხებდა: სუნთქვა ეცვლოდა, ღრმა ფთრიაქს მოეცვა მისი არსება.

— ეს ვილას? — ჩაეკითხა მისკენ დახრილი მღვდელი.

— ვისაც მისცემ, — წაიდუდუნა ავადმყოფმა და გაირინდა, ცრემლი ახრჩობდა. მერე სული მოითქვა და ამოიგმინა:

— ეგ მათხოვრების გასაკითხავად იყოს.

შემდეგ მღვდლის სამოსის კალთა მიიზიდა, ეამბორა და ნაღვლიანად აღმოთქვა:

— ზედმეტის სულის საცხონებლად.

□

კიტი მაჩაბელი

ძველ ხელოვანთა მემკვიდრე

„მოიჭედა ხატი ესე... ხელითა ასან ოქრო-მჭედლისათა...“, „მოიჭედა ხელითა ბეშქენ ოპიზარისაითა...“, „ხელითა მოიჭედა გიორგი გვაზავასითა...“, „სახელითა ღმრთისაითა შეიქმნეს მამასახლისობასა ეფთიმისა ხელითა ივანე მონისძისაითა...“, „შეწევნითა ღვთისაითა სრულ იქმნა საუფლო ხელითა ოქრომჭედლის მამნესით, შეუნდნეს ღმერთმან მამნეს და მისსა მეუღლეს...“

— ღაღადებდა წარწერები ხატებსა და ჯვრებზე; ოსტატის მოკრძალებული ლოცვა ხან ქართული ასოების მწყობრად ასხმულ მწკრივებად მიუყვებოდა ხატის ჩარჩოებს, ხან ლაბირინთისებურ ორნამენტში მიიკვლევდა გზას. ნატიფი ქარაგმებით დაგვირგვინებული, იდუმალი აზრის შემცველი სიტყვები რაღაც შეუცნობი ძალით შეიჭრებოდა პლასტიკურ გამოსახულებებში და ქართული მთავრული ასოების მოხდენილი ჯგუფები ჭედურ გამოსახულებებში იკავებდა თითქოს საგანგებოდ მათთვის განკუთვნილ ადგილს.

მთიელი გოგონასთვის, საათობით რომ იდგა ოქრომჭედლობის გასაოცარი ნიმუშების წინ, ძველ ქართველ ოსტატთა მიერ შესრულებული ამ წარწერების შინაარსი გაუგებარი იყო, მასზე მოქმედებდა ასომთავრულ წარწერათა საოცარი ესთეტიკური ძალა. გოგონა მათ აღიქვამდა ლამაზ, უსასრულო ვარიაციებად აღლერებულ ორნამენტული დეკორის მსგავსად. შემდეგშიც ბევრჯერ განუცდია მხატვარს ხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებებთან შეხვედრით გამოწვეული სიხარული, მაგრამ ქართველი ხალხის ნიჭით შექმნილ ოქრომჭედლურ საგანძურთან პირველი შეხვედრა დაუვიწყარი დარჩა.

მაშინ რა იცოდა დაღესტნის შორეული აულიდან ჩამოსულმა გოგონამ, რომ გავიდოდა წლები და მის სახელსაც ოქრომჭედლის ეპითეტი დაემატებოდა. არც ის იცოდა მაშინ მანაბა მაჰომედოვამ, ისეთ მიწაზე თუ მოხვდა, ოდითგანვე რომ მოსდგამდა სამშობლოდ ქცეულიყო მასთან ღია გულით და სიკეთით მისული ყოველი ადამიანისთვის.

შორეულ ბავშვობაში დარჩა მშობლიური აული კუბაჩი — ოქრომჭედელთა, მელითონეთა კერა, მხატვრული ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი. თითქოს საგანგებოდ იყო გაჩენილი კუბაჩი ხელოვნების სავანედ. კავკასიონის კალთასთან შეზრდილი სოფელი — ხალხური ხუროთმოძღვრების თავისებური ძეგლია. ხეობას თითქოს გულში ჩაუკრავს ეს ცხოველსახული არქიტექტურული ანსამბლი ბანიანი სახლებით, ვიწრო, ლაბირინთის მსგავსი შუკებით. ხის დერეფნებითა და კოშკებით. მთის ხუროთ-

მოძღვრების ლაკონიზმი და სპეციფიკური მკაცრი ფერადოვნება განაპირობებს ამ უაღრესად თავისთავადი კუთხის მშვენებას.

მოვუსმინოთ კუბაჩის მკვიდრს: „...გაივლით აულის ქუჩებში და წააწყდებით ხან მრგვალ კოშკს, თაღიანი შესასვლელით, გვერდს ლომის ქანდაკება რომ უმშვენებს, ხან მაღალ, ოთხკუთხა კოშკს, რომლის ზემო სართული შემდგომში მიზგითად გამოიყენეს, ხან შამბნარით დაფარულ, გამოშვერილ კედლის ნაპირს. კუბაჩის ქუჩები ციცაბო და დაკლაკნილია. მომწყვდეულია მასიურ შენობებს შუა, ფლეთილი და ნაწილობრივ თლილი ქვისაგან ნაგები კედლები ცისკენ მიიწევს. აქ მზე ცოტა ხნით თუ შემოიჭრება ხოლმე... ეზოს ფუნქციებს „ასრულებს“ ბრტყელი სახურავები, რომლის სამხრეთით გამოდის სახლის ზემო სართულის ლოჯია“.

დადიოდა თბილისის ქუჩებში დაღესტნელი გოგონა, ფართოდ გახელილი, გაოცებული თვალებით შესცქეროდა მტკვრის ციცაბო კლდეზე მიკრულ სახლებს, ცადაზიდულ მეტეხის ტაძრის სილუეტს, ამომავალი მზის სხივებით ოქროსფრად შეფერილ ნარიყალას ბურჯებს, აკვირდებოდა თბილისური სახლების მოჩუქურთმებულ აივნებს, რომელთა ჩრდილი გამჭვირვალე არშიებად ეფინებოდა ქვაფენილს. უსმენდა თბილისის ქუჩების მრავალენოვან ყრიამულს. გულში კი ისევ მშობლიური სოფლის სურათები ცოცხლდებოდა.

„...გზადაგზა ფლეთილი ქვით ნაგები სახლების კედლებზე გვხვდება მრავალსაუკუნოვანი რელიეფები ნატიფი, მტკიცე ხაზით გამოყვანილი ხვეული ორნამენტებით, ზღაპრული ნადირის გამოსახულებებით, ფოთოლივით ლამაზად მოღუნული კუდით“.

ასე იყო თბილისში ჩამოსვლის პირველ დღეებში, ასე იქნება შემდეგშიც, როცა იგი თბილისის მკვიდრი გახდება. მის გულში ყოველთვის ერთმანეთის გვერდით ბუდობს ორი სამშობლოს—დაღესტნისა და საქართველოს სიყვარული. მტკვრის სანაპიროზე ყოფნისას მხატვარს კუბაჩის ანკარა წყარო აგონდება, კუბაჩის ტალანებში გავლისას კი ზაფხულის მცხუნვარე შუადღით მოთენთილი ძველი თბილისის შუკები.

ბავშვობაში მიღებულ შთაბეჭდილებებს, კუბაჩურ ატმოსფეროს, სადაც ხელოვნებით სუნთქავდა ყველაფერი, უკვალოდ არ ჩაუვლია. განა შეიძლებოდა არ აღბეჭდილიყო მგრძნობიარე გოგონას მეხსიერებაში კუბაჩის სახლებში შექმნილი პატარა მუზეუმები — სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ დაღესტნურ ოჯახებში თაობათა მიერ შეგროვილ და სათუთად შემონახულ ხელოვნების ნაწარმოებებს, კუბაჩელთა სახლებში ასე საპატიო ადგილი რომ უჭირავს.

„ხუტნალია ბია — თეფშების კედელი — ბუხრის ოთახის სხვა კედლებთან შედარებით უფრო განათებულია, რადგან ყოველთვის კარისა და ფანჯრების მოპირდაპირე მხარესაა. ეს კედელი შეძლებულ ოჯახებში მთლიანად დაფარულია თეფშებით, ფოთლებით, ლანგრებით. ბევრი ოჯახი ახლაც თავს იწონებს მამა-პაპის დანატოვარი ანტიკვარული ნივთებით“.

ლითონის მხატვრული დამუშავების უძველეს ტრადიციებზე აღზრდილი კუბაჩელები შესანიშნავად გრძნობდნენ ხელოვნების ნაწარმოების ღირსებას. ამის წყალობით შემორჩა კუბაჩის სახლებს ევროპული თუ აღმოსავლური ხელოვნების არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი: შუასაუკუნეების ევროპული ქაშანურის ნიმუშები, ძველი ქართული მოჭიქული კერამიკა, სპილენძისა და ბრინჯაოს ნაირგვარი ლანგრები სპარსეთიდან, ფაიფური ჩინეთიდან. ყველაფერი უდიდესი ოსტატობით იყო გამოფენილი ბუხრიან ოთახში და ეს თავისებური საგვარეულო „მუზეუმები“ შესანიშნავ სკოლას წარმოადგენდა მომავალი მხატვრისათვის.

მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ოჯახური ტრადიცია, რაც კარგა ხნის მანძილზე არსებობდა და ვითარდებოდა. მანაბას მამა, ისევე როგორც ბევრი მისი წინაპარი, ოქრომჭედელი იყო. ოქრომჭედლობა ოდითგანვე მამაკაცის საქმიანობად იყო მიჩნეული, ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ოქრომჭედლის იარაღს პატარა გოგონა იღებს ხელში.

„ათი წლის ვიყავი, როდესაც საჭრისი პირველად ავიღე ხელში. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო აბდულჯალილ იბრაჰიმოვი... მან მაჩვენა სპილენძის ლანგარზე ორნამენტის ამოჭრის ტექნიკა, ამიხსნა ვრავირების პროცესი და საჭრისებით დამასაჩუქრა. მისმა მითითებებმა და რჩევა-დარიგებებმა ბევრი რამ შემძინა“.

აქედან დაიწყო მანაბა მაჰომედოვას შემოქმედებითი შრომის წლები — არც ერთი

წუთი შემოქმედების გარეშე! არც ერთი წუთი სრულყოფის გარეშე! იწყება ორნამენტის დაუფლება, ტექნიკის ათვისება. ტექნიკური სრულყოფის კვალდაკვალ იზრდება ოსტატის მხატვრული სრულყოფაც. მხატვარზე ორი მძლავრი ფაქტორი მოქმედებს — ქართული ხელოვნების ძეგლთა მშვენება, თბილისის ქართველ მხატვართა გარემოცვა და მეორე მხრივ — დაღესტნური ტრადიციების ძალა, დაღესტნური ოქრომჭედლობის ტექნიკური აღჭურვილობა. ეს ორი საწყისი ერთობლივად განაპირობებს მანაბა მაჰომედოვას, როგორც შემოქმედის, ჩამოყალიბებას.

ქართული ხელოვნების ორგანულ ათვისებასთან ერთად მანაბა მაჰომედოვა ხარბად ეწაფება თავისი შემოქმედების პირველწყაროს — დაღესტნურ ტრადიციას. დროდადრო ჩასვლა მშობლიურ სოფელში თითქოს ძალას მატებს ახალგაზრდა შემოქმედს, არწმუნებს არჩევანის სისწორეში.

„თითქოს ხელახლა გავეცანი მის წარსულსა და აწმყოს, ახლებურად აღვიქვი მისი ბუნება, კოლორიტი, ხალხის ზნე-ჩვეულებანი, გავიცანი აულის ოსტატები".

საქართველო — მანაბა მაჰომედოვას მეორე სამშობლოა. ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვები როდია. ქართულ ნიადაგზე განსაკუთრებული ძალით, ლაღად განვითარდა მისი ბუნებრივი ნიჭი. მაგრამ ისიც უდავოა, რომ მხოლოდ ბუნებით მომადლებულმა ნიჭმა, მშვენიერებისთვის გახსნილმა გულმა, უდიდესმა სწრაფვამ სრულყოფისაკენ განაპირობა მანაბა მაჰომედოვას ოსტატობის ასეთი ზრდა.

ძნელია იმის თქმა, რომელი უფრო მეტს ნიშნავდა ახალგაზრდა მხატვრის ჩამოყალიბებისათვის — დაღესტანი თუ საქართველო. ამ შემთხვევაში საუკეთესოდ შეერწყა ერთმანეთს ორი ქვეყნის კულტურათა კეთილისმყოფელი გავლენა. მანაბა ერთნაირად ემადლიერება დაღესტნელ და ქართველ ოქრომჭედლებს, გულუხვად რომ უზიარებდნენ მას ცოდნას და ოსტატობის საიდუმლოებას. ცნობილი კუბაჩელი ოსტატები: აბდულჯალილ იბრაჰიმოვი, ჰაჯი კიშევი, ჰაბიბ-ალიხან აჰმედოვი, სახელგანთქმული ქართველი ოქრომჭედლები: ამბროსი ჯიქია, მიხეილ იმედაძე. — ამ ბრწყინვალე ხელოსანთა გვერდით, მათი მზრუნველობით იზრდებოდა და იხვეწებოდა მანაბა მაჰომედოვას ხელოვნება. თავის ნაწარმოებებზე მუშაობისას, ამა თუ იმ ტექნიკური თუ მხატვრული ხერხის გამოყენებისას ხელოვანი ქალი დიდი სითბოთი იგონებს იმ მასწავლებლებს, გისი დახმარებით და რჩევით დაძლია ოქრომჭედლის უაღრესად რთული და ძნელი საქმე.

სიძნელეები კი ბევრი დახვდა მანაბას არჩეულ გზაზე. ოღლი როდი იყო წმინდა ფსიქოლოგიური ზღურბლის გადალახვა, უკუგდება იმ ტრადიციული წარმოდგენისა, საუკუნეთა მანძილზე რომ შემუშავდა ოქრომჭედლის ხელობაზე. ქალი და ოქრომჭედლის საქმიანობა... ეს გაუგონარი ამბავი იყო და ადვილი წარმოსადგენია, რა მტკიცე ნებისყოფა უნდა ჰქონოდა მთიელ ქალიშვილს, მიზნისთვის რომ მიეღწია; სწორედ გაბედულ გადაწყვეტილებაში და მიზანდასახულ შრომაში გამოჩნდა მანაბას ხასიათის მთავარი ღირსებები: ძლიერი ნებისყოფა, სულის სიმტკიცე, თავდაუზოგავი შრომის უნარი.

„ჩემი უაღრესად ნიჭიერი და მრავლისმცოდნე მასწავლებლის გულთბილი ყურადღების დახმარებით მივიკვლევდი ჩემს ბილიკს ოქრომჭედლობის ხელოვნებაში.

ოქრომჭედლობა გაძოყენებითი ხელოვნების ძალზე რთული სახეა. იგი მოითხოვს დაუცხრომელ შრომას. მასწავლებლები ამჩნევდნენ ჩემს უდიდეს სურვილს, დავუფლებოდი ოქრომჭედლის ოსტატობას და გულისტკივილით ამბობდნენ — „კაცად უნდა დაბადებულიყავიო". ბე ქალად დავიბადე, მაგრამ ამან არ შემიშალა ხელი მამაჩემის ხელობა მიმეღო მემკვიდრეობად".

მხოლოდ საყვარელი საქმისადმი ფანატიკური თავდადების წყალობით შეძლო მანაბამ გადაელახა სერიოზული დაბრკოლებები. ოსტატობის სრულყოფისათვის იყენებდა ყველა შესაძლებლობას — თბილისში, კუბაჩსა და მოსკოვში მიმდინარეობდა მისი მხატვარ-ოქრომჭედლად ჩამოყალიბების პროცესი: თბილისში — არტელი „მხატვარი", სადაც მანაბა სახელგანთქმულ ქართველ ოქრომჭედლებთან ერთად მივიწყებული ხალხური ხელოვნების აღდგენაზე მუშაობდა, მოსკოვში — აბრეშუმდამმუშავებელ ფაბრიკაში ფოლადზე გრავირების ოსტატობას ეუფლებოდა, ხოლო კუბაჩში — მშობლიური სოფლის საუკეთესო ოქრომჭედლების მხარდამხარ მუშაობდა.

წმინდა ტექნიკური ოსტატობის დაუფლებასთან ერთად მანაბა მაჰომედოვა მდიდრდება სულიერად, თბილისში: საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზე-

უმის უმდიდრეს ფონდებში და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ყოველი ნივთი, ძველ ოსტატთა ნიჭიერებით აღბეჭდილი ყოველი ნაწარმოები ნიადაგ მატებს რაღაცას ახალგაზრდა მხატვარს, წინაპართა ნაოსტატარის შესწავლა თავისებური სკოლაა, სადაც მასწავლებლად ანონიმ ხელოვანთა უკვდავი ნაწარმოებები გამოდიან. ხახულის კარედი ხატის შემქმნელთა სრულიად განსაკუთრებული, ვირტუოზული ოსტატობა, მისი მინანქრებისა და ჭედური ორნამენტების თვალისმომჭრელი ბრწყინვალება — მხატვრის წინაშე ოქრომჭედლობის ხელოვნების უბადლო ენციკლოპედიად იშლება. ძველ ქართველ ოსტატთა მიერ მოსევადებული ვერცხლის სამკაული ქართველი ხალხის ორნამენტული საგანძურის წიაღში ჩაახედებს. მაგრამ მანაბა მაჰმედოვას ძველი ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებთან კიდევ სხვაგვარი დამოკიდებულებაც აკავშირებს. მის მიერ გამაგრებული და აღდგენილია ლითონის პლასტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიმუში.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მანაბა მაჰმედოვასთვის რუსული ხელოვნების ძეგლთა გაცნობა: მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ძვირფას ლითონთა განყოფილებისა და კრემლის „საჭურვლის პალატაში" მას ოქრომჭედლობისა და საიუველირო ხელოვნების იშვიათ ნაწარმოებთა უმდიდრესი განძი გადაეშალა თვალწინ. რუსი სპეციალისტების მეგობრული, კეთილი რჩევა-დარიგება გზას უკვალავდა მანაბას შემოქმედებით მუშაობაში.

მანაბა მაჰმედოვას დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელმაც პირველი წარმატება მოუპოვა მას, ვერცხლის სამაჯური იყო.

„ვერცხლი სხვა ლითონებზე მეტად მელოდიურია", — არაერთხელ უთქვამს მხატვარს. ამ სიტყვებით იგი გამოხატავს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამ ლითონისადმი, შემდეგ მთავარ ადგილს რომ იჭერს მის შემოქმედებაში. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ძვირფას ლითონთაგან ვერცხლი დიდი პოპულარობით სარგებლობს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებაში. ძველი ოსტატები მთვარის შუქს ადარებდნენ ვერცხლის ზედაპირის ელვარებას და მას განსაკუთრებულ თვისებებს მიაწერდნენ. ვერცხლზე მუშაობა რთული ტექნიკური ხერხების გამოყენებით საშუალებას აძლევდა ოსტატს გამოეთქვა ნაფიქრი და განცდილი. ეს ლითონი, თავისი სპეციფიკური თვისებებით, ფართო ასპარეზს გადაუშლიდა მხატვრის ფანტაზიას.

დიდმა ოსტატობამ გაუხსნა მანაბას გზა ლითონის დამუშავების სხვადასხვა სფეროსაკენ. მრავალფეროვანია მის მიერ ლითონის გამოყენება: ნაირგვარი სამკაული (სამაჯურები, ბეჭდები, გულსაკიდები, ყელსაბამები, საკინძეები), მრავალფეროვანი ჭურჭელი (სურები, ლანგრები, ფიალები, ყანწების მოჭედილობა). ასევე მრავალგვარია ის მხატვრული და ტექნიკური ხერხები, ამ ნაწარმოებთა შესაქმნელად და შესამკობად რომ იყენებს მხატვარი: ჩამოსხმა, გამოყვანა, გრავირება, ჭედვა, მოსევადება, ზარნიში, ფილიგრანი, მინანქარი. ტექნიკური და მხატვრული ხერხების ამ მდიდარი არსენალიდან მხატვარი ოსტატურად იყენებს სწორედ იმას, რაც უფრო სრულად დაეხმარება ჩანაფიქრის ხორცშესხმაში. ქართული ხელოვნების ყველა გამოფენას ამშვენებს მანაბა მაჰმედოვას ოსტატურად შესრულებული ნაწარმოებები. მათი ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ყველა ნაწარმოებს, რაც მხატვარ ქალს გამოჰქონდა საზოგადოების სამსჯავროზე, აერთიანებდა უდიდესი პროფესიული ოსტატობა, დახვეწილი ტექნიკა, მასალის კარგი ცოდნა, სამკაულისა და ნივთის ღრმად მოფიქრებული კომპოზიცია. ყველა, სულ უმნიშვნელო ნაწარმოებსაც კი მანაბა არაჩვეულებრივი პასუხისმგებლობით ეკიდება. ყველასათვის ცნობილია, რა მძიმე და შრომატევადია ოქრომჭედლის საქმიანობა, რა დიდ დროსა და ძალას მოითხოვს ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოების შექმნა. მაგრამ გაცილებით მეტი დრო მანაბას სჭირდება მოსამზადებელი სამუშაოსთვის, ნაწარმოების ფორმის მონახვისათვის...

ერთი საერთო თვისება აქვს მანაბა მაჰმედოვას ნამუშევრებს — მხატვარი დიდ ხანს ატარებს გულსა და ფიქრში ჩანაფიქრს და მხოლოდ შემდეგ იწყებს მათ განხორციელებას. ამასთანავე მანაბას ნაწარმოებთა უმეტესობა შექმნილია რაღაც გარკვეული განწყობილების ზეგავლენით, ბუნების სურათისა თუ რაიმე მოვლენის შთაბეჭდილებით. ამიტომაა, რომ მის სამკაულებსაც კი საკუთარი სახელები აქვს.

მხატვარი ქალის მუშაობის პროცესის გაგებისათვის საინტერესოა თუნდაც ერთი მაგალითის მოყვანა: მას განზრახული ჰქონდა მიეძღვნა ნაწარმოები თბილისის 1500

წლისთავისათვის. შთაგონებისათვის მანაბა ყოველთვის ძველი თბილისის ქუჩებს მიმართავს. მაშინაც ასე მოხდა. მაღალი ოსტატობით შესრულებული, ნატიფად შემკული ხანჯალი და ლანგარი, მხატვარმა იუბილეს რომ უძღვნა, ნარიყალას კედლების ძირში იყო მოფიქრებული.

„კომპოზიციები მონახული იყო ნარიყალას ციხის კედლებთან და გრავირებული ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს, როდესაც შორიდან ვისმენდი მტკვრის იდუმალ ჩურჩულს, ქალაქის ხალისიან გუგუნს, და ვტკბებოდი ჭაღარა თბილისის პანორამით...“

მანაბა მაჰომედოვას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქალის სამკაულებს. აქ თავი იჩინა დაღესტანში გავრცელებულმა სამკაულების კულტმა. დაღესტნურ სამაჯურებს, ბეჭდებს, გულსაკიდებს თითქმის სიმბოლური დანიშნულება ჰქონდათ. ისინი აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდნენ სხვადასხვა ტრადიციული რიტუალების შესრულების დროს (ნიშნობა, ქორწილი). ამიტომაც არ არის გასაკვირი, მანაბა ასეთი სიყვარულით რომ ასრულებს ვერცხლის მრავალფეროვან სამკაულებს. მაგრამ მის მიერ შექმნილი სამკაულები ძველის განმეორება კი არ არის, არამედ ხალხური ტრადიციის შემოქმედებითი გათავისების ნიმუშებს წარმოადგენენ. კუბაჩური ტრადიციული სამკაული, ხალხური ორნამენტი გამდიდრებულია ქართული დეკორატიული ხელოვნების ელემენტებით და ეს ორივე სახეცვლილია ოსტატის თავისებური მხატვრული ხედვით.

მანაბა მაჰომედოვას საიუველირო ნამუშევარი უკვე კარგა ხანია განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. ორი ათეული წელია ოქრომჭედელი ქალი ანცვიფრებს მაყურებელს თავისი საჭრისის ძალით, ორიგინალური მხატვრული მეტყველებით. ბევრი ნამუშევარი აღნიშნულია დიპლომებითა და საპატიო სიგელებით. ხელოვნების მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი უფაქიზესი ოსტატობით შესრულებული გულსაკიდები და სამაჯურები, ბეჭდები და გულსაბნევები. შევჩერდებით ბოლო დროის ზოგიერთ ნამუშევარზე, სადაც კარგად ჩანს მხატვრის ინტერესებისა და ძიებების თავისებური სურათი. ტექნიკური სრულყოფა მას საშუალებას აძლევს მთელი სისავსით გამოიყენოს ვერცხლისა და პატიოსანი თვლების შესაძლებლობანი.

სამაჯური და ბეჭედი „პეპელა“ — ამ სამკაულებში, განსაკუთრებით სამაჯურში, ფორმის ძიების საინტერესო შედეგია წარმოდგენილი. აქ კარგად ჩანს ტრადიციული მასიური სამაჯურის თავისებური სახეცვლილება. კონუსისებური მოხაზულობის, ხელის ფორმის მიხედვით კონსტრუირებული სამაჯური რთული ტექნიკით არის დამუშავებული. სამაჯურის ჭვირულ ელემენტებში ოსტატურადაა ჩართული ფერადი თვლების ლაქები. აჟურულობამ და სიმსუბუქემ შეცვალა ძველებურ სამაჯურთა მძიმე და მასიური ფორმები.

ტრადიციული დაღესტნური სამკაულის ორიგინალური გადამღერებაა სამაჯური „ობობა“, რომელშიც ძველი სამკაულის ფორმები სრულიად ახლებურადაა გაცოცხლებული. ოქრომჭედლური ხერხების ოსტატური გამოყენება (მინანქარი, სევადი) ამ სამაჯურს განსაკუთრებულ ფერადოვნებასა და დეკორატიულ ხასიათს აძლევს.

მანაბა მაჰომედოვა ხშირად იყენებს ძველ სიმბოლურ სახეებს, ორნამენტულ მოტივებს, აღებულს ხალხური ხელოვნების უმდიდრესი საგანძურიდან. მის სამკაულებში ჩნდება ისეთი მოტივები, როგორიცაა ნაირგვარი პალმეტები, სიცოცხლის ხე, ფარშევანგი. ხალხური ხელოვნების ეს უძველესი სახეები ბიძგს აძლევს მანაბას შემოქმედებით ფანტაზიას. დახვეწილი კომპოზიციური ოსტატობით, თავისებური კოლორიტით და მხატვრისთვის ჩვეული უზადო ხელწერით გამოირჩევა „ყელსაბამი ფარშევანგებით“. იგი თითქოს ნაკარნახევია უძველესი ჰერალდიკური გამოსახულებებით. მაგრამ ამ ყელსაბამში ყველაფერი ახალია, მანაბასეულია— მინანქრის თავისებური ფაქტურა, ამოცანის შესატყვისი ტექნიკურ ხერხთა შერჩევა, ზურმუხტოვანი და კობალტის ფერების უცნაური ელერადობა, მშობლიური აულის წარუშლელი ფერადოვნებით რომ არის შთაგონებული.

„ზემო სართულების (კუბაჩში) ღრმა, ღია ლოჯიების კედლები შეღებილია ლილით. მსუყე, კაშკაშა ლილისფერი თავისებურად ეღერს გარე კედლებისა და ბრტყელი სახურავების მოყვითალო-ნაცრისფერთან, სახლებს შუა მუქ გასასვლელებთან და ტყიანი მთების მომწვანო-მოცისფრო ნაზ გრადაციებთან, რომლის ფონზეც ისახება ნაკადი“.

ამიტომაა ალბათ, რომ მწვანისა და ლურჯის ერთგვარად დისონირებული, მაგრამ ძალზე მეტყველი აკორდი არაერთხელ ახმიანდება მანაბას ნაწარმოებებში და ვერცხლის მქრქალ ელვარებასთან ერთად ქმნის მხატვრისთვის დამახასიათებელ ჭარბ ფერადოვნებას. ფერთა იგივე ჰარმონიაა მედალიონში „ზღაპრული ფრინველი", ბევრ სამკაულში მინანქარს განსაკუთრებული მხატვრული ელფერი შეაქვს, პატიოსან თვალთა ფერადოვნებასთან ერთად ქმნის შთამბეჭდავ ფერწერულ ეფექტებს (გარნიტური „გაზაფხული", კომპლექტი „წელიწადის დრონი", ყელსაბამი „კოსმოსი", მედალიონი „ზამთრის გზა").

ძალზე ფართოა მანაბა მაჰომედოვას შემოქმედების დიაპაზონი.

უდიდესი ადგილი უკავია მის შემოქმედებაში მინანქარს. ამ ურთულესმა ოქრომჭედლურმა ტექნიკამ მხატვარი გაიტაცა ქართული მინანქრების გაცნობისთანავე. წლების მანძილზე ეუფლებოდა იგი მინანქრის უძნელეს ტექნიკას, აითვისა მინანქრის სხვადასხვა სახეობა და უკვე მარჯვედ იყენებს მას, როგორც სამკაულებში, ფერადოვან აქცენტებად, ძვირფასი ქვების გვერდით, ასევე დამოუკიდებელ მხატვრულ საშუალებად. ხელოვანი განსაკუთრებულ სიძნელეს წააწყდა ტიხრული მინანქრის ტექნიკის ათვისებისას, აქ ბევრი რამ იყო მისაღწევი — ტიხართა სინატიფე, ფერთა სიწმინდე, ნახატის აგების თავისებურება.

ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიის ათვისებამ მისცა მხატვარს საშუალება გაეფართოებინა თავისი შემოქმედების სფერო. აქ იჩინა თავი მანაბა მაჰომედოვას განსაკუთრებულმა მიდრეკილებამ ლიტერატურისადმი. მან გადაწყვიტა მინანქრის გამოყენება ისე, როგორც ძველი ქართველი ოსტატები იყენებდნენ — მხატვრულ სახეთა შესაქმნელად. მინანქრის ფერადოვანი საშუალებებით სურდა მას ფერწერული მინიატურების შექმნა. მინანქრის შექმნის პირველი ექსპერიმენტების შემდეგ უკვე საკმაო დრო გავიდა და მანაბა მაჰომედოვას შემოქმედებაში მინანქრის მინიატურულმა პორტრეტებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ტიხრული მინანქრით შესრულებული პირველი ნამუშევარი შთაგონებული იყო პალესტინაში აღმოჩენილი შოთა რუსთაველის ფრესკული პორტრეტით... ამ მინანქრულ მინიატურას დიდი წარმატება ხვდა წილად, წარმატებამ ძალა შემატა მხატვარს და დაარწმუნა თავის ძიებათა ნაყოფიერებაში. ამ მინანქარში ჩანდა ძველ ქართულ მინანქართა გარკვეული გამოძახილი: ფონის დამუშავებაში მცენარეული მოტივების ფაქიზი გამოყენება, ფერადოვან ლაქათა სპეციფიკური შეხამება, სილუეტის ხაზის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამის შემდეგ მანაბამ არაერთხელ შექმნა რუსთაველის სახე მინანქრისაგან და ყოველი ახალი პორტრეტი წარმოადგენდა ხელოვანთათვის მარად უკვდავი თემის ახლებურ გადაწყვეტას.

მინანქრისვე ტექნიკით შეასრულა მანაბა მაჰომედოვამ თამარ მეფის სახე, ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტები. საყურადღებოა, რომ მხატვარი თავის მინიატურულ პორტრეტებს განსაკუთრებული განწყობილებით ქმნის. ჩანაფიქრი დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდება, იხვეწება. მანაბა გატაცებით კითხულობს მწერლის ნაწარმოებებს, ეძებს მათში ისეთ ნიუანსებს, შემოქმედის ხასიათს უფრო გასაგებს რომ გახდის მისთვის. ამას ემატება ხელოვნების ამ დარგის სპეციფიკით გამოწვეული ტექნიკური სირთულეები (გასათვალისწინებელია ტიხროვანი მინანქრის თავისებურებანი). მწერლის ნაწარმოებიხ კვალს ხშირად პირდაპირ ნახავთ პორტრეტში — მხატვარი, აღმოსავლური ჩვეულებისამებრ, მწერლის ნაწარმოების ფრაგმენტს ჩართავს ხოლმე კომპოზიციაში. ასეა გალაკტიონის პორტრეტში („დროშები, ჩქარა!"), ასევეა ლევ ტოლსტოის პორტრეტში, რომელიც სევადით არის შესრულებული ეს პორტრეტი მწერლის წიგნის ყდაზეა მოთავსებული.

არ შეიძლება საგანგებოდ არ შევჩერდეთ ოქრომჭედლობის ამ ძველთაძველ ფორმაზე — წიგნის ყდის მოჭედილობაზე, რაც განსაკუთრებულად აინტერესებს და იტაცებს მანაბა მაჰომედოვას.

მანაბა მხოლოდ ისეთ ავტორთა წიგნებს არჩევს შესამკობად, რომელნიც ახლოს დგანან მის სულთან, ვისაც გულწრფელად ეთაყვანება. ამიტომაა, რომ იგი გულმოდგინედ იმეორებს „ვეფხისტყაოსნის" მოჭედილობას, სრულყოფს მას, იყენებს მრავალგვარ ტექნიკურ ხერხს, ცვლის და სხვადასხვაგვარად აგებს კომპოზიციას. ყდას ხან რუსთაველის მინანქრის პორტრეტი ამკობს, ხან კი ძველი ქართული ორნამენტის ნატიფი გრეხილი ნახატი ამშვენებს. მხოლოდ შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე

პოემის ყდის მოჭედილობის შვიდი სხვადასხვა ნიმუში იყო წარმოდგენილი, მათი შესრულებისათვის ოქრომჭედლობაში არსებული ყველა ხერხი იყო გამოყენებული, მათ შორის — ტიხრული მინანქარი, ზარნიში, ამოკვეთილი მინანქარი, ჭედვა, სევადი, გრავირება.

მხატვრის მიერ არჩეულ ნაწარმოებებს შორის არის ნიკოლოზ ბარათაშვილის, რასულ გამზათოვის, ლევ ტოლსტოის ქმნილებები. იგი ცდილობს ყოველი მათგანისათვის შეარჩიოს საგანგებო მხატვრული სახე, შექმნას ამ ნაწარმოების დედააზრის საკუთარი ინტერპრეტაცია. ყოველი პორტრეტის შექმნას წინ უძღვის გატაცება მწერლის ლიტერატურულ გმირთა სამყაროთი. სავსებით ბუნებრივია, რომ ბარათაშვილის პოეზიით აღტაცება მანაბამ თავისებურად, ჭედური ხელოვნების ენით გამოხატა. ეს იყო ბარათაშვილის „მერანის“ იშვიათი ვერცხლის წიგნი, ლექსის სტრიქონები ვერცხლის ფურცლებზე იყო ამოჭედილი. ყდაზე მინანქრით შესრულებული კომპოზიცია წიგნის იდეას განასახიერებდა.

სიყვარულითა და განსაკუთრებული განწყობით მუშაობდა ოქრომჭედელი ქალი რასულ გამზათოვის წიგნების ყდის მოჭედილობაზე. ამ შემთხვევაში მხატვარმა გამოიყენა თავისი ხელოვნების ტექნიკურ საშუალებათა მთელი მრავალფეროვნება. ნამუშევრებში წმინდა დეკორატიულ გადაწყვეტასთან ერთად მხატვარი უდიდეს ყურადღებას აქცევს ნაწარმოების აზრობრივ მხარეს. ამიტომაა, რომ იგი ხშირად მიმართავს სიმბოლოებსა და განზოგადებულ მხატვრულ სახეებს (მერანი — როგორც ბარათაშვილის რომანტიკული სულის განსახიერება, ჯიხვი — მშობლიური დაღესტნის ბუნების სიმბოლო).

ამჟამად მანაბა მაჰომედოვა დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის სახით არის გატაცებული. იგი ტოლსტოის შემოქმედების უშუალო განცდით ქმნის მწერლის რამდენიმე პორტრეტს, ეძებს მწერლისადმი დაშოკიდებულების შესატყვის მხატვრულ ფორმას, ცდილობს მიაგნოს უდიდესი მოაზროვნის ხასიათის არსებით ნიშნებს. ასე იქმნება ლევ ტოლსტოის პორტრეტი, შესრულებული სევადის ტექნიკით, რომელშიც მხატვარი ცდილობს მიაღწიოს ფსიქოლოგიურ სიღრმეს.

ამგვარ ძიებათა შედეგია ტოლსტოის „ჰაჯი მურატის“ ყდის მოჭედილობა, სადაც მხატვარი ქალი ამ ნაწარმოების დედააზრის მისეულ გაგებას გვთავაზობს.

ოქრომჭედელი ქალი მიისწრაფვის ხელოვნების ენით ილაპარაკოს, ოქრომჭედლობის სპეციფიკური საშუალებებით გამოეხმაუროს ჩვენი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. მხატვრის ამგვარი მოქალაქეობრივი მისწრაფებები საფუძვლად დაედო დიდ სამუშაოს, რომელიც მან მიუძღვნა სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების 30-ე წლისთავს. ეს იყო თავისებური მემორიალი, შთაგონებული ლენინგრადის გმირული დაცვის ლეგენდარული სასწაულით — ექვსი ვერცხლის ფურცლისაგან შედგენილი წიგნი, რომლის ყოველი ფურცელი წარმოადგენდა ფაშისტურ ბოროტებაზე გმირი ქალაქის გამარჯვების სადიდებელ ჰიმნს. ლაკონური კომპოზიციები, წარწერათა გრავირებული სტრიქონები, ლენინგრადის არქიტექტურის სევადით შესრულებული შავი სილუეტები ფურცელთა ვერცხლის ფონზე უაღრესად შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებს ქმნიან. ვერცხლის წიგნისთვის საგანგებოდ შექმნილი კოლოფი ორიგინალური დეკორატიული გადაწყვეტით გამოირჩევა. წიგნის მკაცრი, ასკეტური მონოქრომულობა, რაც კარგად გადმოსცემს მის იდეას, იცვლება კოლოფის ფერადოვნებით. აღმოსავლური ხალიჩის მსგავსად ფარავს კოლოფის სახურავს ოთხფურცლა ყვავილების ორნამენტული არშია. ტიხრული მინანქრით შესრულებულ სიცოცხლით აღსავსე ფერადოვნებას ერთვის დეკორატიულ კომპოზიციაში ოსტატურად ჩართული მარადიული ცეცხლის ალი.

შესანიშნავი ოქრომჭედელი ცდილობს გაუზიაროს გამოცდილება და ცოდნა ახალგაზრდობას. წლების მანძილზე მანაბა მაჰომედოვა პედაგოგად მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე, სადაც ხელმძღვანელობდა ოქრომჭედლობის პრაქტიკულ კურსს. ახალგაზრდებს ასწავლიდა ლითონის მხატვრული დამუშავების რთულ ხელოვნებას, ცდილობდა, მომავალი მხატვრები სრულყოფილად დაუფლებოდნენ ლითონის დამუშავების ყველა საშუალებას, ასწავლიდა გრავირების ხერხებს, სევადის ოსტატობას, სხვადასხვა სახის მინანქრის საიდუმლოებას, გრეხილისა და ჭედურობის ხერხებს. პარალელურად თვითონაც განუწყვეტლივ მუშაობდა თავისი ოსტატობის სრულყოფაზე და ეს მუდმივი პროფესიუ-

ლი ზრდა საშუალებას აძლევდა დიდი წარმატებით გამოსულიყო მრავალრიცხოვან გამოფენებზე ჩვენთან და ჩვენს საზღვრებს გარეთაც. იგი წარმატებით მონაწილეობდა ოქრომჭედელთა პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმში ჩეხოსლოვაკიაში (1968 წ.), აქტიური მონაწილე იყო უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მინანქრის ოსტატთა პირველი შეხვედრისა თბილისში (1973 წ.).

დაღესტნის გამოყენებითი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს და საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს მანაბა მაჰომედოვას ოქრომჭედლობასთან ერთად სხვა რამეც იტაცებს. თავისი ფიქრები, თავისი განცდები მას შეუძლია გაუზიაროს ყველას არა მარტო მხატვრული ნაკეთობების ენით, არამედ კალმითაც. მანაბა მაჰომედოვა რამდენიმე წიგნის ავტორია: „მე კუბაჩიდან ვარ“ (მახაჩკალა), „ტრადიციების კვალდაკვალ (თბილისი), „ცხოვრების სურათები“ (მოსკოვი), „ოქრომჭედლის საჭრისი“ (მახაჩკალა) [1].

ამ წიგნებში თქვენ დაინახავთ დაღესტნის მთის აულების განსაცვიფრებელ სურათებს, თბილისის ძველი უბნების ხატოვანებას, ეზიარებით ამაყ მთიელთა თავისუფლებისმოყვარე სულსა და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის მადლს. ოქრომჭედელი ქალის გულწრფელ სტრიქონებში თქვენ იგრძნობთ უდიდეს სიყვარულს თავისი ხელოვნებისადმი, თავისი მამულისადმი, მშობლიური საქართველოსადმი. წიგნების კომპოზიციასაც მანაბა ისეთივე ოსტატობითა და სიმართლით აგებს, როგორც თავის ჭედურ ნამუშევრებზე მუშაობს იგი. საოცარი სითბოთი და მადლიერებით მოგვითხრობს მხატვარი იმ ადამიანებზეც, ცხოვრების გზაზე რომ შეხვედრიან მას.

არაერთხელ უთქვამს მანაბას, რომ იგი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, რადგან ცხოვრების გზაზე მხოლოდ კარგი, სიკეთით სავსე ადამიანები ხვდებოდნენ. ასეთი რამ მისი პიროვნების განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნებს უპირველეს ყოვლისა, რადგან მხოლოდ გულწრფელ, სპეტაკ და ღირსეულ ადამიანს შეუძლია ასეთი გრძნობით და მადლიერებით მოიგონოს თავისი მასწავლებლები და კოლეგები. იგი მართლაც ბედნიერია იმით, რომ დაბადებითვე თან დაჰყვა იშვიათი თვისება — დასწაფებოდა და შეეთვისებინა ყოველივე კარგი, რაც კი მის გარშემო არსებობდა. იგი ბედნიერია იმითაც, რომ შემოქმედებითი ცხოვრების პირველივე დღეებიდან მის მასწავლებელთა და უფროს მეგობართა შორის იყვნენ ლადო გუდიაშვილი, ქართული ხელოვნების გამოჩენილი მკვლევარი რენე შმერლინგი, ქართული ხალხური და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე პროფესორი დავით ციციშვილი, რომელთა მეგობრული დახმარება და მხარდაჭერა ასე ბევრს ნიშნავდა ახალგაზრდა შემოქმედისათვის.

მაგრამ მხატვრის მთავარი ბედნიერება ისაა, რომ მან ღირსეულად გააგრძელა კავკასიელთა უძველესი ხელოვნების — მელითონეობის — ტრადიციები, დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი ქართულ ხელოვნებაში, მოიპოვა ფართო აღიარება და სიყვარული.

[1] ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ციტატები ამ წიგნებიდან არის ამოღებული.

□

ვერჯ ზეიმუნციანი

თანამედროვეობა, როგორც შეფასების საზომი

ჯერ კიდევ სომეხ მწერალთა მე-6 ყრილობაზე აღინიშნა, რომ თანამედროვე საბჭოთა სომხური პროზა ხასიათდება მხატვრული ხერხების სიუხვით, რაც დიდი ლიტერატურის შარაგზაზე გამოსვლის თავდებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

დღეს ეს ნიშანი უფრო გამოკვეთილ საზეს ღებულობს და დიდი ლიტერატურისაკენ მიმავალი ბილიკი მოკლდება.

მაგრამ „საერთო ძვრა" ჯერ კიდევ არ ჩანს. ეს არ არის საყვედური საბჭოთა სომხური პროზის მიმართ, რადგან მხატვრულ ხერხთა სიუხვე თავისთავად მცირე ღირებულებისა როდი გახლავთ რომელიმე ეროვნული პროზის შესახებ მსჯელობისას.

გამოქომაგება თვითდამშვიდებად რომ არ მოგვეჩვენოს, ერთ მეტად არსებით გარემოებაზე მივანიშნებთ: საგრძნობი ცვლილებები განიცადა სწორედ მხატვრული ხერხების სტრუქტურამ, რაც დღეს უკვე კრიტერიუმების ამაღლებით, საკითხის აქტუალობითა და სიღრმით, თანამედროვე თემებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების სიმრავლით, ლიტერატურული ოსტატობის მომწიფებით გამოიხატება. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, რატომ არ შეგვიძლია ასეთივე დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ თანამედროვე სომხურმა პროზამ დიდი გავრცელება ჰპოვა საკავშირო ლიტერატურულ რუკაზე? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა? ჩვენი აზრით, არა. სრულიად უეჭველად მიგვაჩნია რა პროზის თვალსაჩინო წარმატება, ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ყოველი ეროვნული პროზის განვითარების მთავარი ძარღვი იყო და არის ეპიკურობა, ცხოვრების ფართო, მასშტაბური, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ასახვა, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოვლენების ფართო მომცველობა, მშვიდი და ობიექტური თხრობა. ურყევია აზრი, რომ უბრალო შემთხვევასა და კერძო ბიოგრაფიაშიც კია შესაძლებელი მიღწეულ იქნას დიდი განზოგადება, მაგრამ არ შეგვიძლია ასეთივე კატეგორიულობით არ ვამტკიცოთ აგრეთვე საპირისპირო კანონზომიერება. ეპოქის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ ეპოქის მასშტაბებით, დიდი ფუნჯის მოსმით, არა მხოლოდ კერძოში ზოგადის ძიებით, მცირეში — დიდის ან ეპიზოდში — მთლიანისა, არამედ უშუალოდ მივმართოთ სწორედ ამ ზოგადს, დიდს, მთლიანს, მათი პოზიციებიდან შევხედოთ ცალკეულ ადამიანთა ბედს.

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ლიტერატურის სახეს განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის ამ პრინციპის არსებობა, ესე იგი, ძველი ტრა-

დიციული რომანის არსებობა. ამიტომ უცნაურად ნუ მოგვეჩვენება, თუ ვიტყვით, რომ ამ ლიტერატურული პრინციპის უქონლობით უნდა აიხსნას ნაწილობრივ ის ფაქტი, სათანადოდ რომ არ ეღერს თანამედროვე სომხური პროზის საყურადღებო მოთხრობები და რომანები. ეგების ლიტერატურის მძიმე არტილერიის—პროზის დარგში „მოწინავე" და „ხელმძღვანელი" როლის შემსრულებელი — ეპიკურობის ნაკლია, რომ ლიტერატურის შიგნით არ იქმნება ის ატმოსფერო, ის მუდმივი „კაპიტალი", რის წყალობითაც ამ თხზულებებს შეეძლოთ წარმოჩენილიყვნენ სხვაგვარად.

აქ შეიძლება შემოგვედაონ და ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ დროს ერთგვარი კორექტივი შეაქვს ეპიკურის გაგებაში, ზოგჯერ კითხვის ნიშნის ქვეშაც კი აყენებს მის აუცილებლობას, რამეთუ თანდათან ისპობა ეპიკურობის წინაპირობა — ობიექტური თხრობის პრინციპი, საგნის გარედან მოხილვის ტრადიციულ კანონს ცვლის საგნის შიგნიდან დანახვის აუცილებლობა, ესე იგი სუბიექტური ჭვრეტა, ვინაიდან, თუ მიქელანჯელოს ნიჭი საფუძვლად დაედო „დავითის" შექმნას, ხოლო თავად მიქელანჯელოს პიროვნება „დაიკარგა" თავის ქმნილებაში, შეერწყა მას, პიკასოსთან, პირუკუ, ობიექტი გახდა საშუალება თვითწარმოჩენის, საკუთარი „მეს" დამტკიცებისა და, ბოლოს, ჩვენს დროში შეიცვალა თვით ეპოქის ცნებაც. თუკი იმ პერიოდს, როცა, ვთქვათ, ცხოვრობდა ბალზაკი, შეიძლება ვუწოდოთ მთელი ეპოქა, დღევანდელი ადამიანი ერთდროულად რამდენიმე ეპოქაში ცხოვრობს; თუ ბალზაკის დროს თაობები იცვლებოდნენ რამდენიმე ათწლეულში ერთხელ, დღეს ყოველი ათწლეული წარმოშობს ახალ თაობას, ბადებს ახალ მსოფლშეგრძნებას. უფრო მეტიც, ათწლეულის ლიტერატურის ცნებაც კი გაჩნდა. აი, რატომ ხელეწიფებოდა ბალზაკს აესახა მთელი სინამდვილე, მოეცა თავისი დროის „ენციკლოპედია", ჩვენს რთულსა და დაძაბულ დროში კი ვერც ერთი მწერალი ვერ შეძლებს მოგვცეს ამგვარი „ენციკლოპედია".

ამ შემოდავების უგულებელყოფა არ შეიძლება, მას ანგარიში უნდა გავუწიოთ. მაგრამ, ამასთანავე, უნდა ვიკითხოთ — ეპიკურობის აუცილებლობის „უარმყოფელი" ეს მტკიცებანი თავისთავად ეპიზმისთვის მდიდარ მასალასა და შესაძლებლობას ხომ არ გვაძლევს? საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილება, ამ თვალსაზრისს რომ ამტკიცებს, იმავე ზომით ხომ არ უარყოფს კიდეც?

უკანასკნელ ათწლეულში სომხურ მწერლობაში დაიწერა ფართო ტილოები, ეპიკური სუნთქვით გაჟღენთილი რომანები, როგორც მაგალითად, ჰ. სირასის „მშობლიური ქვეყანა", ზ. დარიანის „ეს ძველი ქვეყანა", კ. მკრტჩიანის „უცნობი ჯარისკაცის მოსახსენებელი", ვ. გრიგორიანის „თანავარსკვლავედი", ვ. ჰარუთუნიანის „ვაიოცის ხევი", ჰ. ხაჩატურიანის „არტავაზდი".

მაგრამ, რაოდენობის მხრივაც კი, სანუგეშო სურათი არა გვაქვს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ აქამდე ვლაპარაკობდით ეპიკური პრინციპის გამოყენებისკენ მისწრაფებასა და არა იმაზე, თუ როგორ არის ეს პრინციპი ხორცშესხმული.

მაგალითად, ჩვენი პროზის ერთ-ერთ მოწაფოვარს, მუშელ გალშოიანის რომანს „ბოვტუნს", სრულიად სამართლიანად რომ დაიმსახურა სომხეთის მწერალთა კავშირის პირველი პრემია, არსებითად ნოველისებური აღნაგობა აქვს. გმირების ბედს ერთმანეთთან შეხების წერტილები აქვთ, მაგრამ მათი ცხოვრება მაინც ერთმანეთის პარალელურად უფრო ვითარდება; ეს პარალელური ხაზები ვერ მთლიანდება, და რაც უფრო არსებითია, სამყაროს ვხედავთ გმირების თვალით, თუმცა რომანი მოთხრობილია არა გმირების, არამედ ავტორის მიერ. საქმე კი ისაა, რომ რომანში სინამდვილეს ჰყოფს ავტორისა და გმირების სუბიექტური შეხედულება და ეპიკური მთლიანობის ილუზია ისპობა.

ეპიზმიდან გადახვევის ეს რამდენიმე მიზეზი ჯერ კიდევ არ არის რომანის ნაკლი,— არამედ, უბრალოდ, თავისებურებაა. აქ სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კრიტიკაში ზოგჯერ შეინიშნება მანკიერი პრაქტიკა, როცა განსახილველი მხატვრული ქმნილების თავისებურება განიხილება როგორც ნაკლი. სწორედ ამით ეხსნება გზა არამეცნიერულ საუბარს, რაც სამართლიანად იმსახურებს საყოველთაო უკმაყოფილებას.

უკანასკნელი წლების საყურადღებო რომანებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ანაჰიტ საჰინიანის „სევდა", ვგონებ, ყველაზე მეტად რომ უახლოვდება ეპიკური თხრობის ტრადიციულ მოთხოვნებს. მაგრამ ტრადიციული არ არის ავტორის მიდგომა საბჭოთა ლიტერატურაში მრავალგზის ასახული კოლექტივიზაციის თემისადმი. ავტორი უკუაგდებს იმ თვალსაზრისს, რომ კოლექტივი-

ხაციის პირველი წლების სიძნელეები შედგია მხოლოდდამხოლოდ ისტორიულ გარემოებათა გარდუვალობისა, თვალსაზრისს, რომლის ცალმხრივობა ჩანს თუნდაც იქიდან, რომ აქ მთლიანად გამორიცხულია ადამიანთა ზნეობრივი ფაქტორი, ადამიანის პასუხისმგებლობა საკუთარი ქცევის, აგრეთვე გარემოს მიმართაც, ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობანი. მაგრამ ავტორი შემცდარი იქნებოდა, თუ მოვლენას ახსნიდა მხოლოდ წმინდა ეთიკური თვალთახედვით. საჰინიანმა შეძლო დაეკავშირებინა ეს ორი მნიშვნელოვანი გარემოება, განეხილა ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში, ეჩვენებინა, თუ რას ნიშნავს ადამიანისა და დროის „დამთხვევა".

როგორც ცნობილია, ცნებები „პირი" და „პიროვნება" ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირიდან პიროვნებამდე დიდი მანძილია. ადამიანისათვის უდიდესი ბედნიერებაა ამ სივრცის დაძლევა, პიროვნულობამდე ამაღლება. ლიტერატურისათვის კი ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატიო მისია პიროვნების ფორმირების მხატვრული გამოკვლევაა.

პირიდან პიროვნებამდე მდებარე სივრცის „შევსებისა" და დაძლევის წინაპირობა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა, ადამიანის საზოგადოებრივი აქტივობა, კოლექტივიზმის გრძნობა, ერთი სიტყვით, ის ზნეობრივი ნორმები, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანის აზროვნებისა და ცხოვრების წესს რომ ახასიათებს. აი რატომაა, რომ პიროვნების ჩამოყალიბების კვლევისას მწერალს ფაქტიურად ფართო შესაძლებლობა ეძლევა შექმნას დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ყლერადობის ნაწარმოები.

პიროვნების ფორმირების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი უცილობლად გულისხმობს გამოცდას. ჩვენი ქვეყნისათვის საყოველთაო გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი, რომლის დიდებული სამხედრო და პოლიტიკური გამარჯვების ოცდაათი წლისთავი საბჭოთა ხალხმა დიდი სიამაყის გრძნობით აღნიშნა 1975 წელს.

სერო ხანზადიანის „სამი წლის 291 დღე", დოკუმენტური რომანი, საფრონტო დღიური რომ უწოდა ავტორმა, დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი საუკეთესო ქმნილებათაგანია ომხურ საბჭოთა პროზაში. საიდუმლო არ არის, რომ ხანზადიანის ნაწარმოებები მკითხველთა დიდი მოწონებით სარგებლობს; ამ გარემოებაში მცირე როლს როდი ასრულებს ავტორის ენაწყლიანობა და მიმზიდველი თხრობა. მთავარი მაინც სხვა არის. ამ დოკუმენტურ რომანში ვერ ვხვდებით ვერც ეგრეთ წოდებულ, მდიდარ ენას, ვერც სიუჟეტის მკაფიო და დაძაბულ განვითარებას, ვერც თხრობის გარეგნულ ბრწყინვალებას. ყოველივე ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ძუნწ და ასკეტურ თხრობას, დაწვრილებით და საფუძვლიან დახასიათებათა ნაცვლად — შტრიხულ, ლაკონურ განმარტებებს. საყურადღებოა, რომ ამ ხერხებისადმი მიმართვით ხანზადიანი აღწევს იმავე მხატვრულ ზემოქმედებას, რაც დამახასიათებელია მისი სხვა საუკეთესო ქმნილებებისთვის.

მოთხრობის უმნიშვნელოვანესი ღირსება ის არის, რომ ავტორი არა თუ აღწერს, არა თუ აღბეჭდავს ომის დიდსა და პატარა შემთხვევებს, არამედ თავიდანვე მიზანსწრაფულად მიჰყვება ყრმა ჯარისკაცის პიროვნების ფორმირებას და ამ ერთი პიროვნების ჩამოყალიბების გზით გვიჩვენებს იმ საზოგადოებრივ საწყისებს, რომელთა მადლით ჩვენმა ხალხმა დიდი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე; ეს არის — საბჭოთა პატრიოტიზმი, საბჭოთა ხალხების მეგობრობა, ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმის იდეების ღრმა რწმენა.

ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან უნდა გამოვყოთ ჰოვანეს მელქონიანის „ქვები", მნაცაკანიანის „ნაკიანი წელიწადი", რაფაელ არამიანის ციკლი „მოთხრობები თქვენი უბნის შესახებ", რამდენიმე მოთხრობა ს. აივაზიანის კრებულიდან — „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც გრძელდება", გ. ბესის „მოკლული სიცილი". თუმცა ეს ნაწარმოებები არ ეხებიან იმ კონკრეტულ პრობლემას, ზემოთ რომ ვისაუბრეთ, მაგრამ, უეჭველია, ღირსი არიან ცალკე განხილვისა; ყოველ შემთხვევაში ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ნაცნობი და გაცვეთილი სიტუაციები ახალი თვალსაზრისით წარმოგვიდგინეს ავტორებმა. პურის რიგში ადამიანთა შემცვლელი ქვები ტრაგედიას, თუ შეიძლება ითქვას, აქცევენ მონუმენტურად და გვაიძულებენ სიბრალულის ნაცვლად ვიამაყოთ იმით, თუ როგორ შეინარჩუნეს ჩვენმა მამებმა და დედებმა მძიმე გასაჭირის ყამს ზნეობრივი სიმტკიცე.

პიროვნების ჩამოყალიბების ან, რაც იგივეა, ახალი ადამიანის ფორმირების ერთი დიდი თანამედროვე სტიმულია შრომა, თემა, რომლის მნიშვნელობასაც შემთხვევით როდი გაესვა ხაზი პარტიის XXV ყრილობის სა-

ანგარიშო მოხსენებაში, სადაც სრულიად სამართლიანად აღინიშნა, რომ „დღეს ამ თემამ მოიპოვა ჭეშმარიტი მხატვრული ფორმა“.

მუშელ გალშოიანის „ბოვტუნი“, რომლის შესახებ ცოტა ზემოთ გაკვრით ვილაპარაკეთ, შრომის თემისადმი მიძღვნილი ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა ჩვენში. მუშელ გალშოიანის მიერ შემოტანილი სიახლე ის გახლავთ, რომ შრომა მის რომანში გამოდის არა როგორც ფონი, არამედ როგორც ადამიანის სულიერი და ზნეობრივი ყოფაცხოვრების საზომი. შრომა ქმნის ადამიანისა და დროის ჰარმონიას, აზრს ანიჭებს ადამიანის სიყვარულსა და სიძულვილს, სიმპათიებსა და ანტიპათიებს, მის „ჰო“-სა და „არა“-ს და, საზოგადოდ, არსებობას. ავტორი გვიმტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ პიროვნებას მაშინ შეუძლია გადალახოს დაბრკოლება, თუკი აქვს სამშობლო. ადამიანი — მამული — დრო, ეს სამეული განსაზღვრავს პიროვნულის ჭეშმარიტ საზომს. ვ. გრიგორიანის მოთხრობაში „წითელი თოვლი“, ფართო მსჯელობის საგნად რომ იქცა „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე, გმირს სურს იპოვოს საგანთა პირველადი აზრი, ეძებს მის ფესვებს, ე. ი. პიროვნულთან, თვითშემეცნებისკენ მიმავალ გზას.

შაჰენ თათიკიანის მოთხრობაში „ოქრო და მიწა“ ნაჩვენებია ერთი ეზოს მცხოვრებთა ჯგუფური პორტრეტი რევოლუციის წინა დღეებიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე. სამაგალითო მხატვრული კომპაქტურობით დაწერილ ამ ნაწარმოებში წინააღმდეგობაში მოდიან ავტორის, ჩვენ ვიტყოდით, რბილი ინტონაცია და გმირების მძიმე და ნათელი ბედისწერა. იგივე წინააღმდეგობაა აგრეთვე რ. არამიანის „მოთხრობებში თქვენი უბნის შესახებ“. ამ გარეგნულ შეუსაბამობაში გამოსჭვივის ავტორთა ჭეშმარიტად სტილური და თანამედროვე აზროვნება, რაც მათ საშუალებას აძლევს ბოლომდე არ გახსნან ფრჩხილები, მრავალწერტილით დაასრულონ სხვადასხვა მოქმედი პირისადმი მიძღვნილი თავიანთი სიტყვა და მოგვცენ არა ცალკეულ გმირთა პიროვნების ფორმირება, არამედ მთლიანი უბნის ადამიანთა პატარა კოლექტივის განზოგადებული სახე.

პიროვნულის ჩამოყალიბების თემა, პირსა და პიროვნებას შორის სივრცის დაძლევის, ისე როგორც პიროვნულის რღვევის ისტორია ძველია და მარადიული. ეს ისტორია, ვიმეორებთ, საყურადღებოა იმით, რომ ასახავს დროსა და მოცემული საზოგადოების სახეს. ასე რომ, პიროვნულის ჩამოყალიბების, ახალი ადამიანის დაბადების მხატვრული კვლევის ყურადღების ცენტრში მოქცევით სომხურმა საბჭოთა პროზამ შეძლო დაეჭირა ლიტერატურის ერთი ძირითადი ძარღვი.

პიროვნების ფორმირების თემა თავისთავად გულისხმობს ერთი სხვა ლიტერატურული საკითხის კვლევასაც — გმირის არჩევის პრობლემას. გმირის არჩევიდან იწყება როგორც ნაწარმოების იდეა და მისი სიუჟეტური აღნაგობა, ისე გარემოებათა ჩარჩოში მოქცევა, ისევე როგორც მწერლის სტილი. მივიღებთ რა ამოსავალ წერტილად გმირის არჩევის საკითხს, შეიძლება მეტნაკლებად სრული წარმოდგენა შევქმნათ საზოგადოდ მოცემული ეროვნული პროზის შესახებ.

საბჭოთა სომხურ პროზაში შეინიშნება მისწრაფება უბრალო, ჩვეულებრივი რიგითი გმირის არჩევისაკენ. ეს მისწრაფება თავისთავად დასაგმობი არ გახლავთ, იმ პირობით, თუ იგი ერთადერთი არ არის. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, დღესდღეობით ერთადერთია.

საბჭოთა ესთეტიკას, უეჭველია, გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი. ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, გავიაზროთ ჩვეულებრივი, ჩავწვდეთ მის სიღრმისეულ ფენებს, ზედაპირზე ამოვატივტივოთ ის ლამაზი, წმინდა და დიდებული, რაც ძალიან ხშირად დამალულია რიგით ადამიანში, მით უფრო, რომ, როგორც ამ ესთეტიკის მომხრენი ამტკიცებენ, ცხოვრების დინება, ცხოვრების წინსვლა ძირითადად ამგვარ გმირთა არსებობითაა განსაზღვრული.

არ უარვყოფთ რა ამ თვალსაზრისს, ამასთანავე არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს იმ გარემოებამ, რომ ჩვენს პროზაში ჯერ კიდევ მცირე ადგილი უჭირავს პიროვნებებს, რომელთაც შეუძლიათ გვაზიარონ დიდ ადამიანურ ვნებებს, მასშტაბურ მიზნებსა და კონფლიქტებს. ამის გამოა, რომ ჩვენ ვერ ვითვალისწინებთ ვერც ადამიანის მიერ დაკავებული თანამდებობის ხარისხს, ვერც მისი ბიოგრაფიის არაჩვეულებრივობას, ვერც ე. წ. ზეადამიანად ყოფნის „აუცილებლობას“. შემცდარად უნდა ჩაითვალოს ის თვალსაზრისი და ლიტერატურული პრაქტიკა, რის მიხედვითაც დიდი პიროვნებები ისტორიული პირები არიან მხოლოდ. თანამედროვე რუსული ლიტერატურა ბრწყინვალედ უკუაგდებს ამ მცდარ თვალსაზრისს და გვაძლევს მგზნებარე პიროვნებათა და მას-

შტაბური აზროვნების მრავალრიცხოვან მაგალითს.

თვითეული მწერალი თავისუფალია იმა თუ იმ გმირის არჩევაში, მაგრამ ლიტერატურული პროცესის ანალიზის დროს შეუძლებელია არ შევნიშნოთ და საგანგებოდ არ გავუსვათ ხაზი იმ ცალმხრივობას, რაც საგრძნობლად აღარიბებს ჩვენს ლიტერატურულ პროდუქციას, მთლიანობაში აღებულს.

მოთხრობაში „აფთიაქი „ანი" ვ. პეტროსიანმა გამოიყვანა ახალგაზრდა გმირები, რომელთა მეოხებით მწერალი ცდილობა ჩასწვდეს ახალი თაობის არსებას. იგი განზრახ უპასუხოდ ტოვებს მის წინაშე წამოჭრილ კითხვას, ამით მხატვრულ პროგრამად აქცევს და უფრო მნიშვნელოვანს ხდის საკითხს, რადგანაც თავს აღწევს ერთნიშნა განმარტების ავტორისეულ ჩარჩოებს და მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს იგი.

მოთხრობაში „გამარჯობა, დილა მშვიდობისა!" მ. სარგსიანმა გამოიყვანა ახალგაზრდა გმირები, თითქოს საზოგადოებას განზე რომ გასდგომიან და ცდილობენ ცოტას გაღებით ბევრი მიიღონ ცხოვრებიდან.

ნორაირ ადალიანის რომანის „მშვიდი ყაზარმების" გმირი სიახლეა ჩვენს პროზაში იმ გაგებით, რომ მას შემოაქვს სრულიად ახალი გარემო — საბჭოთა არმია და მისი ყოველდღიურობა. გმირის წარსულსა და აწმყოს შორის წარმოიქმნება მანძილი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს შორიდან „შეამოწმოს", შეიცნოს და გაიგოს თავისი თავი, რაც აგრეთვე პიროვნების ფორმირების ტოლფასია.

გულისტკივილს მხოლოდ ის იწვევს, რომ ამ მრავალმხრივ საყურადღებო რომანში ავტორს საგრძნობლად შეუშალა ხელი მისივე მისწრაფებამ — რომანი აეგო სამი დროის: წარსულის, აწმყოსა და მომავლის სტრუქტურული შეპირისპირების პრინციპით.

კარენ სიმონიანი რომანში „მეაფთიაქე ნერსეს მაჟა" იმ ჭეშმარიტებას გვიმტკიცებს, რომ ადამიანის უმაღლესი თვისება არის პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი თავისა და დროის წინაშე. აიმონიანმა გამოიყენა თანამედროვე ფანტასტიკის ის პრინციპი, რის წყალობითაც ეს ჟანრი თანდათან თავისუფლდება „მეცნიერულის" ჩარჩოებიდან და იქცევა მხატვრული კვლევის ერთ თავისთავად ფორმად.

დეტექტივიც, ჩვენს პროზაში თანმიმდევრულად რომ მისდევს მხოლოდ ვ. ბალაიანი, თანდათან იცვლის სახეს და იქცევა ადამიანის ფსიქოლოგიის გამოხატვის საშუალებად. ბალაიანის ნაწარმოებებში ეს პრინციპიც გმირის შერჩევით განისაზღვრება, რასაც კარნახობს ნაწარმოების ანალიტიკური ხასიათი.

გ. არშაკიანის რომანის „პიტნის სურნელის" გმირი დირექტორის მძღოლია, იმდენად ჩვეულებრივი კაცი, რომ გარშემომყოფი თანამდებობის პირებისათვის იგი ერთგვარ საზომად იქცევა სხვადასხვა ადამიანურ მოქმედებათა შეფასების დროს.

ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ასეთი შეფასება, მისი სულიერი სიმდიდრის, შინაგანი მთლიანობის დასტურია.

აქვე უნდა ითქვას, ე. წ. ინტელექტუალური ლიტერატურის შესახებ. ღრმა შეცდომად იქცა ის თვალსაზრისი და პრაქტიკა, რომელთა თანახმად ნაწარმოების შექმნის პირობად მიიჩნევა ჭკვიანური აზრები, დიალოგები, ფილოსოფიური ანალიზი და სხვა. მაშინ როცა ინტელექტუალური ნაწარმოები შეიძლება დაიწეროს გმირებზე, ვისი ინტელექტიც თვალში არ გეცემათ. ინტელექტუალობა მოჩანს უპირველეს ყოვლისა მასალის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაში და ცხოვრებისეული მოვლენის გააზრებაში.

შცდარია აზრი აგრეთვე ე. წ. ინტელექტუალური და ემოციური ლიტერატურების დაპირისპირებისა, რამეთუ არც ერთი ღრმა აზრი ხელოვნებაში არ შეიძლება მოკლებულ იქნეს შინაგან ემოციურ სისავსეს (სევაკის შემოქმედება), როგორც არ შეიძლება, ჭეშმარიტი ემოცია თავისთავად ღრმა აზრს არ გულისხმობდეს.

ლიტერატურის ამ ორი განუშორებელი ელემენტის—აზრისა და გრძნობის ერთმანეთისაგან ხელოვნური გათიშვა და დაპირისპირება ისეთივე შეცდომაა, როგორც ზღუდის აღმართვა ფორმასა და შინაარსს შორის. ჰრანტ მათევოსიანის „ნერვიული" ალუნი, ვის ინტელექტუალურ მისწრაფებებში ეჭვს ვერ შეიტან, ავტორს დაეხმარა შეექმნა ჭეშმარიტი ინტელექტუალური ნაწარმოები „მიწის ძარღვი". მათევოსიანმა შექმნა სომეხი გლეხი ქალის, სომეხი დედის მონოლოგი — მის მიერ განცდილ მწუხარებასა, ტანჯვასა და ჯერ გაუვლელ ცხოვრებაზე.

თუ მოთხრობა „ნაბაზუსევი", როგორც სამართლიანად აღინიშნა ჟურნალ „ლიტერატურნოე ობოზრენიეს" სტატიაში — „თავისი ცხოვრებისეული მასალით ამოვარდნილია მათევოსიანის ნაწარმოებთა მტკიცე რიგიდან" და გმირიც „ერთგვარად მოწყვეტილია ზნეობრივ ფასეულობათა ძველ სისტემას", ამ ნიჭიერად დაწერილი მოთხრობით „მი-

წის ძარღვი" მათევოსიანი კვლავ უბრუნდება თავის ძველ დონეს, ერთგული რჩება გმირის არჩევის პრინციპისა და მთავარ გმირს კვლავ მშობლიურ გარემოცვაში გვიჩვენებს.

ცნობილია, რომ საკავშირო პრესა, მათ შორის „ლიტერატურნაია გაზეტაც" მოფენილია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისადმი მიძღვნილი სტატიებით, მაშინ როდესაც სომხეთში ჩვენ მეტად იშვიათად ვუბრუნდებით ამ საკითხს. პარადოქსია, რომ ჩვენ უკვე ვცხოვრობთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, მაგრამ იშვიათად ვაცნობიერებთ ამას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, როგორც ყოველი რევოლუცია, იწვევს სოციალ-ეკონომიური სინამდვილის ხარისხობრივ ცვლილებას. მაშინაადამე, ლიტერატურას უფლება არა აქვს არ ასახოს ამ მოვლენის კანონზომიერი შედეგები, გაუგებარი ის არის მხოლოდ, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ზოგიერთი წმინდა მეცნიერულ საკითხად მიიჩნევს, რამეთუ თვით ტერმინია ბევრის მომცველი — და ამას გარდა, ერთი შეხედვით, თითქოს შეუმჩნეველიცაა ახალი მოვლენის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ხშირად მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ტექნიკურ პროგრესში ვურევთ და გვეჩვენება, რომ ილ—14-დან ილ—18-მდე. ან ილ—62-მდე განვლილი გზა ამ რევოლუციის ნათელი გამოხატულებაა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ სამართლიანად უნდა ვიფიქროთ, რომ კაცობრიობა განუწყვეტლივ ცხოვრობს ასეთი რევოლუციის პირობებში. რამეთუ ყოველ მეტნაკლებად მნიშვნელოვან აღმოჩენას თავისი დროისთვის ჰქონდა ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც დღეს აქვს კოსმოსის დაპყრობას, მაშინ როდესაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მონაპოვარია.

დღეს ჩვენ თვითმხილველნი ვართ, როგორ ისახება ადამიანის და მანქანის „ორთაბრძოლა". ადვილი საფიქრებელია, იგი თანდათან უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. ამ მოვლენას მშვიდად შევცქერით, რადგან ვიცით „სიუჟეტის" გადაწყვეტა — ამ ორთაბრძოლაში ადამიანი გაიმარჯვებს. მართალია, მაგრამ ასე რომ ვფიქრობთ, ხომ არ ვემსგავსებით იმ მოწაფეს, ამოცანის ამოხსნამდე რომ იყურება სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემულ პასუხში. კეთილი, დავუშვათ, რომ პასუხი ვიცით, მაგრამ ამოცანის პირობიდან ამ პასუხამდე მოთავსებული მანძილი? ამ სივრცეს თუ თავად არ დაძლევ, ამოცანას ვერ ამოხსნი და მზა პასუხიც ღირებულებას დაკარგავს. ჩვენც სწორედ ამ მდგომარეობაში ვართ. მაგრამ ამ სივრცის დაძლევა, დინებას მიყოლა, მის შინაგან კანონზომიერებათა გამოვლენა ისეთი არსებითი საკითხია, რის უგულვებელყოფის შემთხვევაშიც შეიძლება პუშკინის ზღაპრის გაბზარული ვარცლის წინაშე აღმოვჩნდეთ. არ არის გამორიცხული, რომ ამ მანძილში უფრო დიდი და ღრმა აზრი აღმოჩნდეს, ვიდრე ერთნიშნა პასუხია. ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხებს აუცილებლად უნდა დავუბრუნდეთ. ნურც ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს მწერალი ვალდებული იყოს დაწვრილებით დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე რთულ კომპლექსს. საქმე ის არის, რომ ატომსფერო დამუხტულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის „ტალღებით" და დღეს ყოველი ჭეშმარიტი მწერალი, ტალანტისთვის დამახასიათებელი შეგრძნებით, შეძლებს დაიჭიროს ეს „სიგნალები" და გახდეს ახალ ხარისხობრივ ცვლილებათა წინასწარმეტყველი. განა დოსტოევსკიმ იცოდა ფარდობითობის თეორიის შესახებ? ნუთუ ეინშტეინის მხრივ კეკლუცობა, ანდა, უბრალოდ, მისწრაფება იყო ლამაზი სიტყვებისკენ, როცა აცხადებდა, დოსტოევსკიმ უფრო მეტი მომცა, ვიდრე რომელიმე მეცნიერმაო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თავისი დროის დიდ მწერალთა თხზულებებში უკვე იმალებოდა არქიმედესა და ნიუტონის კანონებია არსი არა სიტყვასიტყვით, არამედ ატმოსფეროში „დაჭერილი" სახით. მხოლოდ იქ გაიყრება მწერლისა და მეცნიერის გზები, სადაც მიღებულ „სიგნალს" თვითეული თავისი ენით განმარტავს. აი, სწორედ ამ ამოცანებთან დაკავშირებით დავუბრუნდით ჩვენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროცესს და ამ კუთხით გვსურს გამოვიკვლიოთ აგრეთვე, ე. წ. „მიწის თაყვანისმცემელი" ლიტერატურის საკითხი: ამ ტერმინს, სწორად თუ მცდარად, ზოგჯერ კი სხვა სახელწოდებითაც, ხშირად იყენებენ ლიტერატურაში. აი ამ „დინების" სქემატური იდეოლოგია: ადამიანის დაბრუნება თავის ბუნებრივ მდგომარეობაში, სათავეებთან დაკავშირება; ამოსავალი წერტილის, პირველადისა და წაუბილწველის პოვნა, ე. ი. დაბრუნება და რწმენა ბუნებისა. შეიძლება დაეთანხმო „მიწისთაყვანისმცემელთა" თეორიას, მაგრამ ერთი პრინციპული განსხვავებით—ამ საკითხს უნდა შევეხოთ ცივილიზაციის მაღალი პოზიციებიდან. სწორედ აქ წამოიჭრება აუცილებ-

ლობა, კვლავ დავუბრუნდეთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საკითხს. ამ რევოლუციამ უკვე წარმოშვა დიდი ფსიქოლოგიური ძვრები. ავიღოთ თუნდაც მასობრივი ინფორმაცია, რომლის მოზღვავებაში ადამიანი კარგავს ორიენტაციას. მოვლენები განიხილებიან ფართოდ და ზედაპირულად, სიღრმე თანდათან კლებულობს. ხოლო თუ ახლო მომავალში ხელოვნური ინტელექტი ან მოაზროვნე მანქანა ნამდვილად დაიჭერს გაბატონებულ მდგომარეობას, თუ ჩვენს უფლებებს მას მივანიჭებთ, მაშასადამე, სულიერი სიზარმაცისთვის განწირულნი აღმოვჩნდებით, არჩევანის თავისუფლება მოგვაკლდება, მოვწყდებით ცხოვრებისეულ გამოცდილებას. აქ განზრახ ჩამოვთვალეთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მხოლოდ უარყოფითი მხარეები. ამავე მოსაზრებით არ მოვიხსენიებთ აგრეთვე მის უზარმაზარ უპირატესობებს.

ზემოთ ნათქვამი მიზნად ისახავს, რომ უფრო მეტად გავუსვათ ხაზი დასკვნას და სათავეებთან მისვლის ორი სხვადასხვა გზისა და სტიმულის არსებობას. ნუთუ ზემოხსენებული დაბრკოლებები გვკარნახობენ, თავი დავიცვათ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისაგან. ეს რევოლუცია ხომ ანგარიშგასაწევი სინამდვილეა დღეს, მით უფრო, რომ იგი მოწოდებულია ემსახუროს კაცობრიობის ინტერესებს. მაშასადამე, სად არის ამ „წინააღმდეგობიდან" გამოსავალი? ზნეობრივი ნორმების დამკვიდრების უფრო მაღალი დონე. ადამიანის სრულყოფის არა მხოლოდ აუცილებლობა, არამედ გარდუვალობაც. პირველხარისხოვან მოთხოვნილებად იქცევა — მდგრადი სულიერი ღირებულებები ისე მივაწოდოთ ადამიანს, რომ მასში აიწიოს ზნეობის „მაღალმა ტემპერატურამ", განმტკიცდნენ ფესვები, — ტომობრივი ბიოგრაფიის მოგონება, რათა ადამიანმა იმედი დაამყაროს საკუთარ არჩევანზე; მიჰყვეს მოვლენას, დინებას კი არ დაემორჩილოს, არამედ თვით დაიმორჩილოს იგი, მოიგონოს თავისი სათავეები და ცხოვრებისეულ გამოცდილებას დაენდოს. ამ შეგნებით ნაკარნახევი დაბრუნდება სასურველ სათავესთან, პირველსაწყისთან, ხოლო ამ შეგნების გარეშე დაბრუნება ნიშნავს კაპიტულაციას, ადამიანის დაცემასა და დაღუპვას. ერთი სიტყვით, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას კი არ უნდა დავუპირისპირდეთ, არამედ შევუხამოთ ჩვენთვის ნაცნობი მაღალი ზნეობრივი იდეალების სრულყოფა. რადგან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას, უპირველეს ყოვლისა, მოაქვს ახალი კონფლიქტები, ახალი წინააღმდეგობანი და დრამატიზმი. და რადგანაც ჩვენი დრო შინაგანი კავშირების დროა, როცა არც ერთი მოვლენა და საგანი ავტონომიური აღარ არის, მაშასადამე, საჭიროა ვეძებოთ ეს კავშირები.

მთავარი ის კი არ არის, ქალაქისა თუ სოფლის შესახებ ვწეროთ. ეს კამათი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სასაცილოა და უაზრო. თუ შემდეგშიაც ასე ვიაზროვნებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჰემინგუეის მოთხრობა „მოხუცი და ზღვა" ეძღვნება თევზაობის თემას, ხოლო საროიანის მოთხრობათა კრებული „საათში 60 მილით" — სპორტისას. საკითხის არსი არა თემაა ან ობიექტი, არამედ ხელოვნების დონე და კულტურა. ხელოვნება იქმნება მხოლოდ თანამედროვე ცივილიზაციის აზროვნების კრიტერიუმით.

ღუკასიანის მოთხრობის „ახლობელი და შორეული სახეების" გმირმა — მესროპმა მიაღწია შორეულ მთებს, მივიდა მოხუც მეფუტკრესთან, ვისი ვაჟიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორია, ხოლო მესროპის სკოლადამთავრებული ბიჭი ამავე ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება. ვიზიტის მიზანი ნათელია. მესროპს განზრახული აქვს მეფუტკრე მამა გარიგების შუამავლად გახადოს. როცა თავისი „თავდაპირველი სიწმინდის" ერთგული მოხუცი აუჯანყდა ამ ბინძურ წინადადებას და განაცხადა, რომ მისი ლექტორი შვილი ამგვარ ნაბიჯს ვერ გადადგამს, მესროპი მას თვალებს „უხელს", უამბობს, როგორ გარყვნა ქალაქმა ყოველი, წაბილწა, გააფუჭა აგრეთვე მეფუტკრის ლექტორი შვილიც. „მიმიფურთხებია მისთვის,— წამოიძახებს სასოწარკვეთილი მოხუცი, — სოფელში რომ ჩამოვა — მე მთებში გავიქცევი, მთაში რომ ამოვა, მწყემსებთან გავიქცევი... ჩემმა მშობლებმა სუფთა გამაჩინეს, ჩვენც წმინდა ვშვით იგი."

ჯანიბეკ ჯანიბეკიანის მოთხრობაში „ხევის წყარო" თავდაპირველი სიწმინდის სიმბოლო წყაროა, საიდანაც თითო პეშვს რომ დალევს, საუკუნო მეგობრობის ფიცს დებს ორი მეგობარი. ამ მეგობრობას უანდერძებენ თავიანთ შვილებს, მაგრამ ისევ ქალაქი, იქაური ზნე-ჩვეულება, ყოფა, ისევე როგორც ქალაქში სწავლა და ინტელიგენტად გახდომა, ხდება იმის მიზეზი, რომ დაირღვეს მეგობრობა. „ხევის წყაროს" იქით არ არსებობს ზნეობა, არ არის სულიერი ღირებულება, არ არის წმინდა ურთიერთობანი. ავტორი ამ იდეას უფრო ავითარებს, ამტკიცებს, რომ „არაგაწის ათასი წყაროდან ყველაზე უკა-

ნასკნელია იგი, მაცოცხლებელი წყარო...“ და საუკუნეთა განმავლობაში მოჩუხჩუხე ეს წყაროც უკვალოდ გაქრობის საფრთხის წინაშე დგას, ვინაიდან თოვლის დნობისა და წვიმებისაგან მდინარე ამბერდი გააფთრებულია და ლამობს ეს უკანასკნელი „თავდაპირველი სიწმინდეც“ აღგავოს პირისაგან მიწისა.

ამგვარად, ჩამორჩენილობა, სიღარიბე, უცოდინარობა წარმოგვიდგება როგორც „თავდაპირველი სიწმინდე“, რაც უპირისპირდება მრავალსართულიან შენობას, ბუნებრივი სომხურით ლაპარაკს, ტელეფონს, თეატრს — ერთი სიტყვით — ქალაქს, ცივილიზაციას. მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს თანამედროვე მწერლის სწორი პოზიცია.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ღრმად გაგების მაგალითებად წარმოგვიდგება ალასი აივაზიანის მოთხრობები. მისი კრებული „მთავარი ნომერი“, თუ შეიძლება ითქვას, სამი სიტყვის წიგნია: სიყვარული, სიცილი, სიკეთე. აივაზიანის მიხედვით, სიყვარული და სიკეთე, „სამყაროს დაუფლების ერთი ხერხია“. ამ საკითხში მხატვრულ პრინციპთა განზოგადება შეიძლება ვიპოვოთ ვ. საროიანის მოთხრობებში: „სიკეთე ბოროტებას სჯობიაო“, — გვიმტკიცებს საროიანი და სრულიადაც არ ეშინია ქვეყნად გავრცელებულ ათასნაირ „იზმებში“ „ძველ ტანსაცმელში“ გამოჩნდეს. საროიანისთვის ხელოვნების მოწოდება სწორედ ის არის, რომ საგნები დაინახოს უფრო მხიარული და ბედნიერი სინათლის შუქზე, ვიდრე ისინი მოჩანან ერთი შეხედვით.

ზორაირ ხალაფიანის რომანში „მომაკვდავ-აღმდგომი“, ერთმანეთის გვერდით დგას ორი განსხვავებული სამყარო — თანამედროვე ცხოვრება და ცოცხალი ეთნოგრაფიული სახეები — წარმართული დროიდან რომ მოეშურებიან ჩვენსკენ. მაგრამ მწერალმა ამ პარალელიზმს მიმართა არა აწმყოსა და წარსულს შორის წინააღმდეგობის საჩვენებლად, „თავდაპირველი სიწმინდიდან“, ე. ი. სათავეებიდან ჩვენი დამორების ჩვენებას მიზნით, არამედ იმ ჭეშმარიტების დასადგენად, რომ წარსული, მისი გადმოცემები, თუკი ჭეშმარიტად ზნეობრივი ღირებულებები გააჩნია მათ, უკვალოდ არა ქრებიან;

კამარი ტონოიანი თავის მოთხრობა „ტაიგაში“ იმ მოდურ მტკიცებათა საპირისპიროდ, თითქოს თანამედროვე მსოფლიოში შეწყდა ადამიანთა კავშირი, რომ ადამიანებს ერთმანეთისა აღარ ესმით, განამტკიცებს აზრს ადამიანთა ურთიერთკავშირის სახიცოცხლო მოთხოვნილებაზე.

ზნეობრივ პირველსაწყისთა ერთგულების აუცილებლობად მტკიცდება რ. ჰოვსეფიანის მოთხრობებში: „ურემი“, „ზაფხული იყო, კვირა“, არტ. ქალანთარიანის „დეპეშებში“, ე. ავეტისიანის მოთხრობაში „გზები, ხიდები“ და რ. ლაზანჩიანის „მგზავრში“.

...საბჭოთა სომხური პროზა, როგორც ვხედავთ, ცუდ მდგომარეობაში არ არის. მართალია, ჩვენს პროზაიკოსებს ახალი მწვერვალები არ დაუპყრიათ, მაგრამ გააღრმავეს, გააშალაშინეს თავიანთ წინამორბედთა მონაპოვარი! აფეთქების სუნი, როგორც იტყვიან, უკვე იგრძნობა.

საბჭოთა სომხური პროზა თავისი ნაკლოვანებებით და ხარვეზებითურთ, განვითარების საინტერესო საფეხურზე იმყოფება. ჩვენ აღვნიშნეთ ამ განვითარების მხოლოდ რამდენიმე ტენდენცია, რომელთაც არა აქვთ პრეტენზია მისი თანამედროვე მდგომარეობის სრული განზოგადებისა და გამთლიანებისა, მაგრამ მხატვრული აკუმულაციის ფაქტი დიდი ლიტერატურის გზაზე გამოსვლისა და მისი ფართო პერსპექტივების საწინდარია.

□

ჩვენი ავტორები

დერენიკ დემირჩიანი გამოჩენილი სომეხი პროზაიკოსი, სომხური საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დაიბადა 1877 წ. ახალქალაქში. 1905—1909 წწ. იგი ჟენევის უნივერსიტეტში ეუფლებოდა პედაგოგიურ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს. 1910 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ჰოვნანის სასწავლებელში სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამუდამოდ დასახლდა ერევანში. დ. დემირჩიანი გარდაიცვალა 1956 წ.

დ. დემირჩიანს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქართულ მიწასთან. იგი წერდა: „მე საქართველო უანგარო ნათესაური გრძნობით

მიყვარს. ამ ქვეყნის ლამაზ მიწაზე ავიდგი ფეხი, აქ გავატარე ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები — ყველაზე სანეტარო წლები ადამიანის სიცოცხლეში; აქვე მოხდა ჩემი პოეტური ნათლობაც...“

პარუირ სევაკის გამოჩენამ სომხურ პოეზიაში თავიდანვე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია... იგი უჩვეულოდაც კი მონათლეს... და თუმცა სომხურ პოეზიას ნიჭიერი შემოქმედები არ ჰკლებია, ეგრეთ წოდებულ „ტრადიციულ ერთფეროვნებაში“ მისი სიტყვა მართლაც რომ უჩვეულოდ გაისმა... ამ მითქმა-მოთქმისა და გაცხარებული კამათის დროს თითქმის ყველას დაავიწყდა, რომ პარუირ სევაკიც „ტრადიციული პოეტია“... რომ მას ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ისეთი დიდი წინამორბედი ჰყავს, როგორიც გრიგორ ნარეკაცია...

დიდად ნიჭიერი პოეტი, უალრესად ერუდირებული ლიტერატორი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე 47 წლის ასაკში ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა. უერთგულეს მეუღლესთან—ნელი მენაღარაშვილთან ერთად ავტოკატასტროფამ შეიწირა 1970 წელს. და-

ტოვა დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, დღეს უკვე საყოველთაო ინტერესს რომ იწვევს, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

პარუირ სევაკის ეს ორი ლექსი პოეტის ბოლო წიგნიდანაა თარგმნილი. „იქმენინ ნათელი“—ასე ჰქვია ამ წიგნს. მკითხველი, ვფიქრობთ, ამ ლექსებითაც კარგად მიხვდება, თუ რაოდენ დრამატიულია პოეტის ხმა — სიკეთისა და სინათლისაკენ მიქცეული...

ჰრანტ იგნატიოსის ძე მათევოსიანი დაბადებულია 1935 წელს სომხეთის სსრ ალავერდის რაიონის სოფ. აჰნიძორში. სწავლობდა პედინსტიტუტში. მუშაობდა სტამბაში. ამავე პერიოდში (1957—1962 წ.წ.) გამოაქვეყნა თავისი პირველი მოთხრობები. დღეს იგი საქვეყნოდ აღიარებული მწერალია, მისი ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

ჰ. მათევოსიანი ძირითადად წერს სოფელზე და სოფლელებზე, მიწასა და ცხოვრებას შებმული უბრალო ადამიანებზე, წერს დიდი მხატვრული სიძლიერითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, ცხოვრების ცოდნითა და ჭეშმარიტი ხედვით. ადამიანთა ჩვეულებრივ საქმიანობაში, მათს ურთიერთობაში ავტორი ხედავს სიცოცხლის მაღალ აზრსა და პოეზიას. მწერლის თხრობა ლაღია, მსუბუქი იუმორით შეზავებული, ამავე დროს სიყვარულით აღსავსე ყოველივე-სადმი, რაზეც იგი წერს.

ალექსი ნოჩრის-ძე გოგუა (1932 წ.) აფხაზ პროზაიკოსთა ახალგაზრდა თაობის

ბრწყინვალე წარმომადგენელია. 1960 წ. დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. მისი პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1948 წ. 1957 წ. გამოვიდა მისი მოთხრობების პირველი კრებული „მდინარე ზღვისკენ მიიჩქარის". პიროვნების ფსიქოლოგიური განცდებია მისი მთავარი თემა. მრავალფეროვანი და ძლიერია მისი ენა, იყენებს დინამიურ თავისუფალ ფორმებს. იგი ერთმანეთში ხლართავს დროითა და სივრცით დაშორებულ მოვლენებს, ფიქრებს, განცდებს. მოთხრობებს ერთი რამ საერთო აქვთ — ისინი ჩვეულებრივი მოთხრობის ფარგლებს სცილდებიან, ფსიქოლოგიური რომანის ნაწყვეტს უფრო მოგვაგონებენ. თავის გმირებს იგი ხშირად აყენებს სიკვდილ-სიცოცხლის საბედისწერო ზღურბლზე და ამ განსაკუთრებული სიტუაციით არკვევს ადამიანის ბუნების არსებით ნიშნებს.

მამედ არაზის, აზერბაიჯანელი პოეტის (დაბ. 1933 წ.) პოეზიაში უპირველესი, რაც

თვალში გეცემათ, მიწის სურნელია, მიწის სიყვარული. ესაა მისი ლირიკის მთავარი ძარღვიც. პოეტი თითქოს დედაწყაროსთან— ბუნებასთან არის განივთებული და, როგორც თავად ბუნება, მისი ლირიკაც ორსახოვანია: ხან ნაზი, ხან — მრისხანე; ხან ლრუბლიანი, ხან — მზემოჩახჩახე; ხან ჩაფიქრებული, ხან — მხიარული, და მაინც ერთია, მთლიანი და განუყოფელი.

მამედ არაზს ბევრი მეგობარი ჰყავს საქართველოში და უპირველესი მათ შორის პოეტისავე აღნიშვნით, არის „ქართული ლექსი".

«С А У Н Д Ж Е»

литературно-художественный альманах
(на грузинском языке)

1 9 7 6
№ 6

Издательство «М е р а н и»
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

□ □ □

გადაეცა წარმოებას 10/IX-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/I-77 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108¹/₁₆. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,63. საბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 917.

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქირიძე
მხატვარი აკაკი თევზაძე
ტექრედაქტორი რევაზ იმნაიშვილი

□ □ □

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

 აკოფ კოდტონი

„სომეხი მებუკე“

ეროვნული
ბიბლიოთეკა